

ლიტერატურა და სემინარი

საქართველოს
ეროვნული
მუზეუმი

N1

01/2007

1522
2007

თბილისი

კანცულ
ჩარპვიანი

მეცნიერება

რაზიშ თორიზია

კონკრე

ოლიკო ულენტი
(პრუტ ჰამსუნი)

თეოდორი

ალექსანდრე
ძოქრაშვილი

თბილისი

გურამ
დოჩანაშვილი

მარწიფი

პონსტანტინე
გამსახურდია

თამაზები

პერმან
ზუღერმანი
ინგლისური
პოეზია

მუსიკა

ოდისეი
დიმიტრიაზი



რადიშ თორდია

ქალი თეთრ კედელთან



რადიშ თორდია

ვარდისფერი დღე

ლიტერატურა და სეროვნება

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ითარაშვილი

მთ. რედაქტორი
ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი
მდივანი

ზურაბ თორია

რედაქტორები

დავით შემოქმედელი
ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი
მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა
რაღიშ თორდია

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru

Web: www.litandart.com.ge

გამოცემის სპონსორია



მართიანა

N1(13)

01/2007

ვაჟა ითარაშვილი
ლიტერატურის
უნივერსიტეტი

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

სარჩევი

რედაქტორი, მიმღება

5 ბუჩამ ლოჩანაშვილი

- ჩაც უფრო მახსოვეს,

და მეტად მაგონება /ჩომანი/

25 კანსულ ჩახუევიანი

- ღეჭვები

27 გენგორ კ. ჩობარიძე

- კახესერის ქვეყანა

30 გივი ბერიძე

- ღეჭვები

32 ენა ფაგაჩელი

- მოთხოვდები

38 გიორგი მახაშვილიძე

- ღეჭვები

აუტორები

40 პეტრ ზევეჰმანი

- საშობაო ალსახება

/თახმა ნანა ნოზაძე-ჯულაშვილია/

44 ინგლისები პოეზია

- /თახმა ინა ჯანგიჩაშვილია/

რედაქტორები

46 ხათუნა ჩაჩანიძე

- გამოსავალი მეღამ ახსებობს

მუსიკა

51 ნანა ქავთახაძე

- „აბესალომის“ ინცენტიურიები.

მუსიკა

58 მანანა ბერექუმიშვილი

- მეზუნია ჩიუები

კინო

63 თიმე ელენჭი

- კრეტ ჰამსუნის

კავკასიური მისცემები

მსახურების

74 ინგა ქახაძე

- შუქისები მხატვრის პოსტიურისათვის

/ჩატოშია/

სოფია


80 კონსუანტინე გამსახუებია

- ილია ჭავჭავაძე

84 ფოსტახელივიანი


საქართველოს კულტურის: მუზეუმების დაცვის სამინისტრო:

ჭავჭავაძის მიერთვის, გარემონტის მიერთვის, გარემონტის,
მუზეუმების დაცვის მიერთვის, მუზეუმების განვითარების,
მუზეუმების უფლების, თეატრის ჩამოყმის, თეატრის ჩამოყმის, გადა წერილი.



უურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება

ვულოცავთ სრულიად საქართველოს შობა – ახალ წელს!



24926

შობამან შენმან, ქრისტე
ღმერთო,
აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი
მეცნიერებისა,
რამეთუ, რომელი გარსკვლავსა
მსახურებენ,
გარსკვლავისაგან ისწავეს
თაყვანისცემად შენი,
მზეო, სიმართლისაო, რომელი
აღმობრწყინდი
მაღლით აღმოსავლეთით, უფალო,
დიდება შენდა!

სა შართვა	ს პ ა რ ა მ ე ნ დ ე
პ ა რ ა მ ე ნ დ ე	ი მ ე რ ა მ ე ნ დ ე
ი მ ე რ ა მ ე ნ დ ე	გ ი რ ა მ ე ნ დ ე
გ ი რ ა მ ე ნ დ ე	ს ა მ ე რ ა მ ე ნ დ ე



**მისი უწმიდესობის, საქართველოს
გათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვა,
წარმოთქმული 2006 წლის 14 დეკემბერს ქურნალ
“ლიტერატურა და წელოვნების“ I-XII ნომრის წარდგენაზე**

ბატონო ვაჟა, ქალბატონებო და ბატონებო!

გულითადად მოგესალმებით ყველას და გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს!

ქურნალი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, შესანიშნავად გვიჩვენებს ქართული წელოვნების მაღალ კულტურას. ქართველი ადამიანი გენიალური ადამიანია. ეს ნიჭი მოგვცა ღმერთმა, მაგრამ ამ ნიჭს უნდა გამოვლინება, რაც სწორედ ამ ჟურნალში გამოვლინდა. მე მინდა დღეს მოგილოცოთ ეს, მაგრამ მე ასევე მინდა შევეხო ისეთ საკითხს, რომელიც ჩვენ ძალიან გვაწუხებს, ეს არის წიგნის კითხვა, წიგნის სიყვარული. ზალზი გატაცებულია მიწიერი ცხოვრებით და საკუთარ თავზე ზრუნვით და წიგნი აღარავის ახსოვს. და, აი, ჩვენ იქნებ ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ როგორ დავაპრუნოთ წიგნი, შევაყვაროთ ჩვენს ახალგაზრდობას წიგნის კითხვა. მე მიმაჩნია, რომ დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია შეიძლება გამოგვადგეს ჩვენ აქ და ეს უნდა იყოს გამოყენებული ჩვენს სასწავლებლებში.

ღმერთმა დაგლოცოთ!

ფერეიდნელმა ქართველებმა იციან ასეთი დალოცვა: ღმერთს ებარებოდეთ!

ღმერთმა ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგითხოვთ!



კუნის მთავრობაშვილი

ჩაც უფრო მახსოვს, და
მეტად მაგონება:

(ეპრაცემოდებული
“ავტოპიოგრაფიული რომანი”)

განვიზრახე-რა, და მეგონა რომ ჩემი ჭკუით
მყარად გადავწყვიტე „კაცი, სახელად ნოე“-ს
შემდეგ დამსახურებულ თუ დაუმსახურებელ
პენსიაზე გავსულიყავ ანუ გადავსულიყავ ანუ
აღარაფერი დამენერა, მაგრამ, თქვენც არ მო-
მიკვდეთ, პატარა ხანში, ათიოდ დღეში ისევ
ნამძღვია მოუსვენარმა როგორ თუ მანვალე-
ბელ-მაბედნიერებელმა სულმა, და — მოგონე-
ბებს არ შევუდექი მე-ნაჯიჯენი როგორ და
როგორ მაინც ბედნიერი კატორდელი? —

ჩემი თავი, ამ მეუღირსისა, იმდენად ადრი-
დან მახსოვს თუნდ ორიოდ ნამის გაელვებით,
რომ უხერხულიც კია ამისი საჯაროდ გამოჭე-
დასაწყისი

ნება ანუ ქაღალდზე გადმოტანა, ხოლო ჩე-
მი ამქვეყნად დაბადება რაც მართალია მართა-
ლია ნამდვილად არ მახსოვს (რა მეხუმრება...
კალმისტარი მაქვს, ხელში).

დავბადებულვარ 1939 წლის 26 მარტს, ანუ
ძველი და ნაღდი სტილით 13 მარტს რომელი
დღეც ყოველთვის, აუცილებლად შედის დიდ
მარხვაში; დიდმარხვისეულია; აპრილის დასაწყ-
ისში გამოვუყვანივართ „გურმანი კამოს“ სა-
ხელობის ქუჩაზე მდებარე სამშობიაროდან,
ბებიაჩემის მონაცემიდან კი იმ დღით თურმე
თოვლდაც და ქუჩებში თოვლ-ჭყაპი იდგა, არ
ვიცი რამდენად სიმართლეა ეს რადგან ბებია-
ჩემს უბოროტო ფანტაზიები (მაგრამ მაინც მი-
უღებლობა რადგან თუმც უბოროტო მაგრამ
ტყუილია... მაგრამ ეჲ, პროზავ, პროზა...) ნამი-
ნამურად სჭირდა მაგრამ ამას თავისი საკმა-
ოდ (თუ ძალიან დიდად...) მახვილგონივრული
განსჯით ახლობლების შევებისათვის სჩადიო-
და. მიმიკვანეს იქვე, ნაიმობანდიტო ელბა-
ქიძის სახელობის აღმართის (და რაღა თქმა
უნდა დალმართისაც — გააჩინა თუ, სიდამ
მოდიხარ...) 12-ში ვცხოვრობდით, ორ-ოთახიან
ბინაში ბებიას მშობლები, ბებია-ბაბუა, დედ-
მამა და მე.

დედაჩემის დედა, მერი (მარიამ; — 28 აგ-
ვისტოს დაბადებული; მაგრამ შინაურობაში —
ფაცა) ერმალოს ასული კორძაია ისეთი ენა და
საქციელმოსნებული ქალი იყო, მსგავსი ხუმ-
რობების მოზღვავებულად პატრონი? — ეგებ
ბევრს, მაგრამ მე არ შემხვედრია. ერთადერთი,
ვისაც მასავით იუმორის უკიდევანო გრძნობა
აქვს ჩემი ჯერჯერობით ერთადერთი შეილიშ-
ვილი თინათინია, რომელიც გარეგნობითა და
ფერებით მამაჩემის დედას, რუს ბაბუშკას —
ოლღა იაკობის ასულ გუსევას ჩამოჰევას, ხო-
ლო ხუმრობა-დიდადნარევი ხასიათით — დე-
დაჩემის დედას, უცნაურია.. თუ ეგებ არა.

დედა და მამა ადრე გაშორდნენ ერთმა-
ნეთს, რაც იმ დროისათვის, „მონესრიგებულ
სოციალისტობია“-სას დიდი იშვიათობა იყო.
სკოლამდე მე თუმც ძალიან მტკიცნეულად,
მაგრამ შედარებით ნაკლებად განვიცდიდი
ამას, რადგან მამაჩემის ორ უახლოეს მეგო-
ბარს — ძია შალიკო გოგნიაშვილს და ძია
ვახტანგ გოგიბედაშვილს მეორე და მესამე
მეუღლები ჰყავდათ, მამაჩემს კი, პეტრე იო-
სების ძე დოჩანაშვილს ცოლი აღარ მოუყვა-
ნია — „არ მინდა გურამს დედინაცვალი ჰყავ-
დესო“-ო, ისე კი, გარეგნობით კარგი მამაკაცი
იყო (ყოველ შემთხვევაში ქალებს მოსწონდათ)
და „ნაშები“ს ხშირად იცვლიდა. ეს მე რაც შემ-
თხვევით ვიცი და ისე კი, ვინ იცის... და რად-
გან მამაჩემს და მის ორ მეგობარს შვილები
კვირაობით (მაშინ შაბათი არ იყო „დასვენების

დღე" ... ისედაც რომელ დასვენებაზეა შაბათ-დღით ლაპარაკი) სხვადასხვა გასართობ ადგილებში დავყავდით, ჩვენ სამივეს — ჩემზე ერთი ნლით უფროს ვოგი გოგიბედაშვილს და ერთი ნლით უმცროს ოთარ გოგნიაშვილს ეს ბუნებრივ რამ-ად მიგვაჩნდა.

დაგვატარებდნენ ცირკში, ზოოპარკში, თოჯინების თეატრსა და კინოთეატრებში, ერთხელ კი როცა მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრშიც წავუყვანივართ ეს რატომლაც არ მახსოვს (თურმე როგორი სიმძაფრისდა მიუხედავად) თუმცა მაშინ მთელი 3 თუ 4 ნლისა ვყოფილვარ. ამას ძია შალიკო გოგნიაშვილი რომ იხსენებდა, როგორც კეთილს, რა სათნოს, ისედაც ნყლიან, ძალიან სოველ თვალებში სიცილისაგან მეტად ეძალებოდა ცრემლი და, ჰყვებოდა, რომ, თურმე:

ვსხედვართ ეს ექვსნი — სამი მამა და სამი შვილი პარტერში და, რაღაც პიესაში თურმე ავი მეკობრეები კეთილ-გემისამგზავრებს — პასაჟირ-ებს, რაღა... — პიესა აკი „მითომ“- აა, ამიტომ ვხუმრობ ჩემი ჭკუით რუსულადც ჰამაც, — თურმე აუგად-ცუდად ეპყრობ-ექცევიან და გადმოუხედავს ძია შალიკოს ჩვენზე, ბავშვებზე — ძალიან ხომ არ მოქმედებს ესე-ამბავი ბავშვებზეო და, იგონებს, ჯერ დიდი გაკვირვებით: კაცო, დავიხედე და სადღაა გუროში (მამაჩემი ათასგვარ მოსაფერებელ სახელს იგონებდა ჩემთვის; ერთ-ერთი „გუროში“ იყო), ელდა მეცა, სად უნდა გაპარულიყო, შემფოთებულან მამაჩემიც და ძია ვახტანგიც, არიქა ბავშვიო და უცებ რაღაც გაძლიერებულ ხმაურზე გაუხედიათ სცენისაკენ და რას ხედავენ — აქ ძია შალვას უცილობელი სიცილი აუტყდებოდა ხოლმე, — გაპარულა კი არა მთლადაც სახალხოდ ასულა, ავარდნილა ეს ჩვენი გუროში სცენაზე და, ურტყამს და ურტყამს, მაგრამ რას ურტყამს იმ მეკობრეებს, ცალთვალ-შავადახვეულებს პირატობა ეგრე არ უნდაო, როგორ უბედავთ ამ კაიმგზავრებს ხელების შეკვრას და წამებასო და, დაბნეულია თურმე მთელი იმ-სცენიური ისი-დასი პირატებიან-პასაუირებიანა და ალარიციან რა ქნან, მაგრამ შემოჭრილა თეატრის მარად ფხიზელი ადმინისტრაცია თავიანთ დირექტორ — მოლარეიანა, ამოურბენიათ ჩვენს მამებსაც საგანსაცდელო -მართლაც სცენაზე, კაცო ძლივს დავაშოშმინეთ ეს არსენა-გუროში მხოლოდ იმით რომ ფოიედან ვერ გამოგვყავდაო, — იცინოდა, როგორ კეთილად იცინოდა ძია შალიკო გოგნიაშვილი, და სიცილის ცრემლების მონმენდას ძლივსლა აუდიოდა, — ძლივს გაგიყვანეთ, ისევ ძალიან იწევდი იმ მხოლოდ პროფესიონლა „დამნაშავე“ მსახიობებისაკენ და, კეთილად დამთავრების ფინალამ-

დე რომ მივიღოდა სპექტაკლი ეს ბილეთების კონტროლიორმა გამცნოო და რადგან უამისოდ არ ტოვებდი იქაურობას ისე შეგიყვანეთ პარტერში და გაყურებინეთ ფინალი ოღონდ შუაში ჩაგისვით პეტრემ და მე და ყოველ შემთხვევაში შენს მხრებზე მაგრად გვქონდა დადებული ხელებიო,

ასე ყოფილა თურმე ჩემი პირველი „შერკინება“ იმ ბოროტებებთან, ცხოვრებაში მერე და მერე მრავლად რომ შემხვედრია ...

ახლა ოთარი და გოგი ამქვეყნად აღარ არიან; მე, საშუალოდა, ვარ — ჯერ-ჯერობით... ტკივილიანურად, როგორ მეუხერხულება ...

ასე ხუთ-ექვს ნლამდე ელბაქიძის აღმართ-დაღმართზე ვცხოვრობდი, მერე დედა გათხოვდა და ბებია-ბაბუამ მამინაცვლთან არ გამაჩერეს თუმცა ის კარგი და კეთილი კაცი იყო — შაქრო ოსეთაშვილი; ცოტა ხნით თათია ხაინდრავას (კ. გამსახურდიას დისშვილი) ოჯახში გადავედით, ავლაბარში, სადაც მე, მუდამ მარადიული ცნობისმოყვარე „მიუვალი“-სავით სარდაფი ჩავძვერი და რაღაც უცხო ნივთები რომ დავლანდე იქ ამით კარგა შეშინებული ამოვძვერი იქიდან და უფროსებს ვუამბე და რომ შეამონმა მილიცამაც და, თურმე სარდაფის ის შენიღბული და მაგრამ ჩემი-თ აღმოჩენილი ის შენიღბული კუთხე მოპარული ნივთების „საწყობი“ აღმოჩნდა, ჩექმებიანა მობრახუნდა თვით გამომძიებელიც და, უ-“სეზამ გაიღე“-ოდ სარდაფის კონფისკაცია-დატეხილი ნივთების გამო ჩემიანებს ძალიან ეშინოდათ იმა ნივთების „ავტორებს“ ჩემზე რომ არ ეყარათ ჯავრი თუმც მაშინ რამდენად წესიერი ქურდები იყვნენ დღევანდელ „თანამდებობებიან“ ქურდებთან შედარებით, და მაინც ივანიძის ქუჩაზე გადავედით, საიდანაც ჩემს მშობლიურ I საშუალო სკოლასა და I მშობლიურსავე მუსიკალურ სკოლაში წამიყვანეს, მამასა და ბებიას ძალიან უნდოდათ „მოდური“ ფორტეპიანოს ნაცვლად ვიოლინოზე დაკვრა შემესწავლა;

ის ბინა კარგად მახსოვს — მასპინძლები დიდ ოთახში ცხოვრობდნენ, ჩემი ტოლი გოგონა ჰყავდათ, ჯილდა, რომელიც ამ 15-ოდე ნლის წინ გარდაცვლილა, კარგი ბოტანიკისი თუ ქიმიკისი, სრულიად შემთხვევით მითხრეს; ხშირად გახსენებდაო; მეორე მომცრო ოთახში კი ბებია, ბაბუა და მე, და მშვენივრად მახსოვს იქაურობა, განსაკუთრებით — დიდი, კიბისქვეშა დამრეცსახურავიანი ტუალეტი, სადაც თავიანთ პირობაზე უშველებელი ვირთხები გულისსახეთქად დარბოდნენ... იმ ქუჩაზე-დაც შემემთხვა ფათერაკი:

ურიკიანი მოტოციკლეტით მოსულა ვიღაც მოტორიზებული მხედარი ჩვენს მეზობლად

და მოტოციკლი ასე — „უპატრონოდ“ მდგარი რომ დავინახე, მივედი, ქვა გამოვაცალე ბორბალს, ვუბიძე და ოდნავ დაძრულს მოვახტი (ჯილდა წინასწარ ჩავსვი ურიკაში), ჩავებლაუჭე საჭეს და ელბაქიძისა არ იყოს იმ დაღმართში სიჩქარეს რომ უმატა და უმატა იმ რკინის ვირმა, მერე კი ვიკადრე შეშინება რადგან ზედ მტკვრისაკენ მივექანებოდით რომელი მტკვრისაც მოაჯირი ჩამონგრეული ყოფილა და ასე რომ მტკვარში აღმოვჩნდებოდით მოტოციკლიანა მაგრამ ბედად ბაბუაჩემი ბაზრიდან სანაპიროთი ბრუნდებოდა, დაუგდია ქალალდის პარკები ლობით და კიტრ-პამიდვრებიანა და მოვარდნია მატაციკლეტს-თუ-რაღაცა ქვია და, გადავურჩენივართ ჩვე-წყალნასაღებოიანები; ყოველ შემთხვევაში, სუცოტა ფილტვების ანთებას. მაშინ ზამთარი იდგა და არც პენიცილინ-სტრეპტომიცინი ვერ იყო გამოგონებული...

იშვიათად მინახავს ისეთი განსხვავებული ხასიათის და ამასთანავე ერთმანეთის მოყვარული ცოლ-ქმარი ბებია და ბაბუა რომ იყვნენ. ნამეტნავად მხიარულ (ოღონდ ეს უფრო სხვებისათვის) ბებიასთან შედარებით კი არა, საერთოდაც, ბაბუაჩემი სევდიანი კაცი იყო, ყოფილი ჯერ მეფის მერე კი მენშევიკების ჯარის ოფიცერი, თავის ამ სევდას კი რაღაც მართლაც თანდაყოლილი, და ბუნებრივი სიმკაცრით ნიღბავდა — დედამისი ბაბუაჩემზე მშობიარობას გადაჰყოლია, ორი ვაჟი დარჩენია, ბაბუაჩემი და მასზე ერთი წლით უფროსი ციოყ ემხვარი.

ბაბუას არ უყვარდა, ვერ შეეძლო თავისი დაბადების დღის ნალვლიან-სიტყვიერად ხსენებაც კი, ვერ ძალუდა ეს, უნებურ დამნაშავეს დედის სიკვდილში, და ახლაც არ ვიცი დედამისს რა ერქვა, მამამისს კი, ნიკოლოზი, რომელიც ბაბუას დაბადებამდე გარდაცვლილა და დაობლებული ბავშვები შეძლებულ ნათესავებს აუყვანიათ გასაზრდელად — ციოყი ბიძამისს, მამის ძმას, რომელიც მგონი სოხუმის რომელილაც მაღალი თანამდებობის პირი ყოფილა, მგონი სულაც გუბერნატორი, ბაბუაჩემი კი დეიდამისმა, ანეტა დადიანმა — აკაკი წერეთლის დისტვილები ყოფილან ბაბუას დედა და დეიდა, რომელსაც საოცარი მონინებით იხსენიებდნენ ჩემი ნაცნობი დადიანები, ისეთი ქებითი მონინებით, რომ, — „აჲ, ანეტა დადიანი, ანეტა დადიანი“ — ა, მხოლოდ ამას ამბობდნენ ოღონდ ისეთი გამომეტყველებით, რომ — „რომელი სიტყვები და ლაპარაკი აღნერს იმასო“ ...; ციოყ ემხვარი არ ვიცი, როგორ იზრდებოდა ქალბატონ ანეტას კი ბაბუა ძიძასთან გაუბარებია, იმდროინდელი თავადობის წეს-ადათის მიხედვით (ბაბუა

1889 წელს დაბადებულა, ამასაც კი ძლივს ამბობდა), ბაბუას ძიძისშვილი, როგორი ქალბატონი ვერა თორდია (მეუღლის გვარი), რომელიც ძალიან კარგად მახსოვს რადგანაც ბებია ხშირად სტუმრობდა მასთან ზუგდიდში რაღა თქმა უნდა ჩემიანა, არაჩვეულებრივად კარგი, თბილი ქალი იყო, მოლურჯო-მომნვანოთვალება, თვალებკი-მეტად — სისოვლიანი და როგორ კეთილად დარდიანი, რაც მე იმისაგან ალერსიანი სიკეთე მახსოვს; ნატანჯი ქალი, რომელმაც სამი შვილი 1937-ში ქმარდახვრეტილმა, სახლნართმეულმა, გამოზარდა, იმათზე, შემდგომ;

ბაბუას პექნდა ომიანობისასაც კი, ჩემს ადრეულ ბავშვობაში ძველი თავადისეული „კნიაზური“ ჩვევები, მყარად გააჩნდა, რაც ჩემთვის მეტად ძვირფას ვრცელ მოთხოვის, რომელსაც ზოგი რომანად მიიჩნევს — „იქამდე“-შია აღნერილი და რომელშიც ჩემიც „ავტობიოგრაფიული“ ამბები ბევრგანაა, ჩემთვის ძვირფასი ნათესავებით სავსე, ერთი მე მქვია გამოგონილი სახელი, ყველა ისინი მათი ნამდვილი გვარ-სახელებით, მყავს.

ხოლო, ბებია? — მე ბებიასთანა ენამოსნრებული, და დიდად... არ ვიცი, რომელი სიტყვა შევუფარდო: „იუმორიანი“, „მხიარული“, ერთდროულად მხნე და ფოციანი, „არტისტკა“ თუ რა, მე არ მინახავს, და ისევ დაუსრულებლად გავიმეორებ და ვიმხნევებ თავს იმით რომ — „თინათინის გარდა“, და ბებია და ბაბუა გარდა „იქამდე“-სი, რომანში „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა ჰოლივუდი“-ში არიან, მყვანან, მაგრამ რა აღნერ-ჩამოთვლიდა და ამონურავდა ბებიას, როგორ ბუნებრივ, ძალდაუტანებელ ანცობებს, აქ შიგადაშივ გავიხსენებ ხოლმე, გზადაგზა, — ძალიან რომ არ გადაგტვირთოთ...

რამდენადაც ბაბუასი მერიდებოდა და პატივისცემაც დიდადშერთული და მორიდებული ძალიან-როგორ როგორილაც ქვეცნობიერი სიყვარული და დაფასება და ცნობიერი-აშკარად შიში, მქონდა, ბებია და მე, რაც თავი მახსოვს, საოცრად შეთამამებულ-შეხუმარაობებული ძმაკაცები კი არა, რაღაცა ბევრად მეტნი ვიყავით, ათ წლამდე გვერდიდან არ მიშორებდა (ივლისის გარდა; ამაზე შემდგომ...) ის მაძინებდა და მაღვიძებდა, მერედა, მხოლოდ ის რად ლირდა — ჩვენი „სიარულობებანი“ სკოლაში, მუსიკაზე... სკოლაში ბებია სულ დერეფანში იყო, ნუგზარ ახვლედიანის, თამაზ სანებლიის და გურამ ლორიას დედასთან ერთად ასე-XIII კლასამდე, კიგვრცხვენოდა მაგრამ რაგვექნა იმათ სიყვარულს უხერხულობისასაც როგორილაც გაბრაზებული მადლობი-

თაც ვგრძნობდით, მუსიკალურში, სპეციალობის გაკვეთილისას თვით ოთახში, ხოლო თეორია-სოლფეჯილისი დროს გარეთ ზღურბლთან იყო ჩემს მოლოდინში ატუზული, იქით და აქეთ როგორ ამაყად დაატარებდა ჩემს „მუსიკალურ“, ვიოლინოიან ბუდეს...

მერე უკვე ასე-I კლასის III მეოთხედიდან რუსთაველის გამზირის 2-ში ვცხოვრობდით, სხვენზე, მოცუცქენულ ოთახში ბებია, ბაბუ, მე და ჩემი კატა რომელიც ყოვლად უაგიტა-ციო-პროპაგანდოდ აგიტაციებ-პროპაგანდის ბერიაზედაც კი მეტად მიყვარდა, ხოლო მოლოტოვ-კაგანოვიჩივით პატივსა ვჰსცემდი და, მაგრამ ისე ვთამაშობდით? — აუუჭ... — მოწონებული.

მთლადაც სულ ციცქნა, კნუტი გავზარდეთ,

მაგრამ ჯერ ელბაქიძის 12-ზე...

ბებიამ იცოდა ისეთი დაუნდობლადაც კი საქციელები რომ,... შეუნდე, ღმერთო, რადგან ამას დაუოკებელი ცნობისნადილი, განსაკუთრებით კი იმისა მეც თუ ოდნავ მაინც მიყვარდა იმ სიყვარულით მას რომ ჩემზე ჰქონდა და ერთხელაც აუტყდა დაუსრულებელი (მაგრამ გარკვეულ დრომდე, რაც მართალია მართალია) მოყოლა იმისა რომ ადამიანები კვდებიან და აი ასეთები ხდებიან და არიან და, განასახიერებდა, მთელი თავისი არტისტული შესაძლებლობებით ამას, გარდაცვალებას ანუ... და, ერთსაც დღეში დერეფნიდან შემობრუნებულმა რომ დავინახე ბებია, ასე — მიცვალებულსა მდგომარეობაში, ჯერ შეშინებულმა დავუძახე ერთხელ, მეორედ, კვლავაც, თანდათანობით ვუმატ-ვუმაღლებდი ხმას და როცა ისე შევყვირე ძალიან ბავშვმა რომ ხმა ჩამინედა, მოვრთე ზღუქუნი და ხელ-ფეხის ცემა იატაკზე პირქვე დაცემულმა და სულით როგორ საწყლად მოკუნტულმა და მაშინ კი იკადრა რასწრავი ზენამოჭრა და ჩემი დამამშვიდებლური აიისე რომ გამწარებულიც ალერსი ისეძალიან თავზარდაცემულმა, რომ შიშითა და უუმნარესი სინანულით გადაბუირებულმაც, ბებიამ, რაც ის მეფერა, — ნამეტანი არაფერი ვარგანა ჩემო ბატონო, და თავისი ჭკუით მაჩუქა ბროლის გაჭირვებისასაცკი-ასე-თის შემორჩენილი მაინც ნიკოლოზისდროინდელი გერმანული ლარნაკი (—აკი ისედაც ყველაფერი ჩემი იყო), და მერე ახლობლებთან ძალიან ცხარედ მონანიობდა, რომ ეს რა-როგორი შეცდომა და სიშტერე (სიტყვა „უგუნურება“ ალბათ ვერ იცოდა ჯეროვანულად) დამემართარა შეცდომაო!, მაგრამ, ჩემგამულავნებულ-ასე-ასეთის სიყვარულისაგან თავმოწონება და თვითტრაბახიც რომევი ერია როგორ აქტრისკაულად ცვალებად და მაინც

მუდამუამს სათნო, ხმაში... და, როგორც წესი ამას აყოლებდა თუმცა დარცხვენილი მაგრამ როგორი სიამაყითაც შეფერილ-შეუღენთილი მთელი თავისი იმანუს სულაც-არ-არტისტული არსით: „გურამის (ჩვე- მოდასავლეთურო გრამატიკა) თურმე ძალიანი ვყვარებივარ“-ო, და, იქვე, მეყოფა რაც განვიცადეო და, თავისებურ-დიდაქტიკაზედ გადადიოდა: „ასე თუ ვნაყვარებვარ მაშინ ასეთი-ძალიან (ლრამატიკავ, ჰეჭ...) რატო მაწვალეთს“-ო...

ვაწვალებდი არაა... უბრალოდ, ცელქი ვიყავი ხოლო ბებია, იგივ სიყვარულისაგან? — ხანდისხან ნამეტურშარზე იყო, ჩემობატონო... არადა, ვიცელქებდი აბა რა, მეც ხომ თითქმის მასავით მოუსვენარი, ვიყავ, თან ისე ძან ცდოლობდა რომე იმისსა „გადარევამდე შეყვარებულსა ჭკვაზედ“ მევლო, და მაშინ ხომ არც უნდა მეთამაშა რათა არ გავოულიანებულიყავ და არ გავციებულიყავი, ანგინის შიშით ზაფხულში ანტი-ცივ თბილი წყალი უნდა დამელია, მაგრამ, მე ასე-ცელქი და ისე-ბუტია? ნეტა რომელი-ერთი უფრო, ვიყავი...

ერთხელაც, ძალიან რომ გავაძრაზე, ასე სამი-ოთხი წლისამ, არტისტულობით „გადაჭრით“ მითხრა აღარ ხარ ანი ჩემი შვილიშვილიო... და, აქეთ გამებუტაც, იცოდ-სჩვეოდა ასეც, გავიდა ახლო-საგასტროლოდ იუმორისტულობებანობისა მოყვარულ მეზობლებში... რაღა თქმა უნდა დიდხანს ვერ გაძლო უჩემოდ და, შემობრუნდა და, რას ხედავს—სადღა ვარ, აღარ ვარ შინ... არსად! არც საწოლის ქვეშ და არც კარადაში და ნარმოიდგინეთ, არც ჩაიდანშიც კი რადგან როგორლა-დიდად გზაბნეულსა ი-ჩაინიკისთვისაც კი ოუხდია თავი და მაგრამ — გაგიგონია? — ვერა ვარ ვერციქ... თურმე. გამოვარდნილა შეშლილი გარეთ, და დამწევია იმ შემთხვევაში აღმართში, და როგორი ბარგით დატვირთული აღმოვუჩენივარ... დამიკავებია ჩემი ორი ყველაზე საყვარელი ნიღაბი, მგლისა და გოჭის (მაინც როგორი უჩვეულო, შემჭმელ-შესაჭმელი წყვილია...), ჩამინევია ჩემი ის მომცრო სათამაშოები (არადა, მაშინ როგორი უხეში, წვეტიანი, გამოუჩიორკნელივით სათამაშოები გვქონდა ბუდიონისა-დროინდელ ბოვშებს მაგრამ მთლად-მაინც როგორ გვიყვარდა და გვიზიდავდა ბავშვებს ის გინდაც როგორ-ასე-თები, — რადგან სათამაშოები კი არა და, უფროდაც მეტნი, კი, იყვნენ... თამამად შესაძლოა რომ ამ-დღევანდელურ-გადაპრანჭულებზე, ძალიან მეტად, რადგან იმათი დაყვავებითი გადალამაზებისათვის თვით ფანტაზია, გვჭირდებოდა, კი). და რატომდაც ორი საჩემოდ მომცრო ღილიც დამიმატებია (ეს ალბათ „ყოველი სახანძრო შემთხვევისათვის“) და, მივდივაარ,

თურმე, და გამიწევია საითენლაციენ... ნეტაი საად... აბა რა ვიცი, ახლაც არვი და მაშინ ხო აბა რა მეცოდინებოდა თუ საითენლლ დამიდვია ბუტია თავი, ქვეყანა დიდია...

განსაკუთრებით, ბავშვისათვის.

ხოლო ბუტია ნამდვილად ვიყავ. ამას რომ წყალი კი არა ლიმონათიც (სახარინისეული მაშვინ... მაგრამ მერე რა!) არ გაუვა. ბუტია ვიყავ-ვიყა და, მერე როგორი...

ერთხელ ჩემდამი ყოვლად მორიდებულ მამაჩემსაც კი დიდად-ძალიან გავებუტე კი არა (რადგან გაბუტვა დროებითია, „სწრაფ-ნარმავალი პარავოზივითა“), მთლად დავემდურე და მგონი კარგა-თვით, და აი რატომ...

მაშინ ოთხის თუ ხუთისა ვიყავ ორთვლიანი ველოსიპეტი რომ მიყიდა, მოტოციკლის უმცროსი ძმისშვილი თუმცა მგონი ველისაპეტი მატაციკლზედაც უმფრო ადრე გამოიგონეს; მანამდე სამთვლიანით — ესეც კალასეიანი მომატაციკლეტოთი დავბორბალბოდიალობდი ელბაქიძის (სურო არაფერი აღმართ-დაღმართიანულის) №სა 12-ს II სართულის გრძელ დერეფანში.

და ერთ კვირა-დღეს თავის დასთან, მამიდაჩემ ელენე დოჩანაშვილთან წამიყვანა, ატენის ქუჩაზე... მგონია დღესაც ატენის ჰერი და კაცო ესი-ატენი რამდენადვუმფრო გამძლე ყოფილა თვით კაგანოვიჩ-დაძნელაძე-და-ლ. და პ. ც ბერიაებთანა, კაცო... მაშინ იქ გაცილებით მჭახე და მეტი დაღმართი იყო (ვაპ ეს რარამდენი აღმართ-დაღმართი რა მრავლად შემომხვდა, ბავშვობიდანვე...) და, რომ მოვწყდი მამისთვის ძალიან მოულოდნელად დაღმართის თავს და რომ დავემვი მთელი სისწრაფით, მამა მომდევდა და მომძახოდა — გააჩერე, გააჩერე!.., გაჩერდი გურამ!! (— „გუროშეი“ სათვის სადღა ეცხელა) — რაღა თქმა უნდა არცაც სხვათ-მოფერებითულობების თავი აბა სადღა ჰერი და მთელის „სერიოზულობით“ და მეტიც უფრო მომძახოდა რათა ჰერიასა — მყოფელ გონს მოვსულიყავ მაგრამ ვინ დაუჯერა და მერე კი მთლადაც როგორ მომყვიროდა — ორმოაა მანდ!! , ორმოო!!! , გადმოხტიი, გადმოვარდიი!, მაგრამ ვინ უსმინა, მეგონა სიფრთხილისათვის მატყუებდა... მაგრაამ, თურმე აკი მართლა ჰყოფილა ორმო და თანაც კარგა ლრმა — ბავშვისთვის მაინც... — და, რომრო ჩავთრინდი იმ ორმოში თანაც ყოვლად უპარაშუტოდ, ჩამომირბინა მამამ, გულგახეთქილმა (მთლად გადატანითი ნათქვამი არაა ეს რადგან კი-კია შესაფერი-სი...) და შემიმოწმა ხელები, ფეხები, მოტეხილობა არ აღმომაჩნდა მაგრამ მუხლები და იდაყვები ისე გადამყვლეფოდა რომ მამიდაჩემთან კი არა მთლადაც უცხოექიმებიან საა-

ვადმყოფოში აღმოვჩნდი და ეეჟ, მაშინაც იყო რა მწვავედც — ცხარი იოდი... თქვენ უნდა გენახათ იმდღით ბებია, მამაჩემის ექს-სიდედრი, როგორ შეაცექერდა მერე და მერე „სასეირნოდ გაყვანილი“ მისი-თავისი შვილიშვილის ასეთ დაბრუნებაზე... არადა, რამდენად ბებიაზედაც-კი ძნელ დღეში იყო, მამა.

მაგრამ ხმას კარგა ხანს, ასე-მეოთხე გასეირნებამდე არ ვცემდი; ისე კი, გასასეირნებლად ზოოპარკსა თუ ცირკ-თეატრებში კიდავ-ყვებოდი მაგრამ უმძრახად, თანაც იმდენად ცუდად-მოქნილი ჭკუით, რომ გამომეტყველებით-დამმადლებლურით გადაპრანჭული, ასე მივყვ-დავყვებოდი.

ბოლოს კი, მეოთხე თუ მეხუთე ცირკზე, ვეცი პატივი ასე ვთქვათ და, შევურიგდი... რაც იმან გაიხარა. მაპატივი, მამა.

ჰე, მაინც რა ახირებული ძანცა ვიყა (—ქართლურად, ეს. ქართლურ-ხალხური ლრამატიკით)... — მტერს, მტერს ახირება ჩემი!

ერთხელ, 10-12 წლისამ, აი ასეთი რამ ჩავიდინე:

ადრეულ ბავშვობაში თუმცა ბევრს ვავად-მყოფობდი (ძალიან მძიმედ ჩავლილი ყივანახველა... სახადები და საშინელება — ტიფი იმის ნლებში — ესაც „ომარა და გივია“-შია), ყივანახველა კი სამი ნლისას დამემართა, როცა მამამ რომელილაც საბავშვო კინოფილმზე წამიყვანა, მაგრამ რომლისაც კინოდამატება-უურნალში ყივანახველა და იმისი მიკრობებით თუ რაღაცა იყო მიკროსკოპიულად ნაჩვენები და ჩემი ყივანახველა არავითარი უშუალო შეხებით არ გადამდებია, ახლაც ლრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეკრანიდან გადმომედო, არა სჯეროდათ მერეც მოზრდილი რომ ვამბობდი ამას და მაგრამ მე ახლაც მყარად მჯერა რომ ასე იყო, მოკლედ, ძალიან ვავადმყოფობდი ხოლმე და, მაგრამ ასე 6 წლის ასაკიდან მერე დიდხანს აღარ გავმხდარ-ვარ ავად, არადა, ირგვლივ ბევრი ავადმყოფობდნენ (ბებიას სიცხიანობის სუცოტაც მომატება „იქამდე“-ში მაქს), ჩემი ტოლებიცა და უფროსებიც და რადგან ის ნინა ჩემი ავადმყოფები ბუნდოვნად მახსოვდა, აბა ნეტა როგორია ავადმყოფბა-მეტქი, და დიდხანს ვნატობდი ნებისმიერ სნეულებასა თუ დაზიანებაზე (როგორ ამიხდა, 17 წლისას) და, ერთხელაც, გაქანებულ ზამთარში, ბებია-ბაბუა მეზობლებთან თუ სახლსგარე სტუმრად რომ იყვნენ (მართლა ყველაფერი კი არ მახსოვს აქამდე თავს რომ ასე ძალიან ვიწონებდი... რავა ვიწონე მაინც თავი, ჩვე-ქართველები? ხანდისხანობით მოტრაბახეც, ვაართ... ჩემი თუ არ გვერამსთ ამდღევანდელურ

ტელევიზიატორს მაინც შეხედეთ, რომელსც გინდა არხს...), დააა, დაღამებულზე, ვიფიქრ-ვიფიქრე და საბოლოოდ ტრუსების ამარა გადავძვერი (ხიფათიც ახლდა) ჩვენი ოთახის იატაკის პარალელურ სახურავზე (აკი სხვენზე ვცხოვრობდით) და, დიდხანს ვიკანკალე იქ, სადამდე გავძელ, მერე კი, დალურჯებული, გადმოვძვერი-და მთლად ბედნიერი იმით რომ ახლა მაინც ხომ გავიგებ რაა ესი ასე უკარებლურად გაპრანჭული ესაოხერი ავად-მყოფობა-მეთქი, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ... ორი ყოვლად უშედეგო დღე რომ გავიდა, ჩემი როგორი გამანბილებელი, ისევ, მორიგი საღამოთი, გადავძვერი მაგრამ ახლა გაპიპინებული უთავსახურო ჩაიდანიც წავიყოლიე და გადავივლე თავსა და ტანზე და სამიოდ წუთში გალურჯებული კი არა მთლადაც გადალურჯებული შევხტენი (— დასავლ. — გრამატიკა) ლოგინში ძანც—გახარებული და მაგრამ, თურმე, ისევ თქვენც არ მომიკვტნეთ (— ბებიას გრამატიკა), ისევ ამაოდ არ ჩაუვლია ჩემს ასეთ შრომას და დავრჩი, მოკლედ ასე ჩალაგამოვლებული და თურმე რატყვილა გადალურჯ-მაშვრალი და, ვიმეორებ, მაგრამ 17 წლისას? — ავადმყოფობა კიარა და? — რაღაც ნამეტანი... მივალთ, იქამდეც... მარტო მოთხრობა ხვარ მაქ „იქამდე“... არ გაგიჭირეთ ამა-მოთხრობით, საქმე და თავი?

ვიცი, რაცაა, ავადმყოფობა.

ამაზე, შემდგომ. გინდაც დ. ლ. არ დამე-თანხმოს. მე მაინც — შემდგომ... ეს რაამბავი „შემდგომ“ აა, ხოლო მაშინ კი? რუსთაველის 2-სთანა ეზო?

არ ვიცი, მსგავსი არ მეგულება.

ჩვენს ეზოში, იყო:

ვოროშილოვის კლუბი რომელსაც მოფე-რებითი-გამოთქმულობით ვარაშილოვის კლუ-ბი-ს ვეძახდით, ანუ იმასთან დაკავშირებით გვქონდა საკუთარივით კინო—დარბაზი, სხვა-დასხვა წრეები, დარბაზი სპექტაკლებისა თუ სკეტჩებისათვისა თუ ილუზიონისტებისათვი-საც რომელ-დარბაზშიც თითონ ცნობილი კიო და კაროც კი წარსმდგარან იმა მარჯვე-ულ-ტყუილობებით პირდალებული მაყურებ-ლისა ბევრჯელ-ნინარე, კლუბს ხომ სხვადას-ხვა „წრე“-ებიც ჰქონდა მოყოლებული ჭრა-კერვის კურსებიდან და სამეჯლისო ცეკვაობე-ბით დამთავრებული — ტანგო, ვალს-ბოსტონ, ისე-ვალსი და კრიაკავიაკე და ფოქსტროტი და ახლაც ისე გავტაცდი რო კიდამ „შალახო“-ც მივაყოლე, მაგრამ არ იყო ასე და ტყვილი კი აბა რომელი საკადრისია, საკადრისი-ხო-„პოლკა“ იყო, ძირითად კლუბს იქვე-ზემოთ დაფხვნილა-აგურმოყრილი ტერიტორია ძალუ-მად გვქონდა სადაც რომ საზაფხულო ბაღს

ეპყრა თავისი ფართი რესტორნიან—და—ღია-ესტრადიანა რომელ—ესტრადაც ზაფხულო-ბით ხელოვნებებით მძინვარებდა: სამხედრო-ული სასულე ორკესტრი თავის სიმღერებითა და სამხედრ-მოცეკვავებიანა რომელთა მზე-რისასაც ისი ხანდისხან-ეზოსეული ჯიგარ—შალახო გულდანყვეტილად გვახსენდებოდა, რომელი-ისიც ჯიგრიანობით რომელ თუგინ-დაც რესტორნისეულ ჯიგრის ყაურმას მთლად არა სჯობდა, იყო ესტრადას აგრეთ-ვე ძან გუნდი და გუნდი ბავშვებისაც და მოზ-რდილებისაც და ყველაფერსა ამაეებისათვის ბილეთის შეძენა აბა რაღად გვინდოდა ისეც ვხედავდით და გვესმოდა იქ გამომსვლელთა მონდომება მაგრამ სხვები-რამ მეტად გვერ-ჩია — ის სიმღერები რომლებსაც მღეროდნენ ძაგნიძე და ჩხიკვაძე ხელებგიტარიანები, მაშინ როგორ ჰქუხდნენ და რომლებიც მართლაცა-და კარგად, ქართულ-თუმცალა-ძირითადად-ქა-ლაქურად მღეროდნენ ისეთ მშობლიურს ახ-ლაც (თუმც როგორ ნაკლებად შეიმჩნევიან) ისეთ სიმღერებს, როგორებიცაა ის მერე რა რომ ქალაქურად მაგრამ როგორ საქართველო-ურადაც მშობლიური „ყაყაჩი“, „აპ ნეტავი ერ-თად იყოს ნალვერი და თბილისი“ და სხვა, და სხვა, დიდის პოპულარობით სარგებლობდა აგ-რეთვე ქალ-კაც დუეტისეული „კეკელა და მა-რო“ რომელ სიმღერაშიაც რომ ერთმანეთს მძაფრად ეკითხებოდნენ აქეთ კეკელა და იქით მარო თუ რომელმა აბა „რა დასთესე ქალო“, ო, მაგრამ ხუმრობები იქით იყოს და გამოდიო-და დიდი ვასო გოძიაშვილი, ჩემი ბავშვობის პირველი არტისტი ოლონდ გიორგი შავგული-ძის შემდეგ (— ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, და მგონი სხვებ-ყველასათვისაც, კი,), მღერო-და დაუვინყარი მერი შილდელი, მღეროდა ქეთო ჯაფარიძე, იმდროისათვის ახლო-მომა-ვალში ძია სოსო გრიშაშვილის ცოლი, და რა ხმა და საშემსრულებლო ოსტატობა ჰქონდა, რუსულ რომანსებს რუსებზე მეტად როგორ მღეროდნენ და მღერიან ქართველი მომღერა-ლი ქალები — თვით თამარ წერეთელიდან დაწყებული ჩვენი ეს დეიდა ქეთო, მერე — ნანი ბრეგვაძე, მედეა ძიძიგური, და რამდენი სხვა ადრეც და ახლა, გამოდიოდა ცნობილი მეფოლკლორე სანდრო ქურხული თავისი გა-ნუყრელი გუდა-სტვირითა და ჩონგურ-სალა-მურით. მღეროდა მართლაცადარომ გუნდი და გუნდი იმ დიად ვარკვლავთა ჩვენს ქართულ-ხალხურ სიმღერებს რომ რა გასატრუნავ ბედ-ნიერებად რომ როგორ მეფურად გვნყალობ-დნენ იმათ და ბებიაჩემის ნაღდი და-ქალები, ის როგორ მოიმერულოდ-მოქართულე დები ერთიან-იშხნელები გვიმღერდნენ როგორ მშობლიურობებს და როგორ სწორად ვქარ-

თველდებოდით ჩვე-პატარები ისე დიადი სიმღერებით რომ... — „სულიკო“, „ჩემო ციცინათელა“, „ტურფავ-ტურფაავ“ და რამდენი სხვა და ცეკვავდნენც რამდენს იმა გინდაც როგორსა-დიდძალ გაჭირვებებში როგორ—ჩვენს, ქართულს ეს ამღერებულ-აცეკვებული ის მერე რა რომ ჯიბედაკუჭ-გამოფხეკილი ქართველები, ნალდები როგორ, რაგვარად ნალდნი, ჩვენ კი, გასაქართველებლებს, ჩვენ კი ბილეთი აკილ რადლ გვინდოდა-მეთქი, ყველასა გვქონდა ჩვენ-ჩვენ მოზრდილა ასაძრომ ხეზე ჩვენი ის მერე რომ უხილავ, — აბონე-მენტიანი ტოტი, აი იმ ხისა ტოტი იყო თუ იყო ლოუა, — ვიულინთებოდით, საქართველოთი—თვით ხოლო დღესა კი ამდღევანდელურ ელტონ ჯონსზე ნურავინ იტყვის „შე-ც-“ ო რადგან იმასაც სწორედ ეს უნდა სხვა კი არაფერი ფულების გარდა რო ვაჟიკაცმა საქორნილაო ფატა-კაბები უძვირფასესი, შეიკეროს, და თუ არ იყო იმ დღით კონცერტი რომელიც როგორ ჩვენდა პირისპირ, ჩვენს დასავაუებლად როგორ მართლაცდა ვაჟეაცურად ტარდებოდა მაშინ ჩვე-ჩვენა ეზოს ბავშვები ასევე უბილეთოდ კინოდარბაზში და მერე როგორ — ბილეთების კონტროლიორებიდან თუმც თრივენი უფასოდ გვიშვებდნენ როგორც იმ ეზოს ბავშვებს ანუ შინაურებს მაგრამ დეიდა ასია თუ ტრუსებისამარებს, გვიშვებდა? — დეიდა მარო ამისთანებზე — აპაპაპაპა! — მინიმუმ მოკლე შარვალიც უნდა გვცმოდა, არადა, ეზოში 20-მდე ბავშვი მაინც ვიყავით, რიგნახევარი მაინც გვინდოდა თუკი არ იყო დარბაზი შევსებული მაგრამ ვინა თქვა იმდროინდელი კინოდარბაზის ცარიალ-ტარიალაოება — თუმც უცხოური და „ტროფეინი“ ფილმები იყო მაგრამ იქამდე რაღაც შორეულ-და-საახლობლოც ვაჟეაცური ხიბლით აღსავსე ამერიკელი მსახიობები — ერომ ფლინი, კონრად ვეიტი და რამდენი სხვა, მწყალობელნი, რომელთა გვარ-სახელები აღარ მახსოვს და თუნდ იმ როგორ-ბოროტ როლებისა შემსრულებელი — თვით ერომ ფლინის მარადი მონინაალმდეგე — შერიფის რაინდი გაი გისპორნი და ასე შემდეგ რამდენად, კაცო, რაღაც თუნდაც ბოროტად მოვაჟეაცურო და ფარიკაობის რადიდოსტატი, იყო, და რა ძალიან გვნეტარებდნენ, სულს, ისეთი ფილმები როგორებიც რომ ძალიან იყვნენ „ტარზანი“, „რობინ ჰუდი“, „დედოფლის მეკობრეები“, „ბალდადელი ქურდი“, „დილიუანსი“, „თავგადასავალი ვენეციელისა“ — როგორ მოუღლეს რაჩაუქსა მარკო პოლოზე, „მრისხანების ველი“ — მანახა ახლა! რა, რა ფილმები იყო ისინი, სხვა და სხვა? — არა, მხოლოდ თითონ და თვითონ,

და როგორ უწყობდნენ გულსა და თვალს და ხელს ჩვენი ეზოსი ბიჭებისა იმ გაბედულებების ჩასახვას მერე ხანდისხან მეც რო აღმომაჩნდებოდა ხოლმე მომავალ ცხოვრებაში, მაგრამ დეგენერატი კი არა ვარ მთლად უშიშარი რომ ვყოფილიყვი, არა—შიშის მუდამაც მქონდა შეგრძნება, როგორი მძაფრი განცდა ამისი მაგრამ ეგება იმ ფილმებითაც ვძლევდი, და ვძლევდი და არც ვიცი რაღ-ბედენაა დღე-ვანდელი ბოვშებისათვის შვარცნერი-თუ-ბრიუს-უილისი თუ რაღაცავვარი თურმე მშიშ-რები ცხოვრებაში ეკრანულადკი რარიგმირები სუ „პერესტრელკებს“ როპთამაშობენ, — და, დეიდაცა — ქალები გვყავდნენ ისეთნი? — ჰოი—როგორებ-შესაყვარებლები, მართლა! — რა ნაზქალურად მომხიბვლელი რა მოცეკვავე და მომღერალი ჯენეტ მაკდონალდი და რამოდონა და მომხიბვლელი ქალურად-როგორ მაინც, და მაინც, მარიკა როკი, და დინა დურბინი ცხოვრებაში სულაც არ ვიცი როგორ მაგრამ ეკრანზე ხომკი რაქალური და როგო-უმანკო და რამდენიც, სხვა აი იმდენი რო ჩვე-ბავშვები მთლად პლატონიურ დონ უანებად გადავიქცით, აი იქამდე რომ ვეჭვიანობდით ერთმანეთზე „ვაითუ ნიკოს ჯენეტა ანდაც ომარას ჩემიმარიკა ჩემზედაც მეტად ხვარ უყვარს“—მეთქი, სუ დღევანდელურ მოგათახსირულოებებ ჯულია რობერტსს და დემი მურს და ჯუდი ფოსტერს არა ჰგვამდნენ?, რა ეზო გვქონდა კი არა, თითქოს კი არა, მართლაცდა — გვყავდა, რუსთაველის ორს ორი ფართო და მაღალი, მოპირდაპირე კიბე აუდიოდა II სართულებისაკენ, ერთი — ვარაშვილოვის კლუბისაკენ, მეორე ჩვენი საცხოვრებელი ბინებისაკენ, სამსართულიანი სახლი იყო, სხვენები ჰქონდა, დასახლებული ალაგ-ალაგ და მართლაც მოველურო სხვენები რაც მე იქ გადაგდებული მაგრამ იდუმალებაშერჩენილი-როგორ ნივთების მოიდუმალავე ბნელში თვალიერება მიყვარდა და ვიცოდი, იქა, ჯერ როგორსა კუპრ და მერე კი გათენებისპირს შებინდ-ბუნდებულ მოძნელო რიურაუს ანუ თვალის შეჩვევას როგორ ვუცდიდი, იქა, რომ ნამომენყო იქურ-ნანნალი, ხოლო გათენებულსა დიდად ეზოში თლათ-ფოტოგრაფიც გვყავდა ჩემო ბატონო რომელსაცა რომ თავისი ყოვლად ჯადოქრული ფოტოაპარატი მაღალ გაჩაჩისულ სამფეხაზე ედგა შენ ხარ ჩემი ბატონი და ასე 5-10 ნამიან-ყოვნი სჭირდებოდა სახელდახელოდ თმადავარცხნილთა თანაც იმდენად რომ ამ შემთხვევაში რაისლა-მაქნის ოდეკოლონითაც კი იკოხტავებდნენ თავ-თავიანთს თმას კლიენტ-მუშტარნი სოცრეალისტურად კიარადა მთლადაცყოვლად რეალისტურად დაფიქსირებისათვის, და ისედაც ხომ და-

ძაბულები იყვნენ „საკარტიჩიკოები“ და თანაც ჩვენცაც შევცეროდით ღიმილურ-მზერა-და—კრეჭაცაკიშერეულით — მოდამცინავოდ, როგორ, აგრეთვე მაღალრანგოვან-შპიონ გრიბუ-ედოვის (გრიბოედოვის) სახ.-ის სახ.—თეატრი გვედგა ეზოში, მეორე სართულის ფასადზე მგონია რაღაც მოძველბერძნულო ქანდაკებებიანი, საღამოობით შედიოდა და ღამით გამოდიოდა იქიდან სუნამოებ და აგრეთვ—ოდეკოლონებ— „კრასნაია მოსკვა“, „ტრაინი ადეკალონი“, რამე,) სუნშერჩენილი პუბლიკაური მაყურებელნი და რაგინდ გვიან-ღამითე სულ-საბოლოოდ დაშვებულიყო იმა- დღისისი ფარ-და არხეინს იყვნენ რადგან ტროლეიბუს—ავტობუს—ტრამვაი არ დადიოდა მაშინ ნესივ-რად თუ რა, და რუსული სპექტაკლები კიგ-ვქონდა ორ-სამხელ ნანახი მაგრამ განსაკუთრებით სომხური თეატრის ნარმოდგენ- სპექტაკლების ნახვა გვიტაცებდა რომელი თეატ-რიც არცთუ იშვიათად მართავდა ჩვენთვის მხოლოდა სანახაობებს რადგანაც ენა არ ვიცოდით რომელს არ გვაქვენ თითო ნაკლი და „ვარაშვილოვის კინოში“ ჩვენ თუ ტრუსებისა-მარა შევდიოდით, თეატრში მოკლე შარვლია-ნობაც ვერ გვშველოდა და ახლა ვერ ვხვდები როგორ არც ერთხელ არ გაგვლახეს — რად-გან ყველაზე „ტრალიკულსა აპოვები“-შიაც კი ვიკრიფებოდით უდარდელად, ჩვენთვის უჩ-ვეულო სომხურის გაგონებაზე, მერე კი, ეს უკვე მეორე დღით, ჩვენი ეზოს ბაღში — დიდ-ნაძვებიანსა და მაგნოლიის დიდი ხითაც კი, ანდა ჩვენი მეორე სართულის ძალიან ფართო და გრძელ ფართზე სადაც რა ეშით ვთამა-შობდით კოჭობანა-კაკლობანას მაგრამ ახლა სხვა თამაში გვიტაცებდა — ჩვენი ჭკუით ვა-მასხარავებდით აკადემიური თეატრის სპექტაკლს, დიდად შეგვერდნა ენობრივი კორექტი-ვები „ვაჟ დეზდემონჯან, ეს ინჩეს უზუმ მოი მამოჩინ დარაგო პლატუკ“, ან, მთლად უკე-თესი, ბელადებისა პოლიტიკური დიალოგი მწერალ — გორეიზე: „სტალინ-სტალინჯან, ეტოტ გორკი კაკო ტყაია?“ (— „ტყაია“ მგო-ნი ბიჭსა ჰინდნამს ახალ-სომხურათ, ახლაც არ ვიცი ზუსტად; მაგრამ დავაზუსტებ ტაკოი-მარ-შალ ბაგრამიანისა და, თვით მიკოიანის, მად-ლმა, არაა ძნელი დასაზუსტებელი) — „კაკო ტყაია ლენინჯან და, მიუგებდა მთისარწივუ-ლი, კობა, — გორკი ლავ ტყაია“, „ვეჟ, — გა-იოცებდა ლენინიკ-ბელადვზროსლიტყაია, — მაშ-მაშ მაღადეც შენ ბარო (თუ „ბარემ“... ესაც ძალიან დასაზუსტებელია, თორემ ჩამი-ვარდა რომანი და ეგ არის), გორკიკ-ჯაან ჰაია ჯაან ჰაია ტყაიააა — ჰოპ!“, და, სტალინიცა, ის გოთურანი „ბარემ (თუ „ბარო“; აგრეთვე დასაზუსტებელია თორე აგრეთვე მოგვეჭრა

თავი და ისაა) გორკიჯან! ცავატანემ!“, და ჩვენც, მთელიეროსი ბიჭები, ერთხმად: „ბარემ გორკიჯაან!!“ და ეს ისე ძალიან ხმამაღლა რო-ომ, კლუბთან დაკავშირებით გამუდმებით ამა-ვალ-ჩამავალი ხალხი დიდის გაკვირვებით ამოგვცერ-შემოგვჩერ-ამოგვჩერებოდა და, ალბათ ასკვნიდნენ ასე რომა ეგება ალბათ ან უფრო ნალდად დღეს მ.გორეისი დაბა-დების დღეობა ხუარ არიო მაგრამ სომხუ-რათ რათ იხდიან ამა-თარიღსა ეს ბოვშები (ე ბალდები; აიბალნები — გამოთქმებისა-სხვა-დასხვანაირების მეტი სხვა რა გვაქვენ ჩვეამ-ქართველებს,)-ო?

ვარასშვილოვის—ვარასიბოვშის კლუბის შე-სასვლელშივე, მარჯვნივ საპარიკმახერო იყო, სომხეთის ტბილისელი და სულაც არა-სევილიელი დალაქით, რომელმაც მშვენივრად უნცოდა თუ რა „ფრუხტები“ც ვიყავით და დანამდვილებით შეიძლება ითქვას რომ დიდად არ ეპიტავებო-და ჩვენი ეს ტყაია-გორკობანა და ოტელოსი პლატუკობანა მაგრამ, იყრუებდა... რასა და ყურს! მე კიდე მეტი ლაპარაკი, მხამს?

ეზოში შემოგვიდიოდნენ და გაიყვირებოდ-ნენ ხურჯინიან-და-სახედრებიანიც ძირითადად ნყნეთ—ტაბახმელელი გლეხიკაცები, იდგა შე-ძახილ-ამოძახილები: „მაწოონი, მაწონიი!“, „პანტაა, პანტააა!“, „ყვაილების მინაა, ყვაილე-ბის მინააა!“ „აბა კაი კიტრ-დაპამიდორ-წვანი-ლიიი!, როგორ აკლებდნენ თანხმოვნებს, გაზვი-ადებული ხმოვანების ხარჯზე, საკლიენტურო შეძახილებს, ხმოვანებ-როგორ ამოზრდილი პოეზიისა ხარჯზედ, გვეჩაგრებოდა თანხმოვ-ნებიან-ტევადი, პროზა, და ერთი ნყვილიც, დიდ და მომცრო ტომარააკიდებულნი, ქალი და კაცი, შემოგვდიოდნენ ეზოში და სწორედ-რო ალფრედ-ვიოლეტასავით ერთად იძახდნენ დუეტურად: „კარტოფილი, კარტოფილიი!“, — საბრალო, ვერდი...

ეზოში „ჩორნი ხოდი“ (— ჩერный ход) — ც გვერდა, სადაც, სადააც, ნაგვის ორი უზარმა-ზარი რკინის ყუთის ჩავლის შემდეგ, მარჯვნივ თუ გავუხვევდით, მარცხნივ რამდენიმესაფეხუ-რიანი კიბე ადიოდა მაგრამ თუ სად, არ ვიცო-დით — მუდამ კლიტე-უხეში ედო, მერე კი, ერ-თსაც... მოგვიანებით გამოირკვა რომ არცთუ მშვენიერ დღეს იმ კიბეებისა ავლისა და კარ-განხვნილი ზღურბლის წყალობით შეგეძლო შეგეძინა საქ-დედაქალაქ-თბილისში მთლადაც პირველი კი არა და სუუმთლად უუპირველე-სი საღვეზელესი ღვიძლის ღვეზელი ანუ მო-ფერებითულ-შინაურულად „პერაშკი“ რომლის მთავარი ღირსებაც ის იყო, ახლადგამომცხვა-რისა რომ პირისღრულ-დამფუფქავი იყო, თორემ ისე? ეს როგორ ძალისნაკენივით მახსოვს, რომკი გაიხსნა, პირველსავე დღეს მთელი ნა-

ხევარი თბილისი იმჩვენ ეზოს მოაწყდა ამ „ახალთახალ ღონისძიება“ს, და ჩვენი ეზოსი-ბიჭობაც ხომ რასაკირველია რამდენსამე როგორ გრძელ საათს ვიდექით რიგში, აბა იქ ურიგოდ ვინ შეგვიშვებდა გინაც გრძელშარვალ და ჰალსტუხიანათაცე, კინო-ბალ-ბალი კი არ იყო ის არამედ — საყოველთაო დებიუტი ტარდებოდა საღვეზელისა და, როდის-როდის რომ მოვიპოვეთა და შევიძინეთ როგორც იქნა და, ის ღვეზელები, რა საოცნებოდ გამხდარნი ჩვენ-ად, შინ სულ ხელისგულების მონაცელობით და სულის მძლავრი შებერვებით რომ ავიტანე ეს უცხელესი ღვეზელები შინ-მეთქი და რო-დავეძგერე და ვებიჩე და ვებიჩე და პირველი ცალი მეგემრიელა, მერე მეორეს მივადექ-შევუდექი და თუმც გაკვრით ცოტა-თი გამიკვირდა (რადგან ძირითადად ჭამაოურ საქმეში ვიყავ) ბაბუამ პირი რომ არ დააკარა თუმცა ბაბუას ჩვე-დასავლური ძირიშვილობით მხოლოდ მჯადითა და ღომით კვება სჩვეოდა, სამეგრელოში იყო გაზრდილი ჩქიმი პატენი მაგრამ ბებიას გამომცხვარ ხაჭაპურსა და ქა-დას თუმც იშვიათად (მინახავდა მე!.....) მაგ-რამ მაინც გეახლებოდათ და იმ ერთადერთი დაყნოსვის შემდეგ რად არ დაიჯილდოვა თავი ამ დებიუტური უცხო ხილით (ღვეზელურითი გამოვლინებით) ვერ მივხვდი ამას და ამა-სობაში მეორე ცხელიცალიც შემომექამა და ბებიას ღვეზელსაც დავხედე რომელიც ისევ სქელ ქაღალდზე იდო და მხოლოდ ორიოდ ნაზად მონაციცქნის ნაკვალევი აჩნდა. გადავი-რიე ბავშვი!, და ხოლო ჩემს მესამე ღვეზელს მცირეოდენი შეყოვნების შემდეგ ისე ნელინელ შევექეცი რომ, გაცივდა კიდეც და, თქვენ ნარ-მოიდგინეთ, მეუგემურა, და ბებიას გვერდითა ღვეზელს დავუძმაკაცე (— ეს გარეგნული აღჭურვილობით) ხოლო ღვეზელი № IV რო-მელიც მთლად ბაბუასი ღვეზელსა ჰეგვადა, თა-ნაც რაღაც მცირედი უსიამოვნება ვიგრძენი ჯერ, რაც იმდროინდელი იმა-გრძელრიგისა გამოისხმით რაძნელად მოპოვებულისა ჩემ-ჭკუით ვითომ-დაჯილდოება მაგრამ გადანაყ-რობით შესაზიზრობაში გადაიზარდა, და, რაღაც საეჭვო ასაკის ღვიძლის ყოვლად აუტა-ნელი სუნიც მეცა და ხომ არ ვცდები-მეთქი-თქვა და კატას დავუგდე იატაკზე, რომელმა კატამაც ეს რამდენსაათიანი რიგში-დგომითი დაგვირგვინება ერთი კი დასუნა, მერე განზე იქცია კოხტა დრუნჩი და დაადო ლამაზი თავი და სანოლისქვეშ შეიყუფა...

ასე რომ, იმ გაცი (ვ) ებულ ღვეზელს ადა-მიანები კი არა, ნესით აიმას ტყაია-კამოც არ შაშქამდა, — მააშ!

ეზოშივე გვქონდა და ისე ცოცხალი რომ გვყავდა-კიდეც „დიდი უნივერმალი“ს საწყობი,

სადაც ჩვენთვის ყველაზე მიმზიდველი ბამბის უზარმაზარი შეკვრები, ასე-საშუალო ქოხის ოდენა ბამბის ბრეზენტ-თუ- რაღაცაგადაფარე-ბული ძალიან სქელი ფილები (ნეტავი სწორი გამოთქმა? „ბარემ-ბარო“ სი არა იყოს,) მოჰ-ქონდათ და მყიდველების მოთხოვნილები-სადა მიხედვით თანდისთანობით შეპქონდათ „დიდ უნივერმალში“ (ის მერე რა რომ ნიუ-იორკისას ალბათ ნამდვილად ჩამოუვარდებო-და, მაგრამ ეს მაშინ რა ვიცოდით, ეს... თორე ახლა ვიცი... და პირველსავე საღამოს დიი-დი უნივერმალი რომ დაიკეტებოდა და მისი გადაღლილი პერსონალი შინისაკენ გადაქან-ცული ჰერიჰერი დარაჯის გარდა ხოლო ყა-რაული-ის ჩვენდამი კეთიგანწყობილად იყო, რა ნეტარული სიამოვნებით ვხტებოდით ბამბაზე ჩვენი ეზოს ბიჭები, სულ ღოყითაც კი ბრტყლად ვახტებოდით ზემოდან, ჩვენი მეორე სართული სუცოტა 7-8 მეტრზე იყო ეზოს დონიდან, ოთხზე ვხტებოდით — ის ბამ-ბის უზარმაზარი, ის მერე რა რომ ბრტყელი, მაინც ქულა და ეს დახტომვები უფრო თავშე-საქცევი რომ ვამხდარიყო, ერთ-ერთ ჩვენ ძმა-კაც-მეზობელის რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა ეს ოფიციალურ-უტრამპლინო შვე-ულ-ხტომა, ბრტყენტისა თუ იმრაღაცის ქვეშე-თი სულ აგურებით მოვუფინეთ მისდა უჩუმ-რად შენილბული ბამბა და, მერე ვუთხარი აბა მთლად ბრტყლად თუ დახტებიო და, აკი არ დახტა? — ყბა-ჰორიზონტალურად განვდილი, იმა-შენილბულ აგურებზე, ზედ?

ასე ბოროტად ხუმრობაც ვიცოდით მაში-ნაც კი, იმ რამდენად უფრო განუზომლად უბოროტო დროს ვიდრე ეს ახლაა...

რუსთაველზე კი გამოდიოდა ჩვენი სახლის ფასადის (მერე, „დიდობაში“, ვნახე ჩვენი სახ-ლის ფასადური მთლიანი ფოტო და, ეს მაინც რა დაუნგრევიათ ჩვენი თბილის-ქალაქის „ნამ-ყვან“ არქიტექტორებს, მაშინ კი, ჩვენსახლს შეჩვეულები, ვერც კი ვამჩნევდით მის როგორ ლალ-სიგოროზით სილამაზეს მაგრამ „დიდო-ბა“-ში ღონისძიების რომელილაც დიდებული ან სულაც „დიდებულები“ს ნაგებობად მომეჩვენა და, რა დადგეს იმ ჩვენი როგორ მშობლიური და თურმე რაშთამბეჭდავი სახლის ნაცვლად, იქ, — ყოვლად მოსულელო ანუ „თანამედრო-ვე“ უნივერმალი...) პირველხარისხის მაღა-ზიები: ჩვენი „გრანდ“-უნივერმალის მთავარი შესასვლელები იყო იქა, მუსიკალური საკრავე-ბისა და ნოტების მაღაზია თავისი ფერად-ფე-რადი ფანქრებითა და ნითელ-მომწვანო საშლე-ლებით, „სამი გოჭი“ სამთავე გოჭის (ნიფ-ნიფი, ნაფ-ნაფი და ნუფ-ნუფი) გოჭის პირობაზე რო-გორებ-ქანდაკებებიანა სადაც ნაყიდ სოსისზე გემრიელი-რამ ჩემს ცხოვრებაში, სადამდეც

ხორცის ვჭამდი მთლად არაფერი მიგემია-რა, გარდა პურისა, მხოლოდ, მაშინ რა ვიცოდი რომ სოსისს პურს რომ ვატანდი თურმე ეს პუ-რი-ჩვენი როგორ განუზომლად შვებითი საზ-რდო, გადამრჩენლური, იყო, მხოლოდ ძალიან მერე-ლა მიმახვედრა რამდენიმე რამმ, მე...

ჩვენი სახლის სახურავიდან გადავდიოდით რუსთაველის 4-ს სახურავზე, საიდანაც ფრთხილად გაფაციცებულები ვეშვებოდით „პიონერთა“ სასახლის ბაღში, რა ბაღი იყო? ახლა, მეტროს სადგურმა (საბჭოეთისა პირველი ბელად-ნარმწყმედის — არ მინდა კლიჩა ვახსენო მე კი იმისი, — მოედანი) და „ცეკა“-მდე ასასვლელმა კიბეებმა როგორ დააქციაცეს და მაგრამ ახლაც კი ისმის იქ და იქიდან შაშვების ჭახჭახობითი გალობა მანქანებისა შიშინ-ლმუილით დამქუცმაცებელ-დაბზარული ხოლოეკი მაშინ? აჲ, ხმიანებდნენ როგორ და როგორ და განა მარტო შაშვები? და იქ კი გაზაფხულობით გადაპარვა იმად გვინდოდა რომ „სირენებს“ (იასამნებს ასე ვეძახდით, აქ გრამატიკა და მართლისიტყვაობა ვერა გვშველოდა) ვიპარავდით, ეს ისეთივე ვაჟკაცობად ითვლებოდა როგორც მარკო პოლოსი მიერ იმ რაგრძელი გზის გავლა კინოშიაც რომ აკი გვენახა შეზავებული იმ სიყოჩაღესთან როგორიც იყო რობინ-ლოქსლელ-ჰუდისა და აგრეთვეცა როგორიც იყო სოფლად კოლმეურნ.-ჟურნის ანაპვნა მოქურუხებულ მკაცრად მკაცრ-ყარაულთა იმსაბჭოური სიფხიზლისადა მიუხედავად, რომელნიც ხანდახან მაინც გამოგვიჭრდნენ და ჩაგვავლებდნენ ანუ გვსტაცებდნენ „მკაცრ მაგრამ სამართლიან“ ხელს და იყო ჩვენი ბევრგვარი შეფუცხუნება და მშობლებისა დაბარება (ჩემთვის — ბებიის) და ბებიაჩემა კი წყევლაც იცოდა ხანდისხანობით რაძალიანა—აღგზნებითური ყოვლად უგულო და რაღა თქმა უნდა უნარმოსახვო თორემ ის — „აჲ შენ მოუკვდი შენს ბებია“-ოს ის ნარმო-იდგენდა?... და, მითუმეტეს, გადაიტანდა, ამას, ნარმოსახვას-ამ?

რა სახლი გვქონდა, როგორ რარიგად მშვენიერი, გვყავდა — ცოცხალი, იყო; ის სახლი ერთი დიდი და ვრცელი და მრავალრიცხოვანი ოჯახი ვიყავით თვით კეთილიანებ და თუნდ ავებიანა, ც, ახლა „მაღლივ“ ს სახლებში ერთ სართულზე მცხოვრებები ერთმანეთს სალმითაც რომ არ იცნობენ ისე კი არ იყო; ესაა, საქმე? თუკი ეზოში (ან: ძირითადად იმდენად გრძელსა და ფართო აივანზე რომ „ეზო“ — დ გვქონდა) ფეხბურთი უნდა გაგვეჩაღებინა და საიდანმე მობრუნებულს ძალიან მშიოდა, არჩევანი-არადანი რომ არ გამეცდინა და თა-მაშვარე მდგომარეობაში არ აღმოვჩენილიყავ ჩემს სხვენზე კი არ ავრბოდი იქვე მეორე სარ-

თულის რომელიმე მეზობელთან შევირბენდი და იქ სწრაფ-სწრაფა დაუღეჭავად ვყლაპავდი პურს და რაიმე მისატანებელს რა მადლიანი ლუქმები, იყო.

ჩვენს ტევადს-როგორ სახლში ცხოვრობდა რაღაც საოცრად-გასაოცრად კეთილი როგორ კარგი კაცი და პოეტი ძია სოსო — იოსებ გრიშაშვილი, დღე არ იყო რომ რამდენჯერმე არ ჩაევლო-ამოევლო ჩვენი პირველი გრძელი და ფართო მთავარი კიბე რომელიც უზარმაზარად ვეება სვეტებით დაგვირგვინებულიყო — მთლად 4 სვეტი გვედგა კიბეებს-იქითა კედელზე, სახლში სხვა კიბეებიც როგორ არ იყო მაგრამ ისინი მოკლე და „ლოკალური“ მნიშვნელობისანი იყვნენ, და არ ყოფილა შემთხვევა შინიდან უკეთილშობილეს „სამონადირეოდ“ გასული ძია სოსო პეშვებზე როგორ ფაქიზად დადებული რამდენიმე წიგნით რომ არ მობრუნებულიყო; ამისათვის კი დიდი ხელმომჭირნეობა მართებდა რის გამოც ზოგი უგვანი ძუნნს ეძახდა, მაგრამ აბა რომელი სიძუნნე იყო ეს — თავის მშობლიურ უბანს, ხართუსს უანდერძა თავის სახლ-მუზეუმში მოთავსებული უზარმაზარი ბიბლიოთეკა. და აქ ტრაბახსა და თავის გამოჩენაში ნუ ჩამომართმევთ და მაგრამ სიმართლეს რადგან ვამბობ, ვმხნევდები — ბავშვების როგორ მოყვარულს (თავად შვილი არ ჰყავდა მაგრამ შვილი იყო აბა რა იყო მისი გაზრდილი დისშვილი ანი, საოცარი ქალი — როგორი კეთილი, მაღლად თავმდაბალი, გულლია, როგორ მუდამ პირლიმილიანი და დაფიქრებული, თან... როგორი ლექსი უძღვნა გრიშაშვილმა — „მე შენ სახელად ანი გინოდე, ჩვენი ანბანის პირველი ასო“....), მე გამორჩეულად ვუყვარდი ჩვენი ეზოს ბიჭებში, შესაძლოა იმიტომ, რომ, პირველების შესაძლებელი ყველაზე უმცროსი ვიყავი, საბავშვობალელ ჯუტული ქარაზანიშვილსა და ზურიკო ჯამს თუ არ ჩავთვლით და აგრეთვე შეიძლება იმიტომ რომ იმათ ჯერ არ იცოდნენ წერა-კითხვა მეკი უკვე ლექსებსაც კი ვწერდი (ეგებ იმიტომ რომ ჩემი „მოპოეტურო“ ხუჭუჭმიანობა გამემართლებინა? — აღუსსხელია, გზანი-ხელოვნებისანნი....) მაგრამ ერთხელ ისეთი მძაფრი რამ გადამხდა, სწორედ ძია სოსოს გამო და ანტი-წყალობით, რომ, მსგავსი შური არასოდეს განმიცდია და მერედა ვისადმი — საკუთარი თავის მიმართ, კი...

ხოლო ესე-ამბავი ასე იყო:

ძია სოსომ ჩვენი სახლის ბიჭებში საუკეთესო ლექსზე კონკურსი გამოაცხადა, გამარჯვებულს კი რომელილაცა საუკეთესო წიგნს (მგონი სულაც მთლადაც „ვეფხისტყაოსანს“) შეპირდა; ატყდა და ატყდა მაგრამ რას ატყ-

და და შეგვექმნა მაგრამ რას შეგვექმნა „შემოქმედებითი ჩოჩქოლი“; მე აյი უმცროსი ვიყავი ეზოს მოსწავლეებში, ॥ კლასში, და მიუხედავად იმისა რომ მაშინ ერთი წელი მართლაც-და „გრანდიოზული“ განსხვავება იყო ხოლო ორ და სამ წელს ხომ ნულარ იკითხავთ (ახლა არ ვიცი როგორაა...), და ჩემზე ერთი წლით უფროსმა, მესაკლასელმა ომარ პაპავამ, რომელიც ის მერე რა რომ კარგი და უნებურად კოლორიტული ბიჭი იყო, მაგრამ პოეტურ-ნიჭით ნამდვილად არ გამოირჩეოდა მთხოვა რათა ძია სოსო კონკურსში უმონანილეობით არ გაენანყენებინა მისთვისაც დამენერა რაიმ-თუნდაც-ისე-რა ლექსი და ძია სოსოს აღარ ენყინებოდა — „ჩემი კონკურსი არაფრად ჩააგდო“-ო. მეც, მთლად მარცხენა ხელით არა მაგრამ იმასაც დავუნერე ჩემი აზრით არცთუ ძალიან ურიგო ლექსი რაღაც ხუთიოდ წუთში და რაც მართალია მართალია ჩემი თავეერძობისა პრინციპით — „ჯერ თავო და თავო“-ო ჩემს ლექსზე გაცილებით მეტი და შთაგონებულად ვიშრომე და ვტანჯეთ და ვტანჯ-გავანვალეთ-და-მივასავათეთ მუზამა და მე ერთი-მეორე და ბოლოს, ჩემჭუით ვალმოხდილმა საკუთარი თავისა და ომარას წინაშე, ერთგვარად უხერხულად ვირწმუნე რომ თუმცა „ომარას ლექსიც“ კარგი იყო მაგრამ ესჩემი აშკარად ბევრად მეტადა სჯობდა და მხოლოდ 2-3 წლით უფროსების, „ხანდაზმულების“ როგორი განცდურ-შიში მქონდა საპაექრულო და, რომეც წარვსდექით ძია სოსოს წინარე ჩვენ-ჩვენი შემოქმედებით ანუ მოვაქუჩეთ ჩვენი თხზულებანი და მგონი სულაც მე ავუტანე ძია სოსოს საკონკურსოები და ხოლო ცდისას ის-რა მდელვარედ ვუჭვრეტ-ვათვალიერებდი ჩემზე თვით 2 და მთელი საუკუნოვან-მოცულობის 3 წლითაც კი უფროსებს — ვაითუ რომელიმემ ცხოვრებისეული გამოცდილებით ლექსშიც მაჯობოს-მეთქი, ხოლო ძია სოსომ შეათვალიერა ქალალდები და თქვა: ყოჩაღ, ბავშვებო, რამდენს მიგიღიათ მონანილეობა, ერთ საათში ჩამოვალ ეზოში და გამარჯვებულს დავასახელებ-ო.

ერთი საათი... რა ხშირად უდრის, საუკუნენახევარს, და ზედაც ათი წელი, ვაჲ! — რა პროკურორსავით ვლაპარაკობ, ტო.

ხოლო ლექსები დაახლოებით ამგვარი იყო:

მოდის წითელი არმია
დარაზმულები მწყობრად,
აი მუსიკაც დააგუგუნეს,
მიმღერიან კოხტად,
აულიათ ჩესტი.

როგორც იქნა და, დაგვადგა საშელი და გამობრძანდა ძია სოსო იმ საუკუნოვან ერთსა

საათში და მორიდებულად და ძან მდელვარეულად ნელ-ნელის ნაბიჯის ნარდგმით შემოვეხვიერ ეს მთელიეროსი ათრთოლებულნი როგორ, ბიჭი, და, ძია სოსომ, ჩემზე ცოტა არ იყოს თვალარიდებულმა საზეიმოდ გამოაცხადა საჯაროდ, რომ, რომ გაიმარჯვა ომარის ლექსმა! და, საზეიმოდ გადასცა თავისი ნარწერიანი წიგნი!!

....

ვაჲხხ, რაც მე მაშინ გადამხდა ჩემს ბავშვურსა და შურიან და ყოვლად გაბითურებულ, თავს... —

ეეჲ.

ძია სოსოს და დეიდა ანის ხშირად ავყავდით თავისთან, ॥ სართულზე, წიგნებით გადაჭედილ ბინაში რომლის ფანჯრებიც რუსთაველზე გადიოდა. იქიდან საცქერალი ჩემთვის უცხო იყო, რადგან ॥ სართულისეული სიმაღლიდან თორემ I სკოლამდე რამდენჯერ ჩამივლია ჩემთვის მშობლიური „პიონერთა“ სასახლის წინ, ვინ მოთვლის... ძია სოსოს არასოდეს უჩუქებია ჩემთვის სხვა ავტორების წიგნი — თავისი როგორ-ლირსშესანიშნავი პნეარის — „პერანგს მოგცემ წიგნს კი არა“-ს მიხედვით, ის წიგნიც, ომარმა რომ დაიმსახურა — ისემც! — და ისე საზეიმოდ რომ გადასცა ალბათ რამდენიმე თუ არა ორი ცალი მაინც პქონდა — იგროვებდა, მომავალი სახალხო ბიბლიოთეკისათვის... სამაგიეროდ, ისე არ გამომისტუმრებდნენ კარგი ჩაითა და ძალიან კარგი ნამცხვრით და მთლადაც კარგი მურაბით რომ არ გამმასპინძლებოდნენ.

გრიშაშვილი ნაღდად ნამდვილი სახალხო პოეტი იყო. როგორი ლალიც და სევდიანი ნამდერებით და ხმის როგორი ბუნებრივი თრთოლვით უმდერდა თავი და თავი ქველ, ნასულ-წარსულდაკარგულ თბილისს, (ახლა რაღაც ვქნათ! — 2006 წ. — ...) და ქალებს, და მდეროდნენა მომდერლები მის რამდენ რაკარგ ლექსს სიყვარულზე, განსაკუთრებით „გენაცვალე“ს, როგორ უყვარდა გრიშაშვილი ხალხს და რამდენს აუვარდებოდა თავში ეს — განსაკუთრებით ჩვენს დღევანდელურა პავანგარდისტებს მაგრამ ძია სოსო მუდამ თავმდაბალი, მორიდებული კაცი იყო და წარმოიდგინეთ რა დაემართებოდა როდესაც ამ მე-მ, ასე 8-9 წლისამ, ორსტროფიანი ისეთი ლექსი რომ მივუძღვენი რომელ „ლექსში“აც აი ასეთი პნეარი მომეძევებოდა:

„შოთასაც სჯობნი და სხვა პოეტებს“ — !

მერეც, საერთოდ არ მინახავს იმ ასაკის კაცი ისე რომ განითლებულიყო, დიდი ლადო გუდიაშვილის გარდა. ამაზეც, შემდგომ...

გრიშაშვილი ერთ ჩვენს მეზობელ ქალს, მარტოხელა მერი მარშანიას უყვარდა. დიდად

ხანშიშესული კი-იყო, მაგრამ გარდასული მალი სილამაზის კვალი მაინც აშკარად, მკაფიოდ აჩნდა; სულიერად ავადმყოფი იყო, ეს ამოჩემებულად სხვა არაფერში ეტყობოდა გარდა იმისა რომ... ძია სოსო... გრიშაშვილი... რაღაც წარმოუდგენლად, უუგატაცებულესობისად, უყვარდა... ერთი ჩვენ თუ გამოგვივარდებოდა რომელი-ესჩვენც მიხურულ კართან ჯლნავილ-კნავილით ვუმდერდით რაღაც-რულაცულ სერენადებს გამოგვეჭრებოდა ხოლმე იატაკის სანმენდი ჯოხითა თუ ცოცხით ხელში მაგრამ ყასიდად გვიქნევდა, ჩვე მართლაც-გასაროზგებს, სხვადასხვა ცნობილ ჰანგ-მელოდიებზე რაღაც ძალიან სულელურად ჩამოქნილ-დაყალიბებულ და ჩვენს მიერ სასტიკად პერიფრაზირებულ ლექსებსა თუ ბალადებს ოდებ-სერენადულა-არიოზულა-ეპიტაფიურ-ელეგიურადაცემ ვუმდერდით. ეს თუ მის სიყვარულს შეეხებოდა, კიდევ არაფერი კი არა და, მთლად ნაზდებოდა და თვალები მიელულებოდა, მაგრამ აბა როგორილ ასატან-სასიამოვნო იყო ის სიმღერა, ცნობილ კინოფილმ „ცირკ“-იდან რომ გადმოვიდე და ვუმდერდი ჯერ მე, მერე კი მთელი ეზოს ბიჭები, თვით ლიუბოვ ორლოვას ნამღერის ნაბაძვით. თავიდან კი აკი მე შევასრულე ეს „არია“, შესკუპებული ვიყავი-რა დიდად ღრმავიალა იმ ჩარჩო-სანახევ-როდ-გამოვარდნილი კარის შუაგულში, და იმ კარს კიდე მე-მხედარი ხან ფეხის კედელზე კვრით უკან ვაბრუნებდი და ხანაც ხელუკულ-მითი კვრებით (სიტყვიდამ „კვრა“) ნინ მივქანა-ობდი რიგრიგობით ისევე როგორც კინოფილმ „ცირკ“-ში ორლოვა, რაღაც მის მსგავსად მეც დავქანაობდ-დავეონნიალობდი იმ ხუთსაფეხუ-რიანი კიბის (რომელიც დეიდა მერის კართან იყო და მესამე სართულიდან სხვენის ოთახე-ბისაკენ რომ ავყავდით და დეიდა მერი მარ-შანიას ზედ გარეთა ზღურბლიდან იწყებოდა) თავზე მიმოღრმავე-დიდად კარით საიდანაც რომ ჩემი განგებ მთლად დაუანგული ხმით, გამოისმოდა:

მერი, მერინი, чудеса, а,
мааршаниაа, в небесаа,
там гоу მერი სუულ მარტოო,
მეри-მეри-დალекоо,
мааршаниаа-в небесааа!

და გამომივარდებოდა ძველი კნიაუნა მარ-შანია მე ამ-გლეხუჭა დოჩანაშვილს მაგრამ იმ-ძველი კნიაუნობისა რა ეტყობოდა რაღაც წარ-მოუდგენლად ლამაზი და საბოლოოდ მაინც ვერნაშლილი ბებრუხანული კი არა და, — მარადიული მაინც, იმ იშვიათი სილამაზისა, გარდა, ახლა კი, როგორ დაბეჩავებული და ჩვენიც კი მოკლე-როგორი ჭურით ვითომაცა და მასხრად-ასაგდები და, რა ვიცოდით ჩვენ,

თუ რა ყოფილა შეყვარება, თურმე ყოფილა ძალიან კარგი რუსი პოეტის, Юлия Друнина-ს მიხედვით რა სწორი ახსნით — „Не бывает любви несчастливой“ — რა ჭეშმარიტება! — რა ვიცოდი მაშინ ეს მე-უგუნურმა და, რაღა თქმა უნდა არც დიადი ანნა ახმატოვას როგორი ტაეპი! — არ ვიცოდი ჯერ, რომელიც ასევე, ბევრ რამესთან ერთად, „უილბლო“ სიყვარულსაც როგორ შეეფერ-მიესადაგებოდა:

„Я улыбаться перестала,
Холодный ветер губы студит,
Одной надеждой меньше стало,
Одною песней больше будет!“ —

ჰოდა, ძია სოსოსათვის როგორ უკიდურესად სავალალოდ, დაინახავდა თუ არა ერთთავად თავის ფანჯარაში გადმომდგარი დეიდა (რაღა დეიდა, დიდედად გვეკუთვნოდა მაგრამ „დეიდა“ს ჩამოკინებულ-მოაგდებულოდ ვეძახდით) მერი გრიშაშვილს, იმ ჩვენს ისედაც ხანგძლივ კიბეზე დინჯად ამომავალს, და ატეხდა მაგრამ რას ატეხდა: „Оо, Гришашили, Гришашилини (რატომდაც რუსულად ირჯებოდა), Я лиоблю, лиоблю, лиоблюу тебя“ — ააა! და ამას ისე დაატეხდა თავს, რომ, ძია სოსოს (მას კი მოფერებით, დასაახლოებლად ვეძახდით „ძია“-ს ისე კი პაპად გვეკუთვნოდა) კინალამ ის პეშვზე სათუთად შეყენებული ნიგნები ხელიდან უვარდებოდა, და, როცა მერე ჩვენთვის როგორ სამწუხაროდ, მაგრამ მისთვის კი როგორ განსაკუთრებულად სასიხარულოდ ვერაზე გადავიდა (იქ ხომ ნიგნებს უფრორე შვებით დატევდა ვრცელ ბინაში და მერი მარშანიასაგან სიყვარულის ასეთი ყოვლად საჯარო ახსნაც არ დაატყდებოდა დღეში 5-6ჯერ თავს), იმ სახლში, სადაც ახლა მისი მემორიალური დაფაა, მისი პროფილით (აბა ჩვენს იმ ყოვლადკეთილ ნასახლარზე, გონჯუნივერმაღზე ხომ არ ჩამოკიდებენ მემორიალურ დაფას „აქა სცხოვრობდა გრიშაშვილი“ თესაც კი კიდევ კარგი...); იქაც მიმიპატიუეს, მიმიყვანეს ასე V-VI კლასის მოსწავლე, ისევ იმ სიყვარულით გამიმასპინძლდნენ ძია სოსო და დეიდა ანი, როგორ მომეფერნენ, მე-ულირსს...

ის ხუთ-მაღალსაფეხურებიანი კიბე კი ჩემთვის ერთი ახტომით მიუწვდენელი იყო, იმის ერთბაშად ალახვა თავიდან წარმოუდგენელივით იყო ჩემთვის, და მაგრამ, ამიტომ, ჯერ 7-8 წლისა, ორ საფეხურზე ვხტებოდი, მერე, 10 წლისა, სამზე, მერე ოთხზე და, ასე, მერე-დამერე, ასე VI-VII კლასელი ვიყავ, მეხუთეზე-ვეც რომ შევძელი ახტომა და ჩემს სიხარულს იმდენად არ ჰქონდა ზღვარი რომ წამდაუნუმ გამოვარებოდი ხოლმე შინიდან, ჩავირბენდი კიბეს, „სტარტს“ ძია სოსოს კართან ვიღებდი, გამოვქანდებოდი და ათიოდ ძაან დაძაბული

და სწრაფი სირბილოვანი ნაბიჯის შემდეგ მე-
ხუთე საფეხურზე კიდევ და კიდევ და კვლა-
ვაც ნარმატებით რომ დია-ავხტებოდი აპ-რა
გამარჯვებულ ყიუინას ისე ვსცემდი რომ დე-
იდა მერი მარშანია თუ შეესწრებოდა ამას,
გაკვირვებული ამბობდა სადღაც მაღლისაკენ:
„Он сумасшедший, что-ли?“.

დეიდა მერის რით გაპქონდა თავი „ფიზიკურად“, რა ვიცი; ალბათ, სულიერ-მშვიდობიანი ავადმყოფებისათვის განკუთვნილი პენსიით, მოკრძალებულად ცხოვრებისათვის იმ ომის-შემდგომ გაჭირვებულ ნლებშიაც კი სავსებით საქმარისი იყო პენსია, ხოლო ახლახან და ახლაც (2006 წ.) რამდენი კარგი მეცნიერი და ხელოვანი ოჯახიანა რომ შიმშილობს არ იყო მაშინ ანგრე.

და, რაც მთავარია, პარტიებად არდაყო-
ფილ ვერგანახეთქილურობაიანებს, რამდენად
უფრო, გვიყვარდა, ერთმანეთი.

მე ახლა, დღესაც, დილის ლოცვებში, მიცვა-
ლებულთა მოხსენიებაზე რომ მივალ ხშირად
ვახსენებ ხოლმე ქალბატონ მერი მარშანიას,
რომლისათვისაც, ალბათ როგორი ზესინამდვი-
ლით? — „Не бывает любви несчастливой“, და
არ შეიძლება, ვერ შემიძლია ისიც არ გავიხ-
სენო რომ ჩვენს იმდროინდელ მეზობლებში
დადიოდა ხმა, რომ, ძია სოსო ახალგაზრდო-
ბიდანვე ძალიან მოსწონდათ ქალებს, და ეგებ
მერი არ იყო მაშინ შემლილით და, ვინ იცის
გინდაც დროებით „შეყვარებულებში“ ერთიმე-
ორები რა და რაღა-არ როგორ ხდებათ (ეს
კია... მგონი თვითონაც ვერკი იციან ხშირად
თუ რაა მათ თავს), მაგრამ, ამის გახსენებაზე
და ჩემი ხელობის ერთ-ერთი დიდად შემად-
გენელი ნაწილით — ფანტაზიის წყალობით
ხანდახან ისეც მეჩვენება და მგონია ოღონდ
ლვარჭნილად და სულმოთქმებით, რომ... ეგე-
ბა ერთიმეორები... თუ რაღაცა... რაღაცა კი
არა... ისა... ანუ შეყვარებულობა... დროებით...
ჰქონდათ... და ახალგაზრდა სოსომ-ყმანვილმა
მიივიწყა ლამაზი მერი ხოლო ლამაზმა და მი-
ტოვებულმა მერიმ ვერ მიივიწყა იგი, და, თუ
ეგება ასე იყო, გრიძაშვილთანა გამარჯვებუ-
ლი ბებია მერი გამოდის, რადგან, ეს მერამ-
დენედ მაგრამ რახან ჭეშმარიტება მაინც, კია,
არის, რომ — „Не бывает любви несчастливой“,
და, დილის ლოცვებში, იოსებთან იქვე გვერ-
დიგვერდ მისით წუნდებულ მერის ვახსენებ
ოღონდ შუაში ანი უდგათ, უცოდველი და რო-
გორი მშვიდად კეთილი, და ის მერე რა რომ
გარდაცვლილი, რა ახლობელი... და მეზობლე-
ბის ეს მითქმა-მოთქმა გინდაც სიმართლე ყო-
ფილიყო, ქალბატონ მერის რამდენად მეტად
მთლად ნაკლებ-ნაკლებ ევნებოდა ამ სიყვარუ-
ლით რადგან ადრე თუ შემყვარებელად თუ

შეიქნა ასეთადც დარჩა ხოლო ბებო მერიზე
როგორ მართლაცდაც პატივისსაცემ „ქალბა-
ტონო“—ს იმად ვამბობ რომ, ნუ გაკვირდებით
— გამარჯვებული ანუ მთლად სიბერეშიც
შემყვარებლობით? — სამუდამისოდ დარჩა.

ეჱ, კიბეები, კიბეები... მაღალ-დაბლები, ჩამ-პალი ხისაც და მარმარილოსი, რამდენი კიბე შემხვედრია, ასავლელი თუ ჩასავლელი, რამ-დენნაირილ ალარ, გინდა.

ელბაქიძისა აღმართ-დაღმართზე რომ
ვცხოვრობდით, ასე 1944-45 წელს ერთი გერ-
მანელი შუახნის ტყვე მუშაობდა ჩვენს „სადარ-
ბაზო“-ში, ყარაული არც ედგა — აბადა სად
უნდა გაქცეულიყო, დილით მოჰყავდათ და
საღამოხანს მიჰყავდათ, „სადილი“ სათვის ერ-
თი ნაჭერი ნახევარი ხელისგულისოდენა პური
ეძლეოდა და ისიც ზიზღით; კედლები უნდა
შეეღება, იმასაც ჰქონდა თავისი ხის კიბე, და
ჩვენი მყარი კიბის სახულურები უნდა შეეკეთე-
ბინაც და საფეხურებიც ალაგ უნდა შეეღესა
და რაღაც ამდაგვარ სამუშაოებსაც ასრულებ-
და... ჰო — ცოცხიც ჰქონდა, და ხოლო მე კი,
იმთავითვე ცნობისმოყვარე, კიბეზე ჩავდიოდი
და ძალიან ძლიერ მოურიდებლად ვათვალიე-
რებდი მტერდაოკუპანტს ოღონდ ერთგვარი
კეთილგანწყობით, ალბათ, რადგან გამიღიმა,
ბავშვს, გულზე თითი მიიკავუნა და მითხრა
— იენა, იენა, რაც მე სახელი მეგონა მისი,
და მივმართავდი ხოლმე — იენა, რაც რა-
ღაც როგორ მშობლიურ-ლიმილად ბადრავდა,
ეს მხოლოდ მერე ჩვენი ასე-მესამე შეხვედრი-
სას მერე და მერე კი ის გერმანელი სადღა
იყო, დაბრუნდა ალბათ ქალაქ იენაში, მომცრო
ტანისი კაცი იყო, და ისედაც ჩია კიდევაც
მეტად იბუზებოდა რადგან ჩვენს იმ კიბეზე
ავლილ-ჩავლილთა უმრავლესობა მტრულად
და ზიზღით თუ არა ათვალწუნებით მაინც
აათვალიერებდა, უცქერდნენ როგორ — რად-
გან, იმავდროულად, გახარებითაც — „გეტირა
ხომ, ყოფა... — ეს შერბილებულად, რბილად...
— აბა რა გეგონა ჩვენს ასაღებად რომ მო-
დიოდი ვირიშვილო შენ!“ — ესაცეი, ამასაც
შერბილებულათ გადმოგცემთ... ვირიშვილოს-
ამ... თუმც ვირი კარგი ცხოველია, ყოველ-შემ-
თხვევაში, იყო სადამდეც ვირი სახედარობდა,
და ხოლო მისი ერთი კიცვი? — ძალიან რო-
გორ, და, მოიბუზებოდა ხოლმე, ერთგვარი
მაგრამ მაინც-მტერი რა თქმა უნდა ოღონდ
ძალიან კარგად-მოლურჯო თვალები ჰქონდა,
სისოვლ-ნაღვლიან-თვალები, ლურჯი, ისეთი
კეთილი რომ მე ბავშვური — ანუ უპირვე-
ლესი გუმანით მივხვდი თუ ვიგრძენ შეუც-
ნობლად და თან მკაფიოდ, მკაფიოდაც
რომ ის ომში იძულებით იქნებოდა ნაყვანილ
მთლად აი ისე რომ... — „დოთას ძონდა ირო

შეილი ისიც ჯარში წაღებული" გახლდათ, რა მეხუმრება მაგრამ რადგანაც მოფერებანარევია, ეგებ შეიძლება ეს ასეც იყოს, ეეს-ხუმრობანა ანუ, და, ამიჩუყდა იმ ტყვეზე გული, და იმ საყოველთაო შიმშილობისას ხმელა პურს აბა რა უჭირდა რადგან ვიმარჯვებდით ეს მას ეკითხა, დამარცხებულს, ტყვეს-თანაც, და კიდევ მეტად ამიჩვილდა მე ისედაც-ჩვილს, გული, მითუმეტეს რომ იმ გაჭირვებისას მე გამონაკლისი ვიყავ თუმც არა-მთლადაც იშვიათი რადგან არამცთუ საარსებოდ ვიკვებებოდი არამედ ვისაც ისე ძალიან მაძალებდა რომ მანუხებდა კიდეც ბებია, საჭმელით, — მამა სამხედრო ექიმი იყო და შედარებით „დიდი“ ხელფასი ჰქონდა და მთელი ჩემი ჩემდამი ვითო-სასამართლოთი კუთვნილი „ალიმენტი“ (რომელ სიტყვასაც მამაჩემი მისთვის შეუფერებელი მძულვარებით ვერ იტანდა — „თქვი რალა, ჩემი ფული“-ო, შეჭმუხვნილი მეუბნებოდა) ყოველთვე სრულად მეძლეოდა მამას რაცგინდ სათამაშოებ-წიგნებ-ფეხსაცმელი ეყიდა ჩემთვის, და ამიტომაც ბებიას გააჩნდა შესაძლებლობა და ამიტომაც წარმოუდგენელი გაფაციცებით (—ხომ-არ სახელიდამ — ფაცა? რა მეხუმრება, სხვა ამბავს ვყვები) მკვებავდა, ის და ბაბუა ერთ გროშ-კაპიკესაც თავისთვის არაფერში გამოიყენებდნენ, მე მომაკლებდნენ, რას, ბებია კიდე-რაღაცებით იტკბარუნებდა პირს „დატკბარუნება“ თუ ჰქვია მჭადისფეროსეულებს და ლობიოს და დღევანდელ (2006 წ.) მართლაც პატიოსან ადამიანებსავით ძალიან ძლიერ იშვიათად და ძვირად თუ შეექცეოდა ხორცს ბაბუა სილოვან ემუხვარი კი, დეიდამის-ანეტას შეძლებისადა მიუხედავად ძიძას-თან ჭადზე გაზრდილი ლომს შეჩვეული ახლა შავ პურს აწოდდა წყალში — აბალა აბა რომელი რეინათმკვნეტელი გაუძლებდა იმპურს გერმანელივით-იმ, ლიტრა-წყალიანის, ოლონდაც ბაბუას პური მეტი ჰქონდა (წაკიაზარი კი არადა მაშინაც, ახლაც მოთავადურო ამ სახელდახელოდ ვითო-რიტუალს თუ მართლაც-რიტუალს ჰქმიდ-ანიჭებდა ამ წახემსებას; ეს ის წაფუფუნებარ-ემხვარი შინ-დაგვიანებისათვის ფაცა-ბებიაზა მარგალიტის საყურეები რომ მიჰქონდა ახალგაზრდობაში, ესაც „იქამდეში“-ა... არ გაგიჭირეთ ამ „იქამდე“-თი, საქმე?! — თქვე-უდანაშაულოს, ყოვლად), და ასე შეექცეოდა შავ-პურ-წყალს ოლონდაც მაგრამ როგორლაც ძან-ლირსეულად, ემუხვარული თანდაყოლილი ემხვარობით და, როგორლაც თითან-სიამაყითაც, კი... — კი. — ის მერე რა რომ, უჭირს, და მაინც ამაყურად, უჭირს...

უიპო, ისევ გადავუხვიე მე-ცერცეტმა და მეტიც — ცერცეტა-მემ — აბა პროზისა რომელ-საქმეი არი ცერცეტობია — დააა, მოკლეეთ, როგეახლებოდით მთელ-ორმძლავრ

კატლეტს, „კიდევ მინდა“-მეთქი, ვეუბნებოდი და ისიც როგორი გადახარებულ-გადალფრთოვანებული მაშინვე მიდებდა მორივ-ახალსა და ახალთახალსა-შემწვრულად სუქანსა-კატლეტს რბილი თეთრ-პურის გრძელ-მსხვილ წაჭერზე და „ჰერზე შევჭამ ბებია და უფრო შემერგება“-მეთქი ვამბობდი მე-მოაფერისტო მაგრამ არა-ყოვლად აფერისტი რადგან ცოტათი მაინც და ოლონდ მოკეთილო და, ბებიას „აბა შენ იცი არ დაგივარდეს შენ გენაცვალე შენ შემოგევლე“-ოს შემდეგ მართლაც დიდის სიფრთხილით ჩავიპარებოდი კიბეზე ხოლო პურკატლეტს უბეში ვნილბავდი ვინმე-უცაბედს რომ არ შევემჩნიე და იმ საბრალო, როგორ მართლაცდა შესაბრალისს ტყვეს დიდ-დიდებ პურსა და კატლეტს ვაწვდიდი, რა მადლიერი მართმევდა, კი, ალუნერელი ყოვლად თვალებედნიერი, ხელით, კი, და თვალს კი-ვარიდებდი მაგრამ თვალის კუთხით ხომ მაინც ვამჩნევდი რომ ხარბად არა, არა, არ ილუკმებოდა თუმცალა როგორი სვებედნიერი და, ახლა რომ მახსენდება და წარმომიდგენია თუ რა-როგორი ნეტარება იქნებოდა ტყვესათვის-იმ-იმ დროს როდესაც ჩვენაც გვიჭირდა როგორ, საზრდობა, და ოლონდ მერე, დანაყრებული მთლადაც გლახა-მათხოვრად რომ არ აღქმულიყო ერთ-ორჯელ მორიდებით მიიკაუნებდა თითს გულზე და, თავჩაქინდრული, მეტყოდა ხოლმე — „ინუინერ, ინუინერ“-ო, მეტყოდა ასე, თან ისე როგორ და როგორ ერთნაირად განუსაზღვრელი მადლობით შემომცეკეროდა და გმადლობ, ლმერთო, ეს სიკეთე რომ ჩამედინა ეს ჩემი დიდ-დამსახურება კი არ იყო და თავს კი არ ვიქებ ამ სიკეთისა გამოისობით ეს მაშინდელი მე ანუ ბავშვი ვინც რომ თავიდან როგორ ძალიან იცის სიკეთის ფასი და ქრისტესი როგორმიერია ოლონდ თავისი ვითომაცი-ზრდით რახშირად როგორ იკნინებს ამმადლს ბავშვი და ხოლო იმბავშვობისად-დროინდელი საქციელისათვის იმიტომ ძალიან გმადლობ ლმერთო რომ იმ ვითომცდა ჩემთვის უცხო ტყვეს ჩემით და ჩემგან სიკეთის ჩადენისათვის ჩემთვისაც კირომ როგორ წყალობად გიბოძებია აი იმისათვის-მისთვის ჩია ტანი და ლურჯი თვალები როგორ გმადლობ შენ, შენ ამისათვის, ლმერთო.

განვაგრძოთ, ისევ კიბეებობანა...

IV კლასში ვიყავი, და სასწავლო წლის ბოლო მეოთხედში ძალიან ვიყავი აღფრთოვანებით გადატვირთული რადგან პირველი გამოცდები მედო, ახლა არ ვიცი როგორაა ჩვენ დროს კი პირველი გამოცდები სწორედ IV კლასში გვქონდა. მე ხუთოსანი მოსწავლე ვიყავი, ეს მერე გავხდი სამოსან-დამაკმაყოფილებლოსანი, როცა VII კლასში ინგლისურის მასწავლებელმა პირველი თახიანი დამინერა;

რაც მე ვინალვლე კი არა და მთლადაც რა-
ძალუმ-ვიტრალიკულე პატივმოყვარემ-მე,
მტკვარში თავის დალრჩობაც კი მინდოდა
მაგრამ ლვთის მადლით გადავიფიქრე, ისე კი,
დიდხანს ვჯექ მტირალი წყლისა პირსა, სანაპი-
როზედ; მე-კარიერისტს III და მეოთხე დამწყებ-
ლურ-კლასელს რადიოთი საკუთარი ლექსით
— ალბათ შოთასაც ვჯობდი და სხვა პოეტებს
— პირველ სექტემბერს სწავლის დაწყება მი-
მალოცინეს მთელი-სრულიად-საქართველოსი
მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის, ნინამძღვა-
რული სიტყვებ-გამოთქმა „ძვირფასო ბავშვე-
ბო ახალი სასწავლო ნლის დაწყებას გილო-
ცავთ ქალაქ თბილისის პირველი სკოლის
ნარჩინებული მოსწავლე“ ესა და ეს-ო, რაღაც
რაზმის საბჭოს თავმჯდომარეობაც მქონდა მი-
ნიჭებულ-მისაკუთრებული მე-აკი-კარიერისტს
V კლასში ოლონდ კიდოკაი რომ მხოლოდ
დროებით, კაცო, და, ერთი სული მაქვს, მოკ-
ლედ IV კლასის პირველ გამოცდებამდე რათა
კვლავაც რომ ვისახელო მონინავეურ-თავი და
ხაზი გავუსვა ჩემსა-ისედაც წარმატებულებ
აკადემიურს, წარმატებებს, და, რუსთაველი-
დან დედასთან ვარ სტუმრად ელბაქიძეზე,
და მაშინ უკვე დაშენებული იყო ჩვენს მე-
ორეზე მესამე სართული — „Шахтастрий“ მდე-
ბარეობდა დროებით იქ და, დაგვაბეტონ- დაგ-
ვაცემენტეს, მოკლედ, III სართული ყოვლად
უდანაშაულო, თავზე, ხოლო ადიოდა იქითკენ
კიბე და ის მერე რა რომ მთლად საპატიოდა-
ფელ-ფრიადოსანი ვიყაა ამასთანავე აგრეთვ-
ახირებული ცელქიც გახლდით და, მომენტინა-
რა, გამონაგონებს რა გამომილევდა მაგრამაც
ვაი იმ გამონაგონს:

აბა მერამემდენე საფეხურიდამ გადმოვხტე-
ბი-მეთქი (ჯერ კიდევ აუღებელი რუსთაველის
2-სეული ხუთსაფეხურიანი კიბე ერთის-ახტო-
მით ათვისებული ჯერ არ მქონდა), და იმ
ვერ-ათვისებაზე ხომ უნდა მეყარა რაღაც პი-
რიქითი ჯავრი ანუ ჩამოხტომით მოვინდომე
გამებათილებინა ეს, და ჯერ რაღა თქმა უნ-
და ყოვლად მსუბუქად კი არადა უმფროცაც
ჰაეროვნულად გადმოვხტი პირველ, მეორე,
მესამე-მეშვიდ საფეხურიდან, მერე მერვეზე
შემდგარმა თვალით უკვე ცოტათი გამოვზომე
გადმოსახტომი მანძილი, მეცხრედან — უფრო,
მეათეზე — უფრო, მეთერმეტეზე უმფროო და
უმფრო რადგან ჭირდა, კი, უკვე, ილბლიანად
დამინება და ძლივას აღმოვჩნდი დამინებული
(დაბეტონებული) იმ კიბისნინა მოედანზე, ძლი-
ვასლა ჩავცდი-რაკილა პირველ საფეხურს და
ერთი კი გავიფიქრე ხოარ მეყოფა-მეთქი მაგ-
რამ თქვენც არ მომიკვდეთ — ორიოდ ნამში
მთლად XII საფეხურზე ვიდექ და მოვიკრიბე
მთელი-ჩემი ისი IV კლასელური ძალა და, გად-
მოვხტი მაგრამ რას გადმოვხტი — პირველ სა-

ფეხურს ტერფ-გარეთით ირიბად დავახტი და
მთელი ტანითაც დავეხეთქე, ზედ...

ვერ მახსოვს შინ ვინ და როგორ შემაპრონი-
ალა, და ახლაც არ ვიცი მოტეხილობა მქონდა
თუ დაუეუილობა და თაბაშირში მქონდა თუ
არა ფეხი და ეს ეგებ იმიტომ არ მასხოვს
რომ ამას არ ჰქონდა ჩემთვის დიდ-გადამწყვე-
ტი მნიშვნელობა მთავარი ის იყო ეგებ რო-
გორმე შემძლებოდა ჯოხით ანდა მთლადაც
ყავარჯვნებით სიარული მაგრამ ექიმმა უთხრა
ჩემიანებს რომ ერთი თვე მაინც უნდა ინვესო
არადა ერთს კვირაშიღა-ლ, იწყებოდა, გამოც-
დები...

რაც მე ვიდარდეე... და, ავიხირე — თუ
ჯოხითა და ყავარჯვნებით არ შეიძლება ჩემი
ნასვლა გამოცდაზე მაშინ ასკინკილათი წა-
ვალ-მეთქი — პირველი სკოლა აკი ახლო იყო
რუსთაველის ორიდან სადაც ჩვენს სამ —
კიბეებ-მთავარზე, მიმოხვეულად საშუალოზე
და მერი მარშანიასნინა ვითო-მცირ საფეხუ-
რიანზე საკაცით ამიყვანეს ჩემს როგორ მშობ-
ლიურ, მწვრთნელიურსაც სხვენზე მაგრამ
ხანდახან მოღალატეზე (რადგან რომელ-სხვენ-
შიაც ერთხელ სახურავიდან როგორის დიდის
იმედებით აღსავსე გადმოვძვერი და მაინც არ
გავცივდი, ეეჲ...), ვინექი, ვინექი და ვდარდობ-
დი, ვდარდობდი, გადაირია ის შეგადაშიგ შე-
მოვლილი ექიმი — ჯერ არ გამიგია ბავშვეს
გამოცდები ასე ენატრებოდეს-ო, — ეეჲხხ,
ელაპარაკე იმას, როგორ ვდარდობდი, სულაც
ჩამოვდნი დაძალებულად მიღებული სოუსე-
ბისა და სუფ-ტოლმებისა და ჩახოხბილების
და თავად ხაშის (წატკენ ძვალს უხდება თურ-
მე) მიუხედავად, მე ასე მანამდე არ მიგლოვია
— ბებიას მშობლების გარდაცვალება რატომ-
დაც სულ-სუ ვერ მახსოვს, ალბათ დამიმალეს
ანუ მომარიდეს და გადამმალეს ნათესაობაში
სადღაც, და კიდევ კარგი, რომ, კითხვა ყო-
ველთვის მიყვარდა რაც თავი მახსოვს ხოლო
წერა-კითხვას სანამ-მინამ დავისნავლიდი? —
ნუკი გაიკვირვებთ ძან-ნამეტურ და ნამეტნა-
ვად და ერთი ასეთი მოთხობ-ბალადა-ელეგიუ-
რი (რადგან დარდ-და-ნაღველით უღენთილიცა
და გაბედულიც) დავნერე, ერთ-თავის-ებურად
შევთხზე, ასე მოხდა ეს.

ნაავადმყოფარი ვიყავ ასე 3-4 ნლისა და დე-
რეთანში მეზობლის ბავშვებთან (იურა, ვოვა,
მადონა, ზურიკო, თამაზი, შურიკა) სათამაშოდ
არ გამიშვა ბებიამ — ჯერ კარგად გამოშუ-
დიო და რამდენი არ ვეხვენე, მაინც — არა
და არა და დიდად გულმოსული დავჯექი ფან-
ჯრის რაფაზე და, გულშემოყრილმა დავუწყე
თვალიერება მთლად-გარე ქუჩას იქა კი ალაგ
მცირე ღრმულებში წყალი იდგა და, ბებიას
ჯინზე მოვიფიქრე და, არამცუ დერუფანში
არამედ მთლადაც დანაწვიმარ ქუჩაში ვითომც

გავიჭრი და იცოცხლე იქ მე ავაჯყაპუნე იმ ღრმულებისი ციცქა კი არა და გადიდავებული-როგორ გუბეები და, წვიმდა კიდეც ზედან-ზემოდან ვითომ, და ვეტოდი-დავხტოდი გუბეებში და თან მანვიმდა ისევ და ისევ ბებიას ჯინზე და რა ბედნიერი ვიყავი მაშინ რა ვიცოდი თუ მერე და მერე ჩემი მთლად-მჩატე ლექსებით ვერა მაგრამ პროზით კი თუ რა კატორლაც რომ მომელოდა ასე-20-ოდ ნლისას და აქამდისინ (2006წ.) ასე-კატორლაძნელი როგორ მაგრამ სიმართლე სიმართლედ და — როგორლაც როგორ-რამდენად გინდაც ძნელი? — ბედნიერება, მით...

და, ნეტა სხვებისთვისაც... —

კიდევ გადავხტი ეს-მე ხტუნვითი ბოდიალა გახსენებების შტო-ხშირ ხეზე ტოტიდან ტოტსას მე ისედაც-ხო დატოტვილიც და გავაფულიც მაგრამ ყოველთვის როგორ-ჯიუტად ახალრტოებად გასაღვივი და განსაშტოებელი, მთლად, იმას ვამბობდი რომ როგორ ძალიან მიყვარს კითხვა, მე ახლაც უფრო მეითხველი ვარ ვიდრე მწერალი, ვარ, უფრო სწორად კი — გადამწერი რადგან ვარსებობთ მხოლოდ და მხოლოდ გადამწერლები და გადამმდერებები და გადამხატავები ხოლო ის-ერთი ერთადერთი მწერალიცა და კომპოზიტორიც და მხატვარი და არქიტექტორი — სხვაა, მაღლაა, როგორ, და თუმცა გადამომწერლობით კითხვას კი ახლა ნაკლებ ვახერხებ — ჩათრევა იცის, ხელისეულმა და მელან-კალმისმიერმა გულ, გონ, ხელისა გინდ ვითომაცა ავტო-პროზამ, აი ისეთი ჩათრევა რო — რაის ჭაობი, ამ ჩემს ჯიუტურ გადამწერლობაზე კი უფრო წვრილად, — ცოტათი შემდგომ, და მაშინ-ეია ვკითხულობდი მწოლიარე, რამდენად მეტად რადგანაც მაშინ გარეთა დიდად სხარტი (დაჭერობანა, მრგვალი ვირი, ლახტი) და გინდაც ნელი თამაშები (კოჭობანა, ვთქვათ,) ვერ შემეძლო და ჩემთვის ჩაშლილი გამოცდები რომ არა რა კარგი ჰყოფილა ფეხის დროებითი დაზიანება (მოსამუდმივო ხეიბრობაზე — შემდგომ და შემდგომ მაგრამ ეს რაამბავი შემდგომ-ებია,) რადგან, როგორ მიყვარდა კითხვა როგორი კითხვაკითხვითი და ხან ნელი და ხანაც სხაპასხუპითი ისეთი რომ სულ ფეხისწვერებზე დაიარებოდა ჩვენს კნინ ოთახში ბებია და, კითხვისას შეიგადაშიგ ხომ კატაცა მყავდა, და იმა-კატას ხანგამოშვებით ძაფზე გამობმული ბამბის ფთილათი (არ მქონდა ბამბა ნაშოვნი თუ რა...) ვათამაშებდი რომელ კატასაც, რამდენი წლით როგორ ახლობელს, ჩემსას, არ დამიჯერებთ მაგრამ გამოვტყდე მაინც უნდა რომ არცენ მახსოვს თუ რა ერქვა და რომ ისევ სხვაგან არ გადავხტე? —

IV კლასში? — ! — შექსპირი მისი და რო-

გორ-ჩვენიც თუნდაც ცოტათი და სერვანტესი ის რაროგორი დონკიხოტიანა და დიუმა და მთლადაცჩვენი აქეთ ილია და კლდიაშვილი და ნინოშვილი და იქითე ლონგფელო-თვით და კიდეაქეთ სამაგიეროდ თავად ვაუა და ის მერე რა რომ რომანში ვარ და ამიტომაც თუმცა დაიტევს იმათ ჩამოთვლას რომანის გვერდნნი მაგრამ თქვენ რაღა დააშავეთ მოგონებით ამ რა-ტკბილითა, ჩემ... და მხოლოდ იმას ნავიტრაბახებ რომ მეექვსე კლასში ვიყავი როცა „პიონერთა“ სასახლის (სასახლე მართლა იყო და არის თანაც როგორი...) ბიბლიოთეკიდან ამომწერეს — იმ თუმც მოცუცქნულ მაგრამ მაინც წიგნების როგორ-მრავლადტევად ოთახში აღარ იყო ისეთი რაიმნიგნი რომ არ ნამეკითხა თან არაერთხელ და თანაც ყოველ ჯერზე კი გადმეებითხა კი არა და მთლადაც შემეჭამა და კი არა და არამე-ედ — შემესანსლა რადგანაც, ტვინი? — და, ფანტაზია? — დიდად მსუნავი რამერუმეებია ჩემობატონო.

კი.

არადა, ეს ჩემი თავისქებები ცოტათი მაინც რომ გავიბათილო თუნდ ზრდილობისათვის აკი ის უნდა მოგახსენოთ თუ რაროგორა განუზომელად მთლადა გონჯ-უშნო პატივმოყვარე გახლდით, მაშინ... ვძედავ ამიტომ და არ მეშინია ამის გახსენება რადგან ნებსით თუ უნებლიერი იძლია ჩემში ეს მერედამერე რადგან ყველაფერი ყველაფერი და პატივმოყვარე და ამპარტავანა ნაღდად აღარ ვარ... —ა! — კიდო, კიდო ესი-მაინცი კვეხნა-ტრაბახი! გამოუსწორებელი, მე...

III კლასში რომ ვიყავი, ჩემს სამ ყველაზე უსაყვარლესი მასწავლებელიდან ერთ-ერთმა, პატ. — მასწ-დეიდა თამარ ქოიავა ფოტოსურათის გადასაღებად პირველი სკოლის დიდ დარბაზში, საიშვიათო-ში, ძველბერძნულ-ამბებიანი დიდი ნახატებით კედელზე, შეგვიძლვა, და თუმცა მე ძალიან ვუყვარდი იმასაც, სხვა-ორი ნარჩინებული მონაფე მიუსკუპდა რომელთა შორის ვერ აღმოვჩნდი და, მე-როგორ წყენა-ალგზნებულმა დავკარი ფეხი და სულ ღრიალ-ბლავილით გამოვვარდი სწორედაც იმა-სანაქებო დარბაზიდან სადაც ყოველ-დღე როდი გვიშვებდნენ და ძლივს დამენია დერეფანში რომელილაცა ფეხმარდი-დიდად მასწავლებელი აღბათ ფიზ-მომზადებისა და დიდის ხვერწნით და დაყვავებით შემაბრუნა იმავ დარბაზში იმჯერად მართლაც სანაქებოში რადგანაც ცოტა არ იყოს დიდად გაკვირვებულმა ფოტოგრაფმა გადაგვილო, კი, თამარ-მასწავლებლის გვერდით მე და თემურ აბულაძეს ("წინილა"-ს ვეძახდით მაშინ, მოფერებით, სკოლაში ადრე, ექვსი წლისა შეიყვა-

ნეს; არც ის აღარ გვყავს) მთელ-კლასიანა ის ჯგუფური სურათი დღესაც კი ასე სათუთად რომ მაქვს შემონახული და მთლადაც ცალკეც გადაიღო თამარ-მასნავლებელმა ჩემთან სურათი ასე რომ მასთან, მის გვერდიგვერდ, ორი მთლადც სურათი მაქვს, ვერ დავიმსახურე ბუტიდაბით ეს, თუ რა...

ყოველად ახირებული გაბუტვა ჩავიდინე აგრეთვე სურამს-განაპირა უბან-იტრიაში, სადაც ბებია-ბაბუამ დასასვენებლად წამიყვანეს რაღა თქმა უნდა მამაჩემის შემწეობით და რაღავ თქმა უნდა ზე-ალიმენტურად (მამა, მაპატიე); კარგი ეზო იყო, ხეხილიანი, ბოსტან-ბაღჩიანი, თუთა-ბალი და კიტრ-პამიდორი, რამე, იდგა ფიცრული სახლი მშვენიერი სადაც ჩვენთან ერთად ჩემიანების ახლო მევობარი, კუკურა ბებია — „ფაცა+კუკურა=დებს“ იყვნენ; კუკურა-ბებია თავისი საოცრად კარგი და თბილი და სათნო ოჯახით ჩვენსავით ზაფხულა-მდგმურად იდგა; რა დამავიწყებს ბებია კუკურას ბოს ხმას, და პაპიროსის ფარულად მონევებს რადგან მეუღლე — ბაბუა სანდრო ვაშაძე ძნელი წარმოსადგენი კი მაგრამ იმ გაქანებული სოციალისტუროებიასასაც კი უპატიოსნესი კაცი იყო, საკმაოდ მკაცრი და სამსახურში ალბათ სუსხიანიც მაგრამ ყოველივე ამაზე გაცილებით მეტად თბილი, სამსახურ-გარე მომლიმარი და ალერსიანი, და მიმტევებელიც (პროკურორობის მიუხედავად!) ისე რომ მითამ ვერ იცოდა კუკურა-ბებიას ეს თამბაქოვანი დარღვევები და ვერ ამჩნევდა ვითო და არ იმჩნევდა ამას და კუკურა ბებიამაც თუმცა შვენივრად იცოდა რომ ქმარს გათამაშებულ-ჰქონდა მისი ამ ნიკოტინურად-შხამმომძიმ მისი ერთგვარი ცულლუტობის ვერშემჩნევა-მაგრამ, წარმოგიდგენიათ? — ამის თაობაზე მთლადაც იქით აშაყირებდა ვითომ, მაგრამ როგორი ამ-ხუმრობითაც შეფერილი სიყვარულით ქმარს, — ბებიას ასე ეუბნებოდა: „მაგრა პროკურორია, ფაცა, აგერ ჩემი პაპირობია ვერ გოუგია“-ო.

ხოლო ჩვენი იტრიაული ეზოს მოპირდაპირედ, ზედ მადლიან ტყისპირთან პიონერთა მოზრდილი ბანაკი იყო სადაც ტოლებში გადავდიოდი და დიდად შევეჩვიეთ ერთიმეორეს არამცთუ ტოლები მათ მასნავლებლებთანაც და პიონერხელმძღვანელებთანაც ისე ვიყავ რომ, მონონებული... და ერთხელაც რომ დიდად-ჯგუფური ფოტოსურათი გადაიღეს (ამ ფოტოსურათებს ასე-ხშირა რომ ვახსენებ არ გეგონოთ რომ ხშირა-გვქონდა „ჩატარებული“) თბილისიდანსაგასტროლ-სათავისგამტანოდჩა-მოსული ფოტოგრაფის სამფეხოვანი პაპარატით და მე კი არ მიმიწვიეს ღონისძიებაზე-ამ, — ანდა რად უნდა მივეწვიეთ, მაშინ სიმკაც-

რე იყო ცხოველი და ვაითუ ვინმე ფხიზელი მესაზღვრე რა იყო და არამედ ინსპექტორის გამოისობით განგანურად — „ლევი“ პიონერ-დამსვენებლად ჩავთვლილიყავი და ამაზე ხო — „დასხნიდნენ“ ყველას ეს კიდე-უკეთეს შემთვევაში და, თანაც თუმც სურათების გადაღება მაშინაც დიდად არ მეპიტნავებოდა (ზოგიერთულა-გამონაკლისსა-შემთხვევების გარდა) და ახლა ხომ ჭირის დღესავით მე-ბებერს, მძულს, მაინც ძალიან და თანაც ისე გავიბუტე, რომ... ატყდა და იყო ჩვენს იტრიაულსვ ეზოში თუმც დიდად არეული და მაგრამ მაინც პოლიფონიური დელეგაციების ხმიანობად-მოგზავნა იმ პიონერთა ბანაკის დიდად სხვადასხვა დაბადებისა-წლიანებით განსხვავებულებისა — პიონერები, მოახალგაზრდავო ფიზ-მომზადების მასნავლებელი და იმისი ასისტენტი, და სხვაც სხვადასხვა განხრის მასნავლებლები, როგორ ფარულ კეთილად იღიმებოდა ბებია-კუკურა, ლიმილისასაც კი ამასთანავე როგორდაც როგორ-ლამაზად ბოხსმიანი — შეგვაჩვია, ისე-შვებურად, ხმას-თავისს, და, როგორც იქნა, დავდე პატივი „მშრომელთა და გლეხთა სისხლში შელებილ (მაინც ე-რაგამოთქმა იყო, ვიჲ...) ნითელყელსახვევიანებს“ (—მასნავლებლებსაც რაღა თქმა უნდა ეკეთათ) და შეცურიგდი — „ფოტოგრაფი და, რეპეტე და, — ხვალაო“.

როგორ ველოდი კვირაობით მამას ჩამოსვლას... სურამის რკინიგზის სადგური ჩვენგან შორს იყო, ჭირდა იქ მისვლა, მაგრამ კარგად ვიცოდი თბილის-სურამის მატარებელი როდის უნდა ჩამომდგარიყო იმ შორეულსა თუ ახლობლურსაც ლიანდაგზე, რამდენ ხანს მოუნდებოდა მამა ჩვენამდე ფეხით მოსვლას, ვიდექი ჭიმკართან, ველოდი, ველოდი, დაა, რომ გამოჩნდებოდა, სხვა დროს მე ვითო-ლირსეული — „არ ვათამამებდი“ ჩემეულ-მოფერებითულ ლიმილითაც კი მამას თბილისურ-კვირაობით, და იტრიაში კი გამოვარდებოდი ეზოდან, და გავიქცეოდი-გავიქცეოდი და დავეტაკებოდი შუბლით მკერდთან და ორთავე ხელით ძალიან მაგრად ჩავებლაუჭებოდი მამას, მამას ავყავდი ხელში, ფრთხილად მკოცნიდა რადგან ბებიასაგან არ იყო მიზანშენონილი ეს (ბაცილებ-შემთხვევითობა ანდა რაიმ-ამგვარიო; თავის თავს რაღა თქმა უნდა მესაბაცილეოდ არა სთვლიდა...) და ბევრად თამამად გადამისვამდა თავზე ხელს და ალბათ ამასაც ეჭვიანობდა ბებია მაგრამ მე იმნამს მამას გარდა ვიღა მახსოვდა,

და დამატარებდა სურამის „ცენტრში“, სადაც რომ იყო თვით კარუსელიც და აგრეთვე გრძელი და კოსტა „აინონა-დაინონა“, იყო თვით ტირი სადაც „воздушка- თოფით“ ვის-

როლიებოდი ფუნჯოვან ტყვიებს მე — ვერ-სნაიპერი მაგრამ თუ ასე ხუთ-ექვსში ერთხელ უანგმოდებული გაბრტყელებული რკინის კურ-დღელი ანთუ მელია, ნახევარნირედ ჩამოკონ-ნიალდებოდა აპ არა ჰქონდა ჩემს სიხარულს რაიმ-სამზღვარი, მერე მამას შევყავდი სახელ-ნგანთქმულის დაბა-სურამის ალბათ საუკეთე-სო რესტორანსა თუ სასადილოში და ალბათ საუკეთესო კერძებს მირჩევდა მაგრამ არც იმ სასადილოთურესტორანი და კერძები სულ-იო-ტისოდენადაც კი არ მახსოვს რადგან სხვა ანუ ზემორეჩამოთვლილი ამება-ნი, მამით-ლიდერულ-ჩამომსვლელით წამონყებული ძლიერ ფარავდნენ რაცვინდა უგემრიელეს, გე-მოთი გინდაც მარა-როგორად-შემოზავთებულ ნაყროვანებულ ულუფა-კერძი ის მარტივი-რო-გორ და ძვირფას გასართობები,

რა ბედნიერი ვიყავი, მაშინ, მაგრამ, მო-გეხსენებათ, რაგინდ ბედნიერი, დრო, მაინც გადის ხოლოკი რლვევად ბედნიერებისას? — სწრაფად, კი, უფრო, და მომაცილებდა ჩვე-ნი შეკის დასანყისთან მამა და იქავ კი ჩე-მი როგო-ერთგული ვახტიორ-ბებია იდგა და მხოლოდ ახლალა ესალმებოდნენ ერთმანეთს მამა-ბებია, და როგორ მიკეირდა მე-ბავშვს ჩემთვის ასეთი უახლოესი ადამიანების ურთი-ერთ-არცოთუ-აღფრთოვანება, და ის საკმაოდ-სუცოტა თავდაჭერილობა ხომ ნალდად ძევდა, კი, მათში, ამის მიზეზი კი,

გახლდათ:

სამ-ოთხი წლისას, მამა თავისთან მიტაცებ-და ამ სიტყვის ყოვლად-საალერსოულო გაგე-ბით, რადგანაც მე საბავშვობალელს ჯერ მიყი-დიდა და მიყიდიდა იმდროინდელურ რაცვინდა უხეშ მაგრამ როგორ-თვალდაგულწარმტაც სა-თამაშოებს რადგან სილამაზისა და სინატიფე-საკენ მეტ წარმოსახვას იწვევ-იძლეოდნენ და, გახარებულს, წამიყვანდა თავისისა-შინ-ს, იქ კი ბიძაჩემი ვანია, რომელსაც დიდად-ზე მეტად ძალიან ვუყვარდი როგორც-თვით გვარისგამ-გრძელებელი არადა რა დიდი-ისეთი გვარი ჩემია მაგრამ ჩემთვისაც ახლა ეს გვერი ემხვარზედაც მეტია თავისი რაღაც-როგორ-დაც მორიდებული გამოურჩევლობით, ხოლო ემხვარებმა კი გააკეთეს თავისი საქმე თუნდ ზეპირ-გადმოცემებითაც — წითელმარსკვლა-ვიანთა შემოთრევა იყო და, რამდენი ყაჩაღად გავარდნენ და „პაკი აბბა“ში უჯუშ ემხა აკი ერთ-ერთი ემხვარია, და ბიძაჩემი რომელიც ჩემს ერთ რომანში საკმაოდ ვრცლად მყავს (ვაჟე!.. კაცო, ესი „იქამდე“ არ გეყოფოდათ რომ გაემართ და ახლა კიდე ჯერ როგორ გრძელსათაურიან „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა ჰოლივუდი“ს რომ გახვევთ კიდეე, თავს?), და ამოვარდებოდა ჩე-

მი შინ არ-დაბრუნებით გულგახეთქილი ბებია-ჩემი მელიქიშვილის 45-ს მეოთხე სართულზე (ანუ სხვენზე, იქაც სხვენზე ვცხოვრობდით... ამ სხვენ-ობებით რაღაც დასაფიქრებლად მის-ჯილი იყო ჩემს ბავშვურსა თავს, მე მგონი კარგი...) და, დამაყენებდა მამაჩემი — ჩემი მი-თომცდა „მომთაფვლელი“ ყველას წინაშე და, მკითხავდა ხოლმე, მე ვაიდ-ბეჩავს, საბავშვო ბალელს, რომ, როგორც შენ იტყვი ისე იქნე-ბაო, ვინ გირჩევნია — ბებია თუ მამა?

ააპ, რაც მე მაშინ მატყდებოდა, თან რო-გორ ბავშვურ, მცირესა თავს, თანაც ძალები ერთის შეხედვით დიდად უთანასწორო იყო — იქით თავი და თავი მამა, მასთან — მამაჩე-მის მამა იოსები, დედმამიშვილებში ისიც ცა-ლი მამაკაც-დოჩანაშვილი, მამის დედა, მამის ძმა, უმცროსი მამიდაჩემი ელენე და უფრო-სი მამიდის შვილი ლამარა, ხოლო აქეთ კი ერთილ-კინკილა ბებიაჩემი, და თუმცა მამაც და ბებიაც ყოველთვის, მაშინაც და ახლაც, გარდაცვლილები, როგორ განუზომლად და სწორა-თანაბრად მიყვარდნენ და მიყვარს, და მაინც მაგრამ ბებიას, მე-შვილიშვილისათვის რაღაც უმაღლეს-ქალური ხიბლი ჰქონდა და თანაც მარტო-დ იყო ახლა, მთლად ექვსი მო-ნინააღმდეგის წინარე, ასე რომ ერთზე ექვსი მოდიოდა, და მე, მამის წინაშე როგორ ძალი-ან დარცხვენილი და ანითლებული ბებიასაკენ ჯერ ფრთხილად — მაგრამ როგორ გადაწყ-ვეტილად — წარვდგამდი ნაბიჯს და მერე გავქანდებოდი მე-უშიშარი და ძალიან მაგრად ვეხუტებოდი და რაღა დარჩენოდა სასონარ-კვეთილს, როგორ, მამას, და, ჰო-ჰო რა-რო-გორ გამარჯვებულს მივყავდი ბებიას ელბაქი-ძისა იმ შემთხვევაში ვითო-დაღმართისაკენ — აპ, ის ქუჩაში მიაბიჯებდა? — ტრიუმფატორი, იმასთან აბა-რომელილ გაია და იულიუსია-ცე-ზარია და ამისთანები — სინამდვილეში ჩვენსა დაღმართზეც სუ აღმართ-აღმართ ფრენდა გონება-გუნებაში მთელის არსებით, და,

არადა რას მიკეთებდნენ მაინც, რას სჩადი-ოდნენ ჩემდამი თავიანთი იმა-თავიანთი სიყვა-რულობიობით, რომელი მტერი დამმართებდა ამას მერეც, ჩემს ცხოვრებაში, ის რა-შავდლე-ში მაგდებლნენ კი არა მთლადაც ცეცხლოვან კუპრში იმა-თავისი სიყვარულით ჩემი ორი ყველაზე ახლობელი მთელ-ჩემ აბურდულ ცხოვრებაში ჩემი სამიოდ ბავშვის გარდა მაგრამ, ახლა რომ ვუკვირდები, თუკი მწე-რალი ანუ გადამწერი ჯერ როგორ სუსტად შევკონინდებოდი და ასე თუ ისე დავდგებოდი მერე და მერე ასეთ-ისეთად, ეს ყველაფერი? — ეს საამომრჩევნულო გამოცდა?, და დედ-მამის გაყრით გამოწეული აღუნერელი ყოვ-ლად ვაებად-დარდი ბავშვისა, — ანუ გამსრე-

სად ზეითი, როგორ, და ისა-ჩემი ბავშვურად ანჩხლი ბუტიაობებიც და ავადმყოფობებიც და მუხლ-იდაყვთა გადაყვლეფები და მოსულელო ლექსთანერაც და გრიშაშვილდამარშანია და გერმანელი ტყვე და აუარება სხვაც ბევრი რამ რომელთაგანაც მხოლოდ ზოგ-ზოგთ გადმოგცემთა და გაგიზიარებთ, — ჩემ-ზედაპირულაც ჯურლმულებიანა პროზისათვის მაინც მშველელად საქმე იყო, კი, კი, —

ერთის შეხედვით უცნაურია, არა?

ხოლო შემდეგ წელს სადგურთან ახლოს ვიქირავეთ სურამში ბინა, კუკურა-ბებია თბილისში დარჩა ოჯახიანა რადგან შვილიშვილს ელოდა, და ახლა კი უკვე ზედ-სადგურშივე ვხვდებოდი მამას და ბებია კი გაფაციცებით მყარაულობდა სანამ მთლადაც-სულ საბოლოოდ გაჩერდებოდა ორთქლმავალი, და როცა ერთ-ერთხელ სიამოვნებით და ჩემი ბავშვური ანუ უსაზომოდ ბედ, ბედ, ბედნიერი ბედნიერობებით მთლად თითქმის-რო გადაყირჭებული — „თითქმის“ იმიტომ რომ მამა მიდიოდა და მეკი ვრჩებოდი და რომ გამიყვანა სადგურიდან ათიოდ ნაბიჯზე ბებიამ მამისკენ მივატრიალე თავი და, რა დავინახე:

ვიღაცა ქალთან ერთად, იყო...

და, ჩემი ბავშვური ანუ ნალდი გუმანით ვაი რომ ძალზედ ცხადად მივხვდი რომ ეს შემთვევით შეხვედრილი ნაცნობი კი არა, თბილისიდან მასთან ერთად გამოგზავრებული მისი „მორიგი“ ქალი იყო რომელიც ალბათ აუტყდა რომ — ეს ძან მერე დავაზუსტე და დავიდგინე — ნამიყვანე რა იქნება არ დავენახე ბავშვს მხოლოდ გზაში ვიყოთ ერთადო — და, რაც მე ჩამშხამდა მე-ვუიდს გინდაც კარუსელ-ტირ-აწონ-დაწონებიანი ის ბნელი კი არა, როგორ ცუდადგიზგიზა დღე და როგორზე ვაიდ-უშველებელს, ვიყავ..., —

მაგრამ, პროზისათვის,

აი ესაც კი, კარგი იყო.

ხოლო იმ ჩემი ახირებებისაგან ხიფათი მუდამ, გავიძლიეროთ გამოთქმა და, მინყივ მდევდა.

ხეებზე აძრომა მიყვარდა ძალიან და ბებიას თუ როგორმე დავიძორიშორებდი — ხომ უნდა ნასულიყო თუნდაც ბაზარში, რომელ ნებისმიერ ბაზარ-ბაზრობებშიაც ჩემი ნაყვანა ასე ვთქვათ „კატეგორიულად“ არ უნდოდა და აი რატომ:

მგონი სულაც სამი ან დიდი-დიდი ოთხი წლისა ვიყავი მამამ თავისი სამხედრო მაზარადან ანუ შინაურულად შინელი-დან ჩემთვის მთლადაც-სამხედრო „მინი“-მაზარა შეაკერინა და ზედ თავისი სამხედროული წოდების — კაპიტანის სამხრეებიც დაასკუპებინა თერძს და ასე-გასამხედროებული ნამიყვანა ბები-

ამ ვერის ბაზარში (ახლა იქ ბაზარი აღარა, არამედ ხილ-ბოსტნეულის ყოვლად უკოლორიტო მაღაზია), და, უცებ, მსტაცა ხელი მთელ-სამკაციანმა პატრულმა და იქვე ბაზარის კომენდატურაში შემიყვანეს ხოლო ბებიას ხიშტისთოვიანმა არაქართველმა გუშაგმა მთლად პორიზონტალურად გადმოღებული თოფით გადაუხერგა გზა და ასე აუკრძალეს ჩემთან შემოსვლა და ვბლაოდი მე, თავი და თავი მგონი ნართმეულ-ბებიასათვის და სიმართლე თუა იყოს და მგონი უფრო ჩემთვისაც როგორ არ ვბლაოდი რადგან ყოვლად აუხსნელი ის ჩაუდენიათ რომ (ეს ძალიან-მერე მიამბეს ახლობლებმა... იცით ვინც...) თურმე ჩემი კაპიტანობის დამასაბუთებელი მოწმობები მომთხოვეს და არაა ძნელად მისახვედრი რომე ასეთი დამასაბუთებლობანი არა მქონდა რაღა თქმა უნდა ამის დამადასტურებელ-დოკუმენტებიანა და ბებია კი იქაურობას აბაროგონ გაეცლებოდა და სანამ იღბლად რომელიმე ნაცნობს ნააწყდ-გამოჩერეკდ-იმოვნიდა ომიანობისას ისედაც ყოველმხრივ ჩხინვ მაგრამ მაინც ხალხმრავალ ბაზარში და მამასთან უტრანსპორტოდ ანუ ყოვლად მხოლოდღ-ფეხებით ნარავლნ-აფრენდა (მამა ორთაჭალის ბოლოში მუშაობდა, არ გაგელიმოთ და, ისიც ციხეში...) კარგა სამ-საათს ვუყურყუტებივართ მკაცრ მაგრამ თანაც არასამართლიან დიდად პირშიმთქმელ კომენდატურაში რომელი ის სამი საათი მე ცუდად მახსოვს, რადგან ჩემი იქ მხოლოდღა დიდად-გაბმული ღრიალი და ქვითინი და ტირილი და გულ-ამობუირებულ-დაოსებულზე სლუკუნი მედგა და ესლალ მახსოვს და ისიც ცრემლებშუა დაბინდულად და როცა — ნარმომიდგინეთ მე-როგორ ძალიან-იმედ-მოცემული როცა შემოვიდა მთლად კაპიტანი, ჩემი მამა (კაპიტანი კი არა და იმდროინდელი სტარში ლეიტენანტი ამ ჩვენდღეინდელ გენერალს და თან ზედაც ორსაც კი უდრიდა, კი,) და მასზე დაბალი ჩინოსანნი ყოფილა იქ ყველა და ფეხზე სხარტადა ნამოიჭრნენ ყოჩალები-ის (ისემც...), და მამამ რომ ახსნა ჩემი ასე-კაპიტანობა იმით რომ მთლადაც რუსულად ახსნა (კარგად იცოდა) და განმარტა რომ მე ამ ჩემი შინელ-სამხრეებით სოლიდარობას ვუცხადებდი არმიას, რომელიც ასე თავდადებით იბრძვის ოკუპანტების ნინაალმდევ ხოლო მისი ეს ახსნა-განმარტება თვით ჩემი, მისი ერთადერთი შეილის დახსნის გარდაც ხომ, სრული სიმართლე იყო

და მე ისეთი გახარებული მაგრამ რაროგორი ტანჯვანაგემი რომ დავბრუნდი შინ, — ის თურმე „მერე რა“ რომ მამით გაბედნიერებული მაგრამ ამაზე უფროც-მეტადაც სულით როგორი ნაგვემი და მისავათებული და დაოსე-

ბული ბავშვი და თუმცა ბებიამ კიუსაყველურა „სუშენი ბრალია პეტრე ამბოვშს აბარა ეკაპიტანებოდა“ო,

მაგრამ პროზისათვის, ესაც, კი, უთუოდ კარგი იყო, კი. —

დიალხსთ, კი. სულაც არაა უცნაური, ეს.

მაგრამაც შემდგომ „შინაურულსა-მოტაცება“ზედ მაინც ისევ ბებია ვირჩიე, კი, ხოლო ის ჩემი პირველი მოტაცება კი არა და მთლადაც დაჭერულ-დაპატიმრება როგორ დამებედა და, ნარმოიდგინეთ, ასევე ის უნებური გამოთრობაც კი და, ჯერ ასე-თავიდან მთლადაც-ნამეტურ ნუ გაიკვირვებთ, ამას, 5 თუ 6 წლისა ვიყავი მაშინ, საქარის მევენახეობა-მეღვინეობის მეცნიერულ თუ სამეცნიერო საცდელ-სადგურში იქ ბიბლიოთეკარად (თუმცა ქიმიკოსი იყო) მომუშავე ჩემს უფროს მამიდასთან, როგორ დინჯად-კეთილ მამიდა სონასთან რომ „ვისვენებდი“ (— მე და, დასვენება?) — ბებიაჩემს მამის მხრიდან სახელად ოლგა-ს კი არა ოლღას ვეძახდით ქართულად მაგრამ ეს — ოლღა იაკოვლევა გუსევა შვილებს — სოფიოს — იოვანეს — ვანია, პეტრეს — პეტრა, და ელენეს — ლია — ს ეძახდა და ჩვე-უველანიც-მისიანებიც ასე, მეც — რა თქმა უნდა მამაჩემის გარდა (— მამა-ს სახელის დამატება რაღად უნდოდა) და, მამიდაჩემ სონიასთან იმ-ჩემებურად დასვენებისას, ერთხელ ძირითადად ლვინიანი სუფრა რომ გაიშალა და მე მაგიდასთან მომენტინა და აივანზე (პირველ სართულსაც, ჰქონდა) გამოვედი და იქ კი სახარინისა ლიმონათები იდგა და რაკი ვერც ერთი ვერ გავხსენი იქვე ცოტათი მოგანსხვავებულონა კულული ბოთლიც იდგა ლიმონათისა-ფერიანი სითხით და რომ გავსინჯე, მაინც დიდათე-მომენტია ის გაზგაცლილი „ლიმონათი“ და ვწრუპე და ვწრუპე და, პატარა ხანში, აივნის იატაკზე პირქვე დამხობილ-განოლილი ძლივს შევუტანივართ ოთახში რადგან თურმელა ხელებ-ფეხთ ძალზედ უღლონდ-ილაჯგამოცლილიც მაინც კარგა-ჯიუტად ვასავსავებდი და გაუგებრად ყოვლად, ვლულლულებდი და ჯერ ძან კი შემინებულან მაგრამ იქვე დაუდგენიათ თურმე რომ, მიზეზი ამისა... — თურმე, ნუ იტყვითა და ისი სითხე-რამ უნყინარული ლიმონათი კი არა მთლად პორტვეინი არა ჟყოფილა, თურმე? ასე რომ, ჩემს სხვადასხვა მომავალ პროფესიებთან (მუსიკა, არქეოლოგია, პროზა, ცოტათიც დრამატურგია, ნეტაროგორი ადამიანობ-მოქალაქეობა და სხვ.) ერთად ბავშვობიდანვე დამყოლია (ბებიასებურად — „დამყოლებლარა“) მაქსიმუმობით „სმა და სმა

უნდა ლვინოსა“ და რეციდივისტულ-დაჭერვობანი და ვცოდავ მაგრამ, სიმართლეა — ხოლო, პროზისთვის, ყველა ესენი? — კარამ იყო,

და ცელქობები და მათგან ნაწვნევი უილბლობანი მაინც როგორად კარგი იყო, და მეზაფხულობითი ასე ვთქვათ „დამსვენებელი“ დასვენებაო კი არა და რამდენად მეტად ვიქნებოდი როგორ-ანც-ცელქობებით მაშვრალი, ერთხელ კი, ბებია ბაზრად წასული რომ ვავიგულე — ბებია იმჩემი კომენდატურული დაპატიმრების შემდგომ არანაირსა ბაზარს ახლო არ მაკარებდა, ის კი არა და ქუჩაში ყოვლად უნყინარ პანტას თუ ყიდდნენ იქაც კი აუჩქარებდა, ფეხს, და რას გავუშვებდი ამ უბებიაოდ-ხელსაყრელობას და, სურამისა იმ ეზოშია-მდგარ ხეს მივაშურე და თუმცა ჯერ რადროს კომში და ბია და მათი მწიფობა იყო ივლისში და მაგრამ რაღა თქმა უნდა ავძვერი მაინც მე-იმთავითვე-როგორნეიფათებ-ფათერაკიანი და კარგა ხნიერი და მოზრდილი ხე იყო და მივიწევდი და მივიწევდი მაღლა და მაღლა იმ „შახტასტროი“ს კიბებისა არ იყოს და იქამდე ეს — ვითო-ამაღლება, რომ, სანამ თითქმის სუმთლად მაღლითა ნენელივით ტოტი ფეხქვეშ არ ჩამიტყდა და თავდაყირა ნამოვედი ხის ქვემოთ ქვებით შემორაგული მინისაკენ (მოგეხსენებათ, მინის მიზიდულობის კანონი) და სული დროებით კი დამყვებოდა მაგრამ აღარ ამომყვებოდა იქა-იმ ქვებზე დანარცხებულს მაგრამ სნორედ იქ, ხის თავიდანსა განშტოებაში შურდულივით რომ იყოფა გავეჩირე მარჯვენა ფეხით (მე ფეხებიდან ძირითადად მარჯვენა ფეხზე მომდიოდა ფათერაკებისგან წვნევა, მენისკი იქნებოდა ეს, მოტეხილობები თუ სხვა,) და სიკვდილს კი გადავურჩი მაგრამ ის წვივი მთელს სიგრძეზე მთლადაც ძვლამდე გადამიტყავდა ერთ ადგილას კი ისეთი ნაიარევი ამომეზარდა რამდენიმე თვეს დავატარებდი ცერისსიმსხოსას ხოლო ესა კი, თუმც როგორი ძნელი და რაცუდი და მტკიცნეული იყო მაგრამ პროზა ხომ უცნაური დარგია აკი, რადგან პროზისთვის აი ესაც კი როგორლაც მაინც როგორ საჭიროდ-კარქი იყო,

და რამდენი რამ მელოდა, თურმე, ამგვარიცა და უარესიც კი, რადგან ჩემს პირველ რომანამდე, „სამოსელი პირველი“, სუფთა ქალალდის როგორ-მიერი, კარგამოზრდილი გზა მედო თურმე,

კი.

კი; —

გადმოსაწერი, იყო...

/გაგრძელება იქნება/



ქართული ხარჩების

შურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ 75 ცლის იუბილეს ულოცავს ავაზა-სავით გემართულ ძართვებ პოეტს, პა-ტონ ჯანსულ ჩარპვიანს და უსურვებს ახალ გემოებით ცარებაზებს და დღეგრძელობას ძართვები ერის გასა-ხარად.

„ვახოშვილი ღრუჟალი“ თიციან ტაგიძეს

დაგვერევიან ლამე კეტებით,
დღის მოთმინება ზღურბლზე მივიდა,
ტრამალ და ტრამალ დავეხეტები,
ფეხმოტეხილი ლრუბელივითა.

მთვარეში ვხედავ ეშმას ტანმორჩილს,
ზურგზე მათრახი გადაგვიჭირეს,
ვართ ბენვის ხიდზე, მზეო, გამოჩნდი,
მზეო, ნარსული გადაგვირჩინე.

ბევრი მინახავს ცოდვის ჩამდენი, —
მაშინაც, როცა დარი მზიანობს,
ვხედავ, სიზმრიდან მოდის გამდელი,
ჩვენი ცრემლი რომ გაიზიაროს.

შეჩერდი წამით, არ შემოხვიდე,
შეჩერდი წამით, წარსულს გვართმევენ,
უპატრონოა ჩვენი ოხვრის დღე, —
ეს გვინერია ალბათ ქართველებს.

იმღერეთ ხალხო, — „ჰარი-ჰარალი“,
ჩვენ, ჯოჯოხეთში ვპოვეთ ცხოვრება,
დღეს, აღარავის, დღეს, აღარავის, —
„სინდისი აღარ მოეთხოვება“.

თრთი და ორი ირონია

ყველაფერი ცით მოდის,
მოდის ნიაღვარად,
დირიჟორი ვიცოდი,
დირიჟ-ერთი — არა.

გზებით, ვინრო-ვინროთი,
გული გამებზარა,
რეჟისორი ვიცოდი,
რეჟის-ერთი — არა.

ქვეყნად „ნაღდი“ ვინც მოდის,
ერთადერთი — „კმარა“,
პროკურორი ვიცოდი,
პროკურ-ერთი, — არა.

დავალთ ქვეყნად ღვთის ცოდვით,
ქალაქს შხამი ფარავს,
რეკეტიორი ვიცოდი,
რეკეტ-ერთი — არა.

აღარ მჯერა სიცოცხლის,
„უილბლო“ ვარ გვარად,
პოზიორი ვიცოდი,
პოზი-ერთი — არა.

ძმათა ცოდვით ვინვოდი,
მარად, მარად, მარად,
დიქტატორი ვიცოდი,
დიქტატ-ერთი, — არა.

ჩვენი გზა

დახვალ, ვითომ ლორდი ხარ,
დახვალ, ვითარ თავადი,
რა გზიდანაც მოდიხარ,
იმ გზაზე ხარ მარადის.

შეღობილი ყორეთი,
ხარ ცნობილი ქილიკით,

ვიწრო იყო ყოველთვის,
შენი გზა და ბილიკი.

ამ გზით წასვლა გირჩიეს
ისევ შენმა მაყრებმა,
ეს გზა შენ აირჩიე,
ეს გზა გეამაყება.

გზა სავსეა ვირთხებით,
გსურს, ბოლომდის გამაგრდე,
ახლა, ღმერთს ეკითხები, —
„რა ვქნა, რა გზას დავადგე?“

ის გპასუხობს შექებით, —
ვერ მოგირჩენ იარებს,
შენი გზა შენ შეჰქმენი,
ჰოდა, მაგ გზით იარე.

არც სურს თვალის შევლება,
მომავლის გზის მზიანეთს,
მართლა რა გვეშველება,
სულ თუ ამ გზით ვიარეთ?

...
ყველაფერს სხვას აბრალებ,
უფლისადმი რისხვით ხარ,
იმ გზით დახვალ ქართველო,
მარად რისი ღირსიც ხარ.

30ლაცის ჩაროდაც - 30ლაცის ჩაროში

999

ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტსა,
გჭვრეტდით ცხრიანით — სამით,
ბედის ოქროს ბარძიმო,
მობრძანდებოდი საით.

არც ჭყონდიდელის ჯვარი გვაქვს,
არცა თამარის ჯვარი,
არც ნინაპართა ჯავრი გვაქვს,
არცა მომავლის ჯავრი.

მობრძანდი, მწყემსო კეთილო,
მცხეთის ჯვარს უთხარ ლოცვა,
აღარ გვნამს აღარც განგების,
ქართველნი ერთურთს ვხოცავთ.
აღარ გვნამს აღარც ძველისა,
აღარც ახალი აღთქმის,
ახალი ქარი კი არა,
ის ძველი ქარიც არ ქრის.
ვაი, მზიანო ქვეყანავ,

ჩაბნელებულხარ როგორ,
რა იქნა ძველი მარანი,
ძველი ჭური და ხორგო.
რა იქნა შენი ვენახი,
„ჩაკრულოც“ გაქრა სადღაც,
ცრემლი მოუსხამს ყველა ხეს,
ვიწყებთ საფლავის გათხრას...
რომ შიგ ჩავმარხოთ იმედი,
აწმყო დავუთმოთ ეჭვებს,
ბნელეთის ზღვართან მივედით,
ღმერთო, მომავალს ვერ ვჭვრეტო.
რა არმალანი გვიბოძეს,
რა აღსასრული გველის?
ვეფხვთა და ლომთა ქვეყანა
ვინ ცნო ქვეყანად გველის.
გავშორდეთ მტერს და წარმართსა,
იქნებ, აღდგომა მოდგეს,
მაშინ ვიპოვით სამართალს,
ერთად დავდგებით ოდეს!

ჩიმო ხალხო

ვინ გაიგონა სხვისი ბერია,
რა საჭიროა სხვისით ბაზრობდე?
გახსოვდეს ვარდი სისხლისფერია,
სისხლისფერია ვარდი, გახსოვდეს.

ესაა — მეფე, ეს ვალეტია,
ვერ არჩევ, რადგან მოკვდი მტრის ქებით,
დაიმახსოვრე, დღეს, თვრამეტია,
შენ, ოცდაერთში აღარ იქნები.

ვარდგულგულიანი

ვითარცა ზეცას მზე ახლავს,
ვით ბნელს სურს მთვარის დანახვა,
უეკლო ვარდსა ვერ ნახავ,
ეკალი ვარდსა თან ახლავს.

ძველი ფოთოლი მიაქვს ქარს,
გული შეჭამა უგულომ,
უშენოდ ვარდი ვინა სთქვა, —
სად დაიკარგე ბულბულო?

ვარდები შემაჯავრესო, —
შორიდან გვისტვენს ბულბული,
ხანჯლები ჩვენაც ავლესოთ,
ისმის წინაპრის ბუბუნი.



გრიგორი მოსახლე

85 წლი ბაზაფხუცის მოცოდნში ანუ სახუსის ქვეყანა

... დაგვისექტემბრდა. გარომანტიულდა განწყობა. უცხელესი, ქანცგამცლელი ზაფხული ნარსულმა გულგრილად ჩაიბარა და, თითქოს ჯერ შორის ზამთარი, მაინც უკვე გვენატრება იასამნის სურნელი; ალბათ, შემოდგომის პირველმა წვიმებმა გამოაფხილა დასიცხული სევდა...

თბილისი — კუპეცების, ბიურგერების, ბურუუების, ბიზნესმენების ქალაქი!

ვაჭრობა — მსხვილი, წვრილი და საშუალო!

... და ყველაზე „უმსხვილესმა“ შეიძლება არც იცოდეს, რისი ღმერთები იყვნენ მერკური და პლუტონი.

... და „დიდოსტატს“ „ბიზნეს-პროექტების“ და შტამპების, ფრიად განსწავლულს

„ინგლისურსა“ და „კომპიუტერში“ სულაც არ სჭირდება იმის ცოდნა, რომ პითაგორი აბაკით ანგარიშობდა...

თუმცა, არა! ჩვენ ვცდებით — ამ თაობას გენეტიკურად გადაეცა ის სრული ენერგეტიკული ინფორმაცია, რომელიც ათასწლეულების მანძილზე გროვდებოდა კაცობრიობის ცნობიერებაში!

რა სიბრძნეა?!

მაშასადამე, ამ არაჩვეულებრივი დროების მაქსიმა ძალზედ უბრალოდ ყალიბდება და ღვთაებრივი კლიოს მიერ აღნუსხული ყოველი მოვლენის გათვალისწინებით მიღწეული აპოთეოზი ასე ღალადებს:

— როცა ყველაფერი მთავრდეება, იწყება ვაჭრობა!

თბილისი, თბილისი ...

— მაგრამ მაინც რა მოხდა 2006 წლის ნინათ იერუსალიმში?

ნუთუ მართალი არიან, ვინც „იუდეის პროკურატორს“ დანტეს „ქრისტიანობამდელ ქრისტიანთა“ რიგებში რიცხავს?!

ერთ წამში წაშობ, მაგრამ ორ ათასწლეულზე მეტხანს ნატანჯი აზრი დამღუპველია — რომ არ ყოფილიყო იუდა, ქრისტე არ იქნებოდა მაცხოვარი!

სოფიზმი.

პოსტულატები და ფორმულები (ამბობენ ცივი გონებაო, მაგრამ არა!) — გაყინულ-ტვინიანი მათემატიკის შვილობილები!

აქ გული გარდაიცვალა...

ვაჭრობა მათემატიკის გარეშე? — სასაცილოოა! გულის გარდაცვალება კაცობრიობას ამაზრზენი ოთახის კარს უდებს, სადაც მას (კაცობრიობას) დედა (ქმნადი, ქმადობა, ღმერთი, განგება, ან როგორც გენებოთ!) ეუბნება:

— მე გშობე შენ, რათა განაგრძო სიცოცხლე!

პირველი „კონტრაქტი“?! გაცვლა-გამოცვლა? აღებ-მიცემობა? ვაჭრობა?!

დიახ, რა თქმა უნდა, ოღონდ:

— თუკი გული გარდაიცვალა!...

... თბილისი, თბილისი, თბილისი...

წმიდა ჰიპოტეტური კითხვა, გამოწვეული უბრალო ცნობისმოყვარეობით:

— ცხოვრობდა ის ადამიანი გაცილებით უფრო ადრე, თუ ვახტანგის ქალაქში გაულია?!

— აი, ის, ვინც თქვა — მადლი ქენიო...

— რა დროა ახლა? — ქვათა გროვების?! ვაჭრობის დროა პლანეტა \$ -ზე!

გზები — იცვლება.

გული უკვდავია, მაგრამ კანონზომიერება კი, თუნდაც მხოლოდ ისტორიული, არა,

კი არ გარდაიცვალა — საღათას ძილით მიაძინეს, მიანარკოზეს!

კლიოს პროპორციებით თბილისში იასამნის აყვავებამდე ისევე შორია, როგორც \$ -ზე რენესანსის დაწყებამდე.

საღამოს თბილისის ღამის ბარში დილას ელოდება ამაღეუსი... 50-თეთრიან კოლას ნრუპავს, ამაზრზენ „მუსიკას“ უსმენს სიამოვნებით(!) და ელოდება... ხომ გვჯერა? კაარგი!

იმავე ბარში (რადგანაც გვჯერა!) ჩვენი დიდი ვაჟა ვიღაც უულვაშო, მაგრამ, სამაგიეროდ ბაკენბარდ-წვერებიან ამერიკელს, ვინმე აბრაამს ფშავური მოსაწევით აბოლებს; იქაურ ინვესტიციებზე უკვე მოილაპარაკეს, აქ ბაზების განთავსებაზეც; ვიღაცამ ლიბერალური დემოკრატია რომ ახსენა, ბევრი იცინეს და, როცა „ამერიკელი“ „ვატერკლოზეტისკენ“ გაემართა, ვაჟამ გვერდით მდგომ, მკერდმოლელილ რუსერმანელ იმპერატრიცას თვალი ჩაუკრა:

— ცოტაც მაცალე, კატიუშა და ამას რომ გავნენავ, ისევ ერთად ვიქნებითო! გვჯერა ხომ?!

— აი, საღოლ!

... და, რომ უნდა გვჯეროდეს, ამას გვიბრძანებს დრო... გაყიდე! დააბეზლე ანუ ჩაუშვი ანუ იბოზე! დაივიწყე სიტყვა „უანგარო“! ისწავლე ქლესობა, რათა გადარჩე! იცოდე, ჩვენ უმრავლესობა ვართ და გვძულს ბოლშევიზმი! (!!!) უარჲყავ ქრისტე და ინამე \$!

მოხუცი მოძღვარი წელში გამოყვანილ ჭიქას მანავის „მწვანეთი“ ავსებს და მურვან-ყრუს და თემურ-ლენგის მნახველ საქართველოში უცნაური დალოცვა ისმის:

— ღმერთო, თავ-თავის ადგილზე დალოცე სომეხი, ებრაელი და ამერიკელი ბიზნესმენები... წელსაც გადარჩა კახეთი ვაზის გაჩეხვას...

... კარგი მეზობელი გერჩიოსო ცუდ ნათესავს.

უბრალო ფაქტი — რუსები მართლმადიდებლები არიან!

... მაგრამ დრო საქანელაზეა შემომჯდარი და ბრჭყვიალა ფეირვერკებით, მოცეკვავე შადრევნებით, მომღერალი სტიუარდესებით, უგემოვნებო მუსიკით, წაგებული ფეხბურთით კომკავშირულ „პატრიოტიზმს“ გვიქადაგებს!

... და რა არის დრო მისთვის, ვისაც მოთმენა ძალუძს?!

რა არის განსაცდელი ქრისტიანისათვის?!

რა არის დემოკრატია ვაჟასათვის?!

რა არის ეს \$ მაცხოვარისათვის ?!?!?

— ანტიპოდი? ანტაგონიზმი? ვიზავი?

— აბა, რავა?!

დრო მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია მარადიულობის! ვაჭრობა კი ტყუილია, რადგან ამ დროს ყოველთვის არსებობს მომტყუებელი და მოტყუებული!

ხოლო უკვდავი გული სიბრალულით იკუმშება, რადგან, მისგან განსხვავებით, ზნეობის ზეობა დროებით, მაგრამ მაინც მოკვდავია და — ჩვენ ვინ მოგვცა შვილი დასაკარგავი?! — საცოდავია ამ დროის შვილი — ჯიუტი გაუგებრობა!

კროსვორდების, ჯინსების, როკ-ნ-როლის თაობა ... დიახ, ჩვენ დამნაშავენი ვართ! ჩვენ თავისუფლებას ისე დავენაფეთ, რომ ჩვენი შვილებიც კი ვეღარ ჩერდებიან და ეს მზარდდოზიანი ნარკო-გზა უკვე მივიდა იქ, სადაც „სუბოტექსი“ და „გრუპენ-სექსია“, სადაც ჩითის კაბებიანი გაზაფხული საყურიან თუ საჭიპიანმა, ტატუირებულმა, ბანჯგვლიანმა ჭიბებმა შეცვალა ... გურამ რჩეულიშვილების ნაცვლად თბილისში ნაზი ბიჭები მრავლობენ... ღირსება და პატიოსნება?! — ვაჟ! ნუთუ დინოზავრები ჯერ არ გადაშენდნენ?!

— დამანახე!...

— მომე! ...

— ვაჟ, ვაჟ, ვაჟ!!!

... და დრო გვიბრძანებს, დავიჯეროთ:

— ჩვენ ყველაზე მაგრები ვართ!

... გელათი.

იყალთო.

ზარზმა.

ვარძია...

— მე საქართველოზე ზრუნვა მინდა, მაგრამ... ერთი კარგი გრანტი და — კომპიუტერს ჩავუჯდები... იმიტომ, რომ მომავლის მეშინია. მეშინია თავშესაფარში ცივი წვნიანის ჭამის... მეშინია, რომ ვერ გადავიხდი გადასახადებს... მეშინია, ჩემმა შვილმა წებოს ყნოსვა არ დაიწყოს... მეორე შვილი არ გამიტრეფიკინგდეს ... მესამე არ გამიტრანსექსუალდეს... (-ისე, ამას სამი შვილი მაინც ყოლია, რას ერჩი?!) პოლიტიკოსები...

გარეთ? რა ძალაა ასე ჯოჯეხეთური, რომელიც თავისუფლად იმორჩილებს დროს?!

— აჱ, ბატონებო!

დასაწყისი და დასასრული.

დაბადება და სიკვდილი.

აღმაფრენა და დაცემა.

განვითარება და რღვევა.

ტრაგიზმი რასაკვირველია, სახეზეა, მაგ-

რამ უკვდავება არ გვაძლევს სასოს წარკვეთის ნებას!

— III მსოფლიო ომი?! — დიახ!

— მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება?! — არა! მისი მითვისება!

აი სწორედ აქაა დასასრულის დასაწყისი. მოხდა საკვირველი — ძალაუფლება მოქმედა ერთ ხელში; ეს ერთი ხელი „პლანეტაზე ჭარბი მოსახლეობის პრობლემას“ ეპრძვის არა ისეთი პატიოსანი, თუმცა შემზარავი ხერხით, როგორიც გამოცხადებული ომია, არამედ მომქანცველი, სულისა და ზნეობის ჩამქვლელი, საარსებო წყაროების დამშრეტი ხერხით, რომლის ძირითადი იარაღი უპრინციპობა, უზნეობა, ამორალიზმია! მასონები? სიონისტები? იელოველები?

ეს მხოლოდ სახელებია, ყურადღების გამფანტავი ... ჩვენს სისუსტეზე მოთამაშე იდეოლოგიამ „შეგვაჯინა“ (როგორც კარუსელზე!) ყველაზე ძლიერ და სწრაფად მოქმედ ნარკოტიკზე, სახელად „თავისუფლება“!

ღვთით ბოძებული ეს ნიჭი მოკრძალებას, თავმდაბლობას, მოყვასზე ზრუნვას გვასწავლის; თავისუფლებაა, როდესაც შეგვიძლია, ენის ტლიკინის ნაცვლად, ერთი სიტყვით თქვა სათქმელი; შენი უფლებაა, განასხვაო კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი, თეთრი და შავი; და უმთავრესი უფლება და მოვალეობაა, გნამდეს შემოქმედის, რომელიც გიკრძალავს საკუთარი თავის კეთილსა და ბოროტს მიღმა დაყენებას, გიკრძალავს ამპარტავნობას, რადგან სხვისი მართვის სურვილი ცოდვაა იმთავითვე... ხოლო, რადგან დრო გვაიძულებს არჩევანის გაკეთებას, საუკეთესო არჩევანი რწმენაა...

სამყაროს არსებობის პრინციპები...

კოსმიური ჰარმონია...

ადამიანური სიმშვიდე...

... და კიდევ ერთხელ:

— დრო ცვალებადია და ნარმავალი!

ჩვენ ქრისტიანები ვართ!

„... ასპიდსა და ვასილისკოსსა ზედა ხვიდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი ...“

ჩვენი ნიშანი ჯვარია; ჯვარი, მისი უდიდესი ინფორმაციული დატვირთვით არ უნდა გამოიფინოს და არ უნდა იქცეს სამატრაკეცო ატრიბუტად!

„...სიყვარულსა მალვა უნდა...“

ჩვენი უკვდავი გული სავსე უნდა იყოს

მაცხოვრის სიყვარულით, რომელიც სამყაროს სიყვარულია!

ნმინდა სამება — სრულიად სამყარო — ყველგან და ყველაფერში უფლის გეგმა...

კოსმიურ ჰარმონიას პლანეტა \$ ანუხებს, როგორც უცხო სხეული...

პლანეტა \$ ვერ ჰგუმბს სამართლიანად განწყობილ გონის გულის მიერ მართულს და, ამდენად სუფთას...

გონი და გული, სხეულთან ერთად, ადამიანისათვის უფლის მიერ ნაბოძები ყველაზე დიდი საჩუქარია (და არა „თავისუფლება“, მისი გარყვნილი გაგებით!); ეს საჩუქარი, სული — ადამიანის ჰარმონიულობის საწინდარი, მას უფალთან აახლოებს, რადგან მაცხოვრის განკაცება მაგალითია ნმინდა სამების სრულყოფილების გაგებისათვის ადამიანის მიერ!

სურვილი სიმართლის, სამართლანობის — უკვე საფუძველია ჰარმონიულობის...

გენეტიკურად არსებული ენერგეტიკული ინფორმაციის გამოღვიძება ადამიანში, საზოგადოებაში, ერში, კაცობრიობაში — გარკვეული გარემოების შემთხვევაში მართლაც შესაძლებელია; ეს სასურველი მდგომარეობა შეიძლება იყოს მყარი წინაპირობა განახლების...

განახლება-გადარჩენა-აღორძინება!

...ადამიანში ადამიანურობის ზეობის რეცეპტი: არსების სრულად მომცველი რწმენა, ამდენივე სამართლიანობის სურვილი, სოუსის სახით — ნინაპრების ხსოვნის, ტრადიციების, ქალის, უფროსის პატივისცემა და გემოვნების მიხედვით — კეთილშობილება, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, სიყვარული, ზომიერება, სიდარბაისლე ... და, რაც მთავარია, თვითონ გემოვნება!


ყოველივე ეს სასურველზე მეტიც კიანლის ყველაზე ლამაზ უამს — გაზაფულზე...

ჯერ კიდევ ბაბუის ბაბუის ნაქონ მუხის დიდ, მრგვალ მაგიდას დაამშვენებს ახლადდაკრეცილი იასამნის დიდრონი ბუჩქი... მრავალარიცხვანი ოჯახი თეთრი, გრილი და გემოვნებიანი სამოსით ხვდება სითბოს... მაისის წვიმა... შორიდან სმენას ნაზად ეფერება ფრედერიკ შოპენი... თითქოს ყველაფერი კარგად უნდა იყოს, მაგრამ ამ კარგად ყოფნას აჲ, რა მწველად ალამზებს ცოტაოდენი ნმინდა სევდა...

...ვფიქრობ, მოუხდებოდა ამ ჩევნს იდილიას თითო ჭიქა მანავის მწვანე...

— შესვი?

— გაამოს!



გული მუსო

მეოცენების დღიურიდან

ყველაფერი, რაც ხდება,
მეც მეკუთვნის ახლა,
გულდალლილი გავცექი
ცაზე მთვარის ხანხალს,
უამი ყოვლის დამცრობის
უკვე თორმეტს რეკავს
და გულდაგულ მაჭედებს
გულში თორმეტ ეკალს.
და საათი არ ცხრება.
მე მისკენ მაქვს ყური,
ის ჯიუტად არ მიმხელს
ჩემსავ ფარულ სურვილთ,
ხოლო ინტუიციას
ცოდნის ლიბრი ფარავს.
კუდში მივდევ, კოჭლობით,
ცხვრების დამფრთხალ ფარას...
და დღემდე ველოდები,
მობრუნდება როდის,
რომ პირველმა ვიგემო
მზით მაძლარი კორდი.

* * *

მე რო ვხატავ,
ისე ვერვინ დამიხატავს იმ ოდას —
მთვარის ხატით მზის ხატამდე
ჩემი სევდის მიმომტანს...
და თავიდან: მზის მიმყოლს
და მდევარს მთვარის ბანამდე...
და სიყვარულს — უმძაფრესს
და მზის ლანდებად თანამდევს,
მხოლოდ ქართულ სილამაზეს
სიზმარეულ ხაზებით,
ოდენ სულით რო იხილვის...
როგორ მელამაზებით,
ნაბლის სახლო, მურყნის ქოხო —
სხივებით დაკიდულნო
ცის გუმბათზე —
თქვენი ფრთებით
ცოცხალვარ და... ვდიდგულობ.

საქმე

წინასწარ რო არ ვიცნობ,
მიტომ ვიტან მყოფადს
და თავსაც კი ვაფარებ,
როცა ანმყო მცოფავს,
ვჭვრეტ წარსულსაც:
სამკუთხედს ვხაზავ — კავშირს დროის
და საქმეს რო მოვილევ,
შემოვიყრი დოინჯს...

პავშვილისაკენ

იღვრება წვიმა ღამის ქვაბში და
ქარი — დევების ქმინვა გახშირდა.
მე მიხარია, ზღაპრის რო მჯერა,
ლანდებს აღვიქვამ ოჩოკოჩებად
და ვუხმობ... უკანმოუხედავად
გარბიან სადღაც, — ალბათ მხედარმა —
ალვამ მაღალმა აიყოლია,
ეს ქარიც, მგონი, ჭალიკონია.
გავცექი მერეხს — ცამდე აივსო
ღამე ვერცხლისწყლით...
გული ხალისობს.

სადღესო თემაზე

— გულმა გზა გაიკაფოს გულებისკენ უნდა
შურთან, წუნთან —
მორალთან გადაბრუნებულთან დავაში,
მზის შეიძლოს შემოშვება შიგნით,

ბნელის ფონზე — სხივებით დაწერილი წიგნი
გაიხადოს ბიბლიად არსებობის,
მტერიც მოაპრუნოს!..
მეგობარს ვწერ მოსკოვში წერილს.

მოპატიურა

შემომყევი ამ წიგნში —
თვალით იმოგზაურე —
ჩემი სულის უფსერულებს
გაგიკვალავს ზღვაური
და იგრძნობ — თუ ამოხსნი
ქარიშხლიან ანალებს —
აქ ტკივილს სიყვარულის
დიდი ტანჯვა ანელებს.

სიმარტოვე

როცა თავისგან გაქცევა გიჭირს
და საკუთარი გაშინებს ფიქრი,
არ დაგიცადა რომელმაც —
უკვე უსასრულობის უფსერულში მიჰქრის
და ქაოსის ხიბლს ჩაჭიდებული,
ახალს მონიშნავს ყოფნის კონტურებს
და მზის — საყრდენის —
მოახლოებას დაგიდასტურებს
თავის კანტურით,
ხისტს ენაცვლება შენშივ მსუფევი
და მომლოდინე განცდა მწყაზარის
და გულში ხატავს სივრცეებს სხვაგვარს —
ყოფნა? არ ყოფნა? — კითხვის ნაზავით
და თავს აჯერებ — რეალურია,
რასაც დრო-უამის მისწერი ლიობში
და მოიხელთე ნამით.

გაღელვებს ფონიც —
ფერი აქვს ანმყოს რიოში,
შენს ნამყოში კი სულ სხვამ იცხოვრა
თითქოს და გიჭირს უკვე გარჩევა,
ემოციის რა ფერადი მუხტი
გამოგატანა საგზლად დარჩელმა, —
სულ რო მძაფრდება და იფურცლება
და ეფერება მომდევნო წინას
და ციდან ქარის ფრთებით დაღვრილი
და სევდიანი გასველებს წვიმა
და გაკარგვინებს წონასწორობას —
თავსხმის კვალდაკვალ გაიქცე ლამის,
უკვე იგრძენი ფეხისგულებით
თავბრუდამხვევი სირბილე ლამის.

*

ბილიკს — ბალახში ჩავარდნილ ელვას,
რომელიც განხმულ ჭიშკარს ანყდება,
მისდია მზერამ: მოდიან —
თურმე მოვისაკლისეს სახლიკაცებმა.

იანვარი

— თოვლი! —
უსაზღვრო ზეობს სიცინცხლე.
თოვს. აღუღუნებს ქარი მზის მრიცხველს,
რომელიც არ ჩანს.
სხივების ფერფლით — ფიფქებით
მინა ზეცის სულს ერთვის.

სურათი პელურების ესემასებით

ახალ თოვლზე დაჩნეულ
სულ ცინცხალ ნაფეხურებს
თითქოს უყრი ცისკარში
მოფრთხიალე ბელურებს,
ხან ცალი, ხან ორივე
თვალით ზვერავ-ზომავენ,
პოდა — სურთ და სინათლის
ვერ განყვიტეს ზონარი,
ბოლოს მაინც სწყდებიან ტოტებს —
უივ, უივ! — სხდებიან
და ეს ხმები ყველაზე მიწიერი ხმებია:
მუღერი, ხარბი, ძლიერი,
როგორც თავად ცხოვრება
და სივრცის, თოვლიანის,
კენკავს გაუცხოებას...

* * *

სულერთია, ეს ლექსი გრძელია თუ მოკლე,
ძველი — ლადოსეული რომანტიკა მოკლეს.

* * *

ჩემი ფსალმუნი —
აფხაზეთზე გულის სიმღერა,
მიედინება კოდორივით, სისხლში მიღელავს
და კვალავ ერცახუს უბრუნდება —
როს მზე პირს იბანს —
ჰგავს თეთრი ბზოუს გამოფრენას
ლურჯი ნისლიდან.

დროთა კავშირი

ბურჭუმ ანტიკურიდან აქეთ გადმოიტანა
სიბრძნეები, რო თესა ბევრმა აზრის ტიტანმა
და — მუზების კარნაბით —
შიგ, გულში გაგვიტარა:
კითარაზე ნამღერი
დღეს აუღერებს გიტარას.



75 ცუკუმარი

ეკა ცაგარელი ჩამი პავლოპოს მეგობრის შვილია. ეკა ამერიკაშია ცასული სამუშაოდ და ძალგატონ მანანა მაჩაგალს, გუცეპრი-ვია, როგორ ძალიან ენაფრება შვილი და გა- ნიცდის უიმისრას, მაგრამ, ეს მოთხოვნაგა რომ წავიკითხა, გადინირებისაგან გაოგნე- ბამდე აღზარებულა, როგორ გულწრფელად ვანეგება, ეკაზე ცუ დარღობ, ამერიკაში რომ არ ცასულიყო, ასეთ მოთხოვნაგა ხომ ვერ დაწერდა-გეთდი.

დარღუნებული ვარ, „ლიტერატურა და ხელოვნების“ მაითხველი დამათანხევა.

გურამდოჩანაშვილი

„იმისომ“

(თბილისური ესკიზი
ნიუ-იორკის პალიტრით)

ეს ბოდვა თითქმის სამი წლის წინ და- მიწერია. არც მახსოვდა. გუშინ, ქალალდებ- ში ქექვისას აღმოვაჩინე. ისტორიას ჩაბა-

რეპულ ფასებსა და ასაკს ნაანყდებით. არ შევცვალე, ორიგინალს გავუფრთხილდი. თქვენ თვითონ იანგარიშეთ და დღევანდე- ლობას მიუსადაგეთ.

ერთს ვიტყვი — ფულისა და ასაკის ინ- ფლაცია ნამეტნავად მტკიცნეული პროცესი ყოფილა.

* * * * *

კაცის სასტუმალთან ვზივარ. კვდება. უანგბადზეა მიერთებული. უანგბადის აპა- რატის მონოტონური ზუზუნი მელანქოლი- ურ ხასიათზე მაყენებს. ერთი ქალის შე- კითხვა მახსენდება: „შენ რატომ ჩამოხვედი შვილო?“

გუშინ „სააგენტოს“ სამზარეულოში ვი- ჯექი — ერთადერთი ადგილი, სადაც ადა- მიანი გალანძლვის გარეშე მოსწევს, სამზა- რეულო ან ქუჩა.

გარეთ ყინავს. ოთხი დღეა განუწყვეტ- ლად თოვს.

თორმეტი ქალი სამზარეულოში შევქუჩ- დით — ყავას ვსვამთ, სიგარეტს ვეწევით. ჩვენი ნიღლი უანგბადი კარგა ხანია დავ- წვით, აზოტზე გადავედით.

ერთი ზუზუნებს: — წინა თვეში ექვსი ათასი დოლარი გავაგზავნე. ბინა მაქვს სა- რემონტო. ჩემმა ქმარმა სულ უნიტაზში ჩა- უშვა. დღეს მირეკავს: — ფულიო! ვეღარ გამოძლა მაგისი მუცელი. გავწყდი ქალი, აღარ შემიძლია, რა ფასად მიჯდება, არც კითხულობს, როგორ ხარო, — არც უკითხ- ავს.

— ეჱ, ჩემო ჯულიეტა, — მეორე მიუბ- რუნდა, — რამდენიც არ უნდა გააგზავნო, მაინც კანალიზაციას გაატანენ. იქ ჰერნი- ათ, დოლარებს ამერიკაში ხეები ისხამენ. ჩემებმაც შემჭამეს, ასიანებს აღარ სჯერდე- ბიან, სულ ათასებით მელაპარაკებიან.

— აბა, აბაო, — ქალები თავს უქნევენ, — მათთვის ნაცნობი მოტივებია.

მესამემ ბანი მისცა, — ოთხი წელია აქა ვარ და ბინის ფული ვერ შემიგროვებია. ჩემები „ფირმა“ მანქანებით გრიალსა და „ზაგრანიჩინი“ პაესტკებს არ იშლიან.

მეოთხემ გააგრძელა: — ჩემმა შვილმა ძიძის ფული მოითხოვა. გამაგებინეთ ქალე- ბო, რად უნდა უმუშევარ ქალს ძიძა? ოც- დაოთხი საათი შინ ზის და ერთი ბავშვის- თვის ვერ მოუვლია. ის ბავშვი, ენაცვალოს ბებია, მთელი დღე მაინც ბაღშია. 150 დო- ლარს ცალკე ბალისათვის მართმევს. აბა, მე რა ვთქვა, სამსახურშიც დავდიოდი და ექვს კაციან ოჯახსაც ვუვლიდი. რა ძიძა, რის ძიძა, მთელი ოჯახი ჩემს კისერზე იყო.

ლამებს ვათევდი — სამ ბავშვს გაზრდა
არ უნდოდა?

— აბა, აბა, — კვერს უკრავენ ქალები.

— შენ, შვილო, — მე მომიტრიალდა,
— შენ რისთვის ჩამოხვედი? შენც ოჯახი
გყავს სარჩენი?

დავთიქრდი.

— მე მზივთის შესაგროვებლად ჩამოვე-
დი, ისე არავინ მთხოვლობს-მეთქი.

— მაგათი სინსილა განყდეს, ისემც უქნი-
ათ, სულ ამომწყდარან ერთ დღეს. არა შვი-
ლო, არ გინდა, მთელ წვენს გამოგნურავს
და ნაადრევად დაგაბერებსო.

ყველა ერთხმად აყაყანდა.

ხუთნი ვიყავით. ე-სთან ვისხედით. ჩაი-
თა და ლარიანი ქადით თავს ვიქცევდით.
არაუშავს ქადაა. თუ გშია, მაგრად მიდის,
მერე სამი დღე „იუოგა“ მოგაქლავს, მაგრამ
სოდა კარგად ერევა, ქართულ-ინდური
„ომეპრაზოლიც“ მუშაობს. აფთიაქის ერთმა
გამყიდველმა მირჩია „პრიბალტიკის ომეპ-
რაზოლის“ ფასზე ყოყმანი რომ შემატყო,
— ეს კარგი არისო და ქართულ-ინდური
ნარმოების გამომიწოდა, — საკუთარ თავ-
ზე გამოვცადე, ძალიან ეფექტურია-ო.

მეც კმაყოფილი ვარ ჯერჯერობით, ყვე-
ლას ვურჩევ, მომავალში თუ არ გააფუჭეს,
კარგი იქნება.

მოკლედ, ვსხედვართ ხუთნი და ბედს ვუ-
ჩივით.

ჩვენი მშობლები, ალბათ, ქმარ-დედამთი-
ლის ლანძლვით ერთობოდნენ.

აბა, სად გვყავს გასალანდი ქმრები?!

ხუთში მხოლოდ ერთს შემორჩა „უკანას-
კნელი მოჰიკანი“, სამნი განქორწინებული
ვართ, ერთი საერთოდ ქალიშვილია.

მშობლებმა შეგვჭამეს — რატომ არ
თხოვდებით-ო. ვითომ არიქა, რიგი დგა და
ჩვენ „ცარევნა ჩემიანე“-ებ ივით „მიზეზ-
მიზეზ დოს მარილი აკლია“-ობანას ვთამა-
შობთ.

მოკლედ, ვსხედვართ და უკაცობას ვუ-
ჩივით.

ეს კაცები ან გალოთ-განარკომანდნენ,
ან გაპიდარასტდნენ, ან მოკვდნენ, ან ქვეყ-
ნიდან გაიხიკნენ. თუ რამ ვარგისი შე-
მორჩა, ცოლებს ისე ჰყავთ ბრჭყალებითა
და კბილებით დაბმული, გასაქანს არ აძლე-
ვენ, თანაც, მომლოდინე ქალთა იმ სიგრძე
რიგი უდგათ, ჩვენ იქ ვინ მიგვასუნიებს.

ის, ვინც არც ლოთია, არც ნარკომანი,
არც პიდარასტი, არც მკვდარი და არც ცო-
ლიანი, დადის ისე ეული, ჯიბეგაფხევილი,
საკუთარი ნახევრის ძებნით დაკავებული,

ჩვენი არ იყოს. ერთნაირად დამუხტულნი
კი, როგორც მოგეხსენებათ, ერთმანეთს გა-
ნიზიდავენ.

— დედაშენს როგორ იგერიებ — მ. მე-
კითხება (ქალიშვილი).

— ???

— ჩემი ბოლო დროს ისე განიწმატდა,
სახლშიც აღარ მიშვებს. მორიგეობიდან
დაპრუნებულს მეკითხება, — კიდევ მარტო
მოხვედიო. ამისთანა რა ბეჩავი გაგზარდე,
ერთი ქმარი ვერ გიშოვიაო. ერთი საყვარე-
ლი მაინც რა გახდაო. უკვე საყვარელზეც
თამახმაა — ბუნება თავისას მოითხოვსო.
„ხალხი რას იტყვის“ — მოტივებს შეეშვა.

დედაჩემიც, ბოლო დროს „ოდეს ტურფა
გაიაფდეს“ ჰანგებს ნაკლებად უკრავს.

ჩემიც კარგ დღეშია, — მივუგე, პატრონს
როდის უნდა ჩაგაბაროო, ნერვიულობს. თა-
ვიდან, პირველი „პატრონის“ შეხსენებით
ვიგერიებდი, ახლა ეს აღარ მოქმედებს. ბო-
ლოს ვუთხარი — მკითხავმა მიმკითხავა
ოცდათორმეტ წლამდე იმედიც არ გქონდე-
სო. პატარა ხნით ჩავაჩუმე. ზუზუნს რომ
იწყებს, მკითხავს ვახსენებ.

— მზითევი თუ გაქვს? — ქ. მომიტრი-
ალდა (გათხოვილი). თორემ ჩემი დედამთი-
ლი — ოჯახში „სპალნა“ არ შემოგიტანიაო,
დღემდე მაყვედრის (10 ნელი).

ჩემს ქონებას თვალი რომ გადავავლე,
მივხვდი, გათხოვების დიდი იმედი არ უნდა
მქონოდა. ბინა და აგარაკი. ეს არის და ეს.
ოდესლაც მანქანაც იყო სათვალავში, მაგ-
რამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრა-
ობას შეენირა — იმდენი აგორავეს აქეთ-
იქით მემარჯვენებმა და მემარცხენებმა,
ბოლოს, „კარკასი“ ერთმა კაცმა ძალლის
ფასად იყიდა და აღებული თანხა კანალი-
ზაციას გაყვა.

უძრავი ქონებაც ისეთ დღეში იყო, ძა-
ლიან წყალნაღებულს თუ მოიტყუებდა.
ასე რომ, თეთრ რაშზე ამხედრებული უფ-
ლისნულის იმედი არც უნდა მქონოდა. ისე,
ეს უძრავი ქონებაც მე არ მეკუთვნოდა.
ჩხუბის შემდეგ დედაჩემი საკუთარ სახელ-
ზე გაფორმებულ „პრივატიზაციას“ მახსე-
ნებდა.

— შენ თუ გაქვს მზითევი? მ-ს (გაუთხო-
ვარი) მივუტრიალდი.

— კი! — ამაყად მიპასუხა, — „ვეფხის-
ტყაოსანი“ და საკერავი მანქანა „ზინგე-
რი“.

საკერავი მანქანა და „ვეფხისტყაოსანი“
— სამი სხვადასხვა გამოცემა მეც მქონდა.
„ერთს როგორ არ გაიმეტებს დედაჩემი“,
— გავიფიქრე.

საკერავ მანქანაზე მეეჭვებოდა. „ვერიტასის“ შესაძენად კომუნისტების დროს იმდენ ინსტანციაში იარა, რომ ხელსაც არ მადებინებდა, ენანებოდა. „კერვა ჯერ ამით ისნავლეო“, რაღაც გაუგებრობისენ იშვერდა ხელს — ძაფი სად ეყრება, ჯერაც ვერ გავუგე და „მერე ვნახოთ“. ამ „მერე ვნახოთ“ — ის ძახილში თორმეტმა წელმა განვლო.

ე-მ (განქორნინებული) ქადის ბოლო ლუკა გადაყლაპა, ჩაი დააყოლა და საქმიანად წარმოსთქვა: (ე. საერთოდ საქმიანია).

— ამ მზითევს რომ მიახლით, კაცი თუ გყავთ შერჩეული? ე. მზითვიანი ქალია. ცალკე ცხოვრობს. ბინაა მისი მზითევი. იატაკის ხვრელიდან მეზობლებს უთვალთვალებს, ჭერის ნაპრალებით — ამინდის პროგნოზს გვანვდის და ქარის დროს კედლებს ხელით აკავებს.

დავფიქრდით. ახლო-მახლო პოტენციური (და არაპოტენციური) საქმროების ჭაჭანება არ არის.

მეორე მ-მ (განქორნინებული) როგორც იქნა ხმა ამოილო:

— იმიტომ, რომ არასწორ ადგილებში ვეძებთ. სამსახურში და ქუჩებში ძებნას ხომ ხედავთ, შედეგი არ მოაქვს. ისინი ქუჩებში არ დადიან. გამოდიან მაშინ, ჩვენ რომ გვძინავს. ამიტომ ძილი უნდა გავიტეხოთ.

ქრონიკული მორიგეობების გადამკიდეს უძილობა არ მაშინებდა. ერთით მეტი, ერთით ნაკლები, დიდი საქმე.

გადაწყდა. ვაგროვებთ ფულს და მივდივართ ახლადგახსნილ „ელიტარულ“ კლუბ „X“-ში, სადაც, ჩვენი აზრით „ისინი“ დადიან.

ამგვარი დიალოგი გავაბით:

— უხეშად რომ ვიანგარიშოთ, ოცი ლარი გვჭირდება კაცზე!

— რას ლაპარაკობ, შესვლა ათი ლარი ლირს, ჩემი მეზობელია ნამყოფი.

— გოიმებივით ხომ არ დავჯდებით, თითო ჭიქა სასმელი ხომ მაინც უნდა ავილოთ.

— ნუთუ ქალაქში ერთი კლუბიც არ არის, შესვლის ფასში მინის თხილი რომ შედიოდეს?!

— არის, მაგრამ „არაელიტარული“, სადაც „ისინი“ არ დადიან. დუმილი.

— კარგი, — ბოლოს დუმილი დავარღვი, — კარგი, ვთქვათ გავიმეტე ის ოცი ლარი, თუმცა კბილი მაქვს გასაკეთებელი და ფულს ორი თვეა ვაგროვებ (ისე, ბოლო დროს ამოღებაზე დავიწყე ფიქრი — ია-

ფად გამოვალ), ვთქვათ, გავიმეტე ეს საცოდავი ოცი ლარი, მოვიგლივე გულიდან, რა გარანტია მაქვს, რომ „იმეებს“ მოვენონებით? ხომ წყალში გადაგვიყრია ის ფული!

— იცი რა! — ე. გაბრაზდა — ჩვენი თავის ფასი არ ვიცით. არასწორად გვზრდიდნენ და იმიტომ!

ერთი საერთო ნაცნობი გავიხსენეთ, რომელიც „სწორად“ იზრდებოდა და ჩვენს ასაკში უკვე ბევრი „ისინი“ ჰყავდა გამოცვლილი. კბილი გავკარ-გამოვკარით.

— შენ მართალი ხარ, — მეორე მ-მ ბანი აუწყო, უკანალი უნდა გვიკოცნონ. ჩვენისთანა გოგოები ქუჩაში არ ყრიან.

— იმიტომ, რომ ყრიან სამსახურებში, — „ქალიშვილმა“ მ-მ რეპლიკა ისროლა. — და სხვაგან დაყრის დრო არა აქვთ.

მე ამ დროს ვდუმვარ. საშინელი აზრები მომდის თავში.

— რას დალვრემილხარ, — მომიტრიალდნენ.

— ვთიქრობ, რომ არც ოცი და არც ოც-დაათი ლარი არ გვეყოფა.

— შენ რა, „უსტრიცების“ შეკვეთას ხომ არ აპირებ?

— რა უსტრიცები?! ყველაზე მნიშვნელოვანი დაგვავიწყდა!

— ???

— შიშვლები ხომ არ ნავალთ.

ყველას რეალობის ცივი წყალი გადაესხა.

— „ნარიადი“ ხომ გვინდა, მერე ფეხსაცმელები, შესაფერისი აქსესუარები და სხვა.

— რას გულისხმობ „და სხვაში“, — აიღრინნენ.

თითქოს ჩემი ბრალი ყოფილიყო. რასაც ვფიქრობდი, ის ვთქვი. თუ არ უნდოდათ, რას მეკითხებოდნენ?!

— ძალიან დიდი ბოდიში და „ელიტარულ“ კლუბში დახეული კოლგოტკებით და ბაზრობაზე ნაყიდი ლარიანი ნიფხვით ხომ არ ნავალ, რა იცი რა ხდება?!

— რა უნდა მოხდეს? — იკითხა მეორე მ-მ (ქალიშვილმა).

— შენ სსს - თქო, ხმა ჩავაკმენდინეთ.

— რატომ ლარიანი?! — ქ-მ საქმიანად წამოიწყო. ბაზრობაზე ათ ლარიანებიც არის. ისე, თუ კარგად შეევაჭრე, რვა ლარადაც მოგცემენ, და თუ „ლილოში“ „ოპტომ“ აიღე, შეიძლება ხუთზესც დაყაბულდნენ.

...

ერთ კვირაში შევიკრიბეთ.

სახინკლეში ნავედით. გახეხილი ჯინსებისა და „ნაბოიკიანი“ ფეხსაცმელების გამო არავინ დაგვიწყნა. ხინკალიც თვრამეტნაო-

ჭიანი გაგვიკეთეს და ლუდსაც H₂O ოდნავ თუ შეაპარეს.

ასე რომ, ცხოვრება მშვენიერია! ღამის თენებაც არ მოგვიხდა. მითუმეტეს, მე კბილი მაქვს გასაკეთებელი. ამოღება მაინც მენანება. იქნება კარგი დროებაც დაგვიდგეს და საღეჭი რამე გამოგვიჩნდეს.

ე-ს შვილისათვის ფეხსაცმელები აქვს საყიდელი.

მ-ს კი, ყოველდღე ოთხი ტრანსპორტის გამოცვლა სჭირდება — „სემიონოვკის“ და სახლებაში ცხოვრობს.

ორი თვის იძულებითი ემიგრაციის შემდეგ, საქორნინო კაბის ფული, როგორც იქნა, შევაგროვე. ალბათ, ფატასა და ფეხსაცმელს ერთი ამდენი კიდევ დასჭირდება.

მხიარულება და ზეიმი ნაადრევია. ახალშექმნილ ოჯახს ხომ აუარებელი რამ სჭირდება: ტაფები, თეფშები, ჭაღები, ფეხის საწმენდი ნოხი — შემოსასვლელში, „სპალნასა“ და „სასადილო გარნიტურზე“ აღარაფერს ვამბობ. ასე რომ, ჯერ აქ ვარ.

არა მგონია, რაშე ამხედრებული უფლისწული ამდენ ხანს მელოდოს.

რაში ხომ ცხენია. ცხენები დიდხანს არ ცხოვრობენ. ან ისე დაბერდება და დაჩაჩანაკედება, „საბედო“ ჩემამდე იქნება ვერც კი მოიყვანოს.

ან იმ, ჩემს „უფლისწულს“ ექნება კი იმის თავი, რომ ოჯახური ბედნიერებით სრულად დატებეს?

არა მგონია...

...

ისე, სხვა თუ არაფერი, ინგლისურს ხომ მაინც ვისწავლი. იქნებ ამერიკის საელჩოში დამლაგებლის ადგილი გავაჩალიჩო. ამბობენ, იქ კარგი ხელფასებიაო.

...

კაცის სასთუმალთან ვზივარ. კვდება. უანგბადზეა მიერთებული. უანგბადის აპარატის მონოტონური ზუზუნი მელანქოლიურ ხასითზე მაყენებს. ერთი ქალის შეკითხვა მახსენდება — „შენ რატომ ჩამოხვედი შვილოო?“

— იმიტომ!!!

„მემკვიდრეობა“

ერთი მეზობელი მყავდა — ბაბულია. არ მიყვარდა. აშარი და ავყია დედაკაცი იყო. სხვაზე აუგის თქმით ხარობდა. სადარბაზოში გამომიტერდა და ვიღაცების ლანძღვა-გინებას იწყებდა. რას მერჩოდა პატარა ბავშვს, ვერ გამეგო?!

სახლიდან დილის რვა საათისათვის გადიოდა. სანამ სადარბაზოში ხელჯოხის კაცუნი შეწყდებოდა და ქუჩაში მანქანის კარის მიჯახუნებას არ ვავიგებდი, სახლიდან ცხვირს არ ვყოფდი.

ჩვენს ქუჩაზე მიმავალს თვალს თუ მოვკრავდი, სახლის კუთხესთან შევყოვნდებოდი, ვანგარიშობდი რამდენ ხანში აივლიდა სამ სართულს, კარს გააღებდა და ბინაში შევიდოდა.

მხოლოდ შემდეგ ვრისკავდი სადარბაზოში შესვლას.

არ მიყვარდა ბაბულია, მძულდა. ძალლი გამიგდო ერთხელ. სიცივით აკანკალებული, მშერ-მწყურვალი ძალლი ალექსანდროვის ბალიდან შინ ძლივსძლივობით მოვიტყუე. ერთი საათი ვემუდარე. სადარბაზოს კიბეებზე დამტანჯა. ორ-სამ საფეხურს რომ აივლიდა, შეტრიალდებოდა და კუდამოძუებული სადარბაზოს კართან აიტუზებოდა. ნასვლითაც არ მიდიოდა და ნდობითაც ბოლომდე არ მენდობოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ამოვიყვანე ბინის კარამდე, „გაჭმევ რამეს - მეთქი“ ვფიქრობდი. ამ დროს ბაბულია თავისი ბინიდან გამოვიდა, ძალლს ჯოხი მთელი ძალით დაარტყა და — „გაეთრიე, შე პირუტყვოო!“ — დაუყვირა.

მთელი საღამო ვტიროდი. დედაჩემმა ვერაფრით დამამშვიდა. — „რას იზამ, ასეთია, საკუთარ ძმასაა გადამტერებული და ძალლს როგორ დაინდობდაო“.

დედამისი მიწას არც იყო მიბარებული, ბაბულიას მემკვიდრეობის გაყოფა დაუწყია, ამასთან, ძმასთან ვერ მორიგებულა. ის დღე იყო და ის დღე, ძმის სახსენებელიც კი ამოუკვეთია.

ძმისშვილებს მამიდის შემორიგება უცდიათ. — „მამამისის ნაშიერები აქ მოსულები არ ვნახოო!“ — გაჟიოდა თურმე.

ძალლთან ინციდენტის შემდეგ კარგა ხანს არ ვესალმებოდი, — „უზრდელი შვილი გეზრდებაო“, — დედაჩემისთვის უთქვამს.

არ მიყვარდა ბაბულია, მძულდა. მუსიკის გაგონებაზე ცოფებს ყრიდა. საკმარისი იყო მაგნიტაფონი ჩამერთო, კედელზე ბრახუნს იწყებდა. რამდენჯერმე ბინაშიც შემომივარდა — „ეს რა უბედურებაა, ხალხს დასვენების საშუალებას არ აძლევო“.

„მაგ გოგო უზრდელი და უვიცია, ცეკვათამაშის მეტს არაფერს აკეთებსო“, ჩემზე ეჭორავებოდა მეზობლებს, იმათაც ენები მოჰქონდათ. ერთი ორჯერ დედაჩემი „ორი ტკბილი სიტყვის“ სათქმელად გაუვარდა. ისეთი შეშლილი და განერვიულებული დაბრუნდა, ბაბულიასთან ლაპარაკი საერთოდ ავუკრძა-

ლე. ჩვენი საცოდავი მეზობელი გავახსენე, რომელმაც ბაბულიასთან ლაპარაკის შემდეგ ოცი წელი ლოგინზე მიჯაჭულმა გაატარა.

არ მიყვარდა ბაბულია, მძულდა, ყარდა, თვითონაც ყარდა და მისი ბინაც.

ზამთარში კიდევ ასატანი იყო. ზაფხულში კი, მისი ბინიდან გამოსული ჩამყაყებულ-დამპალი სუნი გვკლავდა.

კონდიციონერები არ გვქონდა, სიცხეს ლია კარ-ფანჯრებით ვებრძოდით. ნიავს სიდამპლის სუნიც მოჰყვებოდა. ბოლოს ისევ ჩახუთულობას ვარჩევდით.

აქოთდებოდა, აბა რა იქნებოდა?! კვირაში ერთხელ ყუთებით სურსათი მოსდიოდა. „ქრთამიაო“ ამბობდა ხალხი. რას უშვრებოდა ამდენ საჭმელს, კაციშვილმა არ იცოდა, თუმცა სიმყრალის მიხედვით ძნელი მისახვედრი არ იყო.

ხანდახან ხელგაშლილობას იჩენდა. მეზობებში დამპალ ხილსა და დაობებულ პურს არიგებდა. უარის მთქმელს ჩემი მარავალი სამარავალი — ს უნდებდა. მასთან კონფლიქტს ყველა ერიდებოდა — ძლვენს ართმევდნენ, მადლობას უხდიდნენ და თვალს მიფარებულნი, სანაგვეში ყრიდნენ.

მაყუთიანი თანამდებობის ქალი იყო — სამშენებლო ტრესტის მთავარი ბუღალტერი თუ რაღაც ამგვარი. მუდმივად უფულობას უჩიოდა. კაპიკს ვერ გააგდებინებდი. ბაბულიამ არც ჭირი იცოდა და არც ლხინი.

ერთი პერიოდი სუნი იმდენად აუტანელი შეიქნა, მეზობლები მიუვარდნენ: ან შენ თვითონ დაალაგე, ან ვინმე მოიყვანე, თორემ კარებს ამოგიქოლავთ, იცოდეო. ცრემლები გადმოყარა — „ერთი ინვალიდი მოხუცი ვარ, თვითონ ძალა აღარ მერჩის და დამლაგებლის ფული სადა მაქვსო“.

ერთმა მეზობელმა უსასყიდლოდ დაულაგა, მთელი კვირა დაულალავად იშრომა. ოთახი ძირფესვიანად ალოკა, „მასტიკაც“ მოუსვა და ავეჯიც გააპრიალა. ბაბულიამ, მადლობის მაგივრად ქურდობა დააბრალა.

იმ დღის შემდეგ ერთმანეთს სტარა ნლაქა-ითა და ვოროვკა ჩემი მარავალი — თი მოიხსენიებდნენ.

არ მიყვარდა ბაბულია, მძულდა. სიმყრალესთან ერთად მისი მახინჯი სიშიშვლეც მზარავდა.

ღია შესავლელში ტიტველს უყვარდა ჯდომა, პერანგივით რაღაც ეცვა, გამჭვირვალე, რაც მისი თითოეული ასოს სიმახინჯეს კიდევ მეტად საძაგელსა და ამაზრზენს აჩენდა.

თუ ცუდ ხასიათზე იყო — იჯდა ისე, ხმა-გაკმენდილი, იბლვირებოდა. ან — გამვლელ-გამომვლელს უძახდა, „ოჯახში ხომ კარგად

ხართო“, მოიკითხავდა და დამპალი ვაშლით ან ვიღაცის პირში ნადები კანფეტით უმასპინძლდებოდა.

ერთ მეზობელს ზრდილობიანად მიუმართავს — „ქალბატონო ბაბულია, თუ ორპირს ანყობთ, რაიმე შემოიცვით მაინცო“.

„ამხელა ქალს ეს რა მაკადრე!“ — ო აყვირებულა. სულ „უზრდელოს“ და „თავხედოს“ — ს გაპკიოდა. შემდეგ უზრდელოსა და თავხედოს, „მეშჩანო“ და „პროვინციელო“ დაუმატა. მთელი სალამო ეს ოთხი სიტყვა წალმაუკულმა ატრიალა.

სამი დღე ჩარაზულ კარს მიღმა ბაბულიას კრინტი არ ისმოდა.

მართალია, გვარიანად მოიფხანეს გული მეზობლებმა, იმ კაცს მაინც ეცნენ: — „თავს რამე რომ აუტეხოს, შენს კისერზე იქნება მისი ცოდვა“ ო.

სამ დღეში ბაბულიას კარი კვლავ ფართოდ გაიღო. კვლავ შემოსასვლელში იჯდა: ამჯერად პენუარით შემოსილი, გამჭვირვალე, გრძელი პენუარით.

შეეძვნენ მეზობლები.

და ასე ცხოვრობდა ბაბულია — დილით სამსახურში მიდიოდა, სალამოს „მოამბესა“ და „ვრემიას“ უყურებდა, ან შემოსასვლელში მჯდომი ხალხს აფრთხობდა.

“თავის მემკვიდრეობას გველეშაპივით დარაჯობს“ — ო ამბობდნენ.

ახალგაზრდობაში გვარიანი მომლხენი ყოფილა. საყვარლებად სულ „ჩინოვნიკებს“ არჩევდა. არც მთხოვნელები აკლდა. არ გათხოვდა.

„დედაჩემის ქონებას მამაკაცს ხელში როგორ ჩავუგდებო“.

ძალლი მას არ ჰყავდა და კატა, ან სხვა ვინმე სულიერი, ხმის გამცემი. ახლობელი მასთან მოსული არ მინახავს და ნათესავი. რაც მახსოვდა, სულ ასეთი იყო, ავი და მარტოხელა.

ქელეხებში სიარული უყვარდა ბაბულიას.

“ჩასახეთქად დადის, რაც მორჩება, ერთიანად პარქში ყრის და სახლში ეზიდებაო, ჩვენი თვალით გვინახავსო“, — ამბობდნენ ერთნი.

„მკვდრის დანახვაზე ხარობს, თვითონ რომ ჯერ ცოცხალიაო“, — ამბობდნენ სხვები.

ჯანმრთელი ქალი იყო ბაბულია. გულს არასოდეს შეუნუხებია და ნნევას. კოჭლობდა მხოლოდ და ხელჯოხით დადიოდა. ეს იყო და ეს.

ქელეხები უყვარდა და ქელეხებმა შეინირეს.

ქელეხები მიმავალი კიბეზე დაეცა, გადარჩა, დაიბეჭა მხოლოდ.

“დაისვენე, ახალგაზრდა ხომ არა ხარ,

თავს გაუფრთხილდიო", — მეზობლები ურჩვდნენ. ვერ მოისვენა.

ორ დღეში კვლავ ქელებში უნახავთ.

ისევ დაეცა ქუჩაში. გაუონვა მოუვიდა. ექიმმა მკაცრი წოლითი რეუიმი და სრული სინყნარე გამოუწერა. განძრევის თავი არ ჰქონდა, თორემ რა გააჩერებდა. ცოტა ყბა მოექცა, სხვა მხრივ არაუშავდა რა. ინვა და ხმას არ იღებდა.

მეზობლები უვლიდნენ. დედაჩემს სადილი გაჰქონდა, „ვოროვკა“ მეზობელი ბანდა და, ვისაც რა შეეძლო, იმით ეხმარებოდა.

ერთხელ მადლობაც უთქვამს და ცრემლიც მოსდგომია თვალზე. შემდეგ ისევ დადუმებულა.

ერთი ხანობა გამოკეთდა და ყველა დაიფრინა.

რამდენიმე დღე მის ბინაში ავეჯის განევ-გამონევა, უჯრების გაღება-დახურვა, ჭურჭლის ჩხარუნი და ქაღალდების შრიალი ისმოდა: „ვინმემ ხელს რამე ხომ არ გააყოლაო“ — ამონმებდა, ალბათ.

მესამე ნაქცევამ ბოლო მოულო. სადარბაზოში რამდენ ხანს ეგდო უგონოდ, არავინ იცის. მეზობელმა ნახა და სასწრაფოს გამოუძახა.

რეანიმაციაში რამდენიმე კვირა სიკვდილს ებრძოდა ბაბულია.

„ჯანმრთელი ორგანიზმი აქვს, არც ისე ბებერია, ალბათ, გადარჩებაო“ — ერთნი ამბობდნენ.

“განსაკუთრებით გული აქვს მაგარი, არა-სოდეს დაუჩივლია, როგორ ვერ უნდა გამოძვრესო“, — სხვები ამტკიცებდნენ.

ნათესავები გამოუჩინდნენ ბაბულიას, გაურკვეველი ნარმოშობის ყვავი-ჩხიკვის-მამი-დები, ცოლ-ქმარი. აქა-იქ სიტყვები „ქონება“

და „მემკვიდრეობა“ — გაისმა. მეზობლებისა-გან ბინის გასაღები გადაიბარეს.

ამდენი რა ჰქონდა იმ საცოდავს?! ორი თვე ეზიდებოდნენ, ყოველ ლამე, ცოლ-ქმარი, პატარა ფუთებით, დაუღალავად, ორი თვე...

მათი ფაჩი-ფუჩი ყოველ ლამე მესმოდა, ისე, კი ფრთხილობდნენ, ძალიან ფრთხილობდნენ. მეზობლებს ერიდებოდნენ თუ სხვა „ნათესავებს“ ემალებოდნენ, არ ვიცი.

მემკვიდრეობას ჯერ გაზეთებში ახვევ-დნენ, შემდეგ პარკებში აწყობდნენ და ფუთებად კრავდნენ — ისე გაჰქონდათ.

“ავეჯს ნეტა რას უპირებენ, „ — ვფიქრობდი. „იმასაც ფუთებად შეკრულს ხომ არ გაიტანენ?“ ალბათ ჯერ დაჩეხავენ, შემდეგ გაზეთში გაახვევენ და ისე გაიტანენ“.

ავეჯი დაჩეხვას გადაურჩა.

ავეჯამდე გარდაიცვალა საცოდავი.

ნათესავებმა ქელებიც გადაუხადეს, ორმოციც და წლისთავიც. ფული ბაბულიასი იყო. „შემსალაროს“ სამი წიგნაკი დარჩენოდა.

“ჩიტის რძე არ აკლდა სუფრასო“, — ამბობდა ხალხი.

ბინა რომ გააღეს, მხოლოდ ხის უზარმაზარი კარადა დაუხვდათ შემოსასვლელში, მურაბებითა და ჯემებით გატენილი. დაობებული, დამპალი, აყროლებული მურაბებითა და ჯემებით.

არ მიყვარდა ბაბულია, მძულდა.

შემეცოდა ბაბულია, ძალიან შემეცოდა.

რამდენიმე წლის წინ ქალაქის ძველ უბანში სახლი ჩამოინგრა მოულოდნელად. კომისიამ სიძველით ახსნა.


იმ სახლში მის ნათესავებს უცხოვრიათ.

— „ყველაფერი გაუნადგურდათო, თვითონ ძლივს გადარჩენენ საცოდავებიო“ — ხალხი ამბობდა.

2006 წ. Deer Par

188





Zur Verwendung
gez. von Dr. med.

七

ამ მოლოდინსაც გამოლრღნიან
სულში ჩრჩილები
ამხეთქავენ ჩემი ტვინის ცხელი ლავიდან,
ხოლო ტუჩები გვალვისაგან დახლეჩილები
იჩურჩულებენ — აღარ მოვა, გაჰქრა, წავიდა.
შენ ვერ გაიგებ ვარსკვლავები რატომ კვნესიან,
ანდა სიზმრებში ლამით თავზე
როგორ გევლები,
მიტოვებული სიყვარულის ვარ ეკლესია,
ჩამოქცეულა ხავსიანი ჩემი კედლები.
უეცრად ქარში აკვნესდება ვიოლონჩელო,
ქარი ხემია, ხები კი ნაზი სიძები,
საჭრეთლით ხელში
დგას მოხუცი მიქელანჯელო
და ჩემს საფლავზე
გაქანდაკებს გულმოდგინებით.
გახსოვს?
მინდოდა სიყვარულით ზეცა ამეკლო,
დღეს კი არავის აღარაფერს არ ვემართლები,
რა მაღალი და შორი იყო შენი სამრეკლო,
რა პატარა და უსუსური ჩემი სანთლები.

გული უცნაურ სევდით ამევსო, —
მზე მოეფერა მთებზე ქარაფებს
და მე მივხვდი, რომ დღეს უალერსოდ
აზრი არა აქვს ქვეყნად არაფერს.
თუმცა ღრუბლები ჩამსაფრებიან
მაინც ვნეტარებ, აქ რომ მეგულვი,
ძარღვები შენი ტრფობით თვრებიან
და ღელავს გული აბორგებული.
რა სასწაული ისმის ჰანგები —
ათასი ჩიტი ციდან გიგალობს,
სადაც შენ მეტყვი, მე იქ დავდგები,
თუნდაც კლდე იყოს სალი, პიტალო.
ვიღაცა უკრავს ფორტეპიანოს,
მზე საოცარი შუქით ანათებს
და რომ არავინ იეჭვიანოს
პეპლების ფრთებზე მოგწერ ბარათებს.
და თუ ფიქრობ, რომ მხოლოდ უინია,
ჩავითერფლები ჩუმად მაშინ მე...
სიკვდილის ისე არ მეშინა,
შენი დაკარგვა როგორც მაშინებს.
გული უცნაურ სევდით ამევსო,
მზე მოეფერა მთებზე ქარაფებს,
და მე მივხვდი, რომ დღეს უალერსოდ
აზრი არა აქვს ქვეყნად არაფერს.

მე უშენობას, მნარე სევდას გულში ვინახავ,
შენთვის უცნობი
და ერთგული ვრჩები ბოლომდე,
რომ ამდენ ლამაზ ქალიშვილში
მე შენ მიყვარხარ,
უფლება არ გვაქვს,
ოდნავ მაინც რომ არ მოგწონდე!
გამინანყენდნენ მე ფურცლები ლექსებუხლები,
მხოლოდ ლექსებში
და ფიქრებში როგორ გეძიო?
შენი თითებით, შენი თმებით, შენი მუხლებით
უნდა სიცოცხლე სამოთხეში შემაძლებინო.
ტუჩდახეთქილი მიღიმიან ბრონქეულები,
ეს მერამდენედ სევდის ბალში ლამეს ვათენებ?
და ვარსკვლავები
შენს თვალებში მომწყვდეულები,
ჰევანან პატარა მოციმციმე ციცინათელებს.
გულმა ფიქრები შავ ღრუბლებში ჩუმად აზიდა
და ფრთხილად ვზომავ
გადმოსადგმელ შენსკენ ნაბიჯებს...
და წვიმს ქუჩაში ისე ნაზად, ისე ფაქიზად,
რომ შეიძლება მონატრებით კაცი გავიუდეს.
ვინ გამოუშვა წვიმა გარეთ ასე ტიტველა?
ხომ შეიძლება გაცივდეს და ველარ ვუშველოთ?
დასტოვოს სევდა სულ პატარა, პანანკინტელა,
მერე თავსხმებმა ჩამიარონ გვერდით უშენოდ.
შენზე ოცნებას შევინახავ,

როგორც დიდმარხვას,
ხვალ ცისარტყელა
ჩემს სიმართლეს დაე, მოწმობდეს,
რომ ამდენ ლამაზ ქალიშვილში
მე შენ მიყვარხარ,
რა უფლება გაქვს,
ოდნავ მაინც რომ არ მოგწონდე.

მიირნევა თებერვალი პირქუში და ზანტი,
მავთულებზე ნოტებივით ბეღურები სხედან,
სადაც არის თეთრი ბანტით,
მოპრძანდება მარტი
და გულიდან ამოსკდება უშენობის სევდა.
მოადგება უცხო გემი მარტოობის კუნძულს
და ტოროლა დარდიანი ცას აიკლებს სტვენით,
მოდი, სანამ გაზაფხული რძით აუსებს ძუძეს
და მთვრალ წვიმებს შეეშლებათ
მისამართი შენი.
გაზაფხული მოვა, მაგრამ, როგორ გაპატიებს
თუ ენძელებს შენი სულის სინაზე არ მოჰყა,
თუ სილურვე თვალებიდან არ აჩუქე იქნს,
ან ყაყაჩოს არ მიადე ანთებული ლოყა.
თუკი გულში ცისარტყელა არ გაიბი სიმად,
რა გონია მისი მოსვლა ელირება რამედ?
შენს ძებნაში ფეხშიშველა ინანნალებს წვიმა
და უშენოდ შავ ძაძებში შეიშლება ღამე.
არც კვალი, არც მისამართი, სად გეძებო, სადა?
ძალისავით ამედევნა მოგონება მწარე,
მენატრება ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და
შენი თმების ქარიშხალში
გაშელართული მთვარე.

ცყალდიდობა

წვიმდა, წვიმაში არ იტეხდა მთვარე იხტიბარს
და ლრუბლის ძონძებს
მიარღვედა განრისხებული,
ზანგის ქალივით ნებივრობდა
ღამე ზღვის პირას
და იყო მინაც თბილი, როგორც ქალის სხეული.
წვიმის მკლავებში შემერთალი და განაყუჩები
ჯდა ქალაქი და ცდუნებას ვეღარ უძლებდა,
ზღვა ჩურჩულებდა სიცხიანი კაცის ტუჩებით,
არ ჩერდებოდა,
ჩურჩულებდა და ჩურჩულებდა.
პაერში იდგა დაშაქრული ნესვის სურნელი,
ალმოსავლეთის ამოვარდა ქარი ცერცეტა,
დამფრთხალ ყვავივით
შორს გაფრინდა შავი ლრუბელი
და მთვრალ კაცივით ზღვა ქალაქში შემოეხეტა.

ზღვაში ერთმანეთში აურია ლორლი, ნალაფი,
ტალლებს არ დარჩათ უნახავი ერთი ქუჩაც და
მოტყუებული ქალწულივით იდგა ქალაქი
და თავხედობას ზღვისას ბოლო აღარ უჩანდა.

გახსენება

დღეს ის სუფრაზე მოიგონეს ისე, ზოგადად,
თქვენ თქვით,
რომ სთვლიდით უახლოეს, ძვირფას მეგობრად,
მერე კი თვალზე
სინანულის ცრემლი მოგადგათ,
ჩანერთ პური ღვინოში და ბრძანეთ შენდობა.
გადაიყოლა ღვინის სმამ და ხალხის ჭორებმა
და მერე აღმართს შეუყვენეს ლურჯი ცხედარი,
რა უცნაური იყო მისი მთელი ცხოვრება
ფიქრი, ოცნება, ფორიაქი მოუსვენარი.
გაქრა, წავიდა, დაგვტოვა და ცას შეერია,
მორჩა ზღაპარი იყო ქვეყნად, არა იყო რა...
ჩვეულებრივი გოგონასგან შეჰქმნა ფერია
და არაფრისგან სიყვარული გამოიგონა.
ვერ გაარღვია
თუმცა თქვენი მეერდის ბლოკადა
დარჩა უდაბნოს ღალადისი ანაკვნესები,
ის გიკითხავდათ,
თქვენ კი ნერვიც არ გიტოკავდათ,
უსმენდით, მაგრამ არ გესმოდათ
მისი ლექსების.
გული გწყდებათ, რომ თქვენზე ფიქრში
არვინ ათენებს,
დგას უსანთლობით მოწყენილი
ძველი შანდალი,
ცარიელია ბროლის ვაზა საქრიზანთემე,
ყრია უკრაში სტრიქონები გაურანდავი.
არაფერია, შეხორციება თქვენი ჭრილობა,
ბედი გქონიათ, ნუღარა ხართ ასე მწუხარედ,
რადგან ის, ისე იღიმება მარმარილოდან,
არ შეიძლება მინისქვემაც რომ არ უყვარდეთ.

დავინახე, შემეცოდა,
ავლაბარში დუქანთან,
მიკიტანი ბოლთას სცემდა,
ბოლთა აღარ სუნთქვადა.

პასიის მოლოდინი

რიგი გრძელი იყო ვითარცა ამაზონი,
ბოლოს გაუწყდა მოთმინების ძაფი და
ნერვებანენილი მოხუცი მეეზოვე,
ცოცხზე გადაჯდა... და გაფრინდა.



ქუთახ შუღლობის

ოჯახის მებრძობის საშობაო აღსაჩენა

მადლობა ღმერთს, ღრმად პატივცემულო ქალბატონო, რომ ჩემთვის განკუთვნილ სავარძელში მყუდროდ მოკალათებული და სასაუბროდ განწყობილი, კვლავ თქვენს სიახლოეს ვიმყოფები. დღესასწაულის აურზაურმა გაიარა და, როგორც იქნა, ჩემთვის კვლავ მოიცალეთ.

აჲ, ეს საშობაო დღეები! ვთიქრობ, ბოროტმა დემონმა ყველათერი ეს იმისათვის გამოიგონა, რათა მარტოხელა და უცოლშვილოები ავაფორიაქოს, ყოფის არარაობასთან ერთად ჩვენი მიუსაფარი არსებობა მთელი სიგრძე-სიგანით დაგვანახოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ რაც ზოგისათვის ზემისა და აღტყინების ნყაროა, ის ჩვენთვის ხშირად ჭანჭვა-ნამებად იქცევა ხოლმე. რასაკვირველია, ყოველი ჩვენთაგანი არ არის

მარტოსული და მიუსაფარი. უმრავლესობას, არც თუ იშვიათად, ეწვევა ხოლმე კეთილისყოფის ის დიდი მადლი და ბედნიერება, რაშიც დღესასწაულის იდუმალება სუფევს, თუმცა კი საზეიმო განწყობით ტკბობასა და სიხარულს გვიშხამავს ხან ცოტაოდენი თვითირონიის გრძნობა, ხან კი ის მოუამული სევდა-კაეშანი, რომელსაც სამშობლოს მონატრებით შობილ გულისტკივილის საპირისპიროდ ქორწინებით გამოწვეულ დარდსა და ნალველს დავარქმევდი.

რატომ არ მოვედი თქვენთან, რომ ჩემი გულისნადები გამემხილა, გული და სული გადამეშალა? ამას მეკითხებით თქვენ, ის ვინც უშურველად იმდენ სითბოსა და სიკეთეს აფრქვევს ირგვლივ, რამდენსაც ბოროტებასა და სიავეს სჩადიან თქვენი სქესის სხვა პირშვენიერი ნარმომადგენლები. მაგრამ სხვა რამ მინდოდა მეთქვა. თქვენ შესანიშნავად განჭვრიტეთ ჩემი სულიერი განწყობა და დღესასწაულის შემდეგ, ორიოდე დღეში შპაიდელის „მარტოხელა უილბლონი“ გამომიგზავნეთ. განა არ იცით, რას ამბობს იგი ამ საუცხოო საუბრებში? ის ამბობს, რომ ურყევა და ნირუცვლელ ბერბიჭას სურვილიც კი არა აქვს იმისა, ვინმემ ანუგეშოს და დააიმედოსო; როგორც ჩანს, მას უბედობაც იზიდავს და ამ უბედობითა და უილბლობით ტკბობაცო.

შპაიდელის მიერ აღნერილი „მარტოხელა უილბლოთა“ გარდა, არსებობს კიდევ ბერბიჭების ერთი ნაირსახეობა ე.წ. ოჯახის ახლობელი. იგულისხმება სხვისი ოჯახის არევასა და დანგრევაში განაფული და დაოსტატებული ის კაცი კი არა, რომელსაც ცდუნების ჭია შეპარვია, როგორც სასურველი სტუმარი მოხერხებულად მოკალათებულა და თან ხელსაყრელ შემთხვევას უცდის, არამედ მე მხედველობაში მყავს კეთილი ბიძია და ოჯახის უფროსის სკოლისდროინდელი ის მეგობარი, რომელსაც მასპინძლის პატარა ბავშვი მუხლებზე დაუსვამს, არწევს და ართობს, დედამისს კი უხამსი ადგილების გამოტოვებით უბინოდ და უმანკოდ საგაზეთო ფელეტონს უკითხავს.

ისეთ მამაკაცებსაც ვიცნობ, რომლებიც მთელი სიცოცხლე ვიღაცის ოჯახზე ფიქრში ათენებენ და აღამებენ, რომელთათვისაც ეს ურთიერთობა მათი არსებობის განუყოფელი ნაწილი გამხდარა და უშფოთველად, უდრტვინველად, თითქოს უსურვილოდაც კი იმ მშვენიერი ქალის ირგვლივ ტრიალებენ, რომელსაც მალულად ეტრფიან და აღმერთებენ.

არ გჯერათ ხომ? აჲ, დიახ, დიახ! უდრტვინველად და უსურვილოდ, ეს ის სიტყვებია, რომლებიც შეუფერებლად მიგაჩნიათ და ამის გამო ცოტა აღმფოთდით კიდეც; შეიძლება მართალიც ბრძანდებით, რადგან, ყველაზე თვინიერ და უწყინარ ადამიანსაც კი გააჩნია დაუდგრომელი სურვილის გრძნობა, თუმცა კი ეს სურვილ-ნადილი

სადღაც, სულის სიღრმეში ბორკილდადებულია. მაგალითისათვის შემიძლია მოვიყვეთ ერთი დიალოგის შესახებ, ორი მოხუცი, ღრმად მოხუცებული ორი ადამიანი, რომ საუბრობდა რამდენიმე დღის წინ, შობის დამეს. საიდან ვიცი ამის შესახებ? ამას ნუ მკითხავთ, გემუდარებით; დე, ეს ჩემს საიდულმოდ დარჩეს და თუ შეიძლება ნურც ნურავის მოუყვებით. ამრიგად, ნება მიბოძეთ დავიწყო:

ნარმოიდგინეთ ძველებური ავეჯით განყობილი, პატრიარქალური ყაიდის ფართო და ვრცელი ოთახი, სადაც ნაღვლიანად ანათებდა უზომოდ გაპრიალებულ-გაურიალებული მწვანე საფარიანი საკიდი ლამფა. ასეთ ლამფას ჯერ კიდევ ნავთობის ეპოქამდე ხმარობდნენ ჩვენი მშობლები. სინათლის შუქ-სხივთა კონა ქათქათა სუფრა-გადაფარებულ მრგვალ მაგიდას ზემოდან დას-თამაშებდა. მაგიდაზე საშობაო კრუშონისათვის ყველაფერი მზად იყო. ზემოდან ჩამოღვენთილი ზეთის ნვეთები შუაგულში მოკალათებულიყვნენ და თავმომწონეობდნენ კიდეც.

მწვანე საფარის შუქ-ჩრდილების სამყაროში თითქმის მთლიანად ჩაფლულიყო ორი მოხუცებული ადამიანი, გარდასულ დროთა ეს ორი ხავსმოდებული ბერეჟი. მხრებჩამოყრილნი და თრთოლვით შეპყრობილნი, სიბერის უძრავი მზე-რითა და ამღვრეული თვალებით ორივენი თავის წინ თითქოს რაღაცას მიშტერებოდნენ, ერთ-ერთ მათგანში, გვარიანად გასკვნილი ჰალსტუხით, ნკვერტა ულვაშებითა და მხედრულად შექმუხნული შუბლით, მაშინვე შეიცნობდით ოჯახის უფ-როსს, ყოფილ სამხედროს. იგი გორგოლაჭებიან სკამზე გარინდებული იჯდა და თან სახელურებს, როგორც ყავარჯენებს ისე ჩასჭიდებოდა. უძრაობას მოეცვა მთელი მისი არსება, მხოლოდ წამდა-უნუმ ნიკაპი აუდიოდა და ჩაუდიოდა, თან კაუნის ხმას გამოსცემდა. მის გვერდით ტახტზე კი ხმელ-ხმელი და მაღალი მოხუცი იჯდა, რომლის ვინრო, გამხდარ მხრებზე და მოუქნელ კისერზე დიდეკაცურად წამომჯდარიყო მოაზროვნის ფარ-თოშუბლიანი თავი, მისი ფიქრებისა და აზრების ყულაბა. იგი მსუბუქ ნაფაზებს არტყამდა და მისი მოგრძო ჩიბუხიდან ცოტ-ცოტა ბოლო ამოდიოდა, ეტყობოდა სიმცირის გამო თუთუნი სულ ღაფავდა. ჭალარა კულულების გვირგვინიან, უთ-ვალავი ნაოჭით დაღარულ უშთოთველ სახეზე ისეთ უწყინარ და ლმობიერ ლიმილს დაესადგურებინა, როგორსაც სიბერის გამომეტყველებას მხოლოდ დათმენა-თვითაღაკვეთით ტკბობა და სიამოვნების განცდა ანიჭებს ხოლმე.

ორივენი სდუმდნენ. უჩამიჩუმო სინყნარეში ზეთისა და თამბაქოს წვენის მშვიდი თუხთუხის ხმა ისმოდა. სადღაც, ოთახის ბნელ კუნძულში ახრინიდა და აჭრიალდა კედლის საათი, შუაღამის დადგომას რომ იუწყებოდა.

„ამ დროს იწყებდა ხოლმე იგი კრუშონის კე-თებას, — ნარმოსთქვა აზრების ყულაბიანმა, თან მშვიდი და უწყინარი ხმა ცოტაოდენ უთროოდა.

„ჴო, ზუსტად ამ დროს“, — გამოეპასუხა მეორე. მის ხმაში კი ისეთი სიმკაცრე და თავდაჭე-რილობა იგრძნობოდა, თითქოს სამხედრო ბრძანება გასცესო.

“ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ მის გარეშე ასეთი მნუხარება და კაეშანი შეგვიპყრობდა“, — დასძინა პირველმა.

ოჯახის უფროსმა თავი დაუქნია და თან ნიკაპი ისე აუმოძრავდა, თითქოს რაღაცას ღეჭავსო.

„მან ხომ საშობაო კრუშონი ორმოცდაოთხ-ჯერ მოგვიმზადა“, — ისევ დაინტ იჯახის მე-გობარმა.

“მართლაც რამდენი დრო გავიდა მას შემ-დეგ, რაც მე აქ, ბერლინში ვცხოვრობ, შენ კი მთელი ეს ხანი ჩვენს ოჯახთან მეგობრობდი და სულ ჩვენს ახლოს ტრიალებდი“, — ნარმოსთქვა ყოფილმა სამხედრომ.

“გასულ წელს, ზუსტად ამ დროს სამივენი ერთად ვიყავით“, — გააგრძელა პირველმა. „რა ბედნიერად ვგრძნობდით თავს. ის აი აქ, ამ სავარ-ძელში იჯდა და თქვენი პაულის უფროსი შვილი-სათვის წინდებს ქსოვდა, თან ძალიან ჩქარობდა, რადგან 12 საათისათვის უნდა დაემთავრებინა. მართლაც დროულად მოასწრო. მერე ცოტაოდე-ნი სასმელი მივირთვით და სიკვდილის შესახებ მშვიდად და წყნარად ვსაუბრობდით. შემდეგ კი არ გასულა ორი თვე და ის მიიცვალა. კარგად გემახსოვრება, მე რომ საკმაოდ მოზრდილი წიგ-ნი დავნერე მრნამსის მარადიულობაზე, შენ არა-სოდეს გიზიდავდა ტანჯული ყოფა, ხოდა, რაც შენი ცოლი გარდაიცვალა, მეც აღარ ძალმიძს ტანჯუვა-ნამების ატანა. ამ საკაცობრიო იდეას ჩემთვის უკვე გროშის ფასი აქვს.

„ჴო, მართლაც რომ კარგი ქალი იყო“, — ამოილაპარაკა განსვენებულის მეულლემ. რა თავ-დადებითა და მუყაითობით მივლიდა. როცა სამ-სახურში დავდიოდი, დილის ხუთ საათზე უნდა ავმდგარიყავი, ის კი მუდამ ჩემზე ადრე დგებოდა და ყავას მიმზადებდა; თუმცა სუსტი მხარეები მასაც ჰქონდა, თუნდაც ის, რომ შენთან საუბარს გააბამდა და ათას რამეზე მსჯელობდა ხოლმე“.

„შენ მას ვერასოდეს უგებდი“, — ამოილულულა თანამოსაუბრემ და მის ბაგეთა კუთხეებში არაკეთილგანწყობის ფარულმა გრძნობამ იჩინა თავი, თუმცა კი ის გამომეტყველება, რომლი-თაც იგი მეგობარს კარგა ხანი მისჩერებოდა, იყო ისეთი ნაღვლიანი, თითქოს მის სულში იდუმალი ქენჯნა ჩაბუდებულიყო.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ამ უკანასკნელ-მა კვლავ დაინტ:

“მომისმინე ფრანც, ახლა ისეთი რამ უნდა მო-გიყვე, რაც დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევს



და არ მინდა საფლავში ჩავიყოლო".

"გისმენ, გისმენ, აბა დაინყე!" — ნარმოსთქვა მასპინძელმა და თან ხელი შეავლო გრძელ ჩიბუს, რომელიც გორგოლაჭებიან სკამზე იდო.

"ერთხელ მე და შენს ცოლს ერთად რაღაც საოცრება გადავვდა თავს". ოჯახის უფროსმა ჩიბუსი თავის ადგილზე დააგდო და მეგობარს ფართოდ გახელილი თვალებით მიაშტერდა.

"თუ ღმიერთი გნამს, ნუ ხუმრობ პროფესორო", — როგორც იქნა ამოღერდა მან.

"ეს ხუმრობა კი არა, მნარე სინამდვილეა ჩემთვის, ფრანც", — გაეპასუხა ოჯახის მეგობარი. „ორმოც წელზე მეტია ამ სინამდვილეს გულით ვატარებ, მაგრამ დადგა დრო და ყველაფერი უნდა ამოვთქვა".

"ხომ არ გინდა მითხრა, რომ გარდაცვლილი მეულლე მატყუებდა და მღალატობდა?" — ნამოიძახა ოჯახის თავკაცა.

"როგორ არ გრცხვენია, ფრანც", — სევდიანი და თან ლმობიერი ლიმილით შეეხმიანა თანამოსაუბრე.

მოხუცი ნაჯარისკაცალი თავისთვის რაღაცას ლულლულებდა, თან ჩიბუს ცეცხლს უკიდებდა.

"ის ზეციური ანგელოზივით სუფთა და უმანკო იყო", — თხრობა გააგრძელა მეგობარმა, — „დამნაშავეები მე და შენა ვართ, მხოლოდ მე და შენ. აბა მომისმინე! მაშინ ოცდაათიოდე წლისანი თუ ვიქნებოდით. შენ ბერლინში სამხედრო სამსახურში მოგავლინეს, მე კი უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი. რა თავგუნებაც იყავი მაშინ, შენ უფრო კარგად მოგეხსენება".

"ჰმ, ჰმ", — ამოთქვა მასპინძელმა, აკანკალებული ხელი ზემოთ ასწია და ნკვერტა ულვაშს გრეხა დაუწყო.

"ის ლამაზი მსახიობი ქალი გახსოვს, ბრიალა შევი თვალებითა და ჩანიკუნიკებული თეთრი კბილებით?"

"ჰო, ჰო, მახსოვს, ბიანკა ერქვა", — უპასუხა მეორემ და ბონვივანის მიხრნილ და დანაოჭებულ სახეს სუსტმა და უსიცოცხლი ლიმილმა გადაურბინა. „იმ პატარა თეთრი კბილებით კბენაც კარგად ეხერხებოდა, გესმის? კბენაც კარგი იცოდა".

"შენ ატყუებდი შენს ცოლს და შეცდომაში შეგყავდა იგი; თუმცა ქალი გრძნობდა და უსიტყვოდ იტანდა ყველაფერს. შენ ამას ვერ ამჩნევდი, მე კი ბევრი რამ ვიცოდი და ვამჩნევდი. დედაჩემის სიკვდილის შემდეგ ის იყო ერთადერთი ქალი, რომელიც შევიცანი და შევისისხლორცე. იგი მანათობელი ვარსკვლავივით შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში და მართლაც, როგორც შუქურვარსკვლავს ისე შევყურებდი. ერთ დღეს გამბედაობა გამოვიჩინე და სევდა-კაეშნის მიზეზი ვკითხე. მას გაეღიმა და მიპასუხა, რომ თავს ძალიან სუს-

ტად გრძნობდა. მართლაცდა, აბა ნარმოიდვინე, ცოტა ხნის წინ თქვენი პაული დაიბადა და, რა თქმა უნდა, გასაკვირი არაფერი იყო. ხოდა, აი დადგა კიდეც შობის ლამე. ეს იყო ზუსტად 34 წლის წინ. როგორც ყოველთვის, მე რვა საათი-სათვის გეახელით. ქალი სავარაუდელში იჯდა და ვიღრე შენ გელოდებოდით, მე მას წიგნს ვუკითხავდი. დრო გადიოდა, საათი საათს მისდევდა, შენ კი არ სჩანდი. ვამჩნევდი, როგორ ნერვიულობდა, მღელვარება იყიდობდა და თრთოდა კიდეც, მეც კანკალმა ამიტანა. შშვენივრად ვიცოდი, სადაც ბრძანდებოდი და ვშიშობდი, რომელიმე შენს ტურთა არსებასთან მყოფი, დროის შეგრძნებას დაკარგავდი და სახლში წამოსვლას არც იფიქრებდი. დრო არ ითმენდა და თორმეტი საათი ახლოვდებოდა. მან ქარგვას თავი მიანება და მეც კითხვა შევწყვიტე. უცებ შევნიშნე, როგორ მოსწყდა მის წამნამს ობოლი ცრემლი და საქარგვს დაცა. ფეხზე წამოვხტი და წასასვლელად მოვემზადე, შენი პოვნა განვიზრახე; მინდოდა მომექებნე და რომელ ქალთანაც არ უნდა ყოფილიყვი, ძალით გამომეგლიჯე და ისე წამომეუვანე სახლში. იგი მაშინვე წამოიჭრა ადგილიდან, აი ამ ადგილიდან, სადაც ახლა მე ვზივარ და სასწრაფოდ მომაშურა.

"სად მიდიხართ, სად?" — წამოიძახა შიშით შეპყრობილმა.

"ფრანცი უნდა მოვიყვანო", — ვუპასუხე დაუფიქრებლად.

"დეთის გულისათვის დარჩით, ვთხოვთ, არ წახვიდეთ, მარტო არ დამტოვოთ!", — მემუდარებოდა იგი და თან ჩემსკენ მოემართებოდა. მომიახლოვდა თუ არა, ხელები მხრებზე დამანყო და ცრემლებით გადავსებული სახე ჩემს მკერდში ჩარგო. მთლად ავცახცახდი, მე ხომ ასე ახლოს ქალს არასოდეს მივკარებივარ. მალე გონება მოვიკრიფე და მის დამშვიდებას შევეცადე. დაიმედება და ნუგეშისცემა ძალიან სჭირდებოდა მაშინ. ცოტა ხნის შემდეგ შენც დაბრუნდი, მაგრამ სახეალენილ-აგზებულსა და სასიყვარულო განცხრომის შემდეგ მთლად დარეტიანებულს ჩემი შეცბუნება და დაბნეულობა არც შეგიმჩნევია. ჩემში კი საოცარი რამ მოხდა, იმ შობის ლამემ ისე გადამიტრიალა სული და გული, რომ შიშმა ამიტანა. მას შემდეგ, რაც ჩემს მკერდზე ქალის ფაფუკი მკლავების სითბო და თმის სურნელი შევიგრძენი, ზეცას მოსწყდა ჩემი მანათობელი ციური ვარსკვლავი და მის ადგილზე ჩემს ლონემიხდილ და სასონარკვეთილ მზერას მშვენიერი ქალი გამოეცხადა, რომელიც ირგვლივ სიყვარულის სუნთქვას აფრქვევდა. ბრაზი მომერია, საკუთარ თავს რა არ ვუწოდე: თაღლითი, გაიძვერა, არამზადა და როგორმე სინდისის ქენჯნისაგან თავი რომ დამეღნია, და დანაშაული გამომესყიდა, გადავწყვიტე სატროფოსათვის ჩამომეცილები-



ნე; უნარი გამოვიჩინე და ცოტა მატერიალური საშუალებაც გამოვნახე... ქალი შეთავაზებული თანხით კმაყოფილი დარჩა და..."

"ეშმაკმა დალახვროს", — განცვიფრებით წამოიძახა ძველმა მეგობარმა — „მაშასადამე, შენი ბრალი იყო ის, რომ ბიანკამ ამაღლვებელი გამოსათხოვარი წერილი გამომიგზავნა, რომელშიც გულის ტკივილს გამოსთქვამდა იმის გამო, რომ იძულებული იყო ჩემს სიყვარულზე უარი ეთქვა".

"ჰო, ჰო, ამაში მე მიმიძლვის ბრალი", — მიუგო ოჯახის ახლობელმა. „მაგრამ, მომისმინე რა მოხდა შემდეგ. ამ გამოსასყიდით ვფიქრობდი სიმშვიდეს მოვიპოვებდი, მაგრამ მწარედ შევცდი. პირიქით, მშვითვარე ფიქრები სულ უფრო მეტად მიმორჩილებდნენ და მოსვენებას არ მაძლევდნენ. მალე ჩემს სამუშაოსა და წიგნებში მთლად ჩავეფალი. ეს ის პერიოდი იყო, როცა ჩემი წიგნის, „მრწამსის მარადიულობის" ძირითადი და მთავარი იდეა უკვე ჩამოყალიბებული მქონდა, თუმცა სიმშვიდეს მაინც ვერაფერი მანიქებდა. ასე გაიარა ერთმა წელმა, დადგა შობის ღამეც და მე კვლავ მასთან ერთად სწორედ ამ ადგილზე ვიჯექი. შენ ამჯერად სახლში იყავი, მაგრამ ამფსონებთან ერთად გატარებული მხიარული წვეულების შემდეგ დალლილ-დაქანცულს მეორე ოთახში ღრმად გეძინა. ქალის ფერმერთალ სახეს მზერა მივაპყარი და მოგონებები მთელი ძალით მომერია, გამახსენდა გასული წლის შობის ღამე. ოჸ, როგორ მინდოდა აგრერიგად სანუკევარი არსება კვლავ ჩემს მეერდზე მიყრდნობილი მეხილა, მისი ამბორი ერთხელ კიდევ მეგრძნო და მერე თუგინდ მოვმევდარიყავი. წამიერად ჩვენი თვალები ერთმანეთს შეეჩეხნენ და უცებ მომეჩვენა, თითქოს მის მზერაში იდუმალი თანაგრძნობა გამოკრთა. თავი ვეღარ შევიყავე, ფეხებში ჩავუვარდი და აგზნებულ-ალენილი სახე მისი კაბის კალთაში ჩავრგე. ალბათ ორიოდე წამს ვიქენებოდი ასე თავჩარგული, რომ ვიგრძენი ფრთხილად და მოკრძალებით თავზე ხელი როგორ დამადო და ნაზად, წყნარი ხმით წარმოსთქვა: „კეთილგონიერება გვმართებს, ძვირფასო მეგობარო, კეთილგონირება!".

"ჰო, რა თქმა უნდა, კეთილგონიერებაა საჭირო. არ უნდა ვითვალთმაქცოთ და არც ის ადამიანი მოვატყუოთ, რომელსაც გვერდით ითახში ასე უდარდელად სძინავს და მთელი არსებით გვენდობა", — ვფიქრობდი ჩემთვის. მალე ფეხზე წამოვიჭერი და დაბნეულ — შეცბუნებულმა ირგვლივ მიმოვიხედე. ამასობაში ქალმა მაგიდიდან

წიგნი აიღო და გამომიწოდა. მე მაშინვე მივუხვდი; რომელი გვერდიც მომხვდა გადავშალე და კითხვა დავიწყე, თუმცა კი წაეითხულისა არაფერი გამეგებოდა, ჩემს თვალნინ ასოები ხტოდნენ, როგორც იქნა ჩაცხრა ვნებათალელვა, დაწყნარდა ჩემი აფორიაქებული სულიც. მალე საათმა თორმეტვერ დარეკა და ნამძინარევი სახით შენც შემოხვედი ჩვენს ოთახში შობის მოსალოცად, მე კი მომეჩვენა, რომ ის უნებლიერ დანაშაული და წამი შეცოდებისა სადღაც შორს, თითქოს გარდა-სულ დროთა სილრმეში ჩაიძირა.

იმ დღის შემდეგ კვლავ სიმშვიდე დამეუფლა; საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ იგი არასოდეს შემიყვარებდა და მისგან მხოლოდ სიბრალულისა და უბრალო თანაგრძნობის ღირსი თუ გავხდებოდი. დრო გადიოდა, თქვენი შვილები დაიზარდნენ და დაოჯახდნენ კიდეც. ჩვენ, სამივე ვბერდებოდით და ვბერდებოდით. შენ ისე უგუნურად აღარ იქცეოდი, ყველა სატრფო ჩამოიცილე და არსებობდი მხოლოდ იმ ერთი ქალისათვის, რომლის გამო მეც ვაგრძელებდი სიცოცხლეს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ჩემი სიყვარული დამთავრდა, არამც და არამც; მან მხოლოდ სხვა ელფერი შეიძინა, მიატოვა მიწიერი სწრაფვანი და სურვილები, ბოლოს კი ჩემს სულს შეერწყა. შენ ხომ ხშირად იცინოდი ჩვენს ფილოსოფიურ მსჯელობებზე, მაგრამ ცოტათი მაინც რომ მიმხვდარიყავი, ან გუმანით გეგრძნო, როგორ გახდა იგი ჩემი სულიერების ზიარი, აუტანელი ეჭვი შეგიპყრობდა. და აი, ის აღარ არის, ალბათ მომავალ შობამდე ჩვენ ორივე უთუოდ გავუყვებით მის გზას, ამიტომაც დროა გაგიმხილო ჩემი საიდუმლო და გითხრა: „ფრანც, მე შენს წინაშე ბრალი მიმიძლვის, ერთადერთხელ შევცოდე და მაპატიე". მან მეგობარს მუდარით ხელი გაუწოდა, რომელმაც მკვახედ და ცივად მიუგო:

"ოჸ, რა სისულელეა! რა არის საპატიებელი, რაც შენ საიდუმლოს აღსარებასავით საგანვებოდ გამანდე, მე დიდი ხანია ვიცოდი. ჩემმა ცოლმა ეს ყველაფერი ორმოცი წლის წინ მიამბო. ახლა კი მეც მინდა გამოგიტყდე, თითქმის სიბერემდე სხვა ქალებს რატომ დავდევდი, ეს იმიტომ, რომ ჩემმა ცოლმა მრავალი წლის წინ მითხრა, თურმე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მისი ერთადერთი სიყვარული შენ იყავი".

ოჯახის მეგობარმა ხმა ვეღარ ამოიღო და მხოლოდ განცვიფრებული მისჩერებოდა მას. კედლის საათი კი ხრინწიანად იუნიებოდა შუალა-მის დადგომას. შობის დღესასწაული იწყებოდა.

გერმანულიდან თარგმნა
ნანა ნოზაძე - ჯულაშვილია

ტენის ჟუდი

საქართველოს
სახალხო კულტურის
მუზეუმი

ილა ჯანგილაშვილია

ინგრიძე

ქოქის

პოლ დანბერი

სულ მცირედი ოცნება და
სულ მცირედი გარჯა,
ხან ტკივილი,
ხან ხალისი,
სიხარულის მფენი,
ცოტა ბრძოლა,
ცოტა დავა
და თუ რამე დარჩა,
ამას ჰქვია ჩემო კარგო,
დღეს, ცხოვრება ჩვენი!
გაზაფხულის ლურჯი დიღა
ოცნებებით მავსებს,
სიხარულის სხივს რიურაუზე
დაბადებულს გვიან,
მოგალობე ჩიტუნას
თუ თვალციმციმა ზეცას,
სუყველაფერს, ჩემო კარგო,
სიყვარული ჰქვია!

ყალბ მეგობრებს

ჩვენი ხელები კვლავ შეხვდებიან,
არ შეხვდებიან ჩვენი გულები,
ო, მეგობრებო, უამთა სვლისაგან
ვართ სამუდამოდ დაკარგულები.
მიყვარდით, ჰოი, რარიგ მიყვარდით,
გეტრფოდით კრძალვით, მწამდა ყოველი,
ინვიმებს ალბათ, თქვენთან შეხვედრას
კვლავნდებურად აღარ მოველი.
ასე ყოფილა! ბედის განაჩენს
მოდით, ნურასდროს დავემდურებით,
ჩვენი ხელები კვლავ შეხვდებიან,
არ შეხვდებიან მხოლოდ გულები!..

ედიტ სეგალი

ცვიმა

მარგალიტის მძივებად
ბრწყინავს ფანჯრის მინაზე,
თითქოს, ციდან ჩამოჰყვა
ანგელოზის სინაზე,
და უამურ შუადლით
ვიღაც არხევს ვერცხლის სიმს,
ვზივარ მარტო, გარეთ კი
უმოწყალოდ წვიმს და წვიმს...

ლონგველოუ

ცვიმიანი დღე

დღე არის ბნელი და ურჩი,
ცივი, სევდიანი, ლურჯი
ფიქრსაც წვიმის დაღი აზის
კედელს ეჭიდება ვაზი,
ქარი შეშლილივით დაჰქრის
და მიწას მკვდარ ფოთლებს აყრის.
ვით მიტოვებული ფუნჯი,
დღე არის ბნელი და ურჩი...
ცივია, ცხოვრება ჩემი,
ქარივით მიჰქრიან დღენი,
ნარსულს ეჭიდება ფიქრი,
იმედიც ქარივით მიჰქრის.
არსად ოცნება და შური,
დღე არის ცივი და მუქი.
დამშვიდდი, ნატანჯო გულო,
დაწყნარდი, დაწყნარდი სულო.
რას ჩივი, შენ არ ხარ ერთი,
ესაა მოკვდავთა ბედი;

მზე არის ღრუბლების კიდეს,
გნამდეს, გათენდება კიდევ,
ყველაფერს ათოვს და აწვიმს
ესეც ხომ, ბედია კაჯის...

უილიამ ბლეიკი

სიყვარულის საიდუმლო

სიყვარული რა არის?
გრძნობა — ლამისმთეველი,
ქარი ფრთებით დაფრინავს
ფრთხილი, შეუმჩნეველი.
როცა გულმა სიმღერა
წამოიწყო თავიდან,
ის თავნება ასული
სიზმარივით წავიდა,
თქმაც კი ვერ მოვასწარი,
სევდა არ მამყოფინა...
სიყვარული მარტოდენ
საჭანჭველი ყოფილა!

თომას მური

06 მცუარის ზარეპი

რეკენ და რეკენ დაუსრულებლად,
თითქოს იხსნება ზღაპრის კარები,
კვლავ მახსენებენ ახალგაზრდობას
მწუხარის ზარები, მწუხარის ზარები.
ვგრძნობ, ჩაუვლია ბედნიერებას
და მხიარული ერთ დროს გულები,
საფლავში წვანან — სიმარტოვის, თუ
ცხოვრებისაგან გათანგულები
როს, ჩემი წასვლის დადგება ჯერი
და ცივ სამარეს მივებარები,
კვლავ იმღერებენ სევდის სიმღერებს
მწუხარის ზარები, მწუხარის ზარები!..

ରାଜ୍ୟକାନ୍ତି ପାଇଁ

ଓৰ্জাৰণ

ნვიმს... ჰო, ისევ ნვიმს...
და როგორც უნინ
ცრემლს მაგონებენ ციცქნა ნვეთები,
მოგიხმობ, გელი, თუმცა, ამაოდ
შენ ჩემსკენ ალარ მოიხედები...

ნლები მიჰქრიან... ნლები, ო, ნლებო
ვერ მოგაპრუნე უხმო ძახილით,
ახლა შენ მიხმობ, ჩვენ შორის დრო დგას
დრო – ალესილი ბასრი მახვილი...
დაგაგვიანდა მიწაზე ისევ
მიდი — მოდიან წვიმის წვეთები,
ვიცი, მარტო ხარ და კვლავ მომიხმობ,
დასაკარგავად არ გემეტები...
და მაინც, უკვე ვეღარ მოგისმენ,
მე აღარაფრის არ მსურს გაგება,
სულ ამაოა, იმ სიყვარულის
კვლავ გახსენება და ქადაგება...
ნულარ მეძახი, გადავიღალე,
ერთგულებით და უამინდობით,
დაგაგვიანდა ძლიერ, ძვირფასო,
დაგაგვიანდა, გესმის? მშვიდობით...

პოლ დანდერი

၃၇၆၁၈၁ၬၦ

ფრთამოტეხილ ფრინველს ჰგავს
დღე — ოცნების გარეშე,
უნაყოფო მინდორზე
ყინვა დუმს მოთარეშე.
ნუ, ხელს ნუ ჰკრავთ ოცნებას,
გეყოთ გამბედაობა,
ნატვრამკვდარი სიცოცხლე
მოჰვავს არარაობას...

თომას გური

06 მწუხარის ზარეპი

რეკენ და რეკენ დაუსრულებლად,
თითქოს იხსნება ზღაპრის კარები,
კვლავ მახსენებენ ახალგაზრდობას
მწუხარის ზარები, მწუხარის ზარები.
ვგრძნობ, ჩაუვლია ბედნიერებას
და მხიარული ერთ დროს გულები,
საფლავში წვანან — სიმარტოვის, თუ
ცხოვრებისაგან გათანგულები
როს, ჩემი წასვლის დადგება ჯერი
და ცივ სამარეს მივებარები,
კვლავ იმღერებენ სევდის სიმღერებს
მწუხარის ზარები, მწუხარის ზარები!..

ინგლისურიდან თარგმნა
ირმა ჰანტერაშვილია



ხალხის ჩახუნძე

გამოსავალი მუდამ ახსებობს

(გურამ დოჩანაშვილის
შემოქმედების გიჩენვით)

პიროვნების მიერ თავისი თავის შეცნობის,
ცხოვრების გზაზე დიდი დაცემის, შეცოდების
შემთხვევაში გადარჩენის და გამოსავლის ძიება
გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი
უმთავრესი პრობლემაა, რომელიც აერთი-
ანებს ორ მოთხოვნის „განსმდგომი შუაკაცი“,
„ვატერ(პო)ლონ ანუ აღდგენითი სამუშაოები“
და რომანი „სამოსელი პირველი“.

ადამიანი მუდამ თავის თავს გარეთ გამ-
სვლელია. იგი ყოფიერების საკუთარი გაგების
მიხედვით თავისივე არსების შემქმნელიცაა,

რადგან მას, როგორც მიწიერ „ცოცხალ თი-
ხას“, რომელიც ღვთის „ხატი და მსგავსია“,
ცხოვრების გზის გავლისას თავისუფალი არ-
ჩევანის ნება ეძლევა. ეს კი გურამ დოჩანაშ-
ვილისათვის საპატიო, მაგრამ საშიში საწყისი
მდგომარეობაა. როგორ გაიკვლევს ადამიანი
ცხოვრების გზას, რითი ცდუნდება, რას აირ-
ჩევს, საით ნავა და სად დარჩება, ეს ნინასნარ
არავინ იცის...

გავიხსენოთ არჩილის („განსმდგომი შუა-
კაცი“) ფიქრები, როდესაც სულში მომხდარი
დიდი ძვრებით უკვე სულიერად დაავადებუ-
ლი, შემთხვევით, ღამით, თავის ყოფილ საბავ-
შვო ოთახში აღმოაჩენს „მთლად ახალ მიწათა
ბავშვს, დიდ საოცრებას, ცხოვრების დიდად
სათუო გზაზე ახლახან დამდგარ არსებას, სუნ-
თქვაშეკრული წინგადახრილი ჩასკეროდა...
და მზერადქცეულს, ჩვილის ამ უცნაური, გა-
ყინული ჭვრეტით უღვივდებოდა ძველი ეჭვე-
ბი, ეგებ: „რა, რა გამოხვალ... საით ნახვალ...
რას ამოირჩევ... ვინ, რა დადგები...“ ბავშვს კი
ეძინა, გრძელი გზისთვის იკრებდა ძალას, აჲ,
მოელოდა ყოველივესთვის როგორ რთული ბი-
ლიკთა ქსელი, რა სასოება, რა სივერაგე, წყა-
რად ფშვინავდა...“ და მერე, როდესაც ჩვილის
შეშმუშვნით ძლიერ დამფრთხალი არჩილი თა-
ვისი ოთახისკენ გაემართება, ავტორის შენიშ-
ვნით, „კვლავაც წართმეულ თვალებზე მაინც
ეტყობოდა, ისევ თავისას, ალბათ, ფიქრობდა:
„ჰე, ვინ გამოვა...“

არჩილის ფიქრები ცხოვრების გზის ბოლო-
ში გასული კაცის მწარე ფიქრებია, რომელიც
ნალვლიანად გამოსცეკერის ამ გრძელი და ძნე-
ლი გზის დასაწყისში ახლად დამდგარ ჩვილს.

ადამიანის სული ყოველგვარი შესაძლებლო-
ბების მომცველია: დადებითი იქნება ეს, თუ
— უარყოფითი. მას ერთი მხრივ ჰყავს მფარ-
ველი და მწყალობელი, მეორე მხრივ ჰყავს
მაცდუნებელიც.

ბესამეს [„ვატერ(პო)ლონ ანუ აღდგენითი
სამუშაოები“] მფარველი მოხუცი ქრისტობალდ
როხასია. მან ჩამოიყვანა ობოლი ბესამე ქალაქ
ალკარასში, მისი წყალობით იგი მუსიკის ამაღ-
ლებულ სამყაროში მოხვდა, რაც ღვთაებრივი
საწყისის გაშლას და აღზევებას იწვევს ბესა-
მეს სულში...

დომენიკოს („სამოსელი პირველი“) მფარვე-
ლი, მწყალობელი მამაა. მთელი თავისი მოგზა-
ურობის დროს, თვით უძნელეს წუთებშიც კი,
იგი ნიადაგ გრძნობდა, რომ ვიღაცას (მამას)
უყვარდა...

არჩილის („განსმდგომი შუაკაცი“) მფარვე-
ლის როლს კი ძველ, გადასაგდებ სკივრში შემ-
თხვევით აღმოჩენილი ძველისძველი, დაფურ-
ცლული ბიბლია ასრულებს.

ადამიანისთვის ცხოვრების გზა ქრისტეთი შემოსვის და მიწიერი ნაწილის გასულიერებისკენ სავალი გზაა. ამ გზაზე კი ნინააღმდეგობა, ცდუნება და ეშმა-განსაცდელი მრავლად ელოდება, რომელიც ზოგს ლუპავს, ზოგს კი აწრთობს და განამზადებს შინაგანი თავისუფლებისთვის. სწორი გზის დანახვა და მასზე შემხვედრი საცდურისგან თავის დახსნა ყველას არ ძალუდს.

„ხოლო საცდურში ნურვინ იტყვის: ღმერთი მაცდუნებსო“, ვინაიდან, ღმერთი არ იცდუნება ბოროტით და არც თავად აცდუნებს ვისმე.

არამედ ყველა საკუთარი გულისთქმით ცდუნდება და ნარიტაცება. (იაკობი. 1, 13-14).

არჩილიც („განსმდგომი შუავაცი“) საკუთარი გულისთქმით ცდუნდება. მისი საცდური ფულია ანუ, როგორც თვითონ უნოდებს, ხელის სილამაზეა.

ტყუილის და სიყალბის (ეს ორი სიტყვა, მწერლის შენიშვნით, შემდეგ, მთავარი გმირის „გრძნეული დაავადების შემზარავად გადასაფურჩქნ ჩანასახად“ იქცა) ჭაობში არიან არჩილი და მისი მეგობარი „წრეელები“ ჩაფლული, რომლებიც სულ სხვანი არიან ერთმანეთის ოჯახებში, წვეულებებზე, ანდა საჭირო ზევითურა ხალხის თანდასწრებით. ხვეწნურად ძლიერ მომლოდინე მზერას აღაპყრობდნენ ნემსთყუნებში გამძვრალნი, დახვენილები გახლდნენ ისეთი, უცხო თვალს მათთვის რომ შეეხედა? — სულო და გულო... ატაშეების მიხვრა-მოხვრა ჰქონდათ და ამავე დროს ისინი სულ სხვანი იყვნენ „ქალაქებარეთა რესტორანში კაბინეტთაგან ყველაზე უშუალოში მოყუჩებულნი...“

ისე მათთვის არც კეთილდღეობა მოდიოდა თავისით, „ამას შრომა და ანგარიშიანი გაბედულება უნდოდა, შემონმებელთა სისუსტეების ამოცნობა, ჭუით მიდგომა, სხვადასხვაუთხა დაზღვევები, გამოზომილი ურთიერთობა, როგორც უფროსთან, ასევე — უმცროსთან, თანამშრომელთა თვალის გასაკეთებლად რაიმე ზედმეტი უანგარო დატვირთვის აღება...“

მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, „საკუთარ თავში შეეჭვებულებს, გასამართლებლად ყოველნაირი ცუდი ამბავი რომ ახარებდათ, ეს იყო მათი შვება, რომ ვიღაცამ ვიღაცა ბებუთით დაჭრა, ან, რომ გაქურდა, ან, რომ გლეხები დანასისხლად ჰყიდიდნენ სურსათს, რომ ვიღაც ექიმს ქრთამში ჩავლეს და ვიღაც გამომცდელს ვიღაცისგან დიდი მაყუთი აუღია, აი, რა ჰქონდათ გასამართლებლად, გასახარად, და უმრუდდებოდათ რეგვენი თვალი, მაგრამ ყველაზე სამინელი მაინც ის იყო, რომ გამაძლებს აღარ ახსოვდათ, რომ აქვთ სამშობლო, საქართველო, ძველგადმოცემით, ღვთისმშობ-

ლის სათნოდ ნილი ქვეყანა...“

ბესამეს კი [მოთხრობა „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“] კარტუზო ბაბილონიამ დანაქადი შეუსრულა და აღდგენით სამუშაოებზე გააგზავნეს, რის გამოც თავის ფლეიტასავით სუფთა და უმანკო ბესამე რექსაჩის სკოლის სიმახინჯეს შეეჯახება, სადაც მენდელსონის მუსიკის ფონზე სახეზე უსათნოები გამომეტყველებით წყალქვეშ ერთმანეთს ამახინჯებენ ახალბედა ვატერპოლოელები, რომელთაც მწვრთნელი რექსაჩი დღენიადაგ ცხოვრების მგლურ კანონებს ჩასჩიჩინებთ:

— თვით ცხოვრებაა ვატერ(პო)ლოო, თვითონ ცხოვრება და ყოველი მოქალაქის მთავარი მიზანი. რადგან ისაა, ცხოვრებაში რომ გამარჯვებული გამოვიდეს, გამარჯვებული კი ისე ვერ გამოხვალ, სხვას თუ არ დაამარცხებ და სხვა რომ დაამარცხო, ათასნაირი ხერხი და ხრიკია საჭირო და ამეებს კი ვატერ(პო)ლოზე უკეთესად სხვა ვერაფერი შეგასწავლით.“

იესოსავით ლარიბ, ობოლ ბესამეს ქრთამის გაღების საშუალება არა აქვს და ამიტომ ყველაზე უარეს დღეში ვარდება. რექსაჩით დათრგუნულს „მუდამ ალაგ-ალაგ ჩალენილსა და დალურჯებულს, უმონყალოდ ნაგვემს, თავის გატანის მკვეთრი სურვილი არ აძინებდა, ღრღნიდა. ცხოვრება, ვითომ სწორედ ეს იყო, ეს ვატერ(პო)ლო?! არდანდობა და გაუტანლობა?.. და როგორმე, რომ არ გადაექელათ, რა, რა ელონა, რა უშველიდა ნეტავი ობოლს... და არცთუ ისე მოგვიანებით მიხვდა: რა და, ძალა და, რაც მთავარია, აჲ, სითვალთმაქცე ისეთი ტკბილი, და გემრიელი, და აკრძალული ცხოვრებაში ვითომცდა ხილი“.

ბესამეს საცდური თავის გატანის, გადარჩენის მძაფრი სურვილია, რის გამოც „იმ სამი თითით, რომლებითაც სოფლის პატარა ეკლესიაში კვირ-კვირაობით პირჯვარს იწერდა, ახლა გომურთან, თუკი არავინ უყურებდა, ხის კედელში ლურსმანს თითქმის ბოლომდე აჭედებდა, რათა თამაშის დროს შესძლებოდა უფრო მნარედ ვისიმე ჩქმეტა.“

ბესამეს საბედისწერო შეცდომა ცხოვრების მხოლოდ ვატერ(პო)ლოოდ, არდანდობად და გაუტანლობად ჩათვლაა, ამიტომაც, თვითონაც ღამედქცეულს, ხანდახან ღამე ანგალებდა, რომელიც „ზედ საყელოზე ჩაფლენოდა და შავი ხელებით ჩაებლუჯნა და, ნახევრად მიმხრებალს, ბნელი ფოსოთი ჩასჩირებოდა, შავი ხახა ჩამოჰყურებდა: რისთვის ხარ, რატომ...“

დომენიკოს (რომანი „სამოსელი პირველი“) საცდური მაღალსოფლიდან სამყაროს შესაცნობად ნასვლის სურვილია, რომელიც ლტოლვილის ფერადმა ნაამბობმა გაულვივა. ამიტომაც ევედრება მუხლებზე დაჩოქილი მამას:

„მამაო, მომეც მე, რომელი მხუდების ნაწილი სამკვიდრებელისაი“, რითაც მამას წყდება, თავის პირველსაწყისს.

ერთგული კოჭლი ყმის მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად (სამკვიდრებლის ნახევარს ვინც ნაიღებს, უკან აღარ მიიღებენ), დომენიკო მაინც არ იტოვებს ექვსი ათასი დრაჟეანიდან ერთსაც კი, რათა მშობლიურ მაღალსოფელში უკან დასაბრუნებელი ჰქონდეს.

დომენიკო დიდხანს მოგზაურობს. ლამაზ-ქალაქის სიყალბიდან, ანა-მარიას სიყვარულის დაკარგვის გამო თავზარდაცემულს, თვითგანადგურების მძაფრი სურვილი ბოროტ ქალაქში, კამორაში, მიიყვანს. ამ ბნელი ქალაქის უნდო სამყაროდან, მრავალი ტანჯვის შემდეგ კანუდოსში, თავისუფლების ქალაქში, გაიქცევა და კანუდოსელების მსხვერპლურ-ამაღლებულ სამყაროს ეზიარება, სადაც ინვენევს თავისუფლების სიტყვოსა და მისი დაკარგვით გამოწვეულ სიმწარეს. და ბოლოს, უეჭველი სიკვდილისაგან მიჩინიოს მიერ გადარჩენილი, სადღაც, მიყრუებულ ადგილას, ღორების კოლტის მწყემსი ხდება და სიცივისა და შიმშილისგან ლამის სული ამოხდეს.

გომურის კედელს მიყრდნობილი დომენიკო ნერწყვმომდგარი მისჩერებოდა ხოლმე, თუ როგორ თქვლეთდნენ ღორები სალაფავს, „შიმშილისგან სციოდა დომენიკოს, აკანკალებდა, ძალიან გახდა, შორიახლოდან გომურზე მიყუდებულ ფიჩხის მცირე შეკვრასა ჰგავდა“. „ნაღვლიანად დახარბებული დასცექეროდა სალაფავს, ვაშლისა და კიტრის ნაფცევენებზე უარს იტყოდა კი არა, სურვილისგან აურიალებდა, მაგრამ არავინ მიუგდებდა...“

და, აი, სამივე გმირი განსაცდელშია: არჩილი მრუშობისა და მომხვეჭელობის ჭაობშია ჩაფლული; ბესამე დიდი ვატერ(პო)ლოელი გახდა, უნაზესი ფლეიტის მაგივრად ქამარში ორფა სატევარივით გაჩრილ ტრომბონზე უკრავდა და მისი სულიც ტრომბონივით გაუხემებულია; დომენიკო კი ღორების კოლტს მწყემსავს და დღენიადაგ შიმშილის მოკვლაზე ფიქრობს.

აი, ამ დიდი დაცემის, დიდი შეცოდების შემდეგ არსებობს კი გამოსავალი?..

„გამოსავალი მუდამ არსებობს, ღორებშიაც კი“ — ასე არიგებს მიჩინიო დომენიკოს („სამოსელი პირველი“); ხოლო მენდეს მასიელი ასე მიმართავს კანუდოსელებს: „სიბინძურეში ამაღლების საშუალება უფრო არსებობს და თქვენ მოგეცათ“.

ასე რომ, გურამ დოჩანაშვილის ღრმა რწმენით გამოსავალი მუდამ არსებობს.

მაგრამ მთავარი გამოსავლის პოვნაში მა-

ინც პიროვნების ნება და სულიერი სიძლიერეა.

ნაირა გელაშვილი ნერილში: „აფრედერიკი და განაბულჯადოქრიანი საკრავი“ შენიშნავს, რომ გამოსავლის პოვნისას, „როგორც გადახდა გამოსასყიდისა, შემცოდე თმობს, ჩვეულებრივ, კეთილდღეობას“.

თუმცა არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ განსაცდელგამოვლილი ბესამე და დომენიკო და, მითუმეტეს, არჩილი არ მისტირიან ჩვეულებრივ ადამიანურ ბედნიერებებს. იმიტომ, რომ „ნეტარია განსაცდელის გადამტანი კაცი, რადგან, რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის მოყვარულთ.“ (იაკობი 1, 12).

მათი განწმენდა, ცოდვიდან გამოსვლა, უდიდესი სულიერი ძვრების შემდეგ მონანიების გზითდა ხდება შესაძლებელი.

„მონანიება“ კი ბიბლიაში უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩადენილი ცოდვის გამო სინაულია. იგი აღნიშნავს „შეცვლას, „შემობრუნებას“. ესაა ძალისა და მოქმედების სიტყვა, როცა ჩვენ ზურგი უნდა ვაქციოთ ცოდვას, გავშორდეთ ყველაფერს, რასაც კი იგი შეეხება.

ასე რომ, სინაული ჯერ კიდევ არ ნიშნავს მონანიებას. იუდა საყვედურობდა თავის თავს და ნაწილი, მაგრამ არ მოუნანიებია.

დომენიკოც ნაწილი:

„და რომ ავდგე და ნავიდე, და ვუთხრა მას, — გაფაციცებული ფიქრობდა იგი, — დავაშავე შენს ნინაშე და ნინაშე კიდევ მრავალთა სხვათა, და არღარა ვარ ღირსი, შენი შვილი რომ მერქვას, არამედ მიმიღე მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი...“

მიიღებდა კი? — ეჭვი კლავდა.

შვილად მიღების იმედი სრულებითაც არ ჰქონდა დომენიკოს, მაგრამ რა იქნებოდა, ყმად რომ შესდგომოდა მამას? — „რა იქნებოდა, თავად მამას სამუშაო რომ მიეცა მისთვის და მხოლოდ იმდენი საკვები, სამუშაოს კეთილად შესრულების თავი რომ ჰქონდა...“

თავს იტანჯავდა დომენიკო. „ზაფხულობით ველად გასული, ძონძებს მოიშორებდა და მზის გულზე შიმველი იჯდა, ეხეთქებოდა კანი, იარებიდან ბაცი სისხლი სდიოდა. დიდი, მძიმე ლოდი ჩამოეკიდნა გულზე, გაზაფხულობით, მოწყურებული, ნაროსთან იჯდა, მარილს ლოკავდა. სეტყვაში მორჩილად დგებოდა, თეთრ, ბეჭით ნერტილებს გასაცოდავებულ სხეულს უხვედრებდა. ზამთრობით თოვლზე ფეხშიშველა დაიარებოდა, ქვებზე ეძინა...“ და, მაინც, ვერა და ვერ მოიცილა სოფლად დაბრუნებაზე ფიქრი...

თანაც, „მის დროებით, მცირე პატრონსაც,



ძუნწს, ხარბს, წუნურაქს, რა ჭირი ეტაკა, რა იყო, რა მოეჩვენა მაინც, ბოლო დროს შინ, სალორეში მობრუნებულ დომენიკოს ცხელ კერძს, ხორციანს, უხვედრებდა და სპილენძის ჯამი ნაკელიან სოხანეზე კი იდო, მაგრამ მაინც დუღდა, მძიმედ თუხთუხებდა და დამატყვევებელი, რკინის აბლაბუდასავით სუნს გამოსცემდა, აურიალებდა დომენიკოს, მოიკუნტებოდა, ნერწყვი სდიოდა, აძაგძაგებდა, მაგრამ იცოდა, კერძის შეთქვლეფა და სოფლად ასვლაზე ფიქრი მოშორდებოდა. და ამა ფიქრის ასარიდებლად, თუმც ზამთარ-ზაფხულ თავს იწამებდა, აიქ ასვლაზე მტანჯველ ოცნებას მაინც რომ ელოლიავებოდა, ამ ავაზაკურად აორთქლებულ კერძზელა მიხვდა... რაღაც სხვა იყო მაღალ სოფლად ისეთი, რაღაც, საჭმელზე მეტად რომ ეზიდებოდა..."

დომენიკოს კარგად ახსოვდა, მაღალსოფლიდან წამოსულმა დაღმართზე ცხენით რამდენი იარა და იქნა, და როგორ დაიღალა, ახლა კი ცხადად გრძნობდა, ამ გზის აღმართში ავლა მისუსტებულსა და ღონემიხდილს ფეხით, ანდა იქნებ ფორთხვითაც კი, მოუნევდა.

თანაც მტანჯველი ეჭვი გულს უსერავდა: „იქამდე აღწევას, შორეულ ბილიკს გინდაც დასდგომოდა, შესძლებდა კია? — ქანცგანყვეტილი, დავრდომილი... მიიღებდნენ კი?“

დომენიკოს სულის სიძლიერე ყოფნის, რათა აიაროს აღმართი და მაღალსოფელში მამასთან დაბრუნდეს. ეს ტანჯვითა და წამებით ამაღლება მისი სულის ამაღლებაცაა. იგი წანობდა, მაგრამ მამასთან დაბრუნებით მოინანია. მისი ჯილდო სიყვარულის ის დიდი ამეთვისტოა, გულზე რომ ჰქიდია. დომენიკო „სამოსელი პირველის“, სიტყვის მსახური ხდება და, ფაქტიურად, „განხვნა საქნელნი ცისანი და, ამავე დროს, მინის უკუნში ფესვი გაიდგა...“

გაუხეშებული, დამედქცეული ბესამე კარო კი ტრომბონის გუგუნით ყოველ დილით ალკარასის მცხოვრებლებს აღვიძებს. მას აღარც თავისი სათაყვანებელი მოძლვარი ახსოვს და აღარც ფლეიტა — „განაბულჯადოქრიანი საკრავი“. ბესამესთვის აღარაფერია წმინდა და ხელშეუხებელი. ხოლო მისი საბოლოო დაცემა, პირველი სიყვარულის, რამონას, შეურაცხყოფით ხდება.

ადამიანის ცხოვრების გზისათვის ბავშვობის განცდებსა და გამოცდილების ამოუნურაობას და ღირებულებებს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებისათვის ბავშვობისდროინდელი ემოციები სინმინდესთან, სისპეტაკესთან, უმანკოებასთან იგივდება. დაახლოებით ასეთივე დატვირთვა აქვს პირველ სიყვარულსაც.

„შენ ღარიბი ხარ, როგორც იესო“ — ქრის-

ტობალდ როხასის მიერ შთამაგონებელი რისხვით წარმოთქმული ეს სიტყვები ბესამეს სულის საბოლოო შეძვრას იწვევს, რადგან ეს ბესამეს იავნანაა, ამ სიტყვებით აძინებდა პატარა ბესამეს დედა.

ხოლო დიდი მოძლვრის, ქრისტობალდის, მოგუგუნე ხმით წარმოთქმული სიმღერა — „ფარაში დამიდიოდა ერთი ციკანი, მოფერებამ გადამიქცია გარეულ მხეცად“, — ბესამეს სულში მომხდარი დიდი ძვრების მიზეზია, ამ სიმღერას ხომ თავად ბესამე — ობოლი, უცოდველი პატარა მწყემსი მღეროდა ბავშვობაში.

დიდმა ეთიკურ-ემოციურმა ზეგავლენამ გამოიწვია ბესამეს გადარჩენა შინაგანი დალუპვისაგან. განცდილმა სიყვარულმა, ტანჯვამ, დამცირებამ, ძალმომრეობამ, დაცემამ და კვლავ ამაღლებამ ბესამეს შესძინა „ახალი სახლი — ახალი სამყარო, წყალი, მიწა, ჰაერი.“

თუ დომენიკო „სამოსელი პირველის“ სიტყვის მფლობელია, ბესამე კაროს ფლეიტა აქვს — „მძინარე ჩვილის ნერწყვივით წმინდა...“

ფაქტიურად, ბესამემაც და დომენიკომაც გამოიყენეს ის ნიჭი, რომელიც ადამიანს, როგორც „ცოცხალ თიხას“ ეძლევა და გაასულიერეს თავისი პიროვნება, თავიანთი „მიწიერი წანილის“ ჩათვლით.

არჩილის („განსმდგომი შუაკაცი“) სულის ტრანსფორმაციას ძველი აღქთმის, თავდაპირველად გართობის მიზნით, კითხვა იწვევს. ამ „ბეჩავ, დაფურცვლილ წიგნს სარდაფისეულ, მამაპაპურ, მოჯანჯლარებულ, გადასაგდებ სკივრში ქექვისას გადაანყდა არჩილი და თვალი ოდნავ რომ გადაავლო, გაამაყდა კიდეც. რა გასაგებად ვლაპარაკობთ ჩვენ, აი, ახლა და რა ფშუტურა და ჩამორჩენილი იყო სკივრზეც კი ძველი, გაზედმეტებული ენა.“

ძველი ალთქმის გასართობად, ძილის წინ კითხვამ არჩილს თანდათან ეჭვის ჭია გაუჩინა, ფიქრს შეაჩვია. ათი მცნების მნიშვნელობის ანონ-დანონვამ და დაეჭვებამ: „იქნება, არის...“ მასში სულიერი ცვლილებები გამოიწვია. გულის სიღრმეში არჩილი განიცდის თავის ცხოვრების წესს. ნიადაგ აგონდება ბავშვობა და პირველი, უმნიკვლო სიყვარული დედუფალი „ნ“-სადმი. მას ანუხებს „ბევრის თვალში კა ადგილი, და იმ აღზევების, პოეზიას რომ უნდებენ, ფულით შეძენილის დაკარგვა და მივინყება კიდევ აი, იმისა, სიტყვით სამშობლოს რომ ეძახიან და დანაწილებარი, შრობანყებადი სუნით ფერადოვანი მიწის ოხშივრის ნაცვლად — ბენზინიანი სამსახური და თანამდებობა. თუმცა თავის გამართლებანი მას და მის წრეელებს ჰქონდათ: „მე რომ არ ვაკეთო, არა? — მერე შენ მირჩენ ცოლ-შვილს?“ „ჩემმა ბავშვებმა რა დააშავა...“ „რაღა მე ვიჩანჩალო კუდ-

ში...” „ქვეყანა ასეა და...“

და თანაც, არჩილი იმედოვნებდა: „თუ, და-
ვუშვათ და, გინდაც, რომ სწორი ყოფილიყო
ჩამორჩენილთა სათუო რწმენა, რომ მართლა
არის, არჩილს ხომ მაინც ჰქონდა მაინც ერ-
თი პატივისა-გამოსავალი, ხომ არასოდეს დაურ-
ღვევია იმ დაფურცვლილი წიგნის ერთი „არა
კაც-ჰქონდა“ — ხომ? აი, ეს სიტყვები შვებას
ჰქვრიდნენ, არჩილი ვისი მომკვლელი იყო, სა-
ათივით ჰქონდა საქმე ანყობილი“.

მაგრამ არჩილმა მაინც დაარღვია ათი მცნე-
ბიდან მისთვის ყველაზე იმედის მომცემი და
მრისხანე „არა კაც ჰქონდა“.

მან მართა მოკლა. არჩილის მეზობლად
მცხოვრები, შვილის სიკვდილით უსაზღვროდ
დამწუხრებული ქალი, რომელიც არჩილს „ნე-
ელებთაგან განსხვავებით ხანდახან მაინც ებ-
რალებოდა“.

შვილმკვდარი დედის ვარამი არჩილის მახ-
ვილ თვალს არ გამოპეარვია. ამიტომაც ერ-
თხელ, როდესაც მართა კარებთან დაუყარა-
ულდება და საბრალოდ, ვედრებით შესთხოვს:
„შენ მდიდარი ხარ... ნეტავი მოგკვდებოდე.“
არჩილის სულის შეძვრას გამოიწვევს მართას
ეს თხოვნა.

თუმცა ბავშვობა არჩილისათვის მისჯილად
დაკარგული და ახლანდელი გადასახედიდან
დაუჯერებელი ზღაპარიც კი იყო, მაინც ბავ-
შვობისა და პირველი სიყვარულის გახსენება
პატარაობის დიდ სურვილებთან დაბრუნებას
მოანდომებს.

პატარა აჩიკოს ნაკვალევზე გაყოლილი
არჩილი მთანმინდაზე ადის. მოგონებებით
ბავშვობასთან დაბრუნება არჩილის სულის კა-
თარზისს იწვევს. ახლა იგი უკვე ხვდება, რომ
„რაღაცა იყო ის სიყვარული, გაუმტყუნარი,
და საერთოდაც, ეჭ, სიყვარულში დიდი რამ
იდო, და როცა ახლა დაჰყურებდა მშობლიურ
ქალაქს, აიმბავშვობით ათრთოლებულს, რაღა-
ცა დიდი, ამაღლებული, გამოსასწორებელი
რამ მოენატრა, როგორც თავისთვის, უფრო-
რე სხვისთვის.“

“ბილიკივით ჭკვიანი“ — აი, ასე ახასიათებს
გურამ დოჩანაშვილი მართას, რომელიც არ-
ჩილს მკვლელობისკენ უბიძგებს. არჩილს მისი
მოკვლისთვის არავითარი პირადული ინტერე-
სი არა აქვს, მაგრამ ამ მოხუცებული ქალის
დაუინებულ თხოვნას მაინც ასრულებს, რაც
მისი მხრიდან უანგარო თავგანნირვაა.

ნაირა გელაშვილის შეხედულებით (წერილი
„აფრედერიკი და განაბულჯადოქრიანი საკრა-
ვი“) მართას საქციელი პრიმიტიული მორნმუ-

ნის საქციელია, რომელიც სულის გადარჩენის
მიზნით სხვას სთხოვს, მოკლას იგი, დახსნას
აუტანელ ცხოვრებას, რითაც ნარწყმედისკენ
უბიძგებს სხვას, სხვის შვილს — არჩილს.

თუკი ამ მოსაზრებას გავითვალისწინებთ,
მაშინ ასეთ შემთხვევაში უფრო ლოგიკური
იქნებოდა, ამ თხოვნით მართას არჩილის თა-
ნანრეელ უშოსთვის მიემართა, რომელიც გა-
ბოროტებულია იმით, რომ თავისი ოთხოთახია-
ნი ბინის გაფართოებას მართას ერთოთახიანი
ბინის შემოერთებით ვერ ახერხებს, რადგან
იმ ბინაში მკვდარი შვილის ხელით გაკრული
შპალიერიც კი უძვირფასეს განძად მიაჩნია
მართას და ჯიუტად არ თანხმდება არანაირ
შემოთავაზებულ პირობას.

მაგრამ მართა თხოვნით მაინცდამაინც არ-
ჩილს მიმართავს, რომელთანაც მხოლოდ მე-
ზობლური სალამი აკავშირებს, რითაც, ცხადია,
მას არა მარტო თავისი სულის ტანჯვისაგან
გათავისუფლება სურს, იგი თვითონ იქცევა
იმ ბილიკად, რომლითაც არჩილმა გადარჩენის
გზა უნდა მონახოს...

და, მართლაც, ამ მკვლელობით არჩილმა
ერთხელ და სამუდამოდ უარყო თავისი ცხოვ-
რების წესი.

უნებურად გვახსენდება არჩილის ბოლოდ-
როინდელი განცდები, როცა დღისით ჩვეულებ-
რივ ყოველდღიურობაში ჩაფლული, საღამოს
ძილის წინ, ფიქრისას, ხვდებოდა, „რაღაცაც
იყო ღამეში ნაღდი და სარკესაებრ მისაჩერე-
ბი... თუ დავუშვათ და... რაღაცა იდო ღამე-
ში სუფთაც, ასამაღლებელი, ნათელიც იდო,
დღედღეობით კი ხანდახან, მზისით, ისე ბნე-
ლოდაა...“ მართას მკვლელობაც რაღაცნაირად
ღამეს ჰგავდა, რომელშიც არჩილისათვის სუფ-
თა და ასამაღლებელი ნათელიც იდო.

თუმცა არჩილი თავისივე სულში მომხდარი
დიდი ძვრების ნანგრევებში მოჰყვა და სულიე-
რი წონასწორობაც დაერღვა, მაინც ის შინაგა-
ნად გადარჩენილია.

არჩილი ცოდვას გარიდებული, ამქვეყნიუ-
რი ამაოებიდან განზე გამდგარი, მართასა და
მის ტკივილს შორის ჩამდგარი შუაკაცია.

ასე რომ, დიდი დაცემისა და შეცოდებისას
გამოსავალი მუდამ არსებობს, მონანიებისა-
თვის არასოდეს არაა გვიან, თუმცა მთავა-
რი მაინც პიროვნების სულის სიძლიერე და
ადამიანების მიერ ერთმანეთის თანადგომაა,
რადგან გურამ დოჩანაშვილის სიტყვებით
რომ ვთქვათ, „ჩვენ, ყველა ადამიანი, მთლად
უხილავი რაღაცაც ქსელით სულ ერთმანეთზე
ვართ გადაბმულნი, რის უცხოობა, მთლად
უცხონიც კი ერთმანეთის ვართ“.



665

ქუთხისამა

აბესალომის მასისაცა- სცანები სახის სამი ინტეჩენცია

ამ ნაშრომის შექმნა „პროვოცირებული“ იყო სახელოვან მაესტროსთან — 95 წლის ოდისეი დიმიტრიადთან „აბესალომ და ეთერთან“ დაკავ-შირებული ჩემი საუბრით. ჩვენ ვსაუბრობდით აბესალომის პარტიაზე, მის მნიშვნელობაზე ოპერის დრამატურგიაში და პატონმა ოდისეი საუკეთესო შემსრულებლებს შორის სამი ვოკა-ლისტი დაასახელა: დავით ანდლულაძე და მისი აღზრდილები — ზურაბ ანჯაფარიძე და ნოდარ ანდლულაძე. თითოეულის მიერ შექმნილი აბესა-ლომის მუსიკალურ-სცენური სახე მან შემდეგნა-ირად დაახასიათა: დათიკო — „Moshi“, ზურაბ — „Стихия“, ნოდარ — „Мудрость“.

ამგვარმა აფორისტულმა შეფასებამ ჩემში დაბადა ინტერესი „გამეშიფრა“ თითოეულის მიერ შექმნილი აბესალომის სახე და ნარმომეჩინა სამი განსხვავებული ინტერპრეტაცია. ბატონ-მა ოდისეიმ ისიც აღნიშნა, რომ იმისდა მიხედ-ვით, თუ ვინ ასრულებდა აბესალომის პარტიას, მთლიანად ოპერა განსხვავებული ნიშნებით იტ-ვირთებოდა.

ვიდრე აბესალომის შემსრულებლებს დავახა-სიათებდე, ორიოდე სიტყვა თავად ოდისეი დი-მიტრიადის შესახებ. „ჩვენი თაობისათვის, — ამბობს ცნობილი ბანი თენგიზ მუშკუდიანი, — უდიდესი ბედნიერება იყო, როცა საოპერო თე-ატრში მივედით და მთავარ დირიჟორად ოდისეი დიმიტრიადი დაგვხვდა. საოპერო სცენაზე მისი უშუალო ხელმძღვანელობით ავიდგით ფეხი და შემდგომ ყველამ შეძლებისდაგვარად რაღაც გავაკეთეთ. დიმიტრიადი როგორც სადირიჟო-რო პულტან, ისე ჩვეულებრივი რეპეტიციების დროს ჩვენი მეგობარი იყო და ჩვენი ყოველი მიღწევა, ყოველი ნარმატება უსაზღვროდ ახა-რებდა. მთელი ჩემი შემოქმედება ბატონ ოდისე-ისთან არის დაკავშირებული“.

მუშკუდიანის ეს სიტყვები შეეძლო მთელ მის თაობას გაემეორებინა: ზურაბ ანჯაფარიძეს, ნოდარ ანდლულაძეს, შალვა კიკნაძეს, ირაკლი შუშანიას, ლეილა გოცირიძეს, თამაარ თაქთაქშვილს, ნათელა ტულუშს, მედეა ამირანაშვილს, ლამარა ჭყონიას, ცისანა ტატიშვილს, რ. კაკაბაძე და უფრო ახალგაზრდებს, ვისაც ნილად ხედა დიმიტრიად-თან თანამშრომლობის ბედნიერება. ნოდარ ან-დლულაძემ კიდევ უფრო განაზოვადა ოდისეი დიმიტრიადის მნიშვნელობა და როლი: „ქართუ-ლი მუსიკა მარადიული მოვალეა მისი ენთუ-ზიაზმისა და პროფესიული თავდადებისა, გან-საკუთრებით საოპერო ხელოვნება, რომელსაც მან მუსიკოსთა და მომღერალთა თაობები აღ-ზარდა“.

ო. დიმიტრიადი — დირიჟორი ოპერის პირ-მშო. ოპერა მისი უსაყვარლესი სამყაროა. აქ ჩამოყალიბდა ის როგორც დირიჟორი-დრამა-ტურგი, დირიჟორი-სიმფონისტი, როგორც ვოკა-ლური და ინსტრუმენტული საწყისების კორდი-ნირების დიდოსტატი. ამიტომ ცალკეული საო-პერო გმირის სახის ძერწვასთან ერთად მუსიკა-ლურ-სცენური პროცესის დინამიკაში გაშლის მი-სეული აღლო მასობრივი სცენების მუსიკალურ ორგანიზაციაშიც გამოიკვეთა, რაც განსაკუთრე-ბით საჩინო იყო „აბესალომ და ეთერში“.

ბატონ ოდისეისთან ჩემი დიალოგი ამ ოპერის ორგვლივ ტრიალებდა, მისეული ინტერპრეტაცია მანიტერესებდა და კითხვა დავუსვი — მოუსმე-ნია თუ არა მას ეს ნანარმოები ავტორის შესრუ-ლებით. „მომისმენია, — მომიგო მაესტრომ, —

მაგრამ ვთვლი, რომ უენია (ევგენი) მიქელაძემ მას ახალი სიცოცხლე შთაბერა. მიქელაძის უეულმა შესრულებამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, ბევრი რამ ავიღე მისგან. თუმცა უენია მეუბნებოდა, რომ „აბესალომ და ეთერი“ ლირიკული ოპერა არისო. ჩემი შეხედულებით კი მასში ჩადებულია ძლიერი დრამატული ენერგია. ამიტომ III აქტი ჩემებურად გავაკეთე, უფრო გავამძაფრე. ჩემი რწმენით ოპერის პირველივე ტაქტებიდან მიმდინარეობს სვლა III მოქმედების კულმინაციისკენ /მღერის — „გაუშვი!“/ და თუ ეს აქტი კარგად გამოდიოდა, რასაც ძალზე ვცდილობდი, ჩათვალეთ, რომ ოპერას დიდი ნარმატება ჰქონდა. ჩემთვის ამ ოპერაში ორი დომინანტია — III მოქმედება თავისი მძაფრი კულმინაციით და ფინალი — ლირიკის იშვიათი ნიმუში — „ნამწამსა და ნამწამს შუა“.

რაც შეეხება პირველ აქტს, ის ოპერის დრამატურგიულად სუსტ ადგილებს შეიცავს, განსაკუთრებით ეთერისა და დედინაცვლის სცენა. უენისასავით მეც კუპიურებს ვაკეთებდი. ამ მოქმედებაში უფრო მნიშვნელოვანია მურმანის არია თავისი მუსიკის ხარისხით, გმირის დახასიათების თვალსაზრისით და დრამატურგიული ფუნქციით.

მეორე მოქმედება — მუსიკალური ფრესკა. ამ მოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანია „ჩაკრულოს“ სცენა. თუმცა მთლიანად ოპერის დრამატურგიაში ეს აქტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მკეთრი მოდულაცია ზეიმიდან გლოვაზე დირიჟორს და მომღერლებს ოსტატობის ნარმოჩენის დიდ შესაძლებლობებს აძლევს.

მეოთხე აქტში ერთხელ აღვადგინე ეთერის არია, მაგრამ შემდეგ ვიგრძენი მისი „უადგილობა“ და მოვხსენი. სხვათა შორის, ეს პირველად ივანე ფალიაშვილმა გააკეთა.

„აბესალომ და ეთერი“ ქართული მუსიკის უკვდავი ქმნილებაა, ხალხური მუსიკის ნიაღიდანაა ამოზრდილი, ქართული გენის ნიჭი ფეთქავს მასში. მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ ეპიზოდებში მისი ორკესტრობა ნაკლებად მაკმაყოფილებს, რადგან ფალიაშვილი ვოკალს აორმაგებს სასულე საერავებით, ამ ოპერის მშვენიერება, სილამაზე კონცენტრირებულია მის ვოკალურ სანყისში (სოლოები, გუნდები). დირიჟორისათვის ეს არის ამოსავალი ნერტილი ოპერის დრამატურგიული მთლიანობის გაზრებაში. ამასთან სიყვარულის ლაიტერმის საორკესტრო ფაქტურაში გაშლა ყოველთვის მიწყობდა ხელს ეს ნაწარმოები დამენახა სიმფონიურ მასშტაბებში და თვალი დამეხუჭა მის საორკესტრო ხარვეზებზე“.

„დათიერი — „Moss“

„აბესალომ და ეთერში“ დიმიტრიადის დირიჟორობით უფროსი თაობის საოპერო მომღერლებს შორის პირველად დავით ანდლულაძეს აღვნიშნავ.

ბატონმა ოდისეიმ გამახსენა ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი: „1953 წელს, როდესაც „აბესალომ და ეთერის“ განახლებული დადგმა განხორციელდა (რეჟისორი ი. თუმანიშვილი, მხატვარი ს. ვირსალაძე), მე ვემზადებოდი, და პირველ რიგში, დათიკოზე, როგორც ამ როლის მთავარ შემსრულებელზე, ვფიქრობდი. მაგრამ როდესაც მუშაობის პროცესში ნარმოშვა აზრი სცენაზე ორი სრულიად ახალგაზრდა შემსრულებლის შემოყვანის შესახებ, დათიკოზე გენერალური რეპეტიცია კი გაიარა, მაგრამ პრემიერაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა თავისი ნიჭიერი მონაციის სასარგებლოდ. ეს იყო ზურაბ ანვალაზიძე“.

დავით ანდლულაძეს წილად ხვდა ბედნიერება „აბესალომ და ეთერის“ ავტორის უშუალო ხელმძღვანელობით შეესწავლა ოპერის პირველი ნომერი ჯერ კიდევ 1925 წელს ბორჯომში, სადაც „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ ორკესტრი ოპერის სოლისტებთან ერთად კონცერტებს ატარებდა. იმავე პერიოდში ბორჯომში ისვენებდა ზაქარია ფალიაშვილი, რომელმაც დ. ანდლულაძეს და შ. ცირგილაძეს შეესწავლა აბესალომისა და მურმანის დუეტი და მისივე აკომპანემენტით ეს დუეტი შესრულდა ბორჯომის საკონცერტო დაბაზში.“ ასე შემოვიდა ჩემ შემოქმედებით ცხოვრებაში ზ. ფალიაშვილის მუსიკა, რომელიც გატაცებით მიყვარს მისი ღრმა ეროვნულობისა და იმ ნეტარებისათვის, მისი მოსმენისას რომ განვიცდი” — ნერდა დ. ანდლულაძე ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

ზაქარია ფალიაშვილი სახლში იბარებდა დავით ანდლულაძეს და თავსი ხელით გადაწერილ აბესალომის პარტიას ასწავლიდა. სამწუხაროდ ანდლულაძეების ოჯახიდან ეს ძვირფასი რელიკვია გაქრა.


დადგენილი ფაქტია, რომ აბესალომის პარტიის საშემსრულებლო ტრადიცია ვანო სარაჯიშვილის, ნიკო ქუმსიაშვილის და დავით ანდლულაძის სახელებს უკავშირდება.

დავით ანდლულაძის მუშაობა რომელიმე პარტიაზე არ ამოინურებოდა ერთი სპექტაკლით. სახის დახვენისა და ვოკალური პარტიის სრულყოფის პროცესი მის შემოქმედებაში ხანგრძლივი და უწყვეტი იყო და სპექტაკლიდან სპექტაკლამდე ივსებოდა ახალი ხატოვანი ნიშნებით. ამ პრინციპით ზრდიდა ბატონი დავითი თავის მონაცეებსაც.

ვიდრე დიმიტრიადის უეულ დადგმაში მიიღებდა მონაწილეობას, დავით ანდლულაძემ აბესალომის პარტია სანდრო იაშვილთან ერთად შეასრულა ჯერ კიდევ 1931 წელს ხარკოვში (დამდგმელი რეჟისორი ა. ფალავა, მხატვარი ს. ნადარეიშვილი, დირიჟორი ი. ფალიაშვილი.) შემდეგ მის ცხოვრებაში დგება მოსკოვის პერიოდი,

სადაც იგი ევროპულ თუ რუსულ ოპერებში ას-
რულებდა ტენორის მთავარ პარტიებს და ბრწყი-
ნავდა თავისი ძლიერი და დიდებული ტემბრით.
1936 წლიდან, როდესაც დ. ანდლულაძე საქარ-
თველოში ბრუნდება, „აბესალომ და ეთერის“
ყველა დადგმაში მონაწილეობს: ა. ნუნუნავას,
შ. ალსაბაძის, მ. კვალიაშვილის, მოსკოვში —
სიმონვი-კვალიაშვილის, თბილისში — ვ. ტაბ-
ლიაშვილის, ი. თუმანიშვილის. დირიჟორების —
ი. ფალიაშვილის, ე. მიქელაძის, შ. აზმაიფარაშ-
ვილის, დ. მირცხულავას, ო. დიმიტრიადის. გან-
საკუთრებით ალსანიშნავია 1937 წელს მოსკოვ-
ში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების
პირველ დეკადაზე ანდლულაძის მიერ გენიალუ-
რი ევგენი მიქელაძის დირიჟორობით შესრულე-
ბული აბესალომის პარტია. რაც შეეხება 1953
წლის დადგმას, მომღერლისთვის საბედისწერო
აღმოჩნდა — ფეხი მოიტეხა და სამუდამოდ გა-
მოეთხოვა სცენას.

დავით ანდლულაძის შემოქმედების მკვლე-
ვარები აღნიშნავენ, რომ მისი აქტიორული
ამპლუას საფუძველი იყო ორი ტიპის გმირი



დავით ანდლულაძე, როდარ ანდლულაძე
და ზურაბ ანდაშვილი

— ლირიკულ-დრამატული და ლირიკულ-ჰე-
როიკული. „სწორედ ამ სახის პერსონაჟები
სჭარბობდა მის მიერ განსხეულებულ გმირ-
თა მდიდარ გალერეაში... მას იზიდავდა ძლიე-
რი, რეალისტური ხასიათები, მძაფრი ვნებები,
წმინდა ადამიანური განცდებით და ცხოვრე-
ბისეული ჭეშმარიტებით ალსავსე სახეები.

დ. ანდლულაძის გმირები თავდადებით ემსახურე-
ბიან კეთილსა და მაღალ იდეალებს და ხშირად
ენირებიან კიდევ მათ (რადამესი, აბესალომი,
გერმანი, სამსონი, კავარადოსი, კანიო, ოტე-
ლო, ვერთერი, რაული)... ანდლულაძის გმირთა
მამოძრავებელი ძალა სიყავრულის გრძნობაა,
რომელიც მრავალი გრადაციით ნარმოვეიდგე-
ბა. მაგრამ მის მიერ სცენაზე ამეტყველებული
პერსონაჟების სულიერი სამყარო უმეტეს შემ-
თხვევაში არ იფარგლება მხოლოდ ლირიკული
განცდებით“. (ი. ათანელოვი. დ. ანდლულაძე. ხე-
ლოვნება. 1978, 69)

აბესალომის მუსიკალურ-სცენურ სახეში და-
ვით ანდლულაძემ მისი ამპლუასთვის დამახასი-
ათებელი ორი ტიპის გმირის ნიშნები შეაჯერა —
ლირიკულ-დრამატული და ლირიკულ-ჰერო-
იკული. ანდლულაძის გზა აბესალომისკენ რო-
მანტიკულ იპერებში მის მიერ განსხეულებულ
გმირთა ვექტორებზე გადიოდა. ანდლულაძე-აბე-
სალომი არ იყო პასიური გმირი, მასში ვაჟკაცის
სული ფეთქვადა და როგორც თანამედროვენი
აღნიშნავდნენ, „დ. ანდლულაძემ ახალი სული
შთაბერა აბესალომს, ახლებურად გახსნა ამ გმი-
რის შინაგანი ბუნება. მისი აბესალომი ღრმად
ემციური, ტრაგიზმით ალსავსე, ამავე დროს
ვაჟკაცური შემართებით იბრძოდა თავისი ბედნი-
ერებისთვის. იგი საბოლოოდ ვერ თმობს თავის
სიყვარულს, ამარცხებს მურმანს, მაგრამ თვი-
თონაც მსხვერპლად ენირება თავის გრძნობას“. (პროფ. ვ. ხმალაძე).

რაში გამოიხატება დიმიტრიადისეული „დათი-
კო — „Mošť“? რაღა თქმა უნდა, არა გარეგ-
ნულ ეფექტურ სცენურ მოქმედებაში და არც
მომღერლისთვის დამახასიათებელ ხმის სიძლიე-
რები. თუმცა, როდესაც III მოქმედებაში ანდლუ-
ლაძე-აბესალომი იღებს გადაწყვეტილებას გაუშ-
ვას ეთერი („ვის გინდათ ქალი ეთერი?!“) და
მურმანი გამოთქვამს სურვილს, გაოცებული ან-
დლულაძე-აბესალომის „შენ?!“ ისეთი სიძლიერის
იყო, რომ ერთ-ერთ მსმენელს თურმე უთქვამს
— მისი ეს ერთი ბგერა (II ოქტავის მი ბემოლი)
გასროლილ ტყვიას ჰეგიანა. დ. ანდლულაძე-აბე-
სალომის სახის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ას-
რულებდა რომანტიკული საოპერო უანრებიდან
მომდინარე საწყისები. თუ თვალს გადავავლებთ
მომღერლის მიერ შექმნილ გმირთა გალერეას,
ლირიკულ-დრამატული და ლირიკულ-ჰეროიკუ-
ლი საწყისების სინთეზის თვალსაზრისით ერთ-
ერთი შთამბეჭდავი სახე იყო მეიერბერის „ჰუ-
გენოტებში“ ანდლულაძის მიერ გამოძერნილი
რაულ დე ნანჟის როლი — ტენორის ერთ-ერთი
ურთიულესი პარტია. მიუხედავად სრულიად გან-
სხვავებული თემატიკისა, დრამატურგიისა აბესა-
ლომის სახეში, აქედან მომდინარე იმპულსები
აშეარად იკითხება, რაც დეტერმინირებულია

„აბესალომ და ეთერში“ არსებული „გრანდ ოპერის“ უანრის ნიშნებით.

აღსანიშნავია, რომ ფალიაშვილის ამ ოპერაში „გრანდ ოპერის“ ნიშნები ილია ზურაბიშვილმა — „აბესალომ და ეთერის“ პირველმა რეცენზიენტმა აღნიშნა, „მე მგონია, ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ სტრუქტურულად აგებულია ე.ნ. „გრანდ ოპერის“ ყაიდაზე“ (ი. ზურაბიშვილი. ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ 1942.41). მართლაც, აქ სახეზეა „გრანდ ოპერისათვის“ დამახასიათებელი ნიშნები: ფორმის მონუმენტურობა, სამეფო კარის ბრნყინვალე ქორწილის და ტრაგიკული განმორების გრანდიოზული საგუნდო სცენები და მათი კონტრასტული დაპირისპირება ანუ „კონტრასტების დრამატურგია“, გამომსახველი სოლო და დიალუგური სცენები, ოპერის დამთავრება შეყვარებულთა სცენა-დუეტით, რაც სათავეს „ჰუგენოტებიდან“ იღებს და შემდეგ ეს ხაზი ვერდის „აიდაში“ და ვაგნერის „ტრისტან და იზოლდეში“ იკითხება.

რა თქმა უნდა, „ჰუგენოტებში“ მივნებული ვოკალურ-სცენური გამომსახველობის ხერხები ანდლულაძეს პირდაპირ არ გადმოჰქმნდა აბესალომის პარტიაში, მაგრამ მის ცნობიერებაში დალექილი ეს ნიშნები აბესალომის სახეში არაცნობიერი ფსიქიკურის დონეზე (უზნაძის თეორიის თანახმად) იჩინს თავს. ამიტომ რაულივით აბესალომშიც ანდლულაძემ ნინ ნამოსწია სიყვარულის უნაზესი და უმძაფრესი განცდები, რაინდული კეთილშობილება და ვაუკაცური თავგანნირვა. ყოველივე ეს კი მისი ე.ნ. „ოქროს ხმის“ (La voce d'oro) და ულერადობის მდიდარი პალიტრის საშუალებებით იყო მიღწეული.

მეორე უანრული საწყისი, რომელიც „აბესალომის“ მნიშვნელოვანი მახასიათებელია, ანტიკური ტრაგედიიდან მომდინარე იმპულსებია, რომებსაც ოპერა გაჰყავს „ლირიკული ტრაგედიის“ მასშტაბებში. ფალიაშვილის ოპერა-ტრაგედიის ეს ნიშანი, პირველად, აგრეთვე, ი. ზურაბიშვილის მიერ აღნიშნული, ხოლო შემდეგ ქართულ მუსიკისმცოდნეობაში პროფ. ვ. დონაძის მიერ მეცნიერულ საფუძველზე განხილული, აბესალომის პარტიის შესრულებაში ტრაგიკულობის განცდას ამძაფრებს, უფრო მეტიც, ლირიკიდან ტრაგედიამდე მისვლის აუცილებლობა მათ ვოკალური და არტისტული შესაძლებლობების გამოხატვის დიდ სარჩიელს უქმნის. ამ კონტექსტში აღსანიშნავია დ. ანდლულაძისა და ი. დიმიტრიადის ტანდემი.

დიმიტრიადში, როგორც ბერძენში, ტრაგიკული საწყისი გენეტიკურად იყო კოდირებული, ტრაგიზმი არც დავით ანდლულაძესთვის იყო უცხო სამყარო, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი რუსთაველისა და საგუნდო პოლიტონიის ქვეყნის შვილია. ამიტომ ორივე შემსრულებელი

— დირიჟორი და მომღერალი განმორების სცენაში გასაოცარი ძალის ენერგეტიკას აქსოვდა. აბესალომის სცენა და არია (“ვეძებდი ბედსა”) ანდლულაძის მიერ მოიაზრებოდა როგორც ტრაგიკული მონოლოგი, რომელსაც იგი დიდი აღმავლობით ასრულებდა. აქ იყო გოდებაც, ექსპრესიაც, სევდაც, უიმედობაც და რაც მთავარია, „ამაღლებულობის ესთეტიკა“.

არანაკლებ სანტერესო იყო IV მოქმედებაში აბესალომის და მურმანის დუეტი, რომელსაც ანდლულაძე ვაუკაცური შემართებით ასრულებდა. მისი შინაგანად მტკიცე და კონცენტრირებული ხმა გამოხატავდა გმირის უკანასკნელ გაბრძოლებას და ეთერთან შეხვედრის იმედს. IV მოქმედების გენიალურ ანსამბლში (“ნამნამსა და ნამნამს შუა”), რომელშიც აბესალომისა და ეთერის პარტიაებია ნამყვანი, დავით ანდლულაძე ნარმოსახავდა სიყვარულის ნეტარებასაც, ლირიკულ სითბოსაც და განმორების სევდასაც.

დ. ანდლულაძე ის ტენორი იყო, რომელმაც აბესალომის სახის სიმფონიურ მასშტაბში განფენის აუცილებლობა იგრძნო და მუსიკალურ-სცენური სახის შინაგანი სივრცე გაზარდა. ამაში, რაღა თქმა უნდა, ევგენი მიქელაძის ხელი იგრძნობოდა. მომღერალი მთელი ოპერის მანძილზე უფრო ფართო შტრიხებით ძერწავდა თავისი გმირის პარტიას, ხმას არ ტვირთავდა დეტალებით და ზომიერების გრძნობას იცავდა. ეს კი ტრაგედიისათვის დამახასიათებელი „ამაღლებულობის ესთეტიკით“ იყო ნაკარნახევი.

ანდლულაძე-აბესალომის ჩანაწერებმა ჩემი ყურადღება ტემპრის ოსტატური ფლობითაც მიიპყრო. ტემპრული დრამატურგიის თვალსაზრისით ის მართლაც ძალზე შთამბეჭდავია, განსაკუთრებით ქორწილისა და განმორების სცენების შედარებისას და ფინალში Mezza voce-თი სიყვარულთან გამოხვევების სცენაში.

ოდისეი დიმიტრიადი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „დავით ანდლულაძის მიერ შესრულებული აბესალომის პარტია დასრულებული ვოკალური შედევრია“.

ზურიკო — „Стихия“

თუ დავით ანდლულაძემ აბესალომის მუსიკალურ-სცენური სახის სრულყოფამდე საქმაო გამოცდილება და ოსტატობა შეიძინა ევროპულ და რუსულ ოპერებში, ზურაბ ანჯათარიძემ, ჯერ კიდევ სტუდენტში, თავისი შემოქმედებითი გზა აბესალომით დაიწყო კონსერვატორიის სტუდენტთა ძალებით განხორციელებულ საოპერო სტუდიის სპექტაკლში (1951). ბუნებრივია, მას, როგორც სტუდენტს, არ შეეძლო ქართულ საოპერო სცენაზე დამკვიდრებული აბესალომის მუსიკალურ-სცენური სახის ტრადიციიდან რადი-



კალური გადახვევა. სამაგალითოდ თავისი პედა-გოგის — დავით ანდლულაძის აბესალომიც იყო საკმარისი. მაგრამ იმთავითვე ზურაბ ანჯაფარიძემ აბესალომის პარტიაში ისეთი ნიშან-თვისებები გამოავლინა, რომლებიც მას შემდგომ შემოქმედებით გზაზე გაჰყვა, რაღა თქმა უნდა, ოსტატობის ზრდასთან შეწყვილებული. შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერი თანხვედრის შედეგად აბესალომმა „შვა“ მომღერალი-არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე.

იმთავითვე ალინიშნა მისი ემოციური სისავ-სე, რომანტიკული მგზებარება, არტისტული ბრნყინვალება და რაც მას სხვათაგან გამოარჩევდა — სიმღერისა და სცენური მოქმედების სინქრონში იშვიათი შინაგანი თავისუფლება. უკვე იმ პირველ სპექტაკლში ზურაბ ანჯაფარიძემ შეძლო აბესალომის მისეული სახე შეექმნა და მასში ნინ ნამოენია ზემოთ აღნიშნული მახასიათებლები.

ანჯაფარიძე-აბესალომი იმთავითვე მოგვევლინა რომანტიკოს გმირად, რომანტიკული მე-თოდის მთავარი ნიშნით — გაძლიერებული ემოციურობით აღვსილი, თუმცა ეს გაძლიერებული ემოციურობა არასდროს გადასულა ყალბ პატეთიკაში. მის აბესალომს ახასიათებდა ჭაბუკური გულმხურვალება, სინრთელე, უშუალობა, კეთილშობილება. ანჯაფარიძე-აბესალომს მთელი ოპერის მანძილზე ნათლის შარავანდედი ედგა: სიყვარულის ჩასახვის, ერთგულების ფიცის, ქორნილისა და განშორების უამს, თუ სიკვდილის სცენაში. ანჯაფარიძის აბესალომის ქრონოტიპი ლირიკულ-დრამატული იყო. სიყვარულში ერთგულება, თავდადება, განწირულება — მონა-მეობრივი გზის ის ეტაპებია, რომელსაც ანჯაფარიძის აბესალომი მგზებარედ გადიოდა.

ზ. ფალიაშვილის ოპერისათვის დამახასიათებელი პოლიუანრულობიდან ანჯაფარიძისთვის ლირიკულ-დრამატული საწყისი იყო მახლობელი, რაც მომღერალს ლირიკული ნიაღსვლების დიდ გასაქანს აძლევდა. მოვიშველიებ გივი ორჯონიერის სიტყვებს: „აბესალომ და ეთერში“ საგუნდო საწყისი ლირიკული ნაკადის ტოლფასოვანია. ეს უკანასკნელი ევროპული არიოზული სტილის ტრანსფორმირებაა, ეროვნულ ნიადაგზე, მისი ქართული განშტოებაა, მაგრამ არსებოთად ევროპული საოპერო ხელოვნების პირმშოა, მისი პრინციპების ჩამონერვაა ეროვნულ ნიადაგზე“. (გ. ორჯონიკიძე. „თანამედროვე ქართული მუსიკა ესთეტიკისა და სოციოლოგიის შექმნება“. ხელოვნება. 1985, 150).

ვთქიქრობ, ზურაბ ანჯაფარიძემ ფალიაშვილის ოპერას ლირიკული საწყისის ამგვარი კავშირი ევროპულ-რომანტიკულ ოპერასთან ინტუიტიურად განიცადა. ალბათ, ამიტომაც აბესალომის პარტია მან ფსიქოლოგიური ელემენტებით დატ-

ვირთა. არც ისაა შემთხვევითი, რომ ანჯაფარიძის სეული აბესალომის სახის ლირიკულ-ფსიქოლოგიური ნიშნები შემდგომ უფრო გაღრმავებული და მძაფრი სახით წარმოჩნდნენ მის მიერ XIX საუკუნის სრულიად სხვა ეროვნულ ნიადაგზე, სხვა ინდივიდუალობის კომპოზიტორთა საოპერო გმირების პარტიებში: გერმანის, ხოზეს, კავარადოსის, კანიოს, რადამესის, აღარას ვამბობ ფალიაშვილის „დაისზე“ და ოთ. თაქთაქიშვილის „მინდიაზე“.

ოდისეი დიმიტრიადის მიერ ხაზგასმული „სტიქიურობა“ ზურაბ ანჯაფარიძის როგორც პიროვნებისა და ხელოვანის რომანტიკული ბუნებიდან იღებდა სათავეს და განა ასეთივე ბუნების არ ბრძანდებოდა ჩვენი სახელოვანი მაესტრო? მათი იშვიათი ტანდემიც ხომ ამ ნიშანთა თანხვედრამ განაპირობა. სარწმუნო რომ გახდეს ჩემი სიტყვები, მოვიყვან ზ. ანჯაფარიძის მიერ აღნერილ ერთ ასეთ ეპიზოდს:

„უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის იმ ფაქტს, რომ შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისშივე ოდისეი დიმიტრიადის ხელმძღვანელობით მომინია მუშაობა. თითქმის ყველა ჩემთვის მნიშვნელოვანი მუსიკალური სახე შეიქმნა მისი უშუალო ხელმძღვანელობით: აბესალომი, მინდია, ბაში-აჩუკი, გერმანი, რადამესი, დონ ხოზე, კავარადოსი, კანიო, ტურიდუ და სხვა...“

1965 წლიდან კვლავ შევხვდით ერთმანეთს დიდ თეატრში. იქ მის ჩამოსვლასაც უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ ჩემთვის... წლების განმავლობაში კვლავ მქონდა ბედნიერება მასთან შემოქმედებითი ურთიერთობისა. უდიდესი შთაგონებისა და ემოციების მქონე, ის თითქოს გადმოგვცემს თავის გამოულეველ ენერგიას და ექცევი მისი ზეგავლენის ქვეშ. როდესაც ის დირიჟორობდა „პიკის ქალს“, ჩემთვის საჭირო არ იყო განსაკუთრებული მომზადება იმისათვის, რომ გერმანის როლში შევსულიყავი. როგორც კი დავინახავდი ოდისეის არნივისებურ გამოხედვას, ოდნავ მოხუჭულ, სადღაც სხვა სამყაროდან მომზირალ თვალებს, უკვე ვგრძნობდი თავს მუსიკის და დირიჟორის სრულ ტყვეობაში — ამ ორი ფაქტორის ერთიანობით, რაც აუცილებელია ნამდვილი და ჭეშმარიტი საოპერო სპექტაკლისათვის. ამ სპექტაკლის დირიჟორობის დროს მის სახეში არის რაღაც დემონური, რაც მთელ სპექტაკლს ნარმართავს საჭირო ფერებში...“

ალბათ ანალოგიური ურთიერთობა იბადებოდა „აბესალომ და ეთერის“ დირიჟორობის დროს, ოღონდ დემონურის ნაცვლად, ჩემი ნარმოდგენით, ოდისეი დიმიტრიადის სახეში ბერძნული ტრაგედიის იდუმალება გამოსჭვივოდა. ვისაც ახსოვს 1953 წლის „აბესალომ და ეთერის“ განახლებული დადგმა, მას შეუძლია ცხადად ნარმოიდგინოს რომანტიკული ესთეტიკის

პიედესტალზე მდგარი ორი გულმხურვალე არ-
ტისტი — ოდისეი დიმიტრიადი და ზურაბ ანჯა-
ფარიძე-აბესალომი.

ანჯაფარიძე-აბესალომის არა მარტო სცენუ-
რი სახე, არამედ სიმღერის სტილიც განსხვავე-
ბული იყო და აյ არ შეიძლება კვლავ არ გა-
ვისხსნოთ ილია ზურაბიშვილის სიტყვები: „ფა-
ლიაშვილმა შექმნა ქართული მუსიკალური მეტყ-
ველების შესაფერისი მელოდიური რეჩიტატივი,
რომელიც ერთსა და იმავე დროს უფრო კეთილ-
ხმოვანია, ვიდრე ჩვეულებრივი მელოდიური რე-
ჩიტატივი, და უფრო ბუნებრივია, ვიდრე საარის
სიმღერა... ზაქარია ფალიაშვილმა საფუძველი
ჩაუყარა ნამდვილ ქართულ ოპერას და შექმნა
კიდეც მუსიკალური დრამის ქართული ენა“.

ანჯაფარიძის სიმღერის მანერა პირდაპირი
პასუხია ზურაბიშვილის მოსაზრებაზე იმ ახალ
მელოდიურ სტილთან დაკავშირებით, რომელ-
საც სათავე დაუდო ფალიაშვილმა „აბესალომ
და ეთერში“ და არიოზულ-დეკლამაციური მე-
ლონის ისეთი სინთეზი მოგვცა, რომლის ბუნებ-
რივობა ნასაზრდოებია ქართული სასიმღერო
ფოლკლორის თვითმყოფადობით, და თავისი
კოლორიტითაც ევროპულს ემიჯნება. ანჯაფარი-
ძისეული აბესალომის პარტიაში ნარმოჩენილმა
სიმღერის ამგვარმა სტილმა, მანერამ შემდეგ
ასევე განასხვავა მისი გერმანი, ხოზე, კავარადო-
სი სხვა ტენორების სასიმღერო სტილისგან. ან-
ტონ ნულუკიძე მართებულად აღნიშნავდა, რომ
ზურაბ ანჯაფარიძის სიმღერაში ქართული სიტყ-
ვის ღრმად ეროვნული, ხატოვანი ინტონირების
იშვიათი უნარი ჩანსო

ზურაბ ანჯაფარიძის აბესალომი მართლაც
გამოიჩინდა ხალხური სიმღერის სათავეებთან
სიახლოვით, მისი ხმის განსაკუთრებული ტემ-
ბრიც და სიმღერის ლალი მანერაც ამ სათავე-
ებით იყო ნასაზრდოები და ეს ნიშნეული იყო
არა მარტო სოლო ნომრებში, არიოზულ თუ
გაშლილ მელოდიურ პლასტიკებში, არამედ რეჩი-
ტატივებშიც. დავით ანდლულაძის აღზრდილი
ზურაბი ხმის ფილირების და ბერის სუნთქვა-
ზე დამყარებულ ტექნიკას ოსტატურად, ხმაზე
ყოველგვარი ზენოლის გარეშე უქვემდებარებდა
აბესალომის ცხოვრების პერიპეტიებს: პირველი
აქტის არიოზოში, საქორნილო სცენიდან ტრაგე-
დიაზე უცარი გადართვის დროს. „ვეძებდი ბედ-
სა“ — ეს დრამატული მონოლოგი, რომელიც
შემდეგ გუნდთან დიალოგში გადაიზრდება, ზუ-
რაბს საოცარი გამომსახველობით მიჰყავდა. ასე-
ვე შთამბეჭდავი იყო იგი მურმანთან დუეტში,
რომელიც ანჯაფარიძეს „ფსიქოლოგიურ დუეტ-
ში“ გადაჰყავდა. დაბოლოს, — ოპერას ლირიკის
მწვერვალზე — ანსამბლში „ნამნამსა და ნამნამს
შეა“ ზურაბი ხმის საოცარი ფერებით გამოხა-
ტავდა სიყვარულის იდილიურ განცდას, რაც

ეთერთან განშორების პრელუდიად აღიქმოდა.

ზურაბ ანჯაფარიძის აბესალომი არ იყო მი-
თიური სახე. იგი აბსოლუტურად მინიერი, მგზნე-
ბარე, რომანტიკულად გულანთებული გმირი
გახლდათ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მას არ
აკლდა ამალლებულობა და აქ დიმიტრიადის რო-
ლი დიდი იყო. დირიჟორი სოლო არიოზულ თუ
საანსამბლო სცენებს მასობრივ საგუნდო სცე-
ნებთან კავშირში ისეთ კოორდინირებას უწევდა,
რომ დრამატურგიულად ამთლიანებდა მითსა
და რეალობას, ამალლებულ ტრაგედიასა და ლი-
რიკულ მგზნებარებას.

ნოდარ — „მუდrost“

ნოდარ ანდლულაძე აღიზარდა ისეთ მუსი-
კალურ ოჯახში, სადაც ზაქარია ფალიაშვილის
„აბესალომ და ეთერისადმი“ დამოკიდებულება
ლამის რელიგიის რანგში იყო აყვანილი.

დედა — ქ-ნი ბარბარე მრავალჯერ — ცნო-
ბილი ეთერი გახლდათ, რომელსაც პატივი ერ-
ვო ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის საღამოზე 1924
წელს ოპერის თეატრში კოტე მარჯანიშვილის
მიერ დადგმულ საგანგებო სპექტაკლში ეთერის
პარტია შეესრულებინა უჩვეულო ვითარებაში
უჩვეულო პარტნიორთან — მარჯანიშვილის ჩა-
ნაფიქრით სცენაზე მოძრაობდა პროფესიონალის
სხივი ვითარცა აბესალომის სული, ხოლო მის
პარტიას ასრულებდა ჩელო (კაპელნიცე). სადი-
რიუორო პულტან ივანე ფალიაშვილი იდგა.

მამა — დავით ანდლულაძე — ქართულ სა-
ოპერო სცენაზე აბესალომის მუსიკალურ-სცენუ-
რი სახის ტრადიციის ერთ-ერთი დამტუძნებე-
ლი.

ნოდარ ანდლულაძე ბავშვობიდან ეზიარა ფა-
ლიაშვილის ამ ოპერის მშვენიერებას, ხოლო ოჯა-
ხის მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ (1936), მას მამის მონაწილეობით „აბესალომის“ არცერ-
თი რეპეტიცია და სპექტაკლი არ გაუცდენია.

როგორც უკვე აღინიშნა „აბესალომ და ეთე-
რის“ 1953 წლის დადგმა დავით ანდლულაძის-
თვის ფატალური აღმოჩნდა. ასევე ფატალური
აღმოჩნდა 1973 წელი ნოდარ ანდლულაძისთვის,
როდესაც მას პოლონეთში ქალაქ ლომში ჭ. კახი-
ძისა და გ. მელივას მიერ დადგმულ „აბესალომ
და ეთერში“ პრემიერის ნინ შეატყობინეს მამის
უკანასკნელ დღეში ყოფნა. „ნარმოიდვინეთ რო-
გორი ელდა იყო ეს ჩემთვის, — იხსენებს ბა-
ტონი ნოდარი, — მაგრამ პრემიერა რომ არ
ჩაშლილიყო, გადავწყვიტე მემღერა და შემდეგ
მიმეხედა პირადი ტრაგედიისათვის. ღმერთმა
ინება და ცოცხალი მამის უკანასკნელ შემოხედ-
ვას მომასწრო“.

ასე რომ, ანდლულაძების ოჯახის ბიოგრაფი-
აში „აბესალომ და ეთერთან“ დაკავშირებულია
დღესასწაულებიც და ფატალური მომენტებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ნოდარ ანდლულაძე ბავშვობიდან ეზიარა აბესალომის სახის მამისეულ ინტერპრეტაციას და მისგან ბევრი რამ აიღო კიდეც, მაინც მისი აბესალომი გამორჩეული იყო სხვა ტენორებისაგან. დამიტრიადმა ეს თავისებურება ერთი ფრაზით გამოხატა: სპექტაკლის მანძილზე ისე არავინ იცოდა ძალების განაწილება, როგორც ნოდარმათ. ამას რა თქმა უნდა, მომღერლის ერუდიცია და ინტელექტი განაპირობებდა. ნოდარ ანდლულაძე — კონცეპტუალურად მოაზროვნე მუსიკოსი სპექტაკლში თავის ფუნქციას მარტო აბესალომის პარტიით კი არ შემოსაზღვრავდა, არამედ აბესალომის სახეს მოიაზრებდა ოპერის დრამატურგიის მთლიან კონტექსტში და ამიტომ რაციონალური საწყისი არაცნობიერი ფსიქიკის დონეზე, ჩემი აზრით, ნარმართავდა მისეული აბესალომის ქრონოტიპს.

ოდისეი დიმიტრიადთან საუბრისას ის დასკვნაც გამოვიტანე, რომ მას აბესალომის პარტია ოპერის დედაბოძად მიაჩნდა, რომელზეც პროექცირებულია მთელი ნაწარმოების მუსიკალური დრამატურგია გრანდიოზული საგუნდო სცენების ჩათვლით. შესრულების სირთულე იმაშია, აღნიშნა დიმიტრიადიმ, რომ არც დირიჟორმა და არც ტენორმა (აბესალომის პარტიის შემსრულებელმა) არ უნდა დაარღვიოს კლასიკური სიმეტრიის ის პრინციპი, რომელიც ფალიაშვილმა გენიალურად გამოიყენა ოპერაში — ლირიკიდან ამოზრდილი ტრაგედია კვლავ ლირიკას უბრუნდება.

კლასიკური საუნივერსიტეტო განათლების მომღერალი ნოდარ ანდლულაძე სწორედ ამ პრინციპით ნარმართავდა აბესალომის ვოკალურ-სცენური სახის სიცოცხლეს.

ფალიაშვილმა ოპერაში მარადიული და ყოვლისშემძლე სიყვარულის ხატი ბედისწერასთან შეანიჭილა, რითაც ანტიკური მითოსის ეს არქეტიპი ქართულ სამყაროში მოიძია და მკაფიოდ ეროვნული ულერადობით ნარმოაჩინა. მითოსური იდუმალება ამ ოპერის საორკესტრო შესავალშივეა გაცხადებული ქორალური ხმოვანებით და ნოდარ ანდლულაძის აბესალომის განსაკუთრებულობაც ის იყო, რომ თავის მონამეობრივ გზას ის სწორედ აქედან იწყებდა, აქ იღებდა სათავეს და არა I მოქმედების არიოზოდან („მე ბა-

ნი-ბანად გეძებდი“). შემთხვევითი არ არის, რომ მომღერალი უკვე ამ არიოზოში შეფარულად გამოხატავდა თავისი გმირის წინასწარ განნირულებას, მიუხედავად იმისა, რომ აქ აბესალომის სიყვარულის პირველ ფეთქებასთან გვაქვს საქმე. ნოდარ ანდლულაძე ამას ხმის ფილირების იშვიათი ოსტატობით და ინტონირებით გამოხატავდა.

ნოდარ ანდლულაძეს აბესალომის სახე „Al fresco-s“ სტილშია გადაწყვეტილი. ფრესკული სიდიადით პრენინავს ის ბედინერების (II აქტი) და ამაღლებული ტრაგედიის (III აქტი) სცენებში. ამ სიდიადეს ის კათარზისის დროსაც ინარჩუნებს.

როგორც ცნობილია, „აბესალომ და ეთერის“ ფრესკულ სტილს მეცნიერული განმარტება პროფ. ვ. დონაძემ მისცა: „ფართე ეპიკური მანერა, მსხვილი შტრიხები, ფაქტურის მასიურობა და მონოლითურობა, ანუ სტილი al fresco, ლაპარაკობენ მთელი ოპერის სიდიადისა და მონუმენტალობაზე“ (ვ. დონაძე. ზაქარია ფალიაშვილი, მოსკოვი, 1971, 76.).

ნოდარ ანდლულაძის აბესალომის ქრონოტიპი მითოლოგიურია. ამიტომ მომღერლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში სავსებით კანონზომიერად მიმაჩნია პირდაპირი გზა აბესალომიდან ლოენგრინისაკენ, რაც ორივე შემთხვევაში მუსიკალური დრამის კანონზომიერებითაა დეტერმინირებული.

ამგვარად, აბესალომის სახის განსხვავებული ინტერპრეტაცია სათავეს იღებდა ფალიაშვილის ამ ოპერაში არსებული პოლიუანრულობიდან (ოპერა-ტრაგედია, „გრანდ ოპერა“, ლირიკულ-დრამატული ოპერა, მუსიკალური დრამა). მომღერლების მიერ ამ უანრებიდან სხვადასხვა საწყისების ხაზგასმა საწინდარი იყო იმისა, რომ დიმიტრიადის დირიჟორობით „აბესალომ და ეთერის“ სპექტაკლი, როგორც უკვე აღინიშნა, „განსხვავებული ნიშნებით იტვირთებოდა“.

“აბესალომ და ეთერის“ უნიკალურობა იმაშია, რომ იგი დღესაც მკაცრი გამოცდის პოლიგონია ნებისმიერი დირიჟორისა და აბესალომის პარტიის შემსრულებლისათვის. აქ ნარმატებას არა მარტო ხმა, არტისტიზმი (არ გამოვრცხავ შემსრულებლის პიროვნულ თვისებებსაც), არამედ მუსიკოსის ინდივიდუალური ხედვა განაპირობებს. და თუ ეს მიღწეულია, ოპერის მადლომსილი მუსიკა შემოქმედებითი გამარჯვების გარანტი ხდება.



266 გერმანი

„სი თავის ბალას ცხაბრ მაზუნია ჩიტები“

უკანასკნელ ხანებში სამწუხარო ტრადიციად იქცა ქართული თეატრის მოღვაწეთა ჩივილი თანამედროვე ეროვნული დრამატურგის პრობლემებთან დაკავშირებით.

რეჟისორები და მსახიობები გულისტკივილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ძალიან ცოტაა მართლაც ღირებული, ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ამსახველი პიესა. დრამატურგები კი თვლიან, რომ თეატრი სათანადო ყურადღებას არ იჩენს მათი შემძებელის მიმართ. ალბათ ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს. თუმცა ერთი რამ

უდავოა — გამოჩნდება თუ არა კარგი ქართული პიესა, მას თითქმის ყველა თეატრი აიტაცებს და ერთმანეთის მიყოლებით დგამს. გავიხსენოთ თუნდაც ლაშა თაბუკაშვილისა და შადიმან შამანაძის დრამატურგიული ნანარმოებების ბეჭი. კლასიკასთან ერთად, თეატრალური ხელოვნების უმთავრესი მასაზრდოებელი მისი თანამედროვე ეროვნული ლიტერატურაა, დღევანდელი მაყურებლისთვის საინტერესო, მისი ამჟამინდელი სატკივარისა თუ პრობლემების ამსახველი პიესები. ასეთი ნანარმოებები ყოველთვის ჰაერივით სჭირდება ნებისმიერ თეატრს, რომელიც საზოგადოების მსოფლმხედველობის, მისი განწყობილებისა და მის ცხოვრებაში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესების ამსახველი და გამოხატველი უნდა იყოს. სამწუხაროდ, დღეს ქართული თეატრი ასეთი ნანარმოებებით განებივრებული არ არის.

ამიტომაც შემთხვევითი არაა, პირიქით, სავსებით კანონზომიერია, რომ დრამატურგ ალექსანდრე ქოქრაშვილის პიესა “მეზუნია ჩიტები” გასულ სეზონში თბილისის ორმა თეატრმა დადგა. ისე მოხდა, რომ ჯერ თავისუფალი თეატრის (რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი), შემდეგ კი სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრის (რეჟისორი მანანა კვირკველია) სპექტაკლი ვნახე და მხოლოდ ამის შემდეგ წავიკითხე პიესა. იმედია, ამ ნარმოდგენათა შემქმნელნი არ მიწყენენ, თუ ამჯერად მხოლოდ პიესაზე გესაუბრებით. ვფიქრობ, იგი თანამედროვე ქართული დრამატურგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნანარმოებია.

ავტორის პირველივე რემარკა იმ გარემოს აღნერს, რომელმიც ვითარდება ა. ქოქრაშვილის პიესის სიუჟეტი. მოქმედების ადგილი უცვლელია. ეს არის ქალაქებარეთ მდებარე ძველი, ღარიბული სახლი და არა თანამედროვე ვილა. ყველაფერს ნარსულის სუნი ასდის. აქ შემორჩენილია ე.ნ. “ძველი დიდების ნაშთები” — შლაპიან ქალბატონთა პორტრეტები, სკივრი, ქოლგა, მორყეული ავეჯი, თბილისის ბინისთვის რომ მოძველდა და აგარაკზე მიაგდეს, და სხვა ნივთები, რომლებიც მიგვანიშნებს მათ ძველ მფლობელთა — პატიოსან ნიგნიერ, ნესიერ, მაგრამ ხელმოკლე ადამიანთა ცხოვრების წესზე. ამ რემარკით დრამატურგი არა მარტო მოქმედების ადგილს ახასიათებს, არამედ თავისებურ ატმოსფეროსაც ქმნის.

მოქმედ პირთა ჩამონათვალში არც ერთი პერსონაჟი სახელით არ არის მოხსენიებული: ქალი — 40 წლის, კაცი — ამავე

ასაკის, მეზობელი — 19 წლის ბიჭი. მოქმედების მსვლელობისას ირკვევა, რომ სოფლის მცხოვრებნი ქალს ნაზიკოს ეძახიან (თუმცა საბოლოოდ მაინც ვერ ვიგებთ, რა ჰქვია მას სინამდვილეში), ბიჭი — ბესიკოა, კაცი კი ბოლომდე უსახელოდ რჩება. “მეზუნია ჩიტებში” რეალურად მოქმედ პერსონაუებთან ერთად, სიუჟეტის განვითარებაში აქტიურად ერთვება კიდევ ერთი გმირი — ნაზიკოს ქმარი მურმანი. მართალია იგი სცენაზე არ ჩნდება, მაგრამ პიესაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს უხილავი პერსონაუი, შეიძლება ითქვას, მისი აჩრდილი, აქ არის და მოქმედების მსვლელობას ნარმართავს. კაციც, ქალიც და ბიჭიც მუდმივად გრძნობენ მის არსებობას. არ იფიქროთ, რომ ამგვარად პიესაში რაღაც მისტიკური ელემენტები იჭრება. არავითარ შემთხვევაში. მურმანი — ამ სიმბოლური სახელის მატარებელი ადამიანი — სავსებით რეალური, მინაზე მყარად მდგარი პერსონაუია, ე.ნ. “ახალი ქართველი”, კაცის ახალგაზრდობის მეგობარი. ისინი რაგბის ერთ გუნდში თამაშობდნენ, ერთი ქალი უყვარდათ. კაცმა საყვარელი ქალი საყვარელ მეგობარს, მურმანს “დაუთმო”. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლის ნაზიკო. ახლა უკვე ის და მურმანი მრავალი წლის ცოლ-ქმარია. ყოველივე ამას და კიდევ ბევრ სხვა რამეს პიესის სიუჟეტის განვითარების პროცესში ვიგებთ. ყველაფერი კი ასე იწყება...

ადრიანი დილაა. ქალი უკვე კარგა ხანია ფეხზეა. ნამთვრალევი კაცი გაჭირვებით დგება და ასევე გაჭირვებით, თანდათან მოდის გონის წუხანდელი ბობოქარი დამის შემდეგ. მართალია, ჭარბად მიღებული ალკოჰოლის გამო ბევრი რამ ბუნდოვნად ახსოვს, მაგრამ იმას კი ნამდვილად გრძნობს, რომ რაღაც ცუდი, უღირსი ჩაიდინა. პირველ სცენაში წყვილი ყველაფერზე ლაპარაკობს, იმის გარდა, რაც წუხელ მათ შორის მოხდა. ორივე სირაქლემას პოზაშია. დიდხანს ერიდებიან პირდაპირ საუბარს იმაზე, რაც ჩაიდინეს. დანაშაულის გრძნობა თითქოს “ჰაერში ჰკიდია”. ეს განსაკუთრებით ეხება კაცს, რომელიც აშკარად დარცხვენილი და გაღიზიანებულია. ქალი — ნაკლებად. მან ხომ წუხელ ქმარს უღალატა, თავისი ჭკუით მურმანზე და, საერთოდ, “მურმანიზმზე” შური იძია. თავის დროზე, მასა და მის შეყვარებულს შორის უბრალოდ სხვა მამაკაცი კი არ ჩადგა, არამედ განსხვავებული ცხოვრების წესის, მსოფლმხედველო-

ბის ადამიანი — მურმანი. მას შეუძლია ფულის გამო დაივიწყოს ნარსული, ნალდი და ჭეშმარიტი ურთიერთობები, უღალატოს მეგობარს. მურმანს ადვილად შეუძლია გადააბიჯოს ყოველივე ამას, ტყუილითა და რაღაც მაქინაციებით ძმაკაცი ცარიელზე დატოვოს — უსახლვაროდ, ულუკმაპუროდ, უსიყვარულოდ, ფაქტიურად — საბოლოოდ განიროს. ქალმა ეს კარგად იცის. იგი მშვენივრად იცნობს თავის ქმარს. ამიტომ ცდილობს ლალატით არა მარტო შური იძიოს მურმანზე, არამედ აღადგინოს ძველი სიყვარული. ეს ნაზიკოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. საყვარელი ადამიანი მისთვის ის ხავსია, რომელსაც იგი ჭაობიდან ამოსასვლელად ეჭიდება, იმ ჭაობიდან, რომელშიც მურმანმა ჩაითრია. ეს მხოლოდ მამაკაცისა და ქალის სიყვარული არ არის, ესაა ერთნაირი სულიერი წყობის, ერთნაირ, ინტელიგენტურ გარემოში გაზრდილი, წესიერი, მაგრამ უნიათო, ნარსული იდეალებით მცხოვრები, “ჩვენი დროისათვის შეუფერებელი” ადამიანების ერთობა. ისინი ხომ ბავშვობის მეგობრები არიან, ერთად შეთამაშებულ-შელაპარაკებულ-შელაზღანდარავებულნი. თავიანთი ტერმინოლოგიაც აქვთ, ერთმანეთს ნახევარი სიტყვით უგებენ. დრამატურგი ა.ქოქრაშვილი ზუსტად, მკაფიოდ, ნათლად და ოსტატურად წარმოაჩენს ყოველივე ამას. მისი პიესის მთავარი სათქმელი არა იმდენად სიტყვებით გამოიხატება, არამედ პერსონაუთა საქციელებით, მათი ურთიერთდამოკიდებულებით, ქვეტექსტით, რაც ჭეშმარიტი დრამატურგის აუცილებელი ნიშან-თვისებაა.

მშვენივრადაა დაწერილი სცენა პირველი მოქმედების დასაწყისში, როდესაც ყოფით საკითხებზე საუბარსა და ნარსულის ეპიზოდების ფრაგმენტულ გახსენებას შორის, შიგა-დაშიგ, ქალი და კაცი მოიხსენიებს მურმანს. შემდეგ ეს თემა ვითარდება, ძლიერდება და პიესის ერთ-ერთ მთავარ სათქმელად იქცევა. ბიზნესმენმა მურმანმა, რომლის “საქმიანობაც” არა მარტო საქართველოში იფურჩქნება, არამედ უცხოეთშიც ყვავის, მეგობარი მოატყუა, როგორც ახლა ამბობენ “გადააგდო”. მეგობარმა ეს ამბავი ჯერ არ იცის ისევე, როგორც ბევრი რამ მურმანის შესახებ. ზოგჯერ მას ნაზიკოსადმი ძველი სიყვარული უღვივდება, თუმცა არც მისდამი სინაზის გამოვლენა შეიძლება — იგი ხომ მისი ბავშვობის მეგობრის, რაგბის თანაგუნდელის ცოლია.

ა.ქოქრაშვილის საკმაოდ რეალისტურ პიესაში რამდენიმე მნიშვნელოვანი სიმბო-

ლოა. არც ერთ მათგანს ავტორი თითქოს თავს არ ახვევს მკითხველს. ისინი ბუნებრივად ერთვებიან სიუჟეტში, ზოგჯერ როგორც ყოფის ატრიბუტები და თანდათან, პერსონაჟებთან ურთიერთობაში იძენენ სიმბოლურ დატვირთვას.

დიდი ხნის მიტოვებულ აგარაკზე, რომელიც მურმანმა საკუთარ საროსკიპოდ გადააქცია, ვირთხები დაბოგინებენ. უპატრონო სახლს ვირთხები შემოესივნენ, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ყველაზე დიდი “ვირთხა” კი 19 წლის, დამწყები “ახალი ქართველი” ბესიკოა. იგი ამ სახლის ყიდვას აპირებს.

სწორედ ნამდვილ ვირთხებთან ბრძოლის დროს კაცი ტახტის ქვეშიდან უნებურად რაგბის ძველ ბურთს გამოაგორებს. ეს თითქოსდა ჩვეულებრივი ბურთი, კაცისთვის ერთგულების, მეგობრობის განსახიერებაა, იმ ბედნიერი ახალგაზრდობის ნოსტალგიური სიმბოლო, რომელსაც ვერასოდეს დაიბრუნებ. ამ უზომო გულისტკენამ კაცის მონოლოგის ფორმით “გამოხეთქა”. აქ დრამატურგმა სათქმელის გამოხატვის მეტად რთული გზა აირჩია — კარგი მონოლოგის დაწერა ადვილი არ არის. ეს ხომ პერსონაჟის საკუთარ თავთან, სხვა მოქმედ პირთან ან მაყურებელთან უბრალო საუბარი არაა. მონოლოგის აუცილებლობა სიუჟეტის განვითარების პროცესში უნდა აღმოცენდეს, იგი უეჭველად ქმედითი უნდა იყოს. არა ლაპარაკი (თუნდაც ძალიან საინტერესო), არამედ აქტიური ქმედება, უფრო სწორად — ზემოქმედება სხვა პერსონაჟზე, მაყურებელზე ან საკუთარ თავზე. ასეთია კაცის მონოლოგიც. ამ შემთხვევაში რაგბის გუნდის მწვრთნელი თავის ნორჩ მოსწავლებს მიმართავს.

კაცი — ჩემო პატარა მეგობრებო! აი, შეხედეთ! ეს ბურთი ბრძოლისთვის, ჭიდილისთვის, ძლიერ და უინიან მამაკაცთა შერკინება-შეხეთქებისთვის არის შექმნილი! იგი სრულყოფილია თავისი ელიფსურობით, თამამია ფორმის მოულოდნელობით! იგი ქვემების ყუმბარასავით მშვიდია და მძიმე! დიახ, მძიმეა რაგბის ბურთი, რადგან თვით რაგბია მძიმე, ძნელი და ყოვლისმომცველი! თუ ამ ბურთით თამაშს აპირებთ, თუ ჩვენ გუნდში მოდიხართ, თუ მართლა გსურთ თქვენი ცხოვრება რაგბს მიუძღვნათ, იცოდეთ, რომ გელოდებათ დამქანცველი, ერთფეროვანი წვრთნა სიცხეში, სიცივეში, ქარსა და წვიმაში! უნდა გაუძლოთ აუტანელ ტკივილს მრავალჯერ დაღენილი ცხვირპირის, ჩამტვრეული ნეკნების,

მოტეხილი ხელ-ფეხის გამო... უნდა დაძლიოთ მრავალი ცდუნება, რომ არ მოდუნდეს, არ დაძაბუნდეს საპრძოლოდ შემართული თქვენი სხეული და ნებისყოფა! და რას მიიღებთ ყოველივე ამის სანაცვლოდ? თქვენ მიიღებთ ყველაზე ძვირფასს, რისი მოპოვებაც კაცს შეუძლია — თანაგუნდელების, დიახ, თითოეული თქვენგანის წრფელ, ფაქიზ, ძმურ სიყვარულს, მტკიცე მეგობრობას და კაცურ ზრუნვას, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გაგყვებათ! რაც არ უნდა გახდეთ, უმდიდრესი ადამიანები იქნებით, რადგან თქვენ ერთმანეთი გეყოლებათ! და როცა მიხვდებით, რომ თანაგუნდელი საკუთარ თავზე მეტად გიყვართ, თანაგუნდელის სახელს და ლირსებას საკუთარივით და უფრო მეტად უფრთხილდებით, მაშინ აღმოაჩენთ, რომ რაგბის თამაში გისწავლიათ... თქვენ გელოდებათ რაგბის საოცარი, ფეხებადი მოულოდნელობებით დამუხტული სამყარო, სადაც მხოლოდ ლირსეული მამაკაცების ადგილია! მე კი თქვენი მეგზური ვიქნები ამ სამყაროში...

მურმანმა ეს ბურთი-სიმბოლო თავის “ბორდელში” ტახტის ქვეშ შეაგდო. მან სამუდამოდ დაივინყა არა მარტო რაგბის ბურთი, არამედ ყოველივე ის, რაც მასთანაა დაკავშირებული. ის ასეთი ზნეობრივი კატეგორიებით აღარ ცხოვრობს. უარი თქვა მათზე ახალი, მდიდარი, უზრუნველყოფილი, კეთილმოწყობილი ცხოვრების გამო.

მურმანის ერთ-ერთი საქმიანი პარტნიორი ბესიკოა — 19 წლის, ნორჩი, ახლად ფეხადგმული “ახალი ქართველი”, ეროვნული ბიზნესის “მწვანე ჯეჯილი”. ბესიკო ღვანლმოსილი საქმოსნის, მურმანის ერთგული მოწაფე, თანამზრახველი, თანამოსაქმე და მომავალში მისი საქმის მასზე უკეთ გამგრძელებელია.

ყმანვილმა ნაზიკოს სახლის ღობესთან კაცის ფეხსაცმელი დაინახა. ახლა ვალდებულია გაარკვიოს, ვინ არის აქ. მურმან ბიძია პარიზშია. ამიტომაც მის საქმეებზე “ზრუნვა” ბესიკომ აიღო თავის თავზე. ბიჭისა და ქალის პირველ სცენაში კაცი არ ჩანს. ბესიკო ეშმაკურად ცდილობს “გამოიძიოს”, ვისთან გაატარა წუხანდელი ღამე მისი ბოსის ცოლმა. ეს ეპიზოდი ჩინებულად, ჭეშმარიტი დრამატურგის ოსტატობითაა დაწერილი. მასში მკაფიოდ იკვეთება არა მარტო ორი პერსონაჟის ამოცანა, რომელიც მათ აქტიურ ქმედებას უდევს საფუძვლად, არამედ — ბესიკოს ხასიათის ნიშნებიც. საფრანგეთიდან ახლახანს ჩამოსული ყმანვილი “ორიგინალურად” აფასებს

უაღრესად კეთილხმოვან ფრანგულ ენას: "ფრანგული ისეთი ენაა, თითქოს გოჭები ლრუტუნებენ და კვატები ვიტვიტებენ". დამეთანხმებით, ეს სიტყვები, მოქმედი პირის მოკლე, ლაკონური და უაღრესად ტევადი დახასიათებაა. თუმცა ეს ბესიკოს მხოლოდ ერთი, ღიმილის მომგვრელი თვისებაა. მოქმედების მსვლელობისას თანდათან სრულად იშლება მისი ბუნების მთელი "შშვენიერება".

კაცს ბესიკოს ხმა საიდანლაც ეცნობა, ოლონდ ჯერ ვერ გაურკვევია — საიდან. დრამატურგის მიერ კარგად "შემოგდებული" ეს ინტრიგა, ასევე ჩინებულად იხლართება პიესის სიუჟეტში და საბოლოოდ, ავტორის უმთავრესი სათქმელის გამოკვეთას უწყობს ხელს. ქალმა უკვე იცის, რომ მურმანმა მეგობარი "გადააგდო", ბევრი ამუშავა, ახლა კი საქმიდან "მოტეხვას" უპირებს (შეამჩნევდით ალბათ, რამდენი უარგონული გამოთქმის ხმარება მინევს, მაგრამ სხვა გზა არ არის. ეს გამოთქმები ძალზე ზუსტად გამოხატავენ ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე და პიესაში აღნერილ სამწუხარო მოვლენათა არსა). კაცმა ეს ჯერ არ იცის. ამიტომაც ილუზიებით იკვებება. მან ხომ ამ საქმეს საკუთარი სახლი შესწირა — მამის ბიბლიოთეკით, მამიდის როიალით, მისთვის უძვირფასესი ნივთებით. მთელი ფული და ენერგია მურმანის ახალი სანარმოს ამუშავებას მოახმარა. თანდათანობით, ქალის მიკიბულ-მოკიბული მინიშნებებითა და შეკითხვებით ხვდება, რომ მურმანი არ ჩამოვა. მისთვის ეს საშინელი დარტყმაა. თითქოს ყველაფერი ენგრევა, თავზე ემხობა. სასონარკვეთილი კაცი ამ მძიმე ნუთებში აცნობიერებს, საიდან ეცნობა ბესიკოს ხმა — ეს მან იყიდა კაცის ბინა. მოთმინებიდან გამოსული, შემოსეულ ვირთხებზე იყრის ჯავრს. ასე მთავრდება პირველი მოქმედება.

მეორე მოქმედება იდილიური განწყობილებით იწყება — კაცი, ქალი და ბესიკო სუფრას უსხედან, ქეიფობენ. გაუგებარია, როდის დაზიავდა ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი ეს ორი მხარე. ვფიქრობ, უცნაური გადასვლაა. იგი არ შეესაბამება ამ პიესის კომპოზიციის პრინციპებსა და მის გრძნობათა ბუნებას. აქამდე ყველაფერი დროში თანმიმდევრულად ვითარდებოდა, ერთ მოვლენას ბუნებრივად მოსდევდა მეორე, პერსონაჟებიც უწყვეტად გადადიოდნენ ერთი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან მეორეში. ახლა კი რაღაც გაუგებარი წყვეტილი გაჩნდა. თითქოს ანტრაქტის დროს

რაღაც მოხდა, მაგრამ რა — არ ვიცით. მეორე მოქმედების პირველ ნახევარს თავისებური, საკარნავალო ელფერი დაპკრავს. კაცი და ქალი ჩვენ ნინაშე რაღაც სანახაობას ნარმოადგენენ, რაღაცას თამაშობენ. იქნებ ეს გამაღიზიანებელი რეალობიდან განრიდების, მისგან მცირე ხნით მოშორების მცდელობაა?

ამ თეატრალიზებული თამაშის პროცესში, სხვადასხვა პერსონაჟად გარდასახული კაცი, ბესიკოსთან დიალოგში იმის გარკვევასაც ცდილობს, რატომ იყიდა მან მისი ბინა, თანაც ძალიან ძვირად, არც კი შეევაჭრა, ფულიც მაშინვე მიუცუნცულა. ბესიკო ცდილობს საუბარი სხვა თემაზე გადაიტანოს, სიტყვას ბაზზე უგდებს. არ უნდა გამოუტყდეს, რომ სახლი მურმანმა შეისყიდა ბესიკოს საშუალებით.

კაცი და ქალი თითქოს ახალგაზრდობას იხსენებენ, იმ ლიტერატურულსა თუ თეატრალურ პერსონაჟებს ნარმოგვიდგენენ, რომლებსაც თვითონ კარგად იცნობენ. მათ ერთმანეთისა ნახევარი სიტყვით, ზოგჯერ — უსიტყვოდაც ესმით. ბესიკოს კი მათი თამაშისა არაფერი გაეგება. არც მათ თეატრალურ გმირებზე სმენია რამე. მთელი ეს დიდი თეატრალიზებული მოვლენა, უვიცი და გაუნათლებელი, მაგრამ ცხოვრების მცოდნე და პრაქტიკული ბესიკოს თავისებური კომენტარებით — პიესის ერთ-ერთი საუკეთესო სცენაა. მის კულმინაციურ მომენტში ეშმაკი და გაქნილი ყმანვილის მიერ ნარმოთქმული ფრაზა: "ნაზიკო დეიდა, შენ რატომ არ ნაგიყვანა მურმან ბიძიამ პარიზში?" პერსონაჟებს რეალობის გრძნობას უბრუნებს, ზეცაში მოფარფატებებს მინაზე ანარცხებს. მორჩა, ნარმოდგენა დამთავრდა. სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ!

ახლა უკვე ელვის სისწრაფით ირკვევა ყველაფერი — ბესიკოს მურმანმა აყიდინა კაცის სახლი და ამის სანაცვლოდ თავის ბიზნესში წილს შეპირდა. ნაზიკო იგებს, რომ მურმანს მიუნპენში სასტუმრო აქვს, ესპანეთში — პლაუი, პოლონეთში ფეხსაცმელებს ანარმობს, პორტუგალიაში ინდაურების ფერმას ყიდულობს. მოკლედ, იფურჩნება მურმანისა და ბესიკოს საერთაშორისო ბიზნესი. ნარმატებული საქმოსნის მიერ მოტყუებული, პირში ჩალაგამოვლებული, უსახლეაროდ დარჩენილი მისი ბავშვობის მეგობარი კი, მის მიერ საროსკიპოდ ქცეულ აგარაკზე, მის ცოლთან გატარებული ლამის შემდეგ, ნაზიკოსთან ერთად რაღაც ისტერიულ ნარმოდგენებს მართავს.

ქალი ბესიკოს აშკარად მიანიშნებს, რომ მისი ბოსი აღარ დაბრუნდება, რომ ნაზიკო და მურმანი საცხოვრებლად პარიზში გადადიან. თუმცა, ბოლომდე მაინც ვერ ვხვდებით, მართალს ამბობს თუ ბიჭს “აგდებს. ბესიკოც “ავარდება” და მთლად კარგავს წონასწორობას. დაიჯერა, რომ ყველა მისი მცდელობა, დიდი შრომა და თითქმის ანყობილი ბიზნესი წყალში ჩაეყარა. ბესიკო გაცოფებულია. მასში დაგროვილი აგრესია, ბოლმა და ლვარძლი სრული ძალით სწორედ ახლა ამოხეთქავს. ამ სცენაში განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება ბესიკოს ნამდვილი ბუნება — როგორ სძულს ყველა, როგორ აპირებს ააფეთქოს, პირისაგან მიწისა აღგავოს მშობლიური სოფელი, წინაპართა ფუძე და ნასახლარი: “დავაცარიელებ ამ სოფელს... ცაში უნდა ავნიო დედაბუდიანად!” შემდეგ უცხოელებს — მისი აზრით, წესიერ ხალხს, წესიერი ქვეყნიდან — მიყიდის ამ მიწას. კაცის ძლიერი დარტყმა ისტერიკაში მყოფ ბესიკოს იატაკზე უგონოდ დასცემს.

შემდეგ? ნაზიკო ბიჭს სოფლის გაყიდული სახლის და მანქანის ფულსაც უბრუნებს. მერე ბარგის ჩალაგებას იწყებს — მისთვის ძვირფას ნივთებს, ფოტოებს ალაგებს. სად მიაქვს? პარიზში? ალბათ არა. კაცსაც ის ნივთი მიაქვს, რომელიც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია — რაგბის ბურთი.

ფინალისკენ ნათლად იკვეთება პიესის სათაურის სიმბოლური დატვირთვა. ვინ არიან მეზუნია ჩიტები?

ქალი — სულ ცდილობენ ბუდე გაიკეთონ; მოახერხებენ რაღაცას, წყნარდებიან, ჭიკჭიკებენ, მერე ან ქარი დაუბერავს, ან ჩანთოსანი ტურა ნამოეპარებათ და ყველაფერი თავიდან იწყება... სულ თავის ბუდეს ეძებენ მეზუნია ჩიტები, სულ წვალობენ..."

კაცი და ქალი თითქოს თვითონ არიან მეზუნია ჩიტები, თავიანთი წარსულით, ცხოვრების წესით, სიყვარულით, ამ არაჩვეულებრივი გრძნობის ხელახლა აღორძინე-

ბის უსუსური მცდელობით. იქნებ როგორმე აღდგეს და გადარჩეს მათი სიყვარული, რომელიც მათ საკუთარი პიროვნული ღირსების შენარჩუნებაში დაეხმარება.

მაგრამ ყველაფერი გვიანია. მათ ამის სულიერი ძალა აღარ აქვთ, მათ ურთიერთობას კი — პერსპექტივა. ცხოვრებამ ორივე დაღალა. უნესო საზოგადოებაში წესიერი, მაგრამ შინაგანად გამოფიტული ადამიანები ახალ ცხოვრებას ვერ დაიწყებენ, მით უმეტეს — ძველ სიყვარულს ვერ გააცოცხლებენ. მათ ხელს უშლის ყოველივე ის, რასაც მურმანი და მისი ნორჩი მონაცე განასახიერებენ — ანგარება, პრაქტიკიზმი, ტყუილი, ფარისევლობა, ღალატი...

სიყვარულის აღდგენის უმწეო მცდელობა სრულ კრახს განიცდის პიესის ფინალში, როდესაც აღფრთოვანებული, სიხარულით ფრთაშესხმული, ბედნიერი ბესიკო გვამცნობს, რომ მურმანი გვეახლა ორმოცდაათი ცხენოსნით, უკაცრავად, ორმოცდაათი ტრაილერით!

ალექსანდრე ქოქრაშვილის “მეზუნია ჩიტები” ჭეშმარიტად თანამედროვე პიესაა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი პერსონაჟები დღეს მცხოვრები, ყველასათვის ნაცნობი ადამიანები არიან. ნანარმოების თანამედროვეობა მარტო ამით არ განისაზღვრება. არც მხოლოდ იმ ტიპიური ვითარებებითა თუ ურთიერთობებით, რომლებსაც ფეხის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით, შესაძლოა ამგვარ ან მსგავს სიტუაციაში ჩვენც ვყოფილვართ. ამიტომ პიესის კითხვისას ერთგვარი ნაცნობობის გრძნობაც გვეუფლება. ეს ნანარმოები განსაკუთრებით იმითაა ღირებული, რომ მისი ავტორი, დრამატურგის უდავო ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანი თავის ემოციურ სათქმელ-სატკივარს არა იმდენად მოქმედ პირთა სიტყვებში დებს, არამედ, უფრო მეტად, ამ სიტყვებს მიღმა არსებულ დინამიკურ ქმედებაში. დიდი ქართველი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი ამბობდა: “სიტყვა მოქმედების გვირგვინია!” ალექსანდრე ქოქრაშვილის პიესაში მრავალი ასეთი გვირგვინია.





კართველი პედაგოგი

ქართველი
მუსიკი

„ხუსტ ჰუსტინის საცხასისი მისტერიაზი“ (მასალები კინოსცენარისთვის)

„სიმართლე – ეს უანგარო სუბიექტურობაა.“
„ობიექტური ადამიანი ნორმიდან გადახვევაა,
ოღონდ ძალიან გთხოვთ ამას
პარადოქსად ნუ მიიღებთ.“

კართველი პედაგოგი

„მასალები კინოსცენარისათვის“ საჭურ-
ვლად დაღო ხელოვნებათმცოდნე როდიკო
უზენაფიცის დოკუმენტურ ფილმ-ესეის, „კართველი პედა-
გოგის კავკასიური მისტერიაზი“ (2005 წ). ფილ-
მი ასახავს გამოჩენილი ნორვეგიული მცენ-
ლის, ნორვეგის პრემიის ლაურეატის — კართ-
ველი პედაგოგის მოზაურობას საქართველოში.

ფილმი მუშაობას აპთორმა სამი წელი
მოაწყობა. ამ პერიოდი კინოდოკუმენტა-
ტისთვის უახრავი უცნობი მასალა მოიპია და
ფილმი აღმართდა. მაგრავის ვთავაზოგო მხო-
ლი ნაცილს სამუშაო სცენარიდან, რომელიც
სანდო კონკრეტური კონფიდენციალური ინფორმაციას მოიცავდა — დეტალურად იყო განხილული
მისი შემოქმედება და დამსახურება XX
საუკუნის ევროპული ლიტერატურის გან-
ვითარებაში, თუმცა იქვე აუცილებლად
იყო მინიშნებული პამსუნის ბიოგრაფიის
„შავ-ბნელი“ მხარეები. კერძოდ, მსოფლიო
მასშტაბის მნერალი როგორ მიემხრო პირ-
სისხლიან ფაშიზმს, როგორ აღმოჩნდა იგი
მტრის ბანაკში, როგორ იქცა სამშობლოს
მოღალატედ და ა. შ. ამგვარ მკაცრ შეფა-
სებას დღემდე არც ცნობილი უცხოური ენ-
ციკლოპედიური გამოცემები თავილობენ.

ცინათა:

კონსტანტინე გამსახურდიას მეშვიდე
ტომში დაბეჭდილი ესე, „კნუტ ჰამსუნი“,
ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში ნავიკითხე.
დავინტერესდი, ვინ იყო კნუტ ჰამსუნი,
რომლის ფოტოსურათმა ვაჟას და ილიას
სურათების გვერდით, ქართველი მნერლის
საძინებელ ოთახში დაიმკვიდრა ადგილი.
საბჭოთა ენციკლოპედიებში პამსუნის შესა-
ხებ ურთიერთსანინააღმდეგო ინფორმაცია
დამხვდა — დეტალურად იყო განხილული
მისი შემოქმედება და დამსახურება XX
საუკუნის ევროპული ლიტერატურის გან-
ვითარებაში, თუმცა იქვე აუცილებლად
იყო მინიშნებული პამსუნის ბიოგრაფიის
„შავ-ბნელი“ მხარეები. კერძოდ, მსოფლიო
მასშტაბის მნერალი როგორ მიემხრო პირ-
სისხლიან ფაშიზმს, როგორ აღმოჩნდა იგი
მტრის ბანაკში, როგორ იქცა სამშობლოს
მოღალატედ და ა. შ. ამგვარ მკაცრ შეფა-
სებას დღემდე არც ცნობილი უცხოური ენ-
ციკლოპედიური გამოცემები თავილობენ.

პამსუნის ნაწარმოებებიდან პირველად
„ზღაპრული ქვეყანა“ წავიკითხე. ამ ნიგნი-
დან შევიტყვე, რომ ნორვეგიელ მნერალს
საქართველოშიც უმოგზაურია. მართალი
გითხრათ, „ზღაპრულმა ქვეყანამ“ იმედი
გამინდილა, ზოგმა პამსუნის რომანების
წაკითხვა მირჩია: ისინი გაცილებით საინ-
ტერესო და მიმზიდველია, ვიდრე სამოგზა-
ურო ჩანაწერებით. იმასაც ამტკიცებდნენ,
ძნელი დასაჯერებელია, რომ „ზღაპრული
ქვეყანა“ „მისტერიების“ და „შიმშილის“ ავ-
ტორმა დაწერაო. მოგვიანებით, რამდენიმე
სწილი შემდეგ, კვლავ დავუბრუნდი „ზღაპ-
რულ ქვეყანას“ და, ჩემდა გასაოცრად, აღ-
მოვაჩინე, რომ კავკასიაში მოგზაურობა
მისტიურად არის დაკავშირებული პამსუ-
ნის მთელ ცხოვრებასთან. აქ იპოვით მისი
პიროვნების სულიერ გასაღებს. მართლაც,
ამ ნიგნში უამრავი საიდუმლოა და მეც შე-
ვეცადე ამომეხსნა კნუტ ჰამსუნის კავეასი-
ური მისტერიები. ამ პიროვნების სახელთან
შეხება ერთდროულად მძიმე, საპასუხის-
მგებლო და სასიამოვნო ტვირთი აღმოჩნდა.
გამიმართლა და ორჯერ ვენვიე პამსუნის
სამშობლოს — ნორვეგიას, მშვენიერი ფი-
ლმდების ქვეყანას, მოვინახულე მნერლის
ბავშვობის ადგილები — ზღაპრული ნურლა-
ნი ჩრდილო ნორვეგიაში, შევხვდი უამრავ
ადამიანს, იყო საუბრები, კამათი პამსუნის
შესახებ. ბევრს გულწრფელად უკვირდა,
რომ შორეულ საქართველოშიც უყვართ და
კითხულობენ პამსუნს, რომ საქართველო-

შიკნუტ პამსუნის „მისტერიებზე“ და „ვიქტორიაზე“ არა ერთი თაობა აღზრდილა...

„კნუტ პამსუნი? ის ხომ ჩემი საყვარელი მწერალია, — სიამოვნებით და აღტაცებით მპასუხობდნენ შეკითხვაზე ქართველი „პამსუნისტები“. მათმა თანადგომამ უზარმაზარი შემოქმედებითი იმპულსი მოგვცა, და ასე შეიქმნა დოკუმენტური ფილმი-ესეი „კნუტ პამსუნის კავაკსიური მისტერიები“ (2005 წ.). ფილმის სცენარი ბატონ რეზო კვესელავას თანაავტორობით შეიქმნა. კნუტ პამსუნის როლი ცნობილმა ქართველმა მსახიობმა გივი თოხაძემ შეასრულა. ფილმში ასევე მონაწილეობს ნორვეგიელი ეთნოგრაფი სვენ ვოგე, რომელიც ქართულად კითხულობს ციტატებს კნუტ პამსუნის „ზღაპრული ქვეყნიდან“. მართალია, ფილმში ბევრი ეპიზოდი არ შესულა, უმეტესი ნაწილი ფირზე ან ფურცელზე, ზოგიც ჩემს გონიერებასა და გრძნობაში დარჩა. შევეცადე, ბოლო ნლებში ჩემ მიერ მოძიებული და მიკვლეული, განცდილი და ნაფიქრალი შემეჯერებინა, თუნდაც ამორფული, ჩანაწერების სახით მკითხველისთვის მიმენოდებინა. ამგვარი „კომპინაციის“ შედეგად კინოსცენარის ტიპობრივი ფორმაც დაირღვა და ლიტერატურულ ტექსტთან შერწყმა მოითხოვა. კინოში ხომ გამოსახულებას და მონტაჟს უფრო ფუნქციური დატვირთვა ენიჭება, ვიდრე ტექსტს; კინოსცენარის ავტორს ლიტერატურული აზროვნებაც ნაკლებად მოეთხოვება.

შესაძლოა, ჩემ მიერ თავმოყრილ „მასალებში“ ბევრი რამ საკამათო ან მიუღებელი იყოს, მაგრამ პამსუნის სიყვარულის გამო, ალბათ ავტორს ეს ხარვეზებიც მიეტევება.

პროლოგი ფილმისთვის:

„ჩელია უქხო მხარეში იპოვო შესაფერის ნალექი საცავ ფეხვებს გადამდი, მშობლიურ უერას მოწყობილ უქხო მხარეში უველავ გამოხეცვა, უველავ ლიმალი რიცხვი გასაგები. ცა უკავშირის, ვარსკვლავების განლაგებაც განხევევებულია და მათ მოძებნა და შეცნობა ადვილი არ არის.“

ნაწყვეტი კნუტ პამსუნის ნოველიდან „მზის შეილი“.

პადრში ნარცერა: თბილისი. 2004 წელი. ირაკლი ოჩიაურის სახელოსნო. გრძელი პანორამა ფრესკაზე.

მთხოვთა დანართი: „მშვიდობით ხევსურეთო“ — ასე უწოდა ირაკლი ოჩიაურმა ფრესკას,

რომელზეც უძველესი ხალხური რიტუალი — ხევსურთა დოლია ასახული.

ირაკლი ოჩიაური: ამ ფრესკის დახატვის ძირითადი მიზეზი ხევსურეთის სიყვარულია. ის, რაც გვინახავს ხევსურეთში და რასაც ვეღარ ვნახავთ. აღარც ჩაცმა დარჩა ასეთი, აღარც ხალხი... მოსახლეობა იქ აღარ არის... უნდა ვთქვათ, ხევსურეთი ქრება...

მონუმენტურ პანოზე ხევსურულ სამოსში გამოწყობილი ვაჟები, ქალები, მოხუცები და ბავშვები. მთიელთა შორის: ვაჟა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ლადო ბაილაური — 1942 წლის სახალხო შეთქმულების მონაწილე... შესანიშნავ ჯგუფურ ანსამბლში ახალგაზრდა მამაკაცი დაკვირვებით იმზირება სათვალიდან. ეს კნუტ პამსუნია...

ირაკლი ოჩიაური: ...ჩემი ძმის თაობა გატაცებული იყო პამსუნით, განსაკუთრებით მისი „მისტერიებით“. გოგის, ჩემს ძმას, გლანს ეძახდნენ. ამ ფრესკაზე ის ახალგაზრდაა. გოგი ლამაზი იყო და ამიტომ ეძახდნენ გლანს. ფრესკაზე დედაც დავხატე... მართლაც, არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, ეროვნული სული ჰქონდა. მამაჩემი 1937 წელს დაპატიმრებული იყო. ჩვენი ოჯახი კომუნისტურ წყობას ვერ ეგუებოდა... მიკვირს, რომ ქართველებში ეროვნული შეგნება დაიკარგა.

აღმოჩნდა, რომ მეც პამსუნის ისეთივე მოყვარული ვარ, როგორც თქვენ. ნეტავ, ამას ნორვეგიაში თუ დაიჯერებენ?

პადრში ნარცერა: 2004 წლის ივნისი. ნორვეგიის დედაქალაქი ოსლო, ყოფილი ქრისტიანია. ჩანს ოსლოს ნავსადგური, ქუჩები, ტურისტები.

ოსლოში სულ ორიოდე დღე დავრჩი, რადგან ჩემი მოგზაურობის ძირითადი მიზანი ჩრდილოეთ ნორვეგიის — ნურლანის მონახულება იყო. ნურლანს უკავშირდება კნუტ პამსუნის ბავშვობა და ყმანვილობა...

პადრში: ოსლოს ცენტრალური ქუჩები. ხალხის უზარმაზარი ნაკადი უსასრულოდ მოედინება კარლ იუპანის ცნობილ ქუჩაზე, მასაში ძირითადად ტურისტები ჭარბობენ. ცნობისმოყვარე, მრავლად ინერტული სახეები, ტრანსპორტის გახშირებული მოძრაობა და ხმაური. შუა ქუჩაში, ერთი ქალბატონი საოპერო არიას მღერის, აღტაცებული გამვლელები ტაშს უკრავენ და მონყალების ნიშნად კოლოფში ხურდებს უყრიან.

ოსლოს ნაციონალური თეატრის ნინ კვარცხლბეკიდან ამაყად დაგვყურებს ორი დიდი ნორვეგიელი მწერალი — ბიერნსონი და იბსენი...

მთხოვთაში: ხანგრძლივი და მნვავე საჯარო დებატების შემდე გადაწყდა: ნორვეგიის დედაქალაქის არც ერთ სკოლას და ქუჩას კუნუტ ჰამსუნის სახელი არ მიენიჭოს. კუნუტ ჰამსუნს, ვერც ქალაქში აღმართულ ცნობილ მნერალთა ძეგლებს შორის ნახავთ...

კადრში: კუნუტ ჰამსუნის ფოტოები.

მთხოვთაში: (ოფიციალური ტონით კითხულობს ენციკლოპედიურ ცნობებს).


კუნუტ ჰამსუნი — ნამდვილი გვარია პედერსენი. ბავშვობიდან გატაცებული იყო მოხეტიალე ცხოვრებით. ნაცისტური გერმანიის განადგურების შემდეგ გაასამართლეს სამშობლოს ღალატისთვის. გარდაიცვალა 1952 წლის 19 თებერვალს, ნორვეგიაში, საკუთარ მამულში.

„ნორვეგიელი დოსტოევსკი“ — ასე უწოდა კუნუტ ჰამსუნს ცნობილმა კრიტიკოსმა მარტინ ნაგმა. ეს სათაური წაუმდლვარა ნაგმა თავის წიგნს, რომელიც ჰამსუნის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხება.

„ოსლოში ერთი სახლია, რომელიც კუნუტ ჰამსუნის სახელს უკავშირდება — ტერესგადეს ქუჩაზე... მართალი გითხრათ, ქუჩის ნომერი არ მახსოვს...“ — შენუხებულმა მითხრა ტელეფონში მარტინ ნაგმა.

მართალია, ტერესგადეს ქუჩას ადვილად მივაგენი, მაგრამ შეკითხვაზე, სად მდებარეობდა სახლი, სადაც კუნუტ ჰამსუნი ცხოვრობდა, ვერავინ მიპასუხა. ერთი და იგივე კითხვით ქუჩაში ამაოდ ვაწუხებდით გამვლელებს, ტაქსის მძლოლს, ბარმენს... მე და ჩემი ოპერატორი დიდხანს დავდიოდით ტერესგადეს ქუჩაზე. დაბნელების ნამდვილად არ გვეშინოდა, ოსლოში თეთრი ღამეები იდგა, შუალამესაც რომ მოენია, ნატურაზე გადაღებას მაინც შევძლებდით. ბოლოს, ერთ-ერთმა გამვლელმა ქუჩის განაპირა მხარეს, სილრმეში, პატარა ეზოსკენ მიგვითითა. ჩვენი ყურადღება პატარა ბალში აყვავებულმა იასამანმა მიიპყრო, შემდეგ მოწითალო ფერის ორსართულიანი შენობა შევნიშნეთ. სახლის ფასადის მომცრო აბრაზე ნორვეგიულად ენერა: „1902-დან 1904 წლამდე ამ სახლში ცხოვრობდა ნორვეგიელი მნერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი კუნუტ ჰამსუნი. აქ დაიბადა მისი ქალიშვილი ვიქტორია.“ თითქოს, მას შემდეგ არაფერი შეცვლილა — ქალაქის ხმაურს განრიდებული ეს ადგილი დღემდე ინარჩუნებს სიმყუდროვეს და იდუმალებას. ესეც, ტერესგადეს ქუჩა 49. ეს სახლი კიდევ ერთი რამით არის ღირსშესანიშნავი: ამ პერიოდში გამოიცა კუნუტ ჰამსუნის „ზღაპრული

ქვეყანა“ და პიესა „დედოფალი თამარი“. ორივე ეკვედური მოგზაურობას უკავშირდება. ჰამსუნის გახმაურებულ რომანებთან შედარებით ისინი ნაკლებად ცნობილია. კრიტიკამაც არ აღიარა...



მარტინ ნაგი

მარტინ ნაგი: (ინტერვიუ ჩანერილია ბატონ ნაგის სახლში.) დღემდე არ ესმით ამ წიგნის მნიშვნელობა, იგი ჯერ არ არის ბოლომდე გააზრებული და შესწავლილი. ...ეს არ არის მოგზაურობა ჩვეულებრივი გაგებით... ჰამსუნი გამუდმებით ესაუბრება საკუთარ თავს. მან თავისებური უანრი შექმნა. „ზღაპრულ ქვეყანაში“ ბევრი ალუზია, ბევრი საიდუმლოა, და მე ძალიან ხშირად ვუბრუნდები ამ წიგნს. „ზღაპრული ქვეყანა“ მისი ერთ-ერთი საუკეთესო წანარმოებია. წანარმოების თითოეული თავი იმდენად შეკრული და მთლიანია, რომ დამოუკიდებელ მხატვრულ წანარმოებად აღიქმება.

პირად საუბარში ბატონმა მარტინმა სიამოვნებით გაიხსენა გასული საუკუნის 60-იანი წლების თბილისი და ქართველ მნერლებთან შეხვედრა: სიმონ ჩიქოვანი, ძმები თამაზ და ოთარ ჭილაძეები...

მარტინ ნაგი: 1965 წელს 3 დღე დავყავი თბილისში! მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, 38 წლის. საინტერესო ლიტერატურული ცხოვრება ჩქეფდა: იყო ბევრი შეხვედრა, დისკუსია... ეს იყო ქართული ლიტერატურის განახლების, მისი აღზევების პერიოდი, ქართული ლიტერატურა სამაგალითო იყო რუსული კულტურისთვის... მაშინ ვთარგმნე ქართველი ლირიკოსები... ძალიან შთამბეჭდავი იყო ეს წლები, მადლიერებით ვიხსენებ. მოხარული ვარ, რომ გავეცანი ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას... მარტინისეულ საქართველოს... (იცინის) ჩემთვის

საქართველო — მითია, ჰამსუნისეული ლტოლვის გაგრძელება... მახსოვს, ოთარ და თამაზ ჭილაძეებმა თბილისთან ახლოს, ჯვრის მონასტერში მანქანით ამიყვანეს...

მარტინ ნაგი დიდხანს მიამბობდა თბილისურ შთაბეჭდილებებზე, თითქოს რეალობა და ფანტაზია ერთმანეთში ირეოდა: „ახლა, მოგონებებს ვწერ. მათი ნაწილი ადგილობრივ გაზეთში იბეჭდება, შემდეგ წიგნად გამოიცემა. ერთ-ერთ მოგონებას „თბილისის მითი“ ვუწოდე. თბილისი ჩემში მუდამ აღძრავს პოეტურ ასოციაციაციებს.

ისტორიუ თამაზ ჭილაძასთან.

2004 წლის 1ბაზისშო.

თამაზ ჭილაძე: ერთადერთი ნორვეგიელი, რომელსაც ცხოვრებაში შევხვედრივარ და რომელთანაც დიდ ნორვეგიულ ლიტერატურაზე, თუნდაც, იბსენზე, ჰამსუნზე და ბიორნსზე მისაუბრია, მარტინ ნაგია — შესანიშნავი პიროვნება, ფილოსოფოსი და ლიტერატორი, ერთადერთი, ვინც ამ ორი დარგის, ანუ ფილოსოფიისა და ლიტერატურის, საოცარ ნათესაობას ააშკარავებს. მიუხედავად იმისა, რომ ის 1965 წლის მერე აღარ მინახავს, დღემდე უახლოეს ადამიანად მეგულება. მხოლოდ ამ პიროვნების მიხედვით რომ მქონოდა ნარმოდგენა ნორვეგიელ ხალხზე, ვიტყოდი, რომ ნორვეგიელები ძალიან ნიჭიერი, ღირსეული ხალხია და, რა თქმა უნდა, ასეც არის სინამდვილეში...

ანუ ჰასანი ია უათველი სამოსისალაში

თამაზ ჭილაძე: კნუტ ჰამსუნი XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, საკმაოდ პოპულარული მწერალია საქართველოში. ცნობილი ქართველი პროზაიკოსის, დემნა შენგელაიას ოციან წლებში დაწერილი მოთხოვნის პერსონაჟს — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნასტუდენტარ ჯარისკაცს — „ვიქტორია“ ცამეტჯერ აქვს ნაკითხული!.. ჩემი თაობის, ანუ სამოციანელთა ცნობიერებაში ჰამსუნი შემოვიდა ისეთ მწერლებთან ერთად, როგორებიც იყვნენ ლუი სელინი და ჯიულ რომენი, დანუნციონ და უნამუნო, რემარკი და პემინგუეი. ჩვენთვის — დიდი ქართული მწერლობის შეილებისთვის — სრულებითაც არ იყო ძნელი გვეგრძნო ის ნიუანსი, რაც ჰამსუნს ამ მწერლებთან აკავშირებდა, მაგრამ, სწორედ როგორც დიდი მწერლო-

ბის შეილებს, აუცილებლად არ მიგვაჩნდა ამ ნიუანსის დაზუსტება, რადგან შეიძლება ეს მხოლოდ და მხოლოდ საერთო ტალღაზე მომართულ ნიჭთა თანხვედრა აღმოჩენილიყო. დღევანდელისგან განსხვავებით, მაშინდელ ახალგაზრდობას ძალიან აინტერესებდა, რა ხდებოდა მსოფლიო ლიტერატურაში და არა მხოლოდ ლიტერატურაში. თუ რამეს დავეძებდით, უპირველეს ყოვლისა, წიგნს.

ჰამსუნს აღმოაჩნდა ის „სულიერი ვიტამინები“, რაც ჩვენ, კომუნისტური ცენზურის პირობებში, აშკარად გვაკლდა. ჰამსუნი — ადამიანური სიმარტოვის პოეტი, თუნდაც ამიტომ გახდა ჩვენთვის ასე ახლობელი. მან ჯერ კიდევ როდის შენიშნა XX საუკუნის ყველაზე დიდი და სახიფათო სენი — სიმარტოვე და, როგორც პასტერმა ცოფი, ჯერ თვითონ აიცრა და საკუთარ თავზე გამოსცადა კიდეც. მისი ორი რომანი „შიმშილი“ და „მისტერიები“ და სხვა ნაწარმოებები, თუმც ასე საუკუნის ბოლოს დაინერა და გამოქვეყნდა, მაგრამ უცნაურია, რომ მათ XX საუკუნის მწერლობის შედევრებად აღვიქვამთ.

XX საუკუნის მწერლობის ძვირფას მონაპოვრად ითვლება ჰამსუნის ნაწარმოებთა განთქმული ქვეტექსტიც, რომელიც ცნობიერების იმ ქვესკნელადაც შეიძლება ნარმოვიდგინოთ, საიდანაც სამზეოზე ამოდის აქამდე სრულიად უცნობი სამყარო და თითქოს ჯადოსნური ბადით გიზიდავს, გითრევს და თანდათან კიდეც თითქოს უცნობი, მაგრამ სინამდვილეში შენთვის მახლობელი ქვეყნის მკვიდრი ხდები, გრძნობ ბუნებისა და ადამიანის საოცრად სინქრონულ გულისცემას, ცხოვრობ შენთვის საინტერესო ადამიანებს შორის, რაც ნარმოუდგენელია, ანდა ძალზე იშვიათია ობიექტურად არსებულ სინამდვილეში.

ჰამსუნის, როგორც შემოქმედის სიახლოე, როგორ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, მწერლებთან კი არა, მუსიკოსებთან იგრძნობა. თუნდაც ნორვეგიელ გრიგთან და ფინელ სიბელიუსთან, რომლებთანაც მართლაც რომ, ისეთი სულიერი ნათესაობა აკავშირებს, რომ შეიძლება ისინი ტყუპ ძმებადაც კი მივიჩნიოთ.

პალრში: აჩქარებული მატარებლის სარკმლიდან გადაღებული ნორვეგიის პეიზაჟები. 2004 წლის ივნისი.

მთხოვთალი: ჩვენი გზა ცენტრალური ნორვეგიისკენ მიდის...

„დავიბადე 1859 წლის 4 აგვისტოს, სოფელ ლომში, გუდბრანსდალში...“ — ასე

იწყებს ჰამსუნი თავის ბიოგრაფიას. ზოგი მკვლევარის აზრით, მნერალი ვოგოში დაიბადა, ლარიბი თერძის, პერ (პედერ) პედერსენის ოჯახში.



მოხი, სადაც დაიგადა პერ ჰამსუნი

ჰამსუნის დაბადების თარიღი და დაბადების ადგილი არ არის დაზუსტებული და დღემდე საკამათოა. მნერალს მიაჩნდა, რომ იგი 1960 წელს დაიბადა.

მთხოვთა დაბადები: XIX საუკუნის 60-იანი წლები. სილატაკის გამო ადგილობრივი მოსახლეობა სახლ-კარს ტოვებდა და მასობრივად ამერიკაში მიდიოდა. მამა-პაპისეული კერა პედერსენების ოჯახმაც დატოვა, მაგრამ ამერიკაში ემიგრაციას და კეთილდღეობას, ნორვეგიის ჩრდილოეთით, ნურლანში გადასახლება ამჯობინა. ჩვენც, გზას ნორვეგიის ჩრდილოეთით — ნურლანისაკენ ვაგრძელებთ.

კადრში გამოჩენდება სოფელი ჰამსუნდი. ირგვლივ უკაცრიელი ადგილია, არანაირი დასახლება. გზის პირას აღმართული მაჩვენებელი. აბრაზე წარნერებში ჰამსუნის გვარი ფიგურირებს.

მთხოვთა დაბადები: (კითხულობს აბრაზე წარნერებს) კნუტ ჰამსუნის მუზეუმი, ჰამსუნის სახელობის სკოლა, ჰამსუნის სახელობის კაფე, ჰამსუნის ბიუსტი...

ჰამსუნდი ჰატარა, მთა-გორიანი სოფელია ჰამაროის რაიონში. აქ ჩამოსულმა პედერსენების ოჯახმა იჯარით მინის ნაკვეთი აიღო და ფერმა იქირავა. მინა, კნუტის ბიძას — ჰანს ოლსენს ეკუთვნოდა. „3 წლიდან ჰამსუნდში ვიზრდებოდი“ — იგონებდა მნერალი. ფსევდონიმიც აქედან აიღო.

ჰამაროიში „კნუტ ჰამსუნის საზოგადოების“ მიწვევით ჩავედით. ერთ დღეს დავინტერესდით, ადგილობრივ მოსახლეობაში თუ მღერიან ხალხურ სიმღერებს? მასპინ-

ძლები შეფიქრიანდნენ, ბოლოს ერთი მოხუცი პენსიონერი გაიხსენეს — ყოფილი პედაგოგი. გადაწყდა, ჩვენი თხოვნით როოლდფინვიკი მეზობელი სოფლიდან ჩამოსულიყო და ფილმისთვის რამდენიმე სიმღერა ჩავენერა. მეორე დღესვე ბატონი ფინვიკი საკუთარი მანქანით ჩამოვიდა, მხარზე უზარმაზარი აკორდეონი მოეკიდებინა, ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს ამაყობდა, რომ ძველი ნურლანური სიმღერები სწორედ მან შემოინახა. აკორდეონზე რამდენიმე სიმღერა შეგვისრულა. თანაც დასძინა, კნუტ ჰამსუნის ბავშვობაში სიმღერა ძალიან უყვარდა და დარწმუნებული ვარ, ამ სიმღერებსაც მღეროდაო.

პადრში: ჰელსინკის, ყოფილი ჰელსინგფორსის ფოტოები; გეორგ ბრანდესის ფოტო.

მთხოვთა დაბადები: 1898 წელი. 25 ნომბერი. ჰელსინკი. ყოფილი ჰელსინგფორსი. კნუტ ჰამსუნი ნერილს წერს თავის მეგობარს, ცნობილ დაწიელ კრიტიკოსს — ვეორგ ბრანდეს: „უკვე 10 წელია, რაც ვწერ. ჩემი 38 წიგნიდან 11 გამოვეცი, მაგრამ ამჯერად ვეჭვობ, ლირს კი ამ საქმის გაგრძელება? ახლა ვნერვიულობ, დათრგუნული ვარ, ეჭვი მტანჯავს... რწმენა შემერყა... საკუთარი ნიჭის აღარ მჯერა..“

პადრში: ცნობილი ნახატი, რომელიც დღემდე გვხიბლავს თავისი ექსპრესით — უზარმაზარი არნივი (რუსული იმპერიის ალეგორია) თავს ესხმის ქერათმიან ფინელ გოგონას და ცდილობს ფინეთის კანონმდებლობის წიგნი ხელიდან გამოსტაცოს. სიბელიუსის, ალბერტ ედელფელტის და მისი ნახატის „ნიკოლოზ II მეფედ კურთხევა“ ფოტოები.

მთხოვთა დაბადები: 1899 წელი. რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა ფინეთის ეროვნული არმია და სახელმწიფო კანონმდებლობა. ამ გადატრიალების შედეგად ფინეთმა დამოუკიდებლობა დაკარგა. ეროვნულ დაუმორჩილებლობას იმპერიამ პოლიტიკური რეპრესიებითა და ტერორით უპასუხა.

კნუტ ჰამსუნი დაუმეგობრდა ცნობილ კომპოზიტორს იან სიბელიუსს. იმ პერიოდში შეთხზა სიბელიუსმა I სიმფონიური პოემა ფინეთზე. ჰამსუნის მეგობარია ცნობილი ფინელი მხატვარი ალბერტ ედელფელტი — ავტორი სურათისა: „ნიკოლოზ II-ის მეფედ კურთხევა“. ნახატი თითქოს, სისხლისფრადაა შეღებილი... ჰელსინგფორსის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში კნუტ ჰამსუნი ლექციებს კითხულობდა და ფინელ პატრიოტებს ლიად თანაუგრძნობდა:

„რესულმა სახელმწიფო იმპის უზარმაშვილი შვი ქსელი დახლორია დამუჟალებელი ქვეყნის დასაპყრიბად.“

„რესულის მმკერიაში ადამიანებმა უნდა გავა-
ნობერონ და შეიგნონ, რომ ისინი დაპყრიბილი
არიან!“ — ასეთია ჰამსუნის ლექციების პა-
თოსი. იგივე შინაარსის სტატიები ადგი-
ლობრივ გაზეთებშიც გაჩნდა, მიუხედავად
იმისა, რომ პრესაზე მკაცრი ცენზურა იყო
დაწესებული. ანტიიმპერიული განწყობა ჰამ-
სუნს კავკასიაში მოგზაურობის სურვილს
უდვივებს. ლექციებიდან შემოსული თანხა
მან მანერშეიმის სახალხო განათლების ან-
ტირუსულ ფონდში გადარიცხა.

კადრი: ნარწერა — ჩრდ. ნორვეგია.
ჰამსუნი. 2004 წლის ივნისი.

ოლე მარტინ-ბიორკლუნდი კნუტ ჰამსუ-
ნის სახლ-მუზეუმისკენ მიმავალ ერთადერთ
გზას ვინრო ბილიკით მიუყვება.

ოლე მარტინი ამ მუზეუმის კურატორი
და ჩვენი მეგზურია. სახლ-მუზეუმის გასა-
ღები მას აპარია.



ჰამსუნის მუზეუმი, ულე მარტინი

მთხოველი: „დიდი ხანია მოსახლეობამ
მშობლიური ადგილები მიატოვა და სხვა-
გან, ბარში გადასახლდა, — გვიამბობს ოლე
მარტინი. — გაიყიდა ფერმები. ვეღარ ნა-
ხავთ ფერმერებსა და მეთევზეებს. აღარც
საქონელია მინდვრად...“.

კადრი: ამლლებული გორაკიდან ჰამსუ-
ნის სახლ-მუზეუმი გადმოგვყურებს — ძვე-
ლისძველი, ღარიბული ხის სახლი ჯერ კი-
დევ ფესვმაგარი დგას მინაზე. მწვანედ აბი-
ბინებულ ეზოში ერთადერთი ნაძვის ხეა.

მთხოველი: კნუტ ჰამსუნის სახლის
ეზოში, განმარტოებით, ერთი უცნაური ნაძ-
ვის ხე ხარობს... ტანწვრილი, მაღალ-მაღა-
ლი... ოლე მარტინი გვარნმუნებს, ეს ხე
100 წელზე მეტის იქნებაო...

კადრი: ჰამსუნის სახლ-მუზეუმის ინტე-

რიერი.

ოლე მარტინი: (კარებს აღებს და სახ-
ლში გვიძლვება. პედერსენების საოჯახო
ნივთებს სათითაოდ გვიჩვენებს) ეს სარ-
კმლის ჩარჩოა, პედერსენების ოჯახმა აქ
გადმოსვლისას სავარძელთან ერთად ცენ-
ტრალური ნორვეგიდან ჩამოიტანა, რო-
გორც ძველი სახლის სამახსოვრო რელიკ-
ვია. ეს დედის საოჯახო ნივთია — ძაფის
სართავი, თითისტარი...

კადრი: ჰამსუნის დედის — თორა ოლ-
სენის ფოტო.

მთხოველი: უცნაური გადმოცემა არ-
სებობს ჰამსუნის დედაზე — თორა ოლსენ-
ზე... საქმეში ან საუბარში გართული უცებ
ადგებოდა, ტყეში ან მთებში გარბოდა,
მთვარეულივით დადიოდა და კიოდა. მთელ
სოფელში ისმოდა მისი გულისშემძვრელი
ხმა... შინ მობრუნებულს რომ ჰკითხავდნენ,
რატომ კიოდიო, არაფერი ახსოვდა... ბუნე-
ბის ამგვარი მისტიკური განცდა იქნებ მემ-
კვიდრეობითაც ჰქონდაო კნუტ ჰამსუნს მი-
ღებული...

კადრი: ჰამსუნის მიდამოები. მდინარე
გლიმა.

სოფლის განაპირას ხმაურით მიედინება
გლიმა — ყველაზე დიდი მდინარე ჩრდილო
ნორვეგიაში. „მუდამ მბორგავი და დაუდე-
გარი“ გლიმას ხმაური ბავშვობიდან იჭა-
ცებდა ჰამსუნს.

კადრი: ნარწერა. ფინეთი. ჰელსინკი.
ყოფილი ჰელსინგფორსი. 1898 წლის 12 დე-
კემბერი.

დიდი ხანია ჰამსუნმა კავკასიაში მოგზა-
ურობა ჩაიფიქრა, და სურვილი თავის მეგო-
ბარს — ცნობილ გერმანელ გამომცემელ
ალბერტ ლანგენს წერილობით გაანდო:
„ბუნდოვან სიუჟეტზე ვფიქრობ, მაგრამ
ჯერ არ ვიცი, რას დავწერ... თუ საჭირო
თანხას მოვიძიებ, შევეცდები რუსეთს და
კავკასიას ვენვიო. მაგრამ როდის? უფალმა
უწყის!“ ფინეთიდან გაგზავნილი წერილები
მოწმობენ, რომ კნუტ ჰამსუნს მძიმე სული-
ერი დეპრესია და შემოქმედებითი კრიზისი
ანუხებს. თუმცა, მან უკვე მოიპოვა სახელი
და აღიარება. მისი ფიქრები გამუდმებით
კავკასიას უტრიალებს. რა გასაკვირია, კავ-
კასია ხომ ბევრი უცხოელის შემოქმედება-
ში იქცა პოეტური შთაგონების წყაროდ?
მაგრამ ჰამსუნის ჩანაფიქრი მხოლოდ რო-
მანტიული აღტკინებით როდი აიხსნება...

მარტინ ნაგი: გახსოვთ, „ზღაპრუ-
ლი ქვეყნის“ ფინალური ფრაზა: „მე ხომ
მტკვრის წყალი დავლიე?“ ამ სიტყვებში პო-
ეტური საიდუმლოა დაფარული. საერთოდ,

„ზღაპრულ ქვეყანაში“ ბევრი ალუზია, ბევრი საიდუმლოა და მე გამუდმებით ვუბრუნდები ამ წიგნს...

თომას მური: „მეცნიერების მშვიდობა და ნურსალ ეძებთ მიწიერ სამოახესი უკანისა აურის ციტატა ნამძღვარებული აქვს ტურისტებისთვის განკუთვნილ რუსულენოვან „გზამკვლევს“, რომელიც XIX საუკუნის ბოლო წლებით თარიღდება).“

1899 წლის სექტემბერი. საქართველოში სტუმრად ჩამოდის ფრანგი მეცნიერი ბარონ დე ბაი... ახმაურდა ქართული პრესა და საზოგადოება... ბარონ დე ბაი საკუთარი ფოტოაპარატით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობს. გზადაგზა შემხვედრ, ადგილობრივ მოსახლეობას, ფოტოობიექტივით ფირზე აღბეჭდავს...

პარონი და პაი: „იმპერატორ ნიკოლოზ I-ს მიანერენ გამოთქმას „საქართველო ჩემი გვირგვინის მარგალიტიაო“, მაგრამ იმავე ნიკოლოზ I-სა და მის მომდევნო იმპერატორებს უნდოდათ ეს მარგალიტი პოლიტიკურად სრულიად უფლებააყრილი, რუსეთის ჩვეულებრივი გუბერნია ყოფილიყო. ისინი ქართველ ხალხზე, ამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და გაცოცხლებაზე კი არა, მის გარუსებასა და გადაგვარებაზე ზრუნავდნენ.“

საქართველოს ისტორია გვევლინება როგორც ომთა განუწყვეტელი მსვლელობა, რომელმაც რამდენიმე საუკუნე გასტანა. მიუხედავად ამისა, რაოდენ მშვენიერია ამ ხალხის სასწაულებრივი აისი; კარგი თუ ცუდი ხვედრის დროს, საქართველო ინარჩუნებდა ეროვნული ხასიათის მთლიანობას, მუდმივ სილამაზეს.“

პამსუნი: როცა ბარბაროსთა ერთმა იმპერატორმა თავი ევროპელებს მიაკუთვნა, კავკასია გადასახლების ადგილად აქცია, და აქ ძირითადად, პოეტების გადმოსახლება დაიწყო („ზღაპრული ქვეყანა“).

კადრში: ნახატები რუსი დეკაბრისტების ცხოვრებიდან — დეკაბრისტები ციხის საკნებში, გადასახლებაში, ერთ-ერთი დეკაბრისტი, მომღიმარი სახით კავკასიის პეიზაჟის ფონზე.

მთხოვთელი: ცნობილია, რომ ცარიზმის წინააღმდეგ ამბოხისათვის დეკაბრისტებს სასტიკი განაჩენი გამოუტანეს: ზოგი ჩამოახრჩეს, ზოგი ციხეში გამოამწყვდიეს, პოლიტიკურად არასაიმედონი შორეულ ციმბირში გადასახლეს...

სახელმწიფო დამნაშავე სერგეი ვოლკონსკი ციმბირის კატორლიდან სამშობლოში 30 წლის შემდეგ დაბრუნდა...

დეკაბრისტებიდან ზოგს ბედმა გაუღიმა განანერეს. პამსუნს სწორედ ისინი ახსენდება მოგზაურობაში და გზადაგზა შიში იპყრობს. გავა დრო და პამსუნიც გაიზიარებს დეკაბრისტების ბედს — პატიმრის ხვედრი არც მას ასცდება...

კადრში: ნარნერა — ვლადიკავკაზის სადგური. 1899 წლის სექტემბერი.

მთხოვთელი: ფინეთისა და რუსეთის შემდეგ კნუტ პამსუნი ვლადიკავკაზში ჩადის და გზას თბილისისკენ ავრძელებს. მეეტლედ მალაკანს ურჩევენ, რადგან აუხსნეს: მალაკნები რელიგიურ სექტას მიეკუთვნებიან და ალკოჰოლს არ ეტანებიანო.

„კეთილი რჩევა“ პამსუნს მოენონა, და მეეტლესთან საინტერესო დიალოგი გამართა:



შვილიშვილ ლეიზ პამსუნთან

პამსუნი: — „მალაკანი ხართ?“ — ვეკითხები. სიცოცხლეში პირველად მეეტლის რელიგიურ მრნამსს ვარკვევ.

— დიახ, მალაკანია. — მპასუხობს ჩინოვნიკი.

პამსუნი: მეეტლე 57 მანეთს ითხოვს, მთების გავლით ტიფლისში რომ ჩაგვიყვანოს.

კაზაკთა ესკორტი? რა საჭიროა, ნუთუ მეეტლეს უესკორტოდ გამგზავრების ეშინია?

გეგატლე: — თქვენ არ გეშინიათ უესკორტოდ მგზავრობის?

ერთმანეთს ვუყურებთ. მაშინ ჩვენი თარჯიმანი თვითონ წყვეტს ამ საკითხს.

თარჯიმანი: — ამათ ესკორტი არ სჭირდება, ეს ხალხი უფლის იმედით არის, ყაჩაღებს და მკვლელებს მათთან რა ხელი აქვთ. ფული ამათ არა აქვთ და სამკაული. მისიონერები არიან. მიემგზავრებიან სპარსეთსა და ჩინეთში. ჩემოდნებში მხოლოდ ბიბლია უდევთ. ასე რომ, ესკორტი აუცილებელი არ არის („ზღაპრული ქვეყანა“).

მთხოველი: საგულისხმო დეტალია, რომ კნუტ ჰამსუნმა მისიონერის „როლი“ იტვირთა. ამით თავს იზღვევს მთიელთა თავდასხმისგან, თანაც შესაძლებლობა ეძლევა, საკუთარი ვინაობა შენილბოს. „ზღაპრული ქვეყანა“ ადასტურებს, რომ მოგზაურობის განმავლობაში ჰამსუნი შეგნებულად გაურბის საკუთარი ვინაობის გამხელას.



თამაზ და ოთარ ჭილაძეებთან

ნორვეგიელი მწერალი უსათუოდ გაეცნობოდა პუშკინის ჩანაწერებს „მოგზაურობა არზრუმში“ (როგორც თავად აღნიშნავს, კავკასიის შესახებ მას ლიტერატურა მრავლად წაუკითხავს). ამ მოთხოვნიდან ჰამსუნი ცალკეული ეპიზოდის ციტირებასაც ახდენს, თანაც, ფარულ პოლემიკაში ერთვება ცნობილ პოეტთან, მაგ.: პუშკინი დეტალურად აღნერს საქართველოს სამხედრო გზას, სადაც, მთიელებისგან თავადაცვის მიზნით, ქვეითი ჯარისკაცები და ზარბაზანი დაიქირავა. ამ გადაწყვეტილებას „სტუმარი“ შემდეგი არგუმენტით ამართლებს: „მშვიდობიან ჩერქეზთა მეგობრობა საიმედო არ არის...“ მთიელებს, პუშკინი „მტაცებელ წანაპართა წაშიერებად“ იხსენიებს და აღიარებს, რომ „ჩერქეზებს ჩვენ მიმართ ზიზღი ამოძრავებთ“. უცნაურია, რომ ჰუმანური და რომანტიკული სულისკვეთების მნერალი იმასაც აღნიშნავს, თუ რატომ ამოძრავებთ ჩერქეზებს ასეთი ზიზღი რუსების მიმართ, და იქვე დასძენს: „ჩვენ გამოვდევნეთ ისინი თავისუფალი საძოვრებიდან; მათი აულები გაცამტვერდა,

ტომები მთლიანად განადგურდა. დროდადრო ისინი მთებში იხიზნებიან და იქიდან გვესხმიან თავს. მშვიდობიან ჩერქეზთა მეგობრობაც არ არის საიმედო — ისინი მუდამ მზად არიან დახმარება გაუნიონ მეამბოხე თვისტომთ.“ — ასკვნის პუშკინი და სიამაყით აღწერს, თუ რა დიდი ღვანლი მიუძღვის მის თანამებრძოლებს „უტეხ ჩერქეზთა“ განადგურებაში. კავკასიის დასაპყრობად პუშკინი საკუთარ ინსტრუქციას — ბევრად უფრო „ეფექტურ“ სამოქმედო გეგმას სთავაზობს რუსეთს: ველური ტომის „მოზიდვისა“ და „მოთვინიერების“ ერთერთ საიმედო საშუალებად მწერალი რუსულ სამოვარსა და ბიბლიის გავრცელებას ასახელებს: „კავკასია ელოდება ქრისტიან მისიონერებს“ — ნერს პუშკინი და ამით, იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის აშკარა თანამოზიარე ხდება. ამგვარად, რუსეთის აგრესიული პოლიტიკა წმინდა მისიონერული იდეით უნდა გამართლებულიყო (იგივე მეთოდს მიმართავდნენ დემოკრატიის დამცველი ამერიკელები ადგილობრივ ინდიელთა ტომის გასანადგურებლად). პუშკინის ეს რომანტიკული მონოდება ჰამსუნმაც აიტაცა — ის მისიონერის სტატუსით მოგზაურობს კავკასიაში, რაც მისთვის ერთდროულად თავდაცვისა და რუსეთის ხელისუფლების წინაშე „შენიდბვის“ საიმედო ხერხია.

პირველი, რაც ჰამსუნმა კავკასიაში შენიშნა, ეს კბილებამდე შეიარაღებული მთიელი მამაკაცია, მაგრამ შიში უმაღ გაუქარნელდა, დარწმუნდა, რომ მშვიდობისმოყვარეთა მიწაზე იმყოფებოდა:

კადრში: ხევსურთა ყოფა-ტრადიციების ამსახველი ძველი კინოქრონიკები. ხევსურთა ორთაბრძოლა, მსხვილი პლანით ნაჩვენებია ტრადიციული სამოსელი და ორნამენტული მოტივები: ჯვარი, სვასტიკა — მზის სიმბოლიკა.

პამსუნი: „იარაღი, რომელსაც ისინი ქამარზე ატარებენ, მათთვის სიმბოლო და ომს, სიმდიდრეს, გამარჯვებებს აგონებთ“ („ზღაპრული ქვეყანა“).

მთხოველი: პუშკინისგან განსხვავებით, ჰამსუნი ნაკლებად „ფრთხილი“ და წინდახედული აღმოჩნდა — რატომძაც ნდობით იმსჭვალება ყაჩაღ კავკასიელთა მიმართ, და კატეგორიულ უარს ამბობს შეიარაღებულ ესკორტზე. ამ შემთხვევაში, დიდი რუსი პუშკინისტისა და „ნორვეგიელი დოსტოევსკის“ მოსაზრებები რადიკალურად განსხვავებულია. შესაძლოა, შეიარაღებულ ესკორტზე უარი, ზედმეტი ხარჯებისგან თავის არი-

დებითაც აიხსნას. თუმცა... კნუტ ჰამსუნის ვიზიტმა კავკასიაში პრესისა და საზოგადოებისთვის სრულიად შეუმჩნევლად ჩაიარა. როცა პირად საბუთს სთხოვენ, ჩრდილოელი სტუმარი ფინელი მეგობრების სავიზიტო ბარათებით სარგებლობს. ესენი არიან: კომპოზიტორი იან სიბელიუსი, მხატვარი ალბერტ ედელფელტი, ნიგნის კომერსანტი და უურნალისტი ვენიცელ ჰაგელსტამი, მისი მეუღლე მარია ჰაგელსტამი.



კომპოზიტორ ჯეპ ბერსანეთან

მწერალს თან ახლავს ახლად შერთული ბერგლოტ ბეხი, თუმცა ჰამსუნის სამოგზაურო ჩანაწერებში ცოლის სახელი არ ფიქსირდება: „ჩემი თანამგზავრი ქალი“ — ასე იხსენიებს მას მწერალი.

სავარაუდოა, რომ რუსული უანდარმერი-ისადმი შიში მწერალს ფინეთიდან გამოჰყა და ამით თუ აიხსნება მისი უცნაური ქმედება. ფაქტია, რომ ჰამსუნი არსად არ ასახელებს საკუთარ ვინაობას, და მაინც, ასე დაუინებით რატომ გაურბის ჰამსუნი საკუთარ „მეს?“

საქართველოს სამხედრო გზის გავლისას, გადავწყვიტეთ ჰამსუნის მარშრუტი ოდნავ დაგვერდვია და მოხევეთა მოსაზღვრე ხევსურთა სოფელი — ჯუთა გვენახა.

კადრი: ხევსურეთი. სოფელი ჯუთა. 2004 წლის აგვისტო. არაბულების ოჯახში უძველეს სამოსელს და იარაღს გვიჩვენებენ. ქალები ოჯახის უფროსს შემოსვაში ეხმარებიან: „ახლა სადმე მტერი რომ მეგულებოდეს, მაშინვე დავჭრიდი!“ — ამბობს ვაჟიშვილი და ხმალს სატევარიდან იღებს.

მთხოვთ: უძველესი სამოსელი და იარაღი — ოჯახის ძვირფასი რელიკვიაა. ხევსურთა ოჯახებში მათ უკვე იშვიათად ნახავთ...

მამა: ახალგაზრდობაში ამ ტანისამოსს ვიცვამდით. ადრე მხოლოდ ასეთი სამოსი იყო, სხვა არაფერი... მაშინ 19 - 20 წლისანი ვიყავით. ქალები თვითონ ქსოვდნენ, კერავდნენ და ყველაფერს თავად ამზადებდნენ.

შვილი: საგარეო საქმე, სათიბი, სამკალი.. დღისით არ ეცალათ და ლამე ლამპის შუქზე კერავდნენ, დღისით სად ჰქონდათ ამის დრო!

მამა: ადრე ქალებს მეტი ჯაფა ადგათ...

დედა: ახლა, ესენი რომ გაიზრდებიან (შვილიშვილებზე) სამოსის დამზადება აღარ ეცოდინებათ, აღარც მასალა ექნებათ...

ვაჟი: ამას ნინათ უცხოელები იყვნენ! ამათ ვიყიდითო (ხევსურულ სამოსზე), უარი ვუთხარით, მერე ვიღა მოქსოვს ამას?

ერთ ოჯახს ბავშვი ჰყავდა ავად და სხვა გზა არ ჰქონდა, ვერცხლის ხანჯალი გაყიდა! აბა, იმ ხანჯლის გაყიდვა როგორ შეიძლებოდა, თანაც სულ 700 თუ 800 დოლარად?

ქალი (საქსოვით ხელში): ამას, რომ როც რელიკვიას, ისე ვინახავთ ოჯახში! მილიონები რომ მომცენ, მაინც არ გავყიდი... იმდენი გაიტანეს მეზობელი ოჯახებიდან, რომ...

გვახსენდება ირაკლი ოჩიაურის ფრესკა „მშვიდობით ხევსურეთო!“

ირაკლი ოჩიაური (ინტერვიუ): სიძველეთა გაქრობა ძალიან მაწუხებს... რა გაქრა ხევსურეთში? რა გაქრა კი არა, რა დარჩა ხევსურეთში? ხევსურეთი არის მხოლოდ გეოგრაფიული მცნება; ზნე-ჩვეულება დაკარგულია, უძველესი სალოცავები, მათ შორის ოჩიაურთა სალოცავი... როგორ შენირონ ჯვარს აღარ იციან, მამაჩემის ნიგნის მიხედვით თუ ატარებენ რიტუალს, თორემ ხალხში თანდათან ქრება ტრადიცია... ჩაცმა აღარ არის ხევსურული...

მინდოდა ამ ფრესკაზე აღმებეჭდა... ვინ იცის, ეს ფრესკა რამდენ ხანს გაძლებს, არადა, ნავიდა ეს ყველაფერი: აღარც აცვიათ, აღარც ნეს-ჩვეულებას იცავენ, უხუცესებიც აღარ არიან, ხევსურეთი უკვე გაქრა! მხოლოდ ლეგენდები შემორჩა...

უარესი მოხდება... ეს ყველაფერი გვეკარგება, ხევსურეთი კი არა, მთელი საქართველო გაქრობის პირასაა, ამიტომ ვიცავ ეროვნულ იდეას. ეს არის საქართველოს გადარჩენის გზა!

კადრში: 30-იან წლებში გადაღებული საბჭოთა კინოქრონიკები მაღარიით მკურნალობის ხალხურ მეთოდებს, როგორც მავნებლურ ჩვეულებას ისე ასახავს.

მთხოვთალი: ჰამსუნს გზაში ციებ-ცხელება შეეყარა, კავკასიური ციებ-ცხელება! ვერავი დაავადება, რომლის შიშით უცხოელები კავკასიაში მოგზაურებას გაურბიან.

XIX საუკუნის 90-იან წლებში დაავადების ნინაალმდევ საბრძოლველად კავკასიის მალარიის კომიტეტი ჩამოყალიბდა. სამედიცინო მონაცემებით, ყოველწლიურად მალარიით კავკასიაში 900 000 ადამიანი ავადდებოდა (შემაშფოთებელი ციფრია!). მალარიის კავკასიის კომიტეტს თვით იმპერატორის ნაცვალი აკონტროლებდა. იმ პერიოდის უურნალ-გაზეთები გამუდმებით სთავაზობდა მოსახლეობას მალარიისგან დასაცავ საშუალებებს. მაგ.: „სანიტარი“ — უმაღლესი ხარისხის სპარსული და დალმატიური ფხვნილი. ქინაქინა მიჩნეულია, როგორც ორგანიზმის შინაგანი სადეზინფექციო საშუალება.



ჰამსუნი ცორპოლები

1899 წლის „კავკასიის კალენდარი“ მალარიის შესახებ ვრცელ ინფორმაციას აწვდის მოსახლეობას. ამ სენზე ცნობებს ჯერ კიდევ პიპოკრატეს შრომებში ვხვდებით. 1880 წელს ლავერანმა მეცნიერულად შეისწავლა დაავადება და მისი გამომწვევი პლაზმოიდები აღმოაჩინა. 1899 წლიდან 1908 წლამდე 3 410 ადამიანიდან 306 მალარიით დაავადებული იყო. მალარიასთან საბრძოლველად სახელმწიფოს თითქმის ყველა სტრუქტურა იყო ჩართული.

ჰამსუნის მოგზაურობის იმავე 1899 წელს გამოიცა ვინმე პანტიუხოვის ნიგნი „მალარიის გავლენა კავკასიის კოლონიზაციაზე“. ავტორის აზრით, ციებას ყველაზე მედგრად სომხური მოსახლეობა უმკლავდება, დანარჩენები კი ნაკლებად, რაც მოსახლეობის კატასტროფული შემცირების მიზეზი ხდება. სამაგიეროდ, ეს ხელს უწყობს სომხური მოსახლეობის ზრდას კავკასიის რეგიონებში! — აღნიშნავს პანტიუხოვი.

მარტინ ნაგი: ჰამსუნი ეძებდა საკუთარ

თავს მისთვის უცხო გარემოში... ჰამსუნისეული საქართველო არის გზა თავისუფლებისა და ბავშვობისკენ. მოგზაურობაში ერთმანეთი გადაკვეთა — კავკასიამ — ცივილიზაციის აკვანი და ნურლანმა — ჰამსუნის ბავშვობის სამყარო!

პადრში: ჰამსუნის სახ. სკოლა ჰამსუნის მახლობლად, ოპპეიდში. მასწავლებელი თორე პესტბრატენი ჰამსუნის ნიგნი „ზღაპრულ ქვეყანას“ გვიჩვენებს. ამბობს, რომ ეს ნიგნი ადრე ნაუკითხავს და ახლაც ხელმეორედ კითხულობს.

„აი, ყაზბეგი!“ — თორე ნიგნის გარეკანზე გამოსახულ მყინვანვერს გვიჩვენებს.

პადრში: ნიგნის გარეკანის ფოტოს ცვლის მყინვარწვერის ცოცხალი გამოსახულება.

ჰამსუნი: სად არ ვყოფილვარ, მინახავს ხანდანგერი და იუტუნხეიმენი, ბავარიის ალპები და კოლორადო, და კიდევ ბევრი სხვა რამ, მაგრამ არსად ისეთი გრძნობა არ მქონია, თითქოს ფეხქვეშ მინა მეცლებოდა, ეტლისთვის ხელი ვერ მომეცილებინა.

პადრში: სტეფანწმინდა. წვიმიან ამინდში მწყემსები საქონელს ერეკებიან. მათ შორის ბავშვებიცაა.

ჰამსუნი: ვისაც ეს ბავშვობაში არ განუცდია, ვერ ნარმოიდების, რა სიამოვნებაა წვიმაში მწყემსვა, მით უმეტეს, როცა მყუდრო ალაგას ხარ შეფარებული. ხის ქოშები მეცვა, წვიმაში ფეხები მისველდებოდა...

სიამოვნებას, რასაც ფეხქვეშ ხის კეთილი სითბო მაგრძნობინებდა, შეუძლებელია რაიმე სხვა სიამოვნება შეედაროს.

პადრში: გერგეტის სამება. სამრეკლოს ზარები. მოულოდნელად ჩნდება ჰანს ოლსენის ფოტო.

მთხოვთალი: „სიკვდილის წითელწვერა მაცნე“ — ასე იგონებს ჰამსუნი თავის ბიძას — ჰანს ოლსენს. ვალებში ჩავარდნილი ოჯახი იძულებული იყო სახლი გაეყიდა, მაგრამ ქირის საფასურად ჰანს ოლსენმა 9 წლის კნუტი მოჯამაგირედ მოითხოვა. ასე გადაურჩა პედერსენების სახლი გაყიდვას.

პადრში: ნორვეგიული სოფლის პეზიაუები, ძველ, მიტოვებულ ნისქვილთან ბავშვები თამაშობენ.

მთხოვთალი: „ეს იყო შიმშილისა და ტირანის წლები... ბიძა ხშირად მაშიმშილებდა და მროზგავდა.“ ასე იხსენებდა ჰამსუნი ბიძის კანტორაში გატარებულ მოჯამაგირების წლებს. ერთხელ სხეული ნაჯახითაც დაისახიჩრა იმ იმედით, რომ დედას ნახავდა.

ჰამსუნი — „ყოველთვის, როცა ბიძა ნებას მრთავდა და შინ მიშვებდა, ვტიროდი და ღმერთს მადლობას ვწირავდი“.

ლეიზ ჰამსუნი — (ინტერვიუ კნუტ ჰამსუნის შვილიშვილთან) ბაბუას ძალიან მძიმე ბავშვობა ჰქონდა. ყველა გენიოსს აქვს პირადი სირთულეები და ისიც არ იყო ამ მხრივ გამონაკლისი. კნუტ ჰამსუნის სკოლაც კი არ დაუმთავრებია. ერთი წელი დადიოდა სკოლაში. ნუთუ გენიოსი არ არის ადამიანი, რომელმაც წერაც კი არ იცოდა წესიერად და ასეთი ნაწარმოებები შექმნა. უცნაურია, არა? მისი პირადი ცხოვრებაც უცნაურად წარიმართა...

კადრში: ჩრდილო ნორვეგია. ჰამაროი. სოფ. სკუგჰეიმი ჰამსუნიდთან ახლოს. მნერლის ყოფილ სახლში „კნუტ ჰამსუნის საზოგადოებაა“ განთავსებული. აქ შევხვდით ჯეპ ბერნჰაუსენს, რომელიც კნუტ ჰამსუნის ლექსებზე სიმღერებს წერს.

ჯეპ ბერნსტენი: ჰამსუნის ლექსები ღრმად პოეტურია... საკმაოდ ძნელია დაიჭირო ის ტონი და მელოდია, რომელიც მის ტექსტებს მიესადაგება...

ვეკითხები, ჰამსუნის რომელი ნაწარმოები უფრო უყვარს?

ჯეპი: (ჩაფიქრდება, შემდეგ ომახიანად მპასუხობს) ჰამსუნის წიგნებიდან ყველაზე ძლიერ „პანი“ მიყვარს... აქ უცნაური სიყვარულია... გლანი ცდილობს ახსნას რა არის სიყვარული, მაგრამ ეს შეუძლებელია... აქ ველური ბუნება და ფაქიზი გრძნობა ერთმანეთს ერწყმის ...

ჯეპ ბერნსტენი ასრულებს სიმღერას ჰამსუნის ლექსზე: 100 წლის შემდეგ ყველაფერი დავიწყებას მიეცემა.

ჰამსუნი: „გავა 100 წელი და ყველაფერი დავიწყებას მიეცემა. ეს პატივცემული მოსამართლეც დაავიწყდებათ (1946 წელს ამ სიტყვებს განუცხადებს სასამართლოს სამშობლოს ლალატში ბრალდებული კნუტ ჰამსუნი).“

კადრში ჩანს ზღვისპირა ქალაქი ბოდო. ბერნსტენის სიმღერა გადადის კადრების მიღმა.

მთხოვთალი: 1876 წელი. პატარა ზღვისპირა ქალაქი ბოდო. ამ დროს გამოიცა 18 წლის კნუტის პირველი პოემა და მოთხრობა, „ბიურგერები“ და „იდუმალი კაცი“. პირველ გამოცემებს წარმატება არ მოჰყოლია. მშობლებმა კნუტი ხელობის შესასწავლად მენაღეს მიაბარეს. კნუტი მენაღეს გაექცა.

მშობლებს იმედი გაუცრუვდათ — ბიჭი მენაღე ვერ გახდა. სამაგიეროდ, მისი ძმა — ულე დაეუფლა ამ ხელობას.

კადრში: 40-იანი წლების ფოტოზე ალბეჭდილია ჰამსუნი, რომელიც ნორპოლმის ბაღში ნაძვის ხეებს რწყავს. შემდეგ ჩნდე-




ულე ჰამსუნის ქაბელები — კნუტ ჰამსუნის ქაბელები

ბა ძმის, ულე პედერსენის ფოტო.

მთხოვთალი: 1943 წელი. ჰამსუნი წერილს უგზავნის თავის ძმას — მენაღე ულეს: „შენი ცხოვრების გრძელ გზაზე ვინ მოთვლის, რამდენი ფეხსაცმელი შეგიკერავს, მეც ბევრი წიგნი დამიწერია, მაგრამ აი, ორივენი მოვკვდებით, და ორივე დავიწყებას მივეცემით. მაგრამ ჩვენ მოვკვდებით ისე, როგორც აქამდე გვიცხოვრია — ფარისევლობის გარეშე.“

ნერილიდან ორი წლის შემდეგ კნუტ ჰამსუნის ნორპოლმში, საკუთარ ბინაში აპატიმრებენ.



რადიშ თორდია

რეტრო
ექსპო

შტაბი მხატვების

პრესტიჟის საზოგადოების

რადიშ თორდია

ხელოვნების მოყვარულთათვის მუდამ ამაღლვებელია შეხვედრა რადიშ თორდიას მხატვრობასთან — მის ალეგორიულ ინტერეტაციათა მომხიბლაობასთან, რომელიც არავის ტოვებს გულგრილს და გამსჭვალულია მარადიულ ფასეულობათა შეცნობის მძაფრი სურვილით.

საქართველოს სახალხო მხატვარ რადიშ თორდიას შემოქმედებითი გზის დასაწყისი ქართული მხატვრობის იმ გარდამტეს მო-

მენტს დაემთხვა, როცა ხელოვანთა ნაწილის პოზიცია უკვე აღარ ესადაგებოდა სტერეოტიპებს და ენერგიული ძიებით გამოირჩეოდა. 70-იანი წლების დასაწყისში რადიშ თორდიამ და მისმა მეგობრებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კონიუნქტურული დოგმატიკის გადალახვასა და ახალი ტენდენციების დამკვიდრებაში. ნინამორბედ თაობათა გამოცდილების გათვალისწინებით, ფაქტობრივად სრული ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში, მათ შეძლეს მიახლოებოდნენ მსოფლიო მხატვრობაში მიმდინარე თანადროულ პროცესებს. შესაბამისად, ინდივიდუალურ მიდრეკილებათა თავისუფალმა გამოხატვამ ქართული ფერწერა აქცია იმ მხატვრულ მოვლენად, რომლის სტრატეგია ინტელექტუალურ თვითრეალიზებას დაეფუძნა და შესაბამისად, განსაზღვრა მისი რომანტიკული ხასიათიც.

რადიშ თორდია დღესაც რომანტიკულამაღლებულ ინტიმურიას ავითარებს და არასოდეს ჰყარგავს პოეტურ საწყისს. მის კომპოზიციათა სტრუქტურაში, სადაც ნამყვანია ფერის უსაზღვრო შესაძლებლობებისადმი ინტერესი, მუდამ საგრძნობია ის ემოციური მუხტი, რომელიც სულიერ-მატერიალურს აკავშირებს და ჩვეულებრივ მოტივსაც ლირიკულობას ანიჭებს. ეს თავისებურება შეინიშნება ჯერ კიდევ 1968 წელს შექმნილ კომპოზიციაში "მოხუცი და ბაბუანვერა", რომლის სადა სიუჟეტში მეტაფორულობა ჭარბობს — გარევეულ რომანტიკულ განწყობილებასთან ერთად, რასაც მონუმენტური ფორმებისა და პაეროვანი ბაბუანვერას ურთიერთკუნტრასტი ძერნავს, აქ შესაძლოა ადამიანისა და ბუნების მარადიული ურთერთკავშირის იდეა ან სულაც ცხოვრების ნარმავლობაზე ფილოსოფიური განსჯა მოვიძიოთ.

განზოგადებული აზროვნებისაკენ სწრაფვა რადიშ თორდიას გაუჩნდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის წლებშივე (1956-62), რაც ძირითადად ყოფითი უანრის ტილოებსა და მონუმენტურ ნაწარმოებებში გამოვლინდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ნამუშევრები არ შემოიფარგლება ყოფითობის ტრადიციული გაგებით ან მონუმენტური მრავალმნიშვნელობით. თავისუფალი ნებელობის მხატვარს არასოდეს აკმაყოფილებდა თემისაგან მომდინარე შეზღუდულობა და მონუმენტურ ტილოებშიც ახერხებდა იმგვარი რიტმული ორგანიზაციის შექმნას, რომლის სპეციფიკა დღესაც ინტერესს ინვევს. იქნება

ეს მონუმენტური ტრიპტიქი "შრომა, სიყვარული, ნადიმი" (1967), სადაც მხატვარი რიტმის შესაძლებელ შეგრძნებას ავლენს; თუ "ერთობა" (1969), რომლის ერთგვარ სტატიკურობას კომპაქტურ სილუეტთა რეჩიტატივი არღვევს და შინაგან დინამიზმს ანიჭებს. ორივე ნაწარმოები მარადიულ, ზოგადსაკაცობრიო იდეალებს განასახიერებს და სიმბოლურ უდერადობას აღნევს ფიგურათა მსუბუქი სტილიზაციითა და კულტურულ-მითოსურ ასოციაციათა მეტაფორულობით. ხოლო ფერთა მონოქრომულ, ოდნავ დახშულ გამაში უკვე მკაფიოდ იკვეთება ფერწერული აზროვნების ის თვისებები, რამაც შემდგომში ცნობილ კრიტიკოს მიხეილ ლაზარევს ათქმევინა: "რადიშ თორდიას სურათების ჭვრეტისას ნათლად ვრწმუნდები, რომ ფერწერა მართლაც სამხრეთის ქვეყნებიდან მომდინარე ფენომენია".

ფერში მედიტაციური ჩაღრმავების პროცესი ლაიტმოტივად გასდევს რადიშ თორდიას მხატვრობას და განსაზღვრავს პირობით ეტაპებად მის დაყოფასაც. საერთოდ, მხატვრის ფერწერის ნარმომავლობა პოლიგლოტურ ნიშნებს ატარებს და ძნელია, თავისებურებათა მისეული ახსნა მიესადაგოს ერთ რომელიმე კულტურას. თვით ფერწერი ქართული ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობად შუა საუკუნეების კედლის მხატვრობას თვლის და ეროვნული სახვითი ფორმის ერთერთ განმსაზღვრელად მიიჩნევს.

მიუხედავად იმისა, რომ რადიშ თორდიას ადრინდელ ნამუშევრებში მართლაც შეიგრძნობა სულიერი სიახლოვე შუასაუკუნეების მხატვრობასთან, მის ფერწერაში ტრადიციისა და ინდივიდუალურ მიგნებათა სინთეზი არასოდეს დასულა მშრალ სტილიზაციამდე – ორგანულია და მხატვრის ხელწერას უფრო შინაგანად აკავშირებს გარდასული ეპოქის ძიებებთან. მაგალითად, ტრიტიქის ერთ-ერთ კომპოზიციაში ("ნადიმი") რიტმთან ერთად,



სწორედ ამგვარი დამოკიდებულება ნარმოადგენს ნამუშევრის მთავარ მამოძრავებელ ძალას, როცა ნახევარტონთა გადასვლები ეროვნული სკოლისთვის დამახასიათებელ სიმსუბუქეს უახლოვდება და ჰარმონიულად თანაარსებობს შუქ-ჩრდილთა მეტყველ მონაცემებასთან.

რადიშ თორდია იმთავითვე არ სჯერდებოდა მიღწეულს და მუდამ დაუინებით ეძებდა ახალ ფორმას, როგორც მუდმივ ქმნადობაში მყოფ ცოცხალ რეალობას, რასაც განსხვავებულ ექვივალენტამდე მიჰყავდა და ფერწერული აზროვნების ახალ ასპექტებს ხსნიდა. თემის სადაგი განწყობის შექმნის აუცილებლობა მხატვარს კარნახობდა ერთ შემთხვევაში ყურადღება შეეჩირებინა დაძაბულ ხაზობრივ რიტმზე ("ფიზიკოსები", "გოგი ჩიქოვანის პატი", 1970-71), ხოლო სულ რამდენიმე წელიწადში ფერადოვანი გამა გადადის მაჟორულად მძაფრ კონტრასტულობაში ("სისხლი", "მამლები", 1974), რაც გამოწვეული იყო ისევ და ისევ ფერთა ურთიერთმიმართებისადმი ინტერესის გაუნელებლობით. ამ გარემოებამ თავი იჩინა მრავალფიგურიან მონუმენტურ პანოშიც ("ახალგაზრდობა"), რომელიც რადიშ თორდიამ მეტროპოლიტენის სადგურ "პოლიტექნიკურ ინსტიტუტისთვის" შეასრულა. ეს ნაწარმოები საყურადღებოა არა მხოლოდ მხატვრული განზოგადების თავისებურებე-




ბით, არამედ კომპოზიციურ-კოლორისტული გადაწყვეტის თვალსაზრისითაც. მხატვარი შეგნებულად უვლის გვერდს თემის ტრადიციულ ხორციელებმას და აქცენტი გადააქვს დროთა კავშირის წარმოჩენაზე, რაც ხაზგასმულია სხვადასხვა ეპოქის ფასეულობათა სიმბოლური მინიჭნებებით, ხოლო წაირფერი სმალტა ცხადყოფს თამამ კოლორისტულ ძიებებს.

სწორედ ამ მიზანსწრაფულმა ძიებებმა განაპირობა ფერწერული პოეტიკის ის ცვალებადობა, რომელიც 80-იან წლებში გამოკვეთილ ხასიათს იღებს და საბოლოოდ აყალიბებს რადიშ თორდიას მხატვრულ-საზროვნო სისტემას. ამიერიდან მხატვარი სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავს ნატიფ კოლორიტს და თითქმის უგულებელყოფს, უკუაგდებს საგნობრივ იდენტიფიკაციასა და სილუეტის მკაფიოებას. ამ ოპუსების პარტიტურა გამოირჩევა გამჭვირვალე ფერწერულობითა და ფაქტიზი ტექსტურით, რაც გარკვეული პარმონიის შექმნის ამოცანას ემსახურება და გამოწვეულია გარესამყაროსადმი თავისებური დამოკიდებულებით – რადიშ თორდია ტოლერანტული ბუნების პიროვნებაა და მუდამ ისწრაფვის იდეალური წონასწორობისკენ. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ მის საზროვნო სივრცეში ერთგვარი მშვიდი დიალოგი მიმდინარეობს კონკრეტულ მოდელებსა და წარმოსახვით სახეობრივ ექვივალენტებთან. ცხადია, ეს არ ნიშნავს დღევანდელობის კრიზისული სიტუაციისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას, არამედ აღქმული უნდა იქნას ტოტალური გაუცხოებისადმი ხელოვანის თავისებურ პროტესტად ან გაბრძოლებად, გამქრალი პარმონიის მოსახიებლად (“თოფიანი კაცი”, “გაქცევა”, მარტობა” და იქვე — ლირიკულ-ნოსტალგიური განწყობით აღსავსე “ვარდისფერი დღე” ან “თეთრ კედელთან” დასხვა). უთუოდ ამიტომაც იზიდავს ფერმწერს რენესანსული აზროვნების პარადიგმები (ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური კულტურის კონტექსტში) და ამიტომ ათავსებს თავის პერსონაჟებს იმპრესიონისტულად განზავებულ ფერ-სინათლის სამყაროსა თუ თითქმის განყენებულ სივრცეში. ეს თავისებურება აშკარად თვალშისაცემია 1995-2005 წლებში შექმნილ ტილოებში, რომლებიც მუდამ ინარჩუნებს ამაღლებულისკენ ჩვეულ სწრაფვას და გადამდებ ოპტიმისტურ ნოტებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პარადიგმული რეპრეზენტაციებისა, ყველა სუ-

რათში შეიცრდნობა სისხლხორცეული კავშირი მშობლიურ გარემოსთან, თუმცა ეს არასდროსაა ხაზგასმული აშკარა მინიჭნებებითა და ეთნოგრაფიული აქსესუარებით. ერთი შეხედვით, რადიშ თორდიას ნამუშევართა უმრავლესობა პორტრეტებსა და ყოფით კომპოზიციებს წარმოადგენს, მაგრამ მასთან უანრის ცნებაც პირობითია. მხატვრის მოდელები უფრო ემოციურ გარდასახვას ემორჩილებიან და აქცენტი გადააქვთ კონტრასტულ განწყობაზე, რაც ფერთა გამაში, პულსირებით ნაძერწორმასა და კოლორიტში უნდა აირევლოს. ამ ნამუშევრებს არ ახასიათებს სიუჟეტური



თემატიზირება. მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკური თვალსაზრისით მათში ყოველთვის არსებობს ტოპოლოგიური გარკვეულობა და მაყურებლისთვის მუდამ ნაცნობია ამა თუ იმ მოტივის წარმომავლობა, თითოეული სურათი ახალ ვირტუალურ რეალობად გვევლინება და შესაძლოა, ჩვეულებრივ საგანთა ურთიერთმიმართებაც კი რაღაც მისტიკურს ატარებდეს.

ბუნებრივია, ეს გარემოება არ არის შემთხვევითი. რადიშ თორდიას მხატვრობა გრძნობად-ჭვრეტითის სინთეზს ემყარება და ფერისადმი მედიტაციურ დამოკიდებულებასთან ერთად, ემსახურება უფრო ყოფიერების ძნელად მოსახელთებელი ჩქამის “დაჭერას”,



ვიდრე მის დრამატულ პლასტებში ჩაღრმავებას. მხატვრისთვის მთავარია თუნდაც მყისიერი შთაბეჭდილებიდან მიღებული იმ იმპულსის აღბეჭდვა, რომელიც ღრმა ემოციას აღუძრავს და ახალ, მანამდე უცნობ დამოკიდებულებას კარნახობს. საერთოდ კი, რადიშ თორდიასთვის შემოქმედებით იმპულსად შეიძლება იქცეს სამყაროსეული ჰარმონიის ნებისმიერი ფორმით გამოვლენა, ვინაიდან იგი, უპირველეს ყოვლისა, მის მშვენიერების კატეგორიამდე აყვანას ესწრაფვის და საკუთარ ძიებასაც ამ უმთავრეს ამოცანას უმორჩილებს. ფერმწერი თითქოს უაქიზად აყურადებს ამა



თუ იმ იმპულსს, თუმცა ჩანაფიქრიდან მის რეალიზაციამდე მეტამორფოზის გზა მაინც ქვეცნობიერია და არასოდეს თავსდება ლოგიკური განვითარების ჩარჩოებში, ანუ როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში თავად აღიარებს: „ამ ნაწარმოებებში ბევრი რამაა როგორც იმპროვიზებული და სპონტანური, ასევე ჩემგან გაუცნობიერებელიც.“

სამყაროს ზოგადი კანონზომიერების მის კონკრეტულ გამოვლენაში მოძიებისა და ლირიკულ რემინისცენცეიბად გარდასახვის ნიშნით გამოირჩა რამდენიმე წლის წინ თბილისში, სურათების ეროვნულ გალერეაში ექსპონირებული ნამუშევრებიც (ეს გახლდათ მხატვრის ნაწარმოებთა ერთ-ერთი, მორიგი გამო-

ფენა, სხვადასხვა წლებში, თბილისის გარდა ტუნისში, მოსკოვში, კიოლნში, დრეზდენსა და სხვაგან გამართულ ექსპოზიციების შემდეგ), გამოფენას ლაიტმოტივად გასდევდა სულიერ-ზნეობრივი საწყისი და ასოციაციურ-წარმოსახვითის კონტრაპუნქტული მონაცემება, რომელიც სამყაროს რომანტიზებული აღქმის პანორამულ სურათს ქმნიდა და ფერწერული სისტემის სტაბილურობას ავლენდა.

ცხადია, ეს სტაბილურობა ბევრ განსხვავებულ ინტონაციასა თუ ნიუანსობრივ პლასტს შეიცავს და არც შინაარსობრივი დატვირთვის სიმწირეს განიცდის. გამოფენამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მხატვრის „მე“-ს რეალიზება კვლავ შორს დგას ყალბი პუბლიცისტური პათოსისგან და ერთგულად მისდევს უკანასკნელ წლებში დასახულ ამოცანას – აქციოს სასურათე სიბრტყე ჰარმონიის, შემნისარებლობისა და თანაგანცდის სახეობრივ ექვივალენტად. სწორედ ამიტომ მიმართავს იგი არაერთხელ ნაგრძნობი თემის პერიფრაზებს, ამიტომ გვევლინება ასოციაციურ-მეტაფორული სცენებისა თუ პორტრეტთა სამყარო ერთი და იგივე, ჩვენთვის უკვე ნაცნობ ტიპაჟთა ერთგვარ კონგლომერატად, რომელიც იერს იცვლის სიტუაციისდა მიხედვით და სამყაროსეული მეტამორფოზების უსასრულო ვარიაციებს ქმნის. რადიშ თორდიას მხატვრული კრედოს თავისებურ განაცხადად შეიძლება მივიჩნიოთ იმ „ერებითი“ კომპოზიციის („მხატვარი“, 1982) სტრუქტურა, რომელიც ფერმწერისა და მის მუდმივ მოდელთა (გოგონა ქოლგით, დედა ბავშვით, მუსიკოსი, ყვავილები, ჩიტები და სხვ.) ურთიერთმიმართებას ნარმოაჩენს, ვინც მას გარესამყაროს ჰარმონიული არაერთგვაროვნების გამოვლენაში ეხმარებიან და ხელოვანის სულში აღმოცენებულ შეგრძნებათა „გამჭარად“ გარდაიქმნებიან.

სწორედ ეს პერსონაჟები ნარმოადგენენ მხატვრისთვის სადა მოტივების ვარირებისა და მრავალნიუანსობრივი ფერწერის მთავარ კომპონენტებს, გვევლინებიან მხატვრული შემეცნების უნივერსულ განვითარების თანმიმდევრულ ნარმოჩენად, რომლის ყურადღების ცენტრში ყოველთვის ადამიანი მოიაზრება. თვით არაფიგურატიულ კომპოზიციებშიც კი იგი თანაარსებობს სამყაროსთან მარადიულ ურთიერთკავშირში – იგულისხმება დამიფრულ ქვეტექსტში, შეგრძნებათა იმ განსაკუთრებულ ნაკადში, რომელიც ერთი შეხედვით

მოუხელთებელია და რეციპიენტმა უნდა ამოიცნოს.

შეგრძნებათა განსაკუთრებული ნაკადის უშრეტ მეტაფორას მხატვრისთვის ნარმოადგენს ხელოვნების მარადიული საწყისის – ქალის თემა. ფერმწერი ადრეც საკმაოდ ხშირად მიმართავდა ამ “მნიშვნელობით” მანიპულირებას (თუნდაც მაშინ, როცა 1966 წელს უბრალო გლეჭ ქალში თითქოს სამყაროს დედა განსახიერდა), რასაც იმთავითვე სულიერ-ფიზიკური ჰარმონიისადმი ინტერესი განაპირობებდა, ხოლო უკანასკნელ ნამუშევრებში მას გარდაქმნის იმგვარ ფერწერულ ალეგორიად, რომელიც სიცოცხლით ტკბობის ჯანსაღ გამოხატულებასთან ერთად (განსაკუთრებით შიშველ მ.ი.დელებში), ჭარბად შეიცავს ყოფიერების სევდას და მხატვრისთვის ნიშანდობლივ ლირიკულ ნოტებსაც. მისი ქალები შორს დგანან რენუარის ქალთა ტიპაჟებისა და თუნდაც ქართული მხატვრობიდან ცნობილ კარნავალურ სცენათა გმირებისაგან. ისინი უფრო ნაზი, თითქოს დაუცველი არსებები არიან, რომელებიც ისეთივე ფაქიზ მოპყრობას საჭიროებენ, როგორც სამყაროსეული წონასწორობა და ჰარმონია. ეს ჰარმონია კი მუდამ თანაარსებობს და კონსტატაციას პოულობს როგორც განზოგადებულ პორტრეტებში (ისინი თითქმის ყოველთვის დაუკონკრეტებელია და აქცენტი აქაც ფერწერულ-დეკორატიულ საწყისზე გადადის, თუ არ ჩავთვლით “ავტოპორტრეტს”, “მანანას პორტრეტსა” და მხატვრის ცხოვრების ერთგული თანამგზავრის, მარინა გველესიანის ფსიქოლოგიზმით გამსჭვალულ პორტრეტს), მყისიერად აღქმული გრაციით შთაგონებულ ქოლგიან ქალთა, მსახიობებისა და მუსიკოსთა (“მუსიკა”, “ქალი ვიოლიონითი”, “კონცერტი” და სხვ.) ურიცხვარიაციებს.

ნიშანდობლივია, რომ რადიშ თორდიასთვის ძალზე ახლობელი მუსიკის თემაც ქალს უკავშირდება. იგი განსახიერებს მელოდიური ბერის მთრთოლვარებასა და დინამიკას. ცხადია, ეს იმპულსიც ასოციაციურია და განცდის ხელშესახებობას უფრო სიმბოლურად ავლენს (მიუხედავად იმისა, რომ “ზაფხულის დღე”, “მუსიკა” თუ სხვა, არაა მოკლებული გარევეულ ილუზორულობას). მხატვარი არც აქ ღალატობს საკუთარ პოზიციას და ზუსტად ნაგრძობ რიტმში ისევ და ისევ ფერს ულრმავდება. გამჭვირვალე, საოცრად მსუბუქ ნახევარტონთან შერწყმულ ჰასტოზურ მონას-

მთა ვიბრაცია აქაც მრავალნიუანსობრივ ფერწერას ქმნის და მხატვრის შეგრძნებათა ადექვატურ მეტაფორად გარდაიქმნება.

ეს გარდასახვა მრავალფეროვანია და არასოდეს არის რეგლამენტირებული. თუ ერთ შემთხვევაში მინორულად უღერს და მუქ კონტრასტსაც არ გაურბის (“მსახიობი”) შესაძლოა, სხვაგან ნატიფ, მოციმციმე (“ქალი სარკესთან”), ბაც მოვერცხლისფრო ტონებში აირეკლოს (“ქალი ველოსიპედით”) ან სულაც რომელიმე ლოკალური ფერის უსასრულო გრადაციაში განსხეულდეს (“ქალი ჩიტით”), როცა ნახევარტონთა გადათამაშება სივრცე-



ში მის (თუნდაც თეთრის) უსაზღვრო შესაძლებლობებს ხსნის და კონკრეტული განწყობის ადექვატურ ფორმას იძენს – ძერნავს იმ ემოციურ ატმოსფეროს, რომელიც გადამდებ სიმშვიდეს გვაზიარებს.

რადიშ თორდიასთვის მთავარი სწორედ იმ ემოციური გარემოს ასახვაა, რომელიც მასზე ნარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს და შესაძლოა ერთგვარად თეატრალიზებულ ატმოსფეროშიც ნარმოჩნდეს (“მოგონებები ბავშვობაზე”, “ცირკი”, სადაც აქა-იქ “მიმობნეულ” ჯამბაზებში, აკრობატებსა თუ სხვა პერსონაჟებში მუდამ მოიძიებთ იმ ემოციურ მუხტს, რომელმაც განცდის გარევეულ ტრანსფორმაციამდე უნდა მიგვიყვანოს). საცნაურია ისიც, რომ მხატვრის ნებისმიერი ოპუსი, იქნება ეს ყოფით-კარნავალური კომპოზიცია (“კვი-

რადღე”, “კაფე”), კულტურულ-მითოსური ასო-ციაცია (“პარისი და აფროდიტე”, “პანდორას ყუთი”) თუ ბიბლიური მოტივების რეპრეზენტაცია (“ხარება”), თვით ანიმალისტური სურა-თიც კი, გარესამყაროზე რეაგირებას ახდენს მარადიულ ფასეულობებზე დაყრდნობით და მუდამ ავითარებს ესთეტიზმის, როგორც პარმონიულის აღქმის ტენდენციას.

სწორედ ამ თავისებურებებმა განაპირობა მხატვრის ფერწერისადმი შეუნელებელი ინტე-რესი როგორც რესპუბლიკურ, ისე საერთა-შორისო გამოფენებზე (სირია, აშშ, ინდოეთი, იუგოსლავია, საფრანგეთი, ესპანეთი, ჰოლან-დია, იტალია და სხვ.), ამიტომ ინახება მისი ნამუშევრები სხვადასხვა ცნობილ მუზეუმებში, გალერეებსა (საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა, მოსკოვის ალ-მოსავლეთის ხალხთა მუზეუმი და ტრეტია-კოვის გალერეა, კიოლნის პეტერ ლუდვიგის მუზეუმი, სანკტ-პეტერბურგის მუზეუმი და სხვ.) და კერძო კოლექციებში. რადიშ თორდიას ხელოვნებას განსაკუთრებული წარმატება ხვდა გერმანიაში, სადაც ინტენსიურად თანამ-

შრომლობს კიოლნის, დუისბურგის, დრეზდე-ნისა და სხვა ქალაქების გალერეებთან. ამ წარმატებას მოწმობს ადგილობრივი პერიოდი-კის („Freie welt“, „Erfirkveis“ და სხვ.) რეცენზიე-ბი, რომლებიც მის ნამუშევრებს “მაღალესთე-ტიკურობის”, “სიხარულის მომნიჭებლობისა” თუ “იშვიათი ოსტატობის” ჭეშმარიტ მაგალი-თად მიიჩნევენ (კ. ფლემინგი, შ. იუნგერი, ი. რიგელი და სხვ.). არანაკლებ დიდი ინტერესი და გამოხმაურება გამოიწვია მხატვრის გამო-ფენებმა ნიუ-იორკსა (2002) და ვაშინგტონში (2005), რის შემდეგაც მისმა ნამუშევრებმა არაერთ გალერეასა თუ პრესტიულ კოლექ-ციაში “დაიდო ბინა” და ალბათ მაღა ნიუ-იორკის ცნობილ აუქციონზეც ვიხილავთ.

მხატვრის ფერწერასთან თითოეული შეხ-ვედრა ცხადყოფს, რომ რადიშ თორდია ისევ უნივერსალური პარმონიის ძიებაშია და მშვე-ნიერების კულტის დამკვიდრებისაკენ ისწრაფ-ვის, კვლავ ინარჩუნებს სახვით დამაჯერებ-ლობასა და იმ დიდ სულიერ ენერგიას, რაც მისი ხელოვნების მოყვარულთათვის მარად სიხარულის მიმნიჭებელია.





კონტაქტი კულტურული

ილია ჭავჭავაძე

ყოველი დროისათვის ღრმა სიმბოლოდ დარჩება ის მომენტი, როცა მოსემ თავისი განაწამები ერი ვულკანურ მთასთან მიიყვანა. ცეცხლშია აი ის დიდი მაგია. ყოველი დრო, ყოველი რელიგია და ყოველი დროის პოეზია ამ ცეცხლს უკავშირებს თავის პირველყოფას. ჩვენ სამშობლოსთან დაკავშირებული მითიც ერთი ადამიანის ხელით მასებისადმი ცეცხლის გადაცემის შესახებ გვიამბობს.

ცეცხლი დასაბამიდანვე წმინდანობის ნაწილად არის მიჩნეული. ცეცხლი მუდამ სუბსტანციურ არსობად ჰქონდათ წარმოდგენილი, ცეცხლი — ღმერთი, ცეცხლი — ლოგოსი, ცეცხლი — იარაღი მოგვებისა და ფაკირების ხელში მასების დასაელექტრონებლად არჩეული, ცეცხლი ვითარცა ემანაცია ღვთაებრივი სულისა, ათორმეტ მოციქულის თავზე გადმოსული, ცეცხლი — კატარზის. აქედან მცნება განათებისა იდენტურია კულტურასთან. ძველ ინდოელთა რიტუალებშიც ცეცხლია ცენტრალური პუნქტი ღმერთთაყვანისცემისა. თანამედ-

როვე დასავლეთის კულტურაც უშველებელი ცეცხლის ბორბლიანი ეტლის სახით უნდა ნარმოვიდგინოთ.

საქმე მუდამ ამ ცეცხლთან ზიარებაშია, ერისთვის სწორედ ამ ცეცხლში მონათვლაა საქმე.

არის რაღაც საშინელი მოირა ამ გარემოებაში, რომ ათასების ტკივილი ერთმა უნდა გადაიტანოს, ათასების მაგივრად ერთია მლოცველი და ჯვარზე გამსვლელი, ათასების ვარამი ერთმა უნდა იგრძნოს.

ასე იყო მოსე, ასეთი იყო ბუდდა, ასეთი იყო ქრისტე და ქრისტიანული სარწმუნოებაც. იმიტომ არ იწამა იგი მასიურმა ჰომოლოგურმა აღმოსავლეთმა, რომ აქ „ჩვენ“ ყოველთვის უფრო ძლიერია, ვიდრე „მე“.

ქრისტიანობაც ინდივიდუალისტური რელიგიაა დასავლეთისა, რამდენადაც მთელი დასავლეთის კულტურა, მისი ეთოსი, მისი ფილოსოფია, მისი ხელოვნება ინდივიდუალისტურია. თეორიამ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ შეიძლება სულ მაღე ბანკროტი გამოაცხადოს, რადგან ჩვენი დროის ახალი ეთოსით გაბრწყინებული იდეალიზმი ახალ მასშტაბებს ეძებს ხელოვნებაშიაც. ამ მხრითაც სულ ადვილია ილია ჭავჭავაძესთან კონტაქტის მოძებნა.

„დიდის ღმერთის საკურთხევლის მისათვის ღვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმე ვიყო ჭმუნვასა და სიხარულში“.

თუ ქართულის მასშტაბით მივალთ ილიასთან, აქ ყველაზე უნინ მისი პიროვნება გეცემათ თვალში. არც ერთ ქართველ მნერალს გასულ საუკუნეში ისეთი ლოგიკურად გამიჯნული და მტკიცე მსოფლმხედველობა არა ჰქონია, როგორც ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა ის, რაც მის საუკუნეში არამც თუ არც ერთ ქართველ მნერალს, არც ერთ ქართველს არა ჰქონია, ეს იყო პიროვნება.

პიროვნება უდიდესი სამკაულია ადამიანისა, პიროვნება დიდი და ძლიერი ხასიათის მატარებელი. მე მინდა ილია ჭავჭავაძე გამოვარჩიო მთელ ქართულ მნერლობაში. სწორედ ამ ხასიათიანი პიროვნებით. ისეთ ქვეყანაში, სადაც ინდივიდუალისტური კულტურა სუსტია, სწორედ ამგვარ ქვეყანაში იშვიათია ხასიათიანი პიროვნება, ხასიათი პიროვნების კულტურის გრადაცია... უკულტურო ერს სწორედ თავისი უხასიათობის მიზეზით იმორჩილებს კულტურული.

ხასიათის უდიდეს კრისტალიზაციად მოსე ითვლება ყოველ დროში, მიქელაწეველოს მოსე გრანიტის ბლოკზე მჯდარი. ერთი მისი შემოხედვა ხორცმესხმული მრისხანებაა.

თითქოს უნდა წამოდგეს და უდიდესი მუქარა მის მძლე სახის ნაკვთებზე აბეჭდილი, ეს არის შიში მისი წარმოდგომისა და ამოძრავების მიმართ აღძრული.

ილია ჭავჭავაძეშიაც იყო უსათუოდ რაღაც დიდი მუქარა, დიდი მრისხანება, დიდი ეთოსი დიდი წინასწარმეტყველისა. ღმერთიც დიდკაცს ირჩევს ყოველთვის თავის ურყევი ნებისყოფის ეგზეკუტორად. როგორ სჯეროდა ამ მართლაც დიდკაცს, რომ ის დიდის ღმერთის საკურთხევლის ცეცხლის მატარებელი იყო!

ამიტომაც ილია ჭავჭავაძის პიროვნება მადლია საქართველოს გასული საუკუნის გაუხარებელ ისტორიაში. მე მგონია საქართველოს სულს დიდხანს, კიდევ დიდხანს დასჭირდება სისტემატიური განწმენდა იმ საშინელი ბალასტისაგან, რომელიც შემოიჭრა ჩვენს სხეულში და სულში აღმოსავლეთის პასიურობისა და აზიური ინერტიულობის სახით.

ქართველობა გადაურჩა ისტორიის სასტიკი გრიგალებს იმიტომ, რომ ჩვენი ხასიათი პროტოპლაზმასავით მერყევი და მოქნილი იყო. დანგრევა, დალენა შეიძლება მხოლოდ მევიდრი სხეულების.

ამიტომაც გასაგებია მრისხანება ქსერქსესისა, რომელმაც ზღვის ნყალი ნერპლებით ვერ გასტეხა. ქსერქსესის მრისხანებით ბრუნდებოდნენ საქართველოს ლაშქრობიდან თემურ ლენგები, მურვან ყრუები, აღამაშმად ხანები, ალიხანოვები, რადგან ქართველობა დარდანის ნყალივით ელასტიურობას იჩენდა მუდამ.

მე მიმართ უდიდეს გამარჯვებად რომაელების გამარჯვება სიკვდილში. ისინი თავიანთ ლეგიონებთან ერთად მწყობრი მარშით ჩავიდნენ სამარეში, როცა მინაზე მათ ენას, მათ კანონს და მათ ღმერთებს გასავალი აღარ მისცეს. ასეთი სიკვდილი უდიდესი გამარჯვებაა ყოველი ერისთვის.

ჩვენი პასიურობა, ჩვენი ელასტიურობა ჩვენი მონობის ხარკი იყო მუდამ უამს. განახლებულ საქართველოს ახალ ისტორიაში ილია ჭავჭავაძით იწყება ახალი აქტივი ხასიათისა. ახალი დინამიური ძალის შემოჭრას ნიშნავდა ილია ჭავჭავაძის გამოსვლა ჩვენი უახლოესი წარსულის ასპარეზზე.

მის პირველ ნაწერებში “მგზავრის წერილები” ჩაითვლება შედევრად, მე ახლაც მიკვირს, რისი იმედით მოდიოდა ილია ჭავჭავაძე იმდროინდელ საქართველოში... “მოძრაობა” გამოაცხადა მან მსოფლიო განვითარების იმპულსად. ეს იყო უდიდესი პოსტულატი მის გეგმებში...

მოძრაობა ხომ თანამედროვე გაგებითაც იმპულსია კულტურისა, ცივილიზაციის და შემოქმედებისა. მოძრაობა სითბოა, გადაუხურდავებელი ცეცხლი, ენერგია. საქართველოს კარებთან შეხცედრილ თერგში და მყინვარში ილია თერგს ირჩევს, თერგს — ენერგიას, მთათა დამრღვეველს. მას არ უყვარს მყინვარი — ნირვანა აღმოსავლური პასიურობის, უძრაობის სიმბოლო. მარტო ამ სიტყვებით ილია გაცილებით უფრო თანამედროვეა, ვიდრე წომელიმე მწერალი მის პლეადას ჩამორჩენილი, რომელიც დღესაც სწერს, რადგანაც წერა ისევე ძნელად გადასაჩვევი ჩვეულებაა, როგორც ლაპარაკი. ილიას დროს ამდენი კამათიც არა ყოფილა ხელოვნების ნაირნაირი თეორიების გამო.

ილია ხელოვნებასა და რელიგიას შორის დიდ მანძილს არ ხედავდა, ასე უყურებდა ყოველი დიდი მწერალი ლიტერატურას. მართლაც ტომები შეიძლება დაინეროს ლიტერატურის ინფერნალსა და ცუდ გავლენაზე, თუ მას გამოაკლებთ იმათ ნაწერებს, რომელთაც ხელოვნება მუდამ რელიგიის მომიჯნედ ეგულებოდათ.

თუ რელიგიური პროცესი თაყვანისცემისა ისევე ძლიერი არ არის მწერალში, როგორც სკეპტიკური ცხოვრების უარყოფისა, ამგვარ მწერალს ლირსეულნი არასოდეს თაყვანს არ სცემენ.

მე არ ვიცი, ჩვენ წინ წავედით თუ უკანი ილიას შემდეგ, ამაზე სხვებმა თქვან, ის კი ვიცი, რომ მისი ერთადერთი ფიქრი და ზრახვა ჩვენს მარად სათაყვანოს დასტრიალებდა თავზე დღენიადაგ.

და მაგონდება დარიალის ხეობაში გაბურდვნილ, ტყაპუჭიან მოხევესთან მოლაპარაკე ილია ჭავჭავაძე. მან ყველაზე უკულტურო ეგზემპლარს ქართველთა შორის ათქმევინა ის დიდი სიტყვა, რომელშიაც 30 წლის კამათის შემდეგ ძლივს გაერკვა ქართველი ინტელიგენცია და რამდენი მაგია მართლაც ამ სიტყვებში! არიან სიტყვები, რომელიც ველის ყაყაჩოსავით სულ მალე, მეორე-მესამეჯერ ხმარებაზე ჭკნებიან და ცვდებიან, სამაგიეროდ არიან სიტყვები, რომელიც ზეცის ვარსკვლავებივით არასოდეს დაბერდებიან. ასეთი დაუძველებელი სიტყვებით შემოვიდა ილია ჭავჭავაძე საქართველოში.

“ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო”!

აქ ვხედავ მე დიდ ანალოგოსს: ილია — მოსე. აქ არის გზადაბნეული ერის ვულკანურ მთასთან მიყვანა. აქედან უნდა გა-

დაშლილიყო ქართული რასის წინაშე დიდი სანახები ნებოს მთისა და ახალი ცხოვრებისა. აქვე გაკვანძულია ჩვენი ახალი ისტორიისა და ახალი ყოფის ჯერაც ჰამლეტისებური მერყეობით წარმოთქმული: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო.

მუდამ ახალი იქნება ის მეთოდი ბრძოლისა, რომელითაც იგი თავის წრეს ებრძოდა, ვერც ერთი დიდი პიროვნება ვერაფერს გააკეთებს, თუ მან ჯერ თავისი წრე არ დაამარცხა, არ დაიმორჩილა.

ილიას ბიოგრაფია ჯერაც არ დაწერილა.



ყველა მისი თანამედროვე ამონმებს, რომ ილია საქართველოს დიქტატორი იყო: დიქტატორი ბანკში, დიქტატორი ლიტერატურაში, დიქტატორი სტამბაში.

დღეს ქართველი მწერლები მეგობრულ კილოს ვეძებთ ასოთამნებებთან ლაპარაკში, რადგან ვიცით, რომ თუ ასოთამნები გააჯავრე, გაზეთს — “ჩაგიგდებს”. ილია ჭავჭავაძეს “კნიაზს” ეძახდნენ სტამბაში, როცა ის შემოვიდოდა, ასოთამნებები ჩვეულებრივ ოხუნჯობას შეწყვეტდნენ.

საინტერესოა ილია როგორც ფეოდალი, როგორ შეეგუენ მასში ლიბერალიზმის იდეები და ნამდვილი “გრანსენიორის” ბუნება ერთიმეორეს. ფუნდამენტურობა იყო ძირითადი თვისება მისი ხასიათისა. ყველაფერში თავისი სიჯიუტით გაჰქონდა. ჯიუტი კარტის თამაშში, ჯიუტი ნერაში, ჯიუტი

საზოგადო საქმეში. ასეთ დიდ ჯიუტებს შეუქმნიათ მუდამ დიდი ლირებულებანი. მის ნაწერებში საქართველო გროტესკული კარიკატურებით გამოიხატა. ეს იყო საქართველო აზიური პასიურობის, უვიცობის, სიბინძურისა; საქართველო თათქარიძის, დარეჯანის, დათოსი და სუტკნეინებისა, ის საქართველო, რომელზედაც თვითონვე ამბობდა პოეტი: “ყველა ცრუი, ყველა ყრუი”.

ლუარსაბ თათქარიძის კარ-მიდამო ეს უმახინჯესი სურათია ქართული სინამდვილისა!

სიმბოლური სურათი თითქმის ყოველი ქართული ნამოწყებისა და ქართული საქმიანობისა.

არც ლუარსაბ თათქარიძეს გასვლია ვადა, თუმცა ის წოდება მოკვდა, რომელსაც იგი წარმოადგენდა, მაგრამ ბევრ ქართველში დღესაც ცოცხალია თათქარიძისეული დაუდევრობა, უხასიათობა, პასიურობა.

მხოლოდ ოთარაანთ ქვრივში ელავს იმედის ღიმილი, ტყრუშულის ღობით შემორავვული ეზო ითარაანთ ქვრივისა და მისი დიდი მომჭირნეობა. აქ არის დიდი პანორამები იმ საქართველოსი, რომელიც არც გუშინ ყოფილა, არც დღეს არის, რომელიც უნდა იქნეს, თუ არსებობა გვინერია, საქართველო აქტიური, დინამიური ენერგიის, საქართველო შრომისა და შემოქმედებისა. “ოთარაანთ ქვრივში” ილიამ სწორედ ის გვიჩვენა, რაც ქართველობას აკლია არა მარტო ეგზემპლიარულად, არამედ ნაციონალურად: ენერგიული ხასიათი, ენერგიული პიროვნება.

50 წელი დიქტატორობდა ილია ჭავჭავაძე საქართველოს აზროვნებაში, პოეზიაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მუდამ მარტოობას გრძნობდა.

ილია ჭავჭავაძე უკანასკნელი დიდი საჩუქარია გვაროვნული არისტოკრატის წრიდან.

ილიას გაუტეხელი ხასიათი სიბერემდის შერჩა. არც სახელმა, არც პატივმა, არც ლიტერატურულმა გამარჯვებამ მისი გაუტეხელობა ვერ შეარბილა.

უაღრესად არისტოკრატიული უესტი იყო მისი მხრით, რომ მან თავის თანამედროვე საქართველოდან საიუბილეო გვირგვინიც იუკადრისა.

თითქმის ყოველ მწერალში ბუდობს ლუციფერი და კლოუნი. ლუციფერი ნეგატიურობის სტიქიონია, კლოუნი ქალაჩუნაა — ბრბოს ტაშისცემას დახარპებული. ლუციფერი იძლევა მუდამ იმპულსს ბრძოლისა

და შემოქმედებისა.

გაიმარჯვებს თუ არა მნერალში კლოუნი, მნერალს იცნობს თავისი წრე და მრევლი. აქ არის სწორედ მისი სამარეც.

ილია ჭავჭავაძეში სწორედ ლუციფერი უფრო ძლიერი იყო.

“განდეგილში” ილია თემატიკურად განსხვავებულია მთელ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ამ პატარა პოემაში ცდაა სულიერი არისტოკრატიზმის გამართლებისა.

განდეგილი ბერის მაღალ შუბლზე მაღალი დაფიქრებაა აღბეჭდილი, მის წყევლაში საქაოზე გულგაცრუებული ილია ჭავჭავაძის მრისხანება ისმის.

ყოველ ადამიანს უწერია ამქევეყნად ერთგვარ უღელტეხილთან მიღწევა, ყოველ მნერალს და მებრძოლს მოელის თავისი შავი ვატერლოო.

ილია ჭავჭავაძესაც განუმზადა ქართულმა სინამდვილემ თავისი ვატერლოო, რადგან ყოველი გმირი ბოლოს და ბოლოს უნდა დამარცხდეს. საოცარი ბედი ერგო მაინც ილიას. მას მოუხდა ისტორიულ ტენდენციის ნინაალმდეგ ბრძოლა საქართველოში. ამ ისტორიული ტენდენციის სახელით აუტეხა ბრძოლა ორ თაობას: უძველესსა და უახლოესს. ამ ბრძოლაში დავაუკაცდა ილია, ამ ბრძოლაში მოხუცდა იგი. პირველი შეტაკება ამ ისტორიული ტენდენციის ნინაალმდეგ ილიას მოუხდა გრიგოლ ორბელიანის თაობასთან. გრიგოლ ორბელიანმა “ოქროს ჯაჭვი” არჩია თავისუფლებას, ილიამ თავისუფლება გამოაცხადა უდიდეს პოსტულატად.

ილია რომ ჩვეულებრივი საშუალო კაცი ყოფილიყო, მას მუდამ გაუჩნდებოდა მიმდევრები და მონაფეები, მაგრამ დიდი კაცი მუდამ უმემკვიდროდ კვდება. რადგან

დიდი კაცი ყოველთვის დიდი საფრთხეა იმ სოციალური წრისთვის, რომელშიაც მას ბრძოლა და მოქმედება უხდება.

დღეს ყოველივე ბრძოლა ორგანიზაციულად სწარმოებს, როგორც პოლიტიკური, ისე ლიტერატურულიც. ვერც ერთი დიდი პიროვნება დღეს ორგანიზაციულ შეტევას ვერ გაუძლებს. ეს ტრადედია თუ გნებავთ ჩვენი ეპოქისა, რომ გმირი — ჰეროს, რაც უფრო დრო მიდის, უფრო უმნეო ხდება. ილია ჭავჭავაძეც ნაცრისფერმა უურნალისტებმა დაამარცხეს. მით უფრო ტრადიციული იყო ეს დამარცხება, რომ მის წრეში ერთი კაციც არ აღმოჩნდა, რომელიც მას მიეშველებოდა.

დღეს ქართველი ერი ხელახლა იკრეფს ახალ ენერგიას. მიტომაც განსაკუთრებით გვენატრება ჩვენ ძლიერი სიტყვა და ძლიერი საქმე, მიტომაც უნებურად ვიხედებით უკან. ჩვენ ისევ გვინდა მრისხანე შემხედვა ერის ბელადისა, ჩვენ კიდევ გვინდა ვულკანურ მთასთან მიყვანა.

დიდი სიყვარული გმირისა და ნმინდანისადმი არასოდეს გაცივდება ერის გულში. ქართველ ერს იმ საწყალი გლეხის ბიჭის სახელიც არ დავიწყებია თავის სიმღერებში, რომელმაც სისხლით აგებინა პასუხი საქართველოს სისხლის მსმელს, არც იმ ჭაბუკის სახელი, რომელმაც კისრამდე ცემენტში ჩააკირვინა თავი, საქართველოს მტრების ნინაალმდეგ ასაგებ ციხე-გალავნებში.

მით უმეტეს ვერ დაივიწყებს ახალგაზრდა საქართველო ილია ჭავჭავაძის სახელს, რომელიც 50 წელი ამაყი სარანგი იყო ქართული სულისა და სიცოცხლე თავისი მონამეობრივი სიკვდილით დაასრულა.

მინა და ლმერთი ორივე სისხლს მოითხოვს ერის რჩეულთაგან. ამაშია ღრმა მისტერია ჩვენი აქ ყოფნისა.

1922. 10 სექტემბერი





ფოტოსურათზე: ჯანსულ ჩარკვიანი და ნოდარ დუმბაძე
სტუმრად უზბეკ მწერლებთან. ტაშკენტი 1983 წ.



ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება „სახალხო ბანკის“
ნებისმიერ ფილიალში საქართველოს მაშტაბით:

- 1 თვით 3ლ.
- 3 თვით 9ლ.
- 6 თვით 18ლ.
- 1 წლით 36ლ.

ჟურნალის გამოწერა ასევე შესაძლებელია სს „მაცნეს“ პუნქტებში.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
დავით გუგუშვილი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69; (+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge



რადიშ თორდია

აღმოსავლურ მოტივზე

H. Օշկանյան
1941.



რადიშ თორდია

ქალი ქოლგით



რადიშ თორდია

ორი ჯირაფი



რადიშ თორდია

ოცნება

6.20/2

